

შემდგენელ-გამომცემლისაგან

ტრაგიკული ბედის დიდებულ ქართველ მოღვაწეთა შორის წამებულის ეკლიანი გვირგვინით შუბლმოსილი შემოგვცქერის სახელოვანი მეცნიერის, 37-იანი წლების უმანკო მსხვერპლის, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის კეთილშობილი პროფილი. ესაა სახე კაცისა, რომელმაც ანტიკური გმირივით სინათლისათვის თავდადებულმა, ერთხელაც არ უჩვენა ზურგი უძლეველ მტერს და განწირული, უკომპრომისო ბრძოლაში დაეცა. მისი აზრები და შეხედულებები, ცხოვრება და შემოქმედება არასოდეს დაკარგავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თან სდევს ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას, ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას და შთამაგონებელ მაგალითად გვევლინება ყველასათვის. მას, „სრულიად განსაკუთრებულს მთელს ქართულ კულტურაში“, ჯერ კიდევ ჯეროვნად არ იცნობს ქართველი ხალხი, რადგან რეჟიმისაგან ტაბუდადებული მისი შემოქმედება მხოლოდ უმძიმეს 20-30-იან წლებში გამოდიოდა ივანე ჯავახიშვილის ხელშეწყობით და მას შემდეგ მიუწვდომელი გახდა ფართო საზოგადოებისათვის.

და აი ახლაც, როდესაც უმძიმესია საქართველოს მდგომარეობა, როდესაც გამანადგურებელი, გაუთავებელი კატაკლიზმებისაგან გამუდმებით ვირხევით, როდესაც ჰაერვით გვჭირდება დიდებულ შვილთა ისეთი სიტყვა, რომლითაც ისინი ეხმაურებიან ჩვენს ყოველდღიურობას და ჩვენი დაცემა-აღზევების მონაწილენი ხდებიან, გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ყური მიაპყრო მივიწყებული დიდი მოღვაწის მრავალმხრივ ეროვნულ მნიშვნელობას და მისი დაბადებიდან 130 წლისთავზე ამ წიგნის გამოცემა დააფინანსა. იგი ძირითადად პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალებისგან შესდგება, მაგრამ ბევრი რამ მასში პირველად იბეჭდება. ასეთია გრიგოლ წერეთლის მამის -ფილიმონის დღიურები და დის - ელენეს „ერთი წერილი“, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის იმ ოჯახურ გარემოსა და სულიერ ნიადაგზე, რომლიდანაც ნაყოფიერად ამოიზარდა საუკეთესო მოღვაწეთა მთელი თაობა. პირველად ქვეყნდება ქართულად გრიგოლ წერეთლის ეპისტოლური მემკვიდრეობის ნაწილი, ანტიკურ პოეტთა მისეული თარგმანების შესავალი წერილები, ცნობილი ფილოლოგების: აკად. ი. ფიხმანისა და აკად. ფ. პეტროვსკის, პროფ. გ. გიგოლოვის, ან. ბაქრაძის, ნან. ყანჩაველის, ფელ. დანელიას წერილები. *** PAGE 2 ***

ქართველი კაცი უნდა იცნობდეს დიდებულ გრიგოლს ისე, როგორც იცნობს იგი საქართველოს ყველაზე გამოჩენილ შვილთა ცხოვრებას და შემოქმედებას. ამიტომ მკითხველებისა და გამომცემლების სახელით უღრმეს მადლობას მოვახსენებთ აკად. ბატონ ანდრია აფაქიძეს და ცნობილ მოღვაწესა და მეცენატს ბატონ ნიკო ლევიშვილს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს, რათა გრიგოლ წერეთლის შესახებ ეს პირველი ქართული წიგნი როგორმე გამოგვეცა. ეს არაა ჩვეულებრივი ქველმოქმედება. ეს დღეს, - სრული უგულობის, უპურობის და ნგრევის ვითარებაში ბევრად მეტი რამაა და ამის დავიწყება შეუძლებელია. ამის შემდეგ, თითოეული ჩვენგანი, აკად. აკაკი გაწერელიას სიტყვებით რომ ვთქვათ, გადავფურცლავთ და გადავიკითხავთ ამ წიგნს, დავხედავთ გრიგოლ წერეთლის ამ სურათს, მოვიგონებთ მის მიმართ ჩადენილ უსამართლობებს და ჩვენი დღევანდელი უკუღმართი ბედ-იღბალის გახსენებისას, ცოტათი დავმშვიდდებით.

2002 წ. აგვისტო

გრიგოლ წერეთელი

ჩემი ავტობიოგრაფია

დავიბადე პეტერბურგში 1870 წელს; პირველი 11 წელიწადი გავატარე თბილისში და ვარშავაში, სადაც მსახურებდა მამაჩემი _ ჯერ სამხედრო-საოლქო სასამართლო წევრად, ხოლო შემდეგ მისი თავმჯდომარის ამხანაგად. 1881 წელს მამაჩემმა სამსახურს თავი დაანება და საბოლოოდ დასახლდა პეტერბურგში განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ სატახტო ქალაქში უფრო ადვილი იყო კარგი განათლება მიეცა შვილებისათვის. პირველ ხანებში მე ვსწავლობდი ჩემი მამის, დედის და დეიდის ხელმძღვანელობით; უკანასკნელი, ზ. ი. ლუჩაკ, იშვიათი ნიჭისა და განათლების პატრონი იყო: მან აღძრა ჩემში უაღრესი სიყვარული ენებისა, ლიტერატურისა და ისტორიისადმი. საშუალო განათლება მივიღე მაშინდელ საუკეთესო გიმნაზიაში, სახელდობრ, ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გიმნაზიაში, სადაც მერვე კლასამდე უშუალო ხელმძღვანელობას გვიწევდა დირექტორი კ. ნეილისოვი, ძველი ენების დიდი მცოდნე და უაღრესად კეთილშობილი პედაგოგი. მე არასდროს არ დამავიწყდება, როგორც ტკბილი იუმორით შეხვდა ის ჩემს პირველ ცდას, როდესაც მე განვიზრახე, რუსულ-ბერძნული ლექსიკონის შედგენა. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი იქნებოდა ეს ლექსიკონი, რომლის ავტორი მხოლოდ მეხუთე კლასში იყო! ნეილისოვი მუდამ ხელს გვიწყობდა ჩვენ, როდესაც-კი დაინახავდა ჩვენის მხრით დამოუკიდებელი მუშაობის სურვილს. ის, მაგ., არ გვიკრძალავდა ჟურნალის გამოცემას, რომელსაც ჩვენ “კლასიკოსი” ვუწოდეთ და სადაც ვათავსებდით ლექსებს, თარგმანებს, წერილებს გიმნაზიის ცხოვრების შესახებ: აქ განსაკუთრებით ირჩეოდა დანარჩენებში თავისი ლიტერატურული ნიჭით ნ. პავლოვ-სილვანსკი, შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი.

რადგან მე იმთავითვე მიზიდავდა ძველი ენები, ამიტომ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევედი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. პირველ ხანებში, ბერძნულ-ლათინურთან ერთად, სანსკრიტის სწავლასაც შევუდექი (მას ჰკითხოვლობდა ცნობილი მეცნიერი ნ. მინაევი) და ამაზე დიდი დრო და ენერგია დავხარჯე, მაგრამ შემდეგ საბოლოოდ გადავედი ძველ-კლასიკურ ფილოლოგიაზე. იმ დროს ეს დარგი პეტერბურგის უნივერსიტეტში საუცხოვოდ იყო დაყენებული. საკმარისია გავიხსენოთ, რომ კლასიკური ფილოლოგიის სწავლებას ხელმძღვანელობდნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორც იყვნენ ი. პომიალოვსკი, პ. ნიკიტინი (შემდეგ სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), ვ. იერნშტედტი, ვ. ლატიშევი და თ. ზელინსკი. და მე ყველა ამათთან ვსწავლობდი, მაგრამ ჩემი უშუალო ხელმძღვანელი იყო დაუვიწყარი ვ. იერნშტედტი.

მისი ლექციები მაინცდამაინც მიმზიდველი არ იყო: მისი ძალა ჩანდა, განსაკუთრებით, პრაქტიკული მუშაობისა და მეცნიერულ საკითხებზე საუბრის დროს. აქ ის შეუდარებელი იყო:

იმავთი ცოდნა ბერძნული ენისა და ლიტერატურის, მხატვრული გემოვნება, უნარი ბერძნული იდეებისა და სახეების სილამაზის შეგრძნებისა _ აი რა ახასიათებდა მას. აკადემიკოსი ვ. იერშტედტი არ იყო მრავალრიცხოვანი და ჭრელი აუდიტორიის პროფესორი; ის იყო ხელმძღვანელი რამდენიმე სპეციალისტისა, რომელთაც ის წრთვნიდა თავის მკაცრ სკოლაში, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა “ზერელეობას”. მას დევიზად ჰქონდა: “საჭიროა იყო მეცნიერი და არა ვითომც-მეცნიერი”. ვ. იერშტედტი, გარდა იმისა რომ დიდებული ფილოლოგი იყო, ამავე დროს საუკეთესო მცოდნე იყო ბერძნული პალეოგრაფიის, რომელსაც მან მაზიარა დიდის უნართა და ხელოვნებით. მისი ხელმძღვანელობით, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, დავწერე ჩემი პირველი შრომა, რომელიც “ბერძნული სტენოგრაფიის ისტორიას” შეეხებოდა და რომლისთვისაც მე ოქროს მედლით დამაჯილდოვეს (შემდეგ ეს შრომა დაბეჭდა უნივერსიტეტმა). ეს იყო ჩემი მეცნიერული შემოქმედების პირველი ნაბიჯი და მანვე გადაწყვიტა ჩემი შემდგომი მუშაობის ბედიც.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მე დატოვებულ ვიქმენ საპროფესოროდ მოსამზადებლად და ამავე დროს არჩეულ ვიქმენ საარქეოლოგიო საზოგადოების წევრად. 1894 წლიდან მოყოლებული, ვიდრე სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებამდე, ვკითხულობდი ლექციებს არქეოლოგიურ ინსტიტუტში და ძველს ენებს ვასწავლიდი მათე გიმნაზიაში. მაგრამ ეს მუშაობა მე არ მაკმაყოფილებდა: მე ამას გარდამავალ საფეხურად ვთვლიდი _ მე მიზიდავდა წმინდა მეცნიერება. მალე, 1898 წელს, ჩემი ოცნება განხორციელდა: სამაგისტრო გამოცდების შემდეგ ორი წლით ვიქმენ მივლინებული საზღვარგარეთ (შემდეგ მივლინება ერთი წლით გამიგრძელეს ათონის მონასტრის ბიბლიოთეკებში სამუშაოდ). იმდენად საფუძვლიანი იყო მომზადება, რომელიც მე მივიღე პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომ მე არ დამჭირდა სისტემატური კურსის გავლა საზღვარგარეთის რომელსამე უნივერსიტეტში. ბერლინში ყოფნის დროს ვმუშაობდი მხოლოდ ისეთი კორიფეების სემინარებში, როგორც იყვნენ ვილამოვიცი და დილსი. ისე კი მე ვამუშავებდი ბერლინის მუზეუმში ბერძნულ პაპირუსებს პროფ. ვილკენის ხელმძღვანელობით, ჯერ როგორც უბრალო სტუდენტი, შემდეგ კი მონაწილეობას ვიღებდი პაპირუსების გამოცემაში. მთელი ეს დრო (მივლინებისა) მე გავატარე პაპირუსებზე მუშაობაში ბერლინის, ვენის, მიუნჰენის, პარიზის, ლონდონის, ოქსფორდის, რომის, ვენეციის, ნეაპოლის, ფლორენციის უნივერსიტეტებში და დასასრულ ათონის მონასტრების წიგნთსაცავებში. ამით მე საშუალება მომეცა შემეგრძობინა მასალები ბერძნული სტენოგრაფიის ისტორიისათვის (რითაც მე ვისარგებლე ჩემი სამაგისტრო დისერტაციისათვის “შემოკლებათა სისტემა ბერძნულ ხელნაწერებში”), შემესწავლა ათონის, რომის და კონსტანტინეპოლის სიძველეები, დამეწყო მუშაობა ბიზანტიელი ფილოსოფოსის და ჩვენი პეტრიწის მასწავლებლის, იოანე იტალის ტექსტებზე, გავცნობოდი პაპირუსთა უამრავ კოლექციებს და კავშირი დამეჭირა საზღვარგარეთის მთელ რიგ მეცნიერებთან.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ (1902წ.) სამი წლის განმავლობაში ვიყავი პრივატ-დოცენტად, ხოლო სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ (1905წ.) არჩეულ ვიქმენ დორპატის უნივერსიტეტში ექსტრა-ორდინარულ პროფესორად. დორპატში ყოფნის დრო _ საუკეთესო ხანაა ჩემ ცხოვრებაში. წყნარი, კულტურული ქალაქი (მას ეძახდენ “ჩრდილოეთის ათენს”), მშვენივრად მომზადებული სტუდენტობა, საკმაოდ კარგად შერჩეული პროფესორთა

შემადგენლობა, საუცხოვო წიგნთსაცავი და ჩინებული წიგნის-მაღაზიები _ ყველაფერი ეს სასიამოვნოდ ხდიდა დორპატში ცხოვრებას. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მე ყოველ წელიწადს (არდადეგების დროს) მიმავლენდენ ხოლმე სამეცნიერო მიზნით საზღვარგარეთ და მე საშუალება მეძლეოდა გამეფართოებინა ჩემი ცოდნა. დორპატში ყოფნისას დავწერე მე მეტი წილი ჩემი შრომებისა (რუსულ-გერმანულ და ლათინურ ენებზე) და მათ შორის ჩემი სადოქტორო დისერტაცია “მენანდრეს ახალი კომედიები”. უკანასკნელი დავიცავი 1914 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში, რის შემდეგაც არჩეულ ვიქმენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ორდინარულ პროფესორად.

პეტერბურგში მე დამხვდა ჩემი ძველი მასწავლებლების და ამხანაგების წრე (თ. ზელინსკი, ს. ჟებელიოვი, მ. როსტოვცევი, ბ. ტურაევი, ი. სმირნოვი) და პატარა, მაგრამ მშვენივრად მომზადებული ჯგუფი სტუდენტობისა: ამათგან შემდეგში გამოვიდენ ისეთი მეცნიერნი, როგორც არიან პ. იერნშტედტი, ო. კრიუგერი და ს. ყაუხჩიშვილი, რომელნიც ეხლა დიდის წარმატებით მოღვაწეობენ სამეცნიერო ასპარეზზე.

ამას მოჰყვა ომისა და რევოლუციის მძიმე წლები, როდესაც საუნივერსიტეტო მუშაობა მოდუნდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც განვაგრძობდი მუშაობას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო და 1917 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ ჩემი სამეცნიერო მიღწევების მიხედვით ამირჩია თავის კორესპონდენტ-წევრად.

რევოლუციის წყალობით რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებისათვის ახალი პერსპექტივები გადაიშალა და საქართველომაც შესძლო თბილისში თავისი უნივერსიტეტი დაეარსებინა. სხვებთან ერთად მეც ვიქმენ მოწვეული 1919 წელს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად და 1920 წლიდან დავბინავდი თბილისში, სადაც დღემდე განვაგრძობ მუშაობას. პედაგოგიური ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის დახმარების წყალობით მე საშუალება მომეცა შევდგომოდი იოანე იტალის თხზულებათა გამოცემას, რომელიც დიდი ხანია განზრახული მქონდა და დღემდე დავბეჭდე უკვე ამ გამოცემის ორი ტომი (თბილისი 1924 და 1926 წწ.). გარდა ამისა მე შევუდექი რუსეთისა და საქართველოს კოლექციათა ბერძნული პაპირუსების გამოცემას, რომელიც ჯერ კიდევ, პეტერბურგში მქონდა განზრახული პროფ. როსტოვცევთან ერთად, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. დღეს უკვე დაბეჭდილია ჩემ მიერ ამ გამოცემის ორი ტომი (თბილისი 1925 და 1926 წწ.) ჩემი მოწაფეების იერნშტედტისა და კრიუგერის თანამშრომლობით. თუ მე შევსძელი ზემოაღნიშნული წიგნების გამოცემა, ეს მოხდა იმის წყალობით, რომ 1923 წლიდან დაწყებული, არდადეგების დროს, თბილისის უნივერსიტეტი მამლევედა მივლინებას ლენინგრადსა და მოსკოვში იქაურ მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში სამუშაოდ. გარდა ამისა, 1924 წელს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ და საქართველოს სახელმწიფო კომისართა საბჭომ მიმავლინეს იტალიაში ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის იუბილეზე მონაწილეობის მისაღებად და მე საშუალება მომეცა განმეახლებინა კავშირი საზღვარგარეთის მეცნიერებთან და მეამუშავნა იტალიის წიგნთსაცავებში.

საზოგადოდ, თბილისში ყოფნამ შემამლებინა მე ძველს სამეცნიერო კალაპოტში ჩავმდგარიყავ და კვლავ გამეშალა მუშაობა როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიურ ასპარეზზე: ეს გამოიხატა ლექციების კითხვაში და მთელი რიგი გამოკვლევების დაბეჭდვაში სხვადასხვა ენებზე.

1926 წელს თბილისის უნივერსიტეტმა მომანიჭა მე დამსახურებული პროფესორის წოდება, ხოლო 1927 წელს გერმანიის საარქეოლოგიო ინსტიტუტმა ამირჩია თავის კორესპონდენტ-წევრად.

ამრიგად, თბილისი ჩემთვის ნამდვილი “სიცოცხლის წყარო” აღმოჩნდა: მასთან დაკავშირებულია ჩემი ცხოვრების პირველი წლები და მან აღმადგინა მე სამეცნიერო მუშაობისათვის...

ვ. კ. ერნშტედტის ხსოვნას

იშვიათად თუ შეხვდები ნიჭიერ მეცნიერს, რომლის სულიერი თვისებები იმდენად სრულ ჰარმონიაშია მის სამეცნიერო შესაძლებლობებთან, რომ ისინი თანაბრად ავსებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. რაც უფრო ძნელად ჰპოებ ასეთ ადამიანს, მით უფრო მძაფრად განიცდი მის ზნეობრივ სილამაზეს და მით უფრო გიმძიმდება სული, თუ უდროოდ შეეხება მას სიკვდილის ხელი. ასეთ დროს ძნელია თავი ინუგეშო აზრით, რომ “ყველანი სიკვდილის შვილები ვართ”. ერთადერთი, რასაც ჩვენი მწუხარების შერბილება ოდნავ მაინც შეუძლია, ესაა განსვენებულის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და კერძო ცხოვრების იმ წვრილმანთა გახსენება, რომელშიც ნათლად და სრულად გამოსჭვივის მისი პიროვნება.

მწუხარების ასეთ გრძნობას განვიცდი ჩემი მასწავლებლის და მეგობრის ვიქტორ კარლოს ძე ერნშტედტის სიკვდილის გამო, რომელიც გარდაიცვალა მიმდინარე წლის (1902წ.) 21 აგვისტოს.

იგი ეკუთვნოდა იმ უიშვიათეს ადამიანთა რიცხვს, რომლებიც არასოდეს არა ჰღალატობენ ცხოვრებასა და მეცნიერებაში მათ მიერ შემუშავებულ პრინციპებს. ამ პრინციპთა სიმართლეში იყო დარწმუნებული განსვენებული და სიტყვით და საქმით ატარებდა მათ ცხოვრებაში. მისთვის არ არსებობდა პირადი მოგება, რამდენადაც ეს ეწინააღმდეგებოდა მის სანუკვარ შეხედულებებს და აზრებს. შეხედულებებს და აზრებს უდაოდ პატიოსანი და წმინდა გულის ადამიანისა, რომელთანაც საკმარისი იყო ერთხელ მაინც გულწრფელად გესაუბრა, რომ სამუდამოდ განწყობილიყავი მისდამი ღრმა პატივისცემითა და ერთგულებით. მასთან ჩვენი საუბრები ატარებდა როგორც კერძო ცხოვრებისეულ, ისე კერძო სამეცნიერო ხასიათს და მის მოწაფეთათვის თავისებურ დამატებას წარმოადგენდა ყოველივე იმაზე, რასაც ვიქტორ კარლოს ძე ეწეოდა თავის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

17 წლის ყმაწვილი იყო ვიქტორ კარლოს ძე ერნშტედტი, როდესაც 1871 წ. შევიდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და მთელი ოთხი წლის კურსი ძირითადად ვ. ი. ლიუგვილთან და ფ. ფ. სოკოლოვთან გაიარა. ამ ხელმძღვანელთა არჩევით მან უკვე მოინიშნა ის გზა, რომელზედაც მომავალში უნდა განვითარებულიყო მისი შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა.

ამ გზის დასაწყისი რუსული კლასიციზმის ისტორიაში ამ ორმა ზემოხსენებულმა მეცნიერმა გაჰკვალა. თითოეულისგან, ვინც ამ გზას დაადგებოდა, ისინი მოითხოვდნენ, უპირველეს ყოვლისა, წყაროების სერიოზულ და დეტალურ შესწავლას. ამ გზის არჩევით ვ. კ. ერნშტედტი, ასე ვთქვათ, შეგნებულად წყვეტდა კავშირს მეცნიერებაში მაშინ გაბატონებულ სხვა შეხედულებებთან, რომელთაც საფუძვლად ედო არა დამოუკიდებელი მუშაობა, არამედ უცხოურ ნაშრომთა რუსულად გადმოთარგმნა. მაგრამ, დაადგა რა ამ ახალ სამეცნიერო გზას, ვიქტორ კარლოს ძემ პირველსავე ხანებში შეძლო მასში რაღაც იმ თავისის შეტანა, რომელსაც მანამდე რუსული კლასიციზმი ჯერ კიდევ არ იცნობდა. კერძოდ, მან შეძლო ხელნაწერების საფუძველზე შეესწავლა ძველი ავტორების ტექსტები.

უკვე თავის პირველსავე სტატიაში “კრიტიკული შენიშვნები სვეტონიუსზე” ვიქტორ კარლოს ძემ გამოთქვა აზრი, რომ “ყოველ შესწორებას საფუძვლად უნდა ედოს პალეოგრაფიული მონაცემები”. ამ შეხედულების შემდგომი განვითარება არის მოცემული მის საკანდიდატო ნაშრომში, რომელიც წარმოადგენს ანტიფონეს სიტყვების კრიტიკულ შენიშვნებს და ბრწყინვალე დასაბუთებაა იმისა, თუ რა ღრმად ჰფლობდა ვიქტორ კარლოს ძე ბერძნულ ენას და რა ფაქიზი კრიტიკული ალღო გააჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, არასრულ 24 წლის ასაკში. ამ პირველ ნაშრომებში გარკვეულად გამოიკვეთა მისი დიდი უნარი და სერიოზული სამეცნიერო მომზადება, - მონაცემები, რომელთაც კიდევ უფრო ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვეს ვიქტორ კარლოს ძის შემდგომ ნაშრომებში, რომლებიც გამოვიდნენ 1879 და 1880 წლებში, რაც შედეგი იყო 1878 წელს ინგლისში მისი მივლინებისა.

ზოგიერთ მრავალტომიან თანამედროვე დისერტაციებთან შედარებით, ვიქტორ კარლოს ძის სამაგისტრო ნაშრომი “ანდოკიდეს, ისაიას, დინარქოსის, ანტიფონის და ლიკურგოსის ტექსტების საფუძვლები” გაოცებს თავისი მინიატურულობით, მასში სულ არის 5 ნაბეჭდი ფურცელი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ წარმოადგენს ონუს მაგის ქუამ ლიბრუმ-ს, ამ შრომას ჰქონდა და დღესაც აქვს პირველსაფუძვლის მნიშვნელობა ყველასთვის, ვინც მოისურვებს ზემონახსენებ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემას. მასში ზუსტად და მტკიცედ, ზედმეტი სიტყვების გარეშე, ერთხელ და სამუდამოდ არის სათანადოდ შეფასებული წვრილი ორატორების ორი მთავარი ხელნაწერი; გარკვეულია მათი ურთიერთდამოკიდებულება, აღნიშნულია მათთან არც თუ დიდი მნიშვნელობის ზოგიერთ სხვა ხელნაწერთა დამოკიდებულებაც, -ერთი სიტყვით, გაკეთებულია ყველაფერი ის, რომლის გარეშე ახლა, ახალი ედიტიო-ს დროს, იოლად გასვლა არ შეიძლება. თვითონ ვიქტორ კარლოს ძემ მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენა თავისი ნაშრომი, რადგან ამ ნაშრომს პირდაპირი კავშირი ჰქონდა მის მიერ არჩეულ ავტორთან ანტიფონთან, რომლის სიტყვებიც გამოაქვეყნა მან 1880 წ. ამ გამოცემის პირველი გამოჩენისთანავე ატტიკელ ორატორთა მცოდნე, ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერი კობეტი ახასიათებდა მას, როგორც “საუკეთესო და სასარგებლო ახალ ნაშრომს, რომელზე უკეთესს ვერც კი ინატრებდით”. ახლა, მისი გამოსვლიდან 22 წლის შემდეგ, იგი კვლავ ითვლება ანტიფონის სიტყვების ყველაზე სრულყოფილ გამოცემად. აგერ ახლახანს, ბერლინში ჩემი ყოფნის დროს, ვილამოვიც მოლენდორფის ლექციებზე მოვისმინე მისგან ამ შრომის დაახლოებით ისეთივე შეფასება, როგორც თავის დროზე გააკეთა კობეტმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვილამოვიცმა უსაყვედურა რუს გამომცემელს მისი აზრით ზედმეტი

რიტორიკა ზოგიერთი ლინგვისტური ფორმის განსაზღვრისას. მსგავსი განაჩენი ორი ყველაზე გამოჩენილი ელინისტისა, -რუსული სამეცნიერო შრომებისადმი საზღვარგარეთ ამჟამად არსებული მოჭარბებულად სკეპტიკური დამოკიდებულების ფონზე, გვიჩვენებს, რომ ვ. კ. ერნშტედტს დიდი დამსახურება აქვს რუსული კლასიციზმის ისტორიაში უკვე იმის გამო, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა დაამტკიცა თავისი შრომებით გერმანული ქუასი-ხუმრობის არცთუ სრული ჭეშმარიტება“. ანტიფონეს სიტყვების გამოცემით დამთავრდა ვიქტორ კარლოს ძის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი ეტაპი, -განსვენებულის განსაკუთრებული სამეცნიერო პროდუქტიულობის პერიოდი და ამასთან ერთად, მისი ძირითადი შეხედულებების მკვეთრად გატარების პერიოდი, რომელთა დაცვის გარეშე მას უაზრობად მიაჩნდა რუსეთში კლასიციზმის განვითარება. არა ერთხელ უსაყვედურეს ვიქტორ კარლოს ძეს მოჭარბებული სპეციალიზაცია. მის შეხედულებათა გარკვეულ სივიწროვედ მიიჩნევდნენ პირველწყაროების სერიოზულ და დეტალურ დამუშავებას. მაგრამ, სწორედ პირველწყაროთა ასეთ დამუშავებებს მიიჩნევდა ყოველად სავალდებულოდ როგორც თავისთვის, ისე თავისი მოსწავლეებისთვის ვიქტორ კარლოს ძე იმის გამო, რომ როგორც საერთოდ მეცნიერებაში, ისე ყოველი ცალკეული მეცნიერის მოღვაწეობაში, წყაროების დეტალური გარჩევის პერიოდი და მათდამი კრიტიკული მიდგომა წინ უნდა უსწრებდეს ფართო განმაზოგადოებელ დასკვნებს. თუ მოსამზადებელი მუშაობის ეს პერიოდი გარკვეულად უკვე ათვისებული აქვს დასავლეთს, ჩვენი ჯერ ისევ ძალზე ახალგაზრდა მეცნიერება, რომელსაც უნდა რომ ნამდვილად დამოუკიდებელი იყოს, ამას გვერდს ვერ აუვლის.

ასეთი იყო ვიქტორ კარლოს ძის ძირითადი შეხედულება, რომელსაც იშვიათი თანამიმდევრობით ანხორციელებდა მთელი თავისი მეცნიერული მუშაობის განმავლობაში. ამ შეხედულების გატარებად შეიძლება ჩაითვალოს მისი სადოქტორო დისერტაცია, -“ატკური კომედიის პორფირისეული ნაწყვეტები” - ბრწყინვალე გამოკვლევა, უფრო ზოგადი ხასიათისა და თითქოს თავისთავში შემკრები ყოველივესი, რაც გამოიმუშავა ვ. კ. ერნშტედტმა მთელი წინა პერიოდის მოსამზადებელი მუშაობით; რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს დისერტაცია მენანდრეს რამდენიმე, ნაწილობრივ შეფარდებით ცნობილი და ნაწილობრივ სრულიად უცნობი ნაწყვეტების გამოქვეყნებას მიემდვნა; რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ბრწყინვალე დამატებებზე და შესწორებებზე, რომელთა წყალობით საცოდავი ნაწყვეტები შეკავშირებული ტექსტის ფორმას ღებულობს და მთლიან ლიტერატურულ ძეგლად გარდაიქმნება. ვიქტორ კარლოს ძის ამ ნაშრომში ვნახულობთ ენასთან, ლიტერატურასთან და პალეოგრაფიასთან დაკავშირებულ კიდევ მთელ რიგ ძვირფას წვრილმანებს, რომელთაც დადებით ფაქტორთა მნიშვნელობა გააჩნიათ და ჩვენს ფრაგმენტულ და ზოგად ცნობებს ამდიდრებენ ახალი, მნიშვნელოვანი და მაღალხარისხოვანი მონაცემებით.

განსვენებულის ეს სამუშაო ჭეშმარიტად კლასიკური ნაშრომია და რა შორსაც არ უნდა წავიდეს პროგრესის გზაზე ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერება, იგი არასოდეს არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ის წარმტაცი და ცოცხალი გადმოცემა, რომელიც მეტად მაღალ დონეზე ახასიათებს ამ ნაშრომს, შეადგენს განსვენებულის ყველა სხვა დანარჩენ შრომათა ორგანულ თავისებურებას. მაგრამ ეს წარმტაცობა გამოიხატება არა ლამაზი და ხმაურიანი ფრაზების აგებაში, არა ხმაურიანი სიტყვების აღმატებაში აზროვნებაზე, არამედ ენის სისადავეში, პლასტიკურობასა და სინათლეში, თითოეული ცალკეული გამოთქმის იშვიათ მოზომილობაში,

სიტყვასა და საქმეს შორის იშვიათ შეთანხმებულობაში. მეორეს მხრივ, თითქმის ყველა, თვით ყველაზე მინიატურული სტატიისათვის კი დამახასიათებელია კიდევ ერთი იშვიათი ღირსება: როგორი პატარა, როგორი მცირეც არ უნდა იყოს საკითხი, რომელსაც იგი ეხება, მას უმცირეს დეტალბამდე აქვს ყოველთვის შესწავლილი. ამის გამო, განსვენებულის ყოველი სტატია იმდენად ყოველმხრივ მოთავებულია, რომ გამორიცხულია მასზე რამენაირი დამატების ან დანართის შესაძლებლობა.

ს. ა. ჟებელიოვის მიერ შედგენილ ნეკროლოგში ვ. კ. ერნშტედტის ყველა მომცრო წერილი არის ჩამოთვლილი, რომლებიც ძირითადად ძველ ბერძენ ავტორთა ტექსტების კრიტიკას ეხება და უმთავრესად წარმოადგენენ გონებამახვილურ, დახვეწილ კონექტურებს, რომლის საფუძველია ენისა და პალეოგრაფიის მონაცემები. ამრიგად, ვიქტორ კარლოს ძე ყოველთვის რჩებოდა იმ ძირითადი შეხედულების ერთგული, რომელიც მან პირველად 1876 წ. გამოთქვა თავის ნაშრომში “კრიტიკული შენიშვნები სვეტონიუსზე”. აქ იგი ამბობს, რომ “ნებისმიერი ავტორის ამა თუ იმ ტექსტის შესწორება, ორგანულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს პალეოგრაფიასთან და ენის თავისებურებებთან”. უკანასკნელი დიდი შრომა, სადაც კიდევ ერთხელ ნათლად არის ეს შეხედულება გატარებული, შეიძლება ჩაითვალოს აქამდე უცნობი ბიზანტიური ძეგლის გამოცემა, რომელსაც ვ. გ. ვასილევსკიმ მიაგნო და ვ. კ. ერნშტედტის დახმარებით 1896 წ. გამოაქვეყნა. ეს ძეგლი აღმოაჩინა და ისტორიულად შეაფასა ვ. კ. ვასილევსკიმ, ხოლო სხვა მხრივ ყველაფერი, მათ შორის მისი პალეოგრაფიული და გრამატიკული ნაწილების შესავალი ვ. კ. ერნშტედტმა გააკეთა მისთვის დამახასიათებელი კრიტიკული ალლოთი და ერუდიციით. ნათქვამიდან ჩანს, რომ ანტიკური ლიტერატურის სხვადასხვა საკითხის გარკვევისადმი მიძღვნილ თავის ნებისმიერ ნაშრომში განსვენებული ვ. კ. ერნშტედტი აუცილებლად სარგებლობდა ბერძნული პალეოგრაფიით, როგორც დამხმარე დარგით, - მეცნიერებით, რომელიც მანამდე ჩვენთან მხოლოდ შემთხვევით როლს თამაშობდა და ზოგჯერ, ჟამიდან ჟამზე თუ გამოჩნდებოდა ხოლმე, როგორც პრაქტიკული თვალსაზრისით სასარგებლო პალეოგრაფიული ნაშრომი. მაგრამ ამასთან ერთად, პალეოგრაფიის თეორიულ დამუშავებაზე სიტყვაც კი არ იყო არსად ნათქვამი, თუ ანგარიშში არ მივიღებთ ი. ი. სრეზნევსკის საკმაოდ სუსტ ნაშრომს - “პალეოგრაფიული დაკვირვებანი ბერძნული დამწერლობის ძეგლებზე”.

ამრიგად, ვიქტორ კარლოს ძე აღმოჩნდა ჩვენში პირველი სწავლული, რომელმაც შეგნებულად მიუჩინა თავის შრომებში ადგილი მეცნიერების ამ მიგდებულ დარგს და სრულყოფილად დაეუფლა მას 1878, 1882 და 1885 წლებში საზღვარგარეთ მივლინებების დროს. სარგებლობდა რა პალეოგრაფიით, როგორც სამსახურებრივად აუცილებელი მეცნიერების დარგით იმდენად, რამდენადაც იგი აუცილებელი იყო მისთვის ამა თუ იმ ტექსტის გამოცემისას, ვიქტორ კარლოს ძე მას ამასთან ერთად თეორიულადაც ამუშავებდა. განსვენებულის თითქმის ყოველ ნაშრომში შეხვდებით ძვირფას პალეოგრაფიულ შენიშვნებს, რომლებიც ეხება როგორც თვითონ დამწერლობის ისტორიას, ისე მის მომიჯნავე საკითხებს. ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ყველაფერი ის, რასაც ვ. კ. ერნშტედტი ამბობს სადოქტორო დისერტაციის პირველ თავში, სადაც საქმის დიდი ცოდნით საუბრობს ასომთავრულზე და სხვა საკითხებზე. პალეოგრაფიული ელფერის სხვა თეორიული შრომებიდან უნდა მოვიხსენიოთ ორი სტატია: “862 წლის პორფირისეული დავითნიდან” “კოპტური დამწერლობის ბერძნული ხელნაწერი”.

პირველ სტატიაში გარჩეულია ძალზე ძნელი დამწერლობის მქონე ტექსტი, რომელიც შეიცავს იესო ქრისტეს საპატივცემულო ჰიმნის პერიფრაზს (თვითონ ჰიმნს აქვს ჩარმინის ფიგურატი -ს ფორმა და იქვეა გამოცემული). აქ პირველადაა სათანადოდ შეფასებული ბერძნული დამწერლობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი კურსივის ძეგლი, რომელიც კურსივის განვითარების იმ ბოლო სტადიას წარმოადგენს, როდესაც იგი უკვე ნუსხურში გადადის. მეორე სტატიაში ასევე პირველადაა ნაჩვენები ბერძნული დამწერლობის პროვინციალური ტიპების არსებობა და აღნიშნულია მისი ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ კოპტური ყაიდა, -დაკვირვება, რომელიც უკვე მთელი დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში ფართოდ არის აღიარებული.

ვიქტორ კარლოს ძის სამეცნიერო მოღვაწეობის ეს ჩემი ნარკვევი, ვერ განაცხადებს პრეტენზიას მისი შემოქმედების სრული სისავსით და ამომწურავად განხილვაზე. მე, ჩემის აზრით, აღვნიშნე მხოლოდ ყველაზე მსხვილი დამსახურებები განსვენებულისა, საზოგადოდ რუსული მეცნიერებისა და კერძოდ და განსაკუთრებით რუსული კლასიციზმის წინაშე. რომ ნამდვილად დიდია ეს დამსახურებები, ამას არა მხოლოდ ჩემი ეს სუსტი მცდელობა ადასტურებს, არამედ ის მოსაზრებებიც, რომლებიც ვიქტორ კარლოს ძის ნაშრომთა მიმართ არაერთხელ გამოთქმულა რუს და საზღვარგარეთელ მეცნიერთა მიერ. მაგრამ მხოლოდ ნაბეჭდი შრომებით არ ამოიწურება ვ. კ. ერნშტედტის სამეცნიერო მოღვაწეობა, მან პეტერბურგის უნივერსიტეტს მიუძღვნა თითქმის 25 წელი თავისი სიცოცხლისა. იგი აქ 1877 წლიდან გამოჩნდა ჯერ როგორც მასწავლებელი, შემდეგ კი კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი.

ჩემი მასწავლებლის მოღვაწეობის ამ მხარის გარჩევასა მე უნდა ვთქვა უპირველეს ყოვლისა ის, რომ ვიქტორ კარლოს ძე აქაც ისეთივე ფხიზელი და დაკვირვებული მკვლევარი და მამიებელი იყო, როგორც თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში. განსვენებული იყო არა მხოლოდ სიტყვის, არამედ საქმის კაციც. მისი ლექციები, მიძღვნილი როგორც ბერძენი ავტორების, ისე ბერძნული ენისა და ბერძნული ლიტერატურის ისტორიისადმი, არა ჰკრეფდა მჭევრმეტყველების ყვავილებს. ამის გამო, გარეგნული ფორმით, მისი ლექციები არ გამოირჩეოდა სილამაზით და მხოლოდ მას შეიძლება მოწონებოდა, ვისაც სურდა ნამდვილი მეცნიერებისთვის მიეპყრო ყური. ვისაც უნდოდა თანდათან “გამხდარიყო” და არა “მოგვჩვენებოდა” მეცნიერად. ამიტომ, მხოლოდ ერთეულები და ისიც სპეციალისტი-კლასიკოსები ნახულობდნენ სიამოვნებას პროფესორის სადა და ბუნებრივად მდინარე მეტყველებაში. თავისი მსმენელებისგან იგი უწინარესად ცოდნას მოითხოვდა და არა “ზერელობას”. სტუდენტებისადმი წაყენებული ასეთი მოთხოვნები მით უფრო საფუძვლიანი იყო, რომ თვითონ ვიქტორ კარლოს ძე არასოდეს გამოთქვამდა ისეთ აზრს, რომლებიც ფაქტებით არ იყო სათანადოდ გამაგრებული. რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნები პრაქტიკული მეცადინეობების დროს უფრო იყო გამოკვეთილი. ამ დროს ვ. კ. ერნშტედტი საბოლოოდ იცილებდა თავიდან პროფესორის ობიექტურ როლს და ლექციებს მთლიანად საუბრის ხასიათს აძლევდა. მე კარგად მახსოვს ეს ლექციები, რომელთა მთავარი მიზანი იყო მსმენელებში იმ სერიოზული აზრისა და უნარის გაღვივება, რომ თავისუფლად გარკვეულიყვნენ როგორც წყაროებში, ისე არსებულ სამეცნიერო შეხედულებებში. “ნამდვილი მეცნიერისათვის”, - არაერთხელ უთქვამს ჩემთვის ვიქტორ კარლოს ძეს, -“არ უნდა არსებობდეს ავტორიტეტები. მისთვის პირველ ადგილზე უნდა იდგეს მისივე საკუთარი აზრი კრიტიციზმის მინარევებით”. ავტორიტეტისადმი ამ “არათაყვანისცემას” ვიქტორ კარლოს ძე მოითხოვდა

პირადად მის მიმართაც და ამით, რამდენადაც მე მისი მონაყოლიდან შემძლია ვიმსჯელო, მოგვაგონებდა თავის მასწავლებელს კ. ი. ლიუგებელს. ამ უკანასკნელს სიამოვნებას ანიჭებდა, როდესაც მსმენელები მასთან კამათს იწყებდნენ და თავიანთ მოსაზრებებს იცავდნენ ან ამტკიცებდნენ. ვიქტორ კარლოს ძესაც ძლიერ ახასიათებდა ეს თავისებურება. იგი ამბობდა: “დაე, სტუდენტი დაეჭვდეს პროფესორის სიტყვებში: ეს ხომ დამოუკიდებელი აზროვნებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია”. მაგრამ აძლევდა რა მსმენელებს “თავისი მსჯელობის” უფლებას, იგი ამასთან მოითხოვდა, რომ ეს ყოფილიყო არა ცარიელი “ფრაზეოლოგია”, არამედ ასე თუ ისე დასაბუთებული და მოტივირებული მსჯელობა. იგი სტუდენტებთან დამოკიდებულებაში საერთოდ საოცარი სირბილით გამოირჩეოდა და შეძლებისდაგვარად თანაგრძნობითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა მათ. მთელი ძალისხმევით ცდილობდა დაეკმაყოფილებინა ყველა მათი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. კიდევ უფრო მეტი გულითადობით გამოირჩეოდა თავის უახლოეს მოწაფეებთან ურთიერთობაში, რომლებიც მასში არა მარტო ხელმძღვანელს ხედავდნენ, არამედ მეგობრადაც მიაჩნდათ.

მე არასოდეს დამავიწყდება ის მომხიბლავი შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე, ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტზე, მან მოახდინა. პირველი გაცნობისთანავე ვიქტორ კარლოს ძე ისე მომეალერსა, ისე დააინტერესა ყოველმა ჩემმა შეკითხვამ და საბოლოოდ ისეთი ყოველმხრივი მზადყოფნა გამოხატა ჩემს დასახმარებლად თავისი რჩევებითა და მითითებებით, რომ პირველივე წუთებიდან შემიპყრო უღრმესი პატივისცემისა და ერთგულების გრძნობებმა, რომელთაც შემდეგში გამუდმებულად განვიცდიდი ჩემი ახლად განსვენებული მასწავლებლისადმი.

მაგრამ, რბილი და თანამგრძნობი ყოველივე კარგ საქმეში, ვიქტორ კარლოს ძე მთლიანად კარგავდა წონასწორობას ცხოვრების უარყოფით მოვლენებთან შეჯახებისას და პირდაპირ დაუნდობელი ხდებოდა. ყოველგვარი ტყუილი, სინამდვილის ყოველგვარი, თუნდაც მიახლოებითი დამახინჯებაც კი, ამ მთლიან, ჰარმონიულ და სუფთა ბუნების ადამიანში სრულ სიძულვილს აღვიძებდა დამნაშავეს მიმართ. რბილი, მაგრამ მომთხოვნი, გულითადი, მაგრამ მოვალეობის პირველ ადგილზე დამყენებული, ვიქტორ კარლოს ძე ასეთივე რჩებოდა თავის მოწაფეებთან დამოკიდებულებაში, იგი მათთვის უწინარესად ნამდვილი ხელმძღვანელი, მთელი მათი სამეცნიერო ცხოვრების სერიოზული მეთვალყურე იყო. იგი ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა მათი ყველაფერზე მოპოტინება, მაგრამ მეორეს მხრივ, საგნით ცალმხრივად გატაცების შემთხვევაში, აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა წარმოეთქვა თავისი "ცეტერუმ ცენსეო."

განსაკუთრებით საწყის სტადიაში, იგი სწვდებოდა თავის მოწაფეთა სამეცნიერო მუშაობის ყოველ დეტალს და ფხიზლად ადევნებდა თვალს, თუ რა მიმართულებით უფრო იჩენდა უნარს ესა თუ ის სტუდენტი, ამის მიხედვით წარმართავდა შემდგომ თითოეულის მუშაობას, მაგრამ ამასთან ერთად, გარდაუვალ პირობად სვამდა სხვა, უფრო ზოგადი ფილოლოგიური ცოდნის შეძენის აუცილებლობასაც.

თვით უკანასკნელ წლებშიც კი, მძიმე ავადმყოფობის შეტევების მიუხედავად, იგი არ ღალატობდა თავის თავს და სულიერად მასთან ახლო მდგომი ადამიანების ყველა სამეცნიერო

ინტერესთა კურსში იმყოფებოდა. მაგრამ არა მარტო მათი სამეცნიერო მოღვაწეობა პოულობდა ვიქტორ კარლოს ძის სახით გულითად ხელმძღვანელს და მკაცრ მოსამართლეს, არა, თვით ყველაფერი ის, რაც მათ პირად ცხოვრებას შეეხებოდა, ყოველთვის ღრმად აღელვებდა განსვენებულს. სრული გულახდილობით შეიძლებოდა გამოტყდომოდით მას თქვენს მწუხარებასა და წარუმატებლობაში, თქვენს გულგატეხილობასა და იმედთა გაცრუებაში, რადგან ყოველთვის და ყველაფერზე მოეპოვებოდა მას თავისი ნუგეშისცემა და სიყვარული.

ამიტომ გვყავდა ჩვენ ყველას, მის უახლოეს მოწაფეებს, ვიქტორ კარლოს ძის სახით, არა მხოლოდ ხელმძღვანელი, არამედ ჩვენთან სულიერად და სამეცნიერო ინტერესებით მჭიდროდ დაკავშირებული უანგარო მეგობარი.

მაგრამ ეს ის ნამდვილი მეგობარი იყო, რომელიც მუდმივად მოგვაგონებდა, რომ ჩვენ 1.

“ვალდებული ვართ პედანტური სიმკაცრით მოვეპყრათ ჩვენს თავსა და ჩვენს მოვალეობას”. რომ ჩვენ 2. “სერიოზულად უნდა გვიყვარდეს მეცნიერება, რადგან მეცნიერება მისდამი სიყვარულის გარეშე არარაობაა”; დაბოლოს, რომ ჩვენ 3. “არა გვაქვს მორალური უფლება თავმოყვარეობის და პატივმოყვარეობის იმ სტიმულებით გატაცებისა, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება სუფთა მეცნიერებასთან არ გააჩნიათ”.

მახსენდება განსვენებულის ყველა ეს სიტყვა, რაც ბრწყინვალედ ახასიათებს მის პიროვნებას და არ შემოიძლია დარდის გარეშე გავიხსენო ვიქტორ კარლოს ძის სიცოცხლის უკანასკნელი წლები, როდესაც მას, ავადმყოფობით გატანჯულს, უნდა დაეცვა თავისი სანუკვარი სამეცნიერო და ცხოვრებისეული იდეალები იმ ახალი მიმართულების საწინააღმდეგოდ, რომელმაც მაშინ ჩვენი საზოგადოება და ჩვენი მეცნიერება მოიცვა. “როგორ მინდა, რომ ახლა თქვენთან ვიყო, -მწერდა საზღვარგარეთ ჩემი მივლინების უკანასკნელ თვეებში ვიქტორ კარლოს ძე, -მიმძიმს... მაგრამ რა ვქნა! არ შემოიძლია, რადგან მოვალე ვარ აქ ვიმყოფებოდე”.

განსვენებულის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ უკანასკნელ წუთებამდე იგი, მიუხედავად ყველაფრისა, თავისი თავის ერთგული დარჩა. არცერთი ყალბი ნაბიჯით არ დაურღვევია თავისი ბუნების იდეალური მთლიანობა. ისევე, როგორც მისი მასწავლებელი კ. ი. ლიუგებელი, ვიქტორ კარლოს ძე იყო იდეალისტი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და მთელი თავისი ცხოვრებით უნდოდა ეჩვენებინა, რომ “მარტო კაციც კი ბრძოლის ველზე მეზრდოლი არის, თუ იგი ერთი წუთით არ ღალატობს თავის ძირითად პრინციპებს”. ამ პრინციპებით მუდმივად მისწრაფვოდა იგი სინათლისა და ჭეშმარიტებისაკენ.

სანკტ-პეტერბურგი

1903წ.

ნეაპოლი - რომი - ბერლინი

(საზღვარგარეთის შთაბეჭდილებანი)

როდესაც მე 1913 წელს ბერლინის რკინის გზის სადგურზე ჩემს მეგობარ გერმანელებს ვეთხოვებოდი და ერთმანეთს ვეუბნებოდი "აუფ ზაიდიგეს ჭიედერსცჰენ"-ს, არც მე და არც ისინი არ ვფიქრობდით, რომ ეს "მალე" კარგა ხანს გაგრძელდებოდა და რომ ბევრ მათგანს მე სრულიადაც ვეღარ ვნახავდი. ომმა და მის შემდეგ მომხდარმა ამბებმა საშუალება მომისპეს ყოველ წლივ-როგორც ეს მიღებული იყო ჩვენს სამეცნიერო წრეებში,-მენახულა ხოლმე დასავლეთი ევროპა იქაურ მეცნიერებთან კონტაქტისა და მეცნიერულ მიღწევათა გაზიარების მიზნით: დასავლეთი ევროპა მთლად მოსწყდა ჩვენს ჰორიზონტს. მხოლოდ გასული წლის გაზაფხულს გამიღიმა ჭირვეულმა თყვპემ და მისი წყალობით საშუალება მომეცა კიდევ ერთხელ მეხილა დასავლეთი ევროპა და თუნდაც მოკლე ხნით,-ვზიარებულიყავ მის კულტურას. მოხდა ისე, რომ ნეაპოლის უნივერსიტეტი (რომელიც 1224 წელსაა დაარსებული ფრიდრიჰ მეორე ჰოჰენშტაუფენის მიერ) თავისი არსებობის 700 წლის იუბილეს იხდიდა და ტფილისის უნივერსიტეტი მიწვეულ იქნა საიუბილეო ზეიმზე. მე წილად მხვდა არჩეული ვყოფილიყავი ტფილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლად, რათა გადამეცა ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის მისალოცი ადრესი, რომელიც შედგენილ იქმნა ჩვენ მიერ ლათინურსა და ქართულ ენებზე, ხოლო მხატვრულად შესრულებული პერგამენტზე პროფ. შარლემანის მიერ. ჩემი ოცნება ხორციელდებოდა და შეუძლებელი თითქოს შესაძლებელი ხდებოდა!

მაგრამ, დიდმა ხანმა გაიარა, ვიდრე ჩემი გამგზავრების საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა. ზეიმის დღე, რომელიც დანიშნული იყო 7 მაისისათვის ახლოვდებოდა, მე კი ჯერ კიდევ ტფილისში ვიყავ, აპრილის გასულს, როგორც იქნა, მე გავემგზავრე, მაგრამ შორი გზით "მოსკოვი-რიგა-ბერლინი", რადგან გემმა, რომელიც პირდაპირ ნეაპოლში მიდიოდა, გამასწრო. მოსკოვში კი მომისწრო აღდგომის დღესასწაულებმა და მე დიდხანს შევრჩებოდი იქ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთ სათანადო ზომები არ მიეღოთ: ისინი მე ყველაფერში მშველოდენ, რაც კი მათგან იყო დამოკიდებული და 1 მაისს მე უკვე რიგისაკენ გავემართე.

მე ბედნიერი ვიყავ, ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ ეწყობოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, "ერთს ჰფიქრობ, და მეორე ხდება". როდესაც 1 მაისს წითელი დროშითა და მწვანე გირლიანდებით შემკული მატარებელი ლატვიის საზღვარს მიადგა, ის იქ დააკავეს და მოითხოვეს წითელი დროშის ჩამოხსნა. მემანქანე, რასაკვირველია, არ დაემორჩილა ასეთ მოთხოვნას: დროშის ჩამოხსნა მას მხოლოდ ნაშუაღამევს შეეძლო, ე.ი. როდესაც დღესასწაული გათავდებოდა. ამის შედეგი ის იყო, რომ ჩვენ ნაშუაღამევს 1 საათამდე საზღვარზე ვიცადეთ და ამ რიგად რიგაში ვეღარ ჩაუსწართო საზღვარგარეთის მატარებელს. მხოლოდ საღამოს 10 საათზე ჩავედით ჩვენ რიგაში და, რადგან მატარებელზე უკვე დაგვიანებული იყო, იქვე გავათიეთ ღამე და მხოლოდ მეორე დილით გავემგზავრეთ ბერლინისაკენ. ასე რომ, მე ორი დღე დავკარგე. მესამე დღე კი ბერლინში დამეკარგა, რადგან მე იქ კვირა დღეს ჩავედი, როდესაც დაწესებულებებში მუშაობა არ სწარმოებს: მე კი ავსტრიის საკონსულოში უნდა მიმეღო "Dურცჰრეისევისა". საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ვიზები მეტად აბრკოლებენ მგზავრს: ვიზები კი აუარებელი სჭირდება

ადამიანს. მაგ.: იტალიაში ჩასასვლელად მე დამჭირდა ხუთი ვიზა: იტალიის, გერმანიის, ლატვიის, ლიტვისა და ავსტრიის. მადლობა ღმერთს, რომ იმ დროს გაუქმებულ იქმნა ბავარიის ვიზა, და არც განსაკუთრებული ვიზა დამჭირდა “პოლონეთის კორიდორის” გასავლელად. მერე რა საშინელებაა ეს საზღვრები! საყურადღებოა, რომ რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, მით უფრო ახირებული არიან მოხელეები და მით უფრო ლაპლაპაა მათი ტანსაცმლის ფორმა! დიდი ვაივაგლახი დამჭირდა, რომ გადამერჩინა მისალოცი ადრესი (რომელიც მე მიმქონდა ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის) გაფუჭებისაგან: ისე ხშირად ზვერავენ ხოლმე მას საზღვარზე; სამაგიეროდ მე არც ერთი მოსკოვის გაზეთი აღარ შემრჩა: ლატვიის საზღვარზე ყველა გაზეთი ჩამომართვეს მიუხედავად ჩემი თხოვნისა და პროტესტებისა. *** PAGE 18 ***

აი, ბრენნეროც: უკვე იტალიაში ვარ! მე უჩვენებ ჩემს დოკუმენტებს. დოგანის წარმომადგენელი იმვიათის პატივისცემით მეპყრობიან. ჩემს ბარგს, როგორც დელეგატისას, ისინი არ სინჯავენ. მე თვითონ ვაჩვენებ მათ მისალოც ადრესს, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ამავე დროს ერთ ძალიან სამწუხარო ცნობას გადმომცემენ: ნეაპოლის დღესასწაულები უკვე თავდება! ერთ ხანს მე ძალიან მაშფოთებს ეს ამბავი: ასე შორიდან მოიჩქაროდე და დღესასწაულების დასასრულს-ღა მიუსწრო! მაგრამ შემდეგ იტალიის თვალწარმტაცობა ყველაფერს მავიწყებს. მე კვლავ ვხედავ ნაცნობ ადგილებს: აი ვერონა, კატულის სამშობლო, აგერ ბოლონაა, ფირენცე, აი თვით რომიც! მაგრამ, ჯერჯერობით მე მათ განზე ვტოვებ, მატარებელი მე სამხრეთით მიმაქროლებს; მე ჯერ ნეაპოლი მჭირდება!

თუმცა, შეუძლებელია არ შეამჩნიო ყველა ის სილამაზე, რომელიც მგზავრის წინ იშლება მატარებლიდან. დე, ვაგონში სული გეხუთებოდეს და ჰაერი თამბაქოს კომლით იყოს გაჟღენთილი (“ვიეტატო ფუმარე“-ს არავინ ანგარიშს არ უწევს)! დე, ირგვლივ იტალიური ენის რაკრაკი ისმოდეს! სამაგიეროდ, როგორი ლაჟვარდია!.. აქვე ხავერდოვანი მინდვრები, ჰაეროვანი მთები და ხუჭუჭა ვენახები! თვალს ვერ აშორებ მათ, იმდენად ფერადოვანი და თვალწარმტაცია ისინი. ასე გგონია, თითქოს ყველაფერი იცინის, თითქოს ყველაფერი ატარებდეს ბედნიერების მხიარულ და უდარდელ ღიმის! ასე გგონია, თითქოს მწუხარებას არც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს აქ! “სინიორ, სინიორ, უკვე ვეზუვი სჩანს”, მეუბნება ჩემი მეზობელი-იტალიელი, რომელსაც იადონი მოჰყავს თან. ის ყველას უჩვენებს მას და მუდამ ერთსა და იმასვე იმეორებს: “ე უნ მასცულო ეცომე ცანტა!” მერე რა გასაკვირია? იტალიაში ყველაფერი მღერის, არა თუ იადონი! მე უცქერი ვეზუვის, ის დღეს რაღაც არ ჰბოლავს. და როგორ ლამაზია ის ჩამავალი მზის სხივებში, ოდნავ დაბურული მწუხრის ჩაფიქრებული ნისლით! აი, ვეზუვიც მიიმალა... ღამდება... ჩვენ უახლოვდებით სადგურს, და გამოვდივარ თუ არა ვაგონიდან, მაშინვე გარს მეკვრის იტალიური ფუსფუსი, მისი განსაკუთრებული ხმაურითა და უდარდლობით. დიახ, ნეაპოლი არ გამოცვლილა მას აქეთ, რაც მე ის არ მინახავს. ის ისეთივე მყვირალაა, თითქოს ერთი წუთითაც არ სცხრება და ისწრაფის ამოსწუროს ყველაფერი... სიცოცხლე ხომ მოკლეა და მალე წარმავალი!

მე დავბინავდი

"ოტელ დე ნაპლში" კორსო უმბერტოზე, თითქმის უნივერსიტეტის პირდაპირ; ეს შენობა მძიმეა თავის არქიტექტურით, მაგრამ დიდებული და სრულიად შეეფერება იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა ნეაპოლის უნივერსიტეტს იტალიის განათლებისა და მეცნიერებისათვის! მაგრამ, განა მარტო იტალიისათვის არის ის მნიშვნელოვანი? ჩვენ. ქართველებსაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში ჩვენი ახალგაზრდობა მიემგზავრებოდა ხოლმე ნეაპოლში თავის სწავლის დასამთავრებლად და ჩვენ კიდევაც ვიცით ერთ-ერთი ასეთი პიონერის სახელი: ეს იყო გელოვანი, რომელიც სწავლობდა ნეაპოლის უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათ. ასე რომ, ჩვენთვის ახლოა ნეაპოლის უნივერსიტეტი: მან გაუნაწილა საქართველოს ნაწილი თავისი სულიერი განძისა. ტყუილად ხომ არ ამშვენებს მისი შენობის ფრონტონს "Ad ჰაუსტუმ სციენტორუმ ეტ სემინარიუმ დ ცტრინარუნ". სასტუმროში საბოლოოდ გავიგე, რომ მე საიუბილეო ზეიმის უკანასკნელ დღეს ჩამოვსულვარ და რომ ამას იქით განაგრძობენ სხდომებს მხოლოდ ცალკე სამეცნიერო კონგრესები. მაგრამ ჩემთვის ისინი არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდნენ: ყველა ისინი ეხებოდნენ ან ფილოსოფიას, ან მედიცინას. ის, რაც ჩემს სპეციალობას, კლასიკურ ფილოლოგიას ეხებოდა, უკვე დამთავრებული იყო. მაგრამ არაფერი დამნანებია ისე ძალიან, როგორც ის, რომ მე ვერ მოვისმინე პომპეიში, იტალიის ცის ქვეშ, ჰორაციის ჩატმენ სეცულარე", რომელიც დეკლამაციით შეასრულეს პომპეის ფორუმზე იტალიის სტუდენტების - "გივენტა აცცადემიცა" ს წარმომადგენლებმა. მხოლოდ ერთით ვინუგეშები თავს: მარტო მე არ დამგვიანებია დღესასწაულზე. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრავალი სხვა მეცნიერიც, რომელთაც ა ლა ლეტტრე გაუგიათ მოწვევის ბარათში დაწერილი ნონის მაისი". შემდეგ გამოირკვა, რომ უნივერსიტეტს დამატებით დაუგზავნია მეორე ბარათიც, სადაც დღესასწაულების დასაწყისი ზედმიწევნით იყო განსაზღვრული 2 მაისით და საიუბილეო ზეიმის წესრიგიც იყო გამოცხადებული. მაგრამ, ეს ბარათი ჩვენამდე არ მოსულა. ალბათ, ის დღესაც იმარხება რომელიმე უწყების კუნჭულებში. ასე თუ ისე, საჭირო იყო "ფაირე ბონნე მინე ან მაუვას ჯეუ" და მომხდარ ფაქტთან შეგუება. მეორე დღესვე ვინახულე მე უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ზამბონინი და ოფიციალურად გადავეცი მას როგორც მისალოცი ადრესი, ისე საჩუქარი, - ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემანი. ადრესმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. განსაკუთრებით დაინტერესა ყველანი მისმა ქართულმა ნაწილმა. ბევრ მათგანს ხომ ჯერ არც კი ენახა ქართული დამწერლობა, რომელსაც ასე ახასიათებს ხაზების სიმკვირცხლე და ორნამენტის ორიგინალობა! ერთი სიტყვით, ადრესს თუმც დაუგვიანდა, მაგრამ მან შეასრულა თავისი დანიშნულება: ტფილისის უნივერსიტეტმა ხმამაღლა ამცნო ყველას თავისი არსებობის შესახებ! რადგან ადრესმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მე საჭიროდ დავინახე შევხებოდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიას, მის ორგანიზაციას, მოღვაწეობასა და მიღწევებს, და რაც უფრო საგულისხმო იყო იტალიელ მეცნიერთათვის, - მე მოკლედ უამზე საქართველოსა და ნეაპოლის უნივერსიტეტის ურთიერთობის დეტალები წარსულ საუკუნეებში. შემდეგ მე ეს თანახმად რექტორის თხოვნისა - წერილობით გადავეცი, მით უმეტეს რომ ჩემ მიერ ნაამბობი ნეაპოლის უნივერსიტეტის ისტორიისათვის უმნიშვნელო არ იყო. ამის გამო ის ცნობები შეტანილი იქნება დასაბეჭდად დამზადებულ წიგნში: "ნეაპოლის უნივერსიტეტის ისტორია", რომელიც საიუბილეო გამოცემას

წარმოადგენს და - თუმცა დაგვიანდა მისი დაბეჭდვა, მაგრამ - ამ მოკლე ხანში გამოვა, როგორც ამას წინათ ზამბონინი მწერდა.

ადრესის პასუხად მე მივიღე ტფილისის უნივერსიტეტისათვის გადმოსაცემად ვერცხლის მედალი, რომელიც მოუჭრიათ 700 წლის იუბილეს გამო: მედალზე გამოხატულია უნივერსიტეტის დამაარსებელი ფრიდრიჰ მეორე ჰოჰენშტაუფენი, რომლის გარშემო მედლის ნაპირებზე დაწერილია. მედლის მეორე მხარეზე კი გამოხატულია არწივი გაშლილი ფრთებით. მაგრამ საქმე ამით არ გათავდა. მეცა და დანარჩენმა დელეგატებმაც მივიღეთ განსაკუთრებული "ტესერა", საგანგებო მოწმობა, რომლის ძალით ჩვენ სხვადასხვა შეღავათი გვენიჭებოდა იტალიის რკინის გზებით მოგზაურობის დროს. კიდევ მეტი: ჩვენ შეგვეძლო ნეაპოლის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი გვენახულა და დაგვეთვალაიერებინა: ყველაფერი ეს იყო გრატის. მაგრამ ყველაზე უფრო მე ის მესიამოვნა, რომ ჩვენ უფლება გვქონდა გავცნობოდით "შცავი ნუოვი"-ს, ახლად გათხრილ ადგილებს, სადაც მუშაობა პროფ. დელა კორტეს-ს ხელმძღვანელობით სწარმოებს: გარეშე საზოგადოებას ამ ადგილების ნახვის ნებას არ აძლევენ. საზოგადოდ უნდა აღვნიშნო, რომ ნეაპოლის უნივერსიტეტის მეთაურმა უადრესი გამჭრიახობა გამოიჩინა და უდიდესი სიყვარულითა და დაუფასებელი კეთილშობილებით მოეკიდა სადღესასწაულო მზადებას: მან ყოველი ზომა იხმარა, რათა საშუალება მიეცა მიპატიჟებული სტუმრებისათვის ნეაპოლში ისე ეგრძნოთ თავი, როგორც საკუთარ სახლში!

მე აღარ გავაგრძელებ სიტყვას ყველა ჩემ შთაბეჭდილებასა და განცდაზე. ეს დიდ ადგილსაც დაიჭერდა და, ვფიქრობ, არც ყველასათვის იქნებოდა საგულისხმო. მე მხოლოდ უმთავრესს შევეხები. პირველ ყოვლისა მე ვინახულე "ეროვნული მუზეუმი", რომელსაც მე ახალგაზრდობიდანვე კარგად ვიცნობდი. ეს არის ნეაპოლის ცენტრი, სადაც მოგროვილია ხელოვნების უდიდესი საუნჯეები. ჯერ დარბაზები შემოვიარე: ზოგადი შთაბეჭდილების დადგენა მინდოდა და განსაზღვრული ხაზის აღება. ამ საერთო თვალის გადავლების დროს ჩემს წინ აღდგენ ნაცნობი-ნაწილობრივ მივიწყებული სახეები. მკრთალი კონტურები იმოსებოდა ცოცხალი ფერადებით. ჩემი თვალები ადვილად ჰპოულობდნენ საყვარელ ძეგლებს: ძველ ნაცნობთა შორის ვიგრძენ ჩემი თავი, და ისინი მებაასებოდნენ მე ისეთივე ენით, როგორც დიდი ხნის უნახაობის შემდეგ შეყრილი მეგობრები ებაასებიან ერთმანეთს. დიდ ხანს ვიდექ ევრიპიდეს ბიუსტის წინ: დაცვეროდი მის მოღრუბლულ სახეს, რომლის ბაგეთაგან მწუხარე და ირონიული ღიმილი გამოკრთის. ვიპოვე აგრეთვე ლისია, ანაქსიმანდრი, ფარნეზეს ჰერა; კიდევ ერთხელ დავტკბი იმ რელიეფის სილამაზით, რომელიც გამოჰხატავს ორფევს, ევრიდიკეს და ჰერმესს იმქვეყნიურ სამეფოში. დარბაზები ერთი მეორეზე მიშლიდნენ თვალწინ თავის ძვირფას განძებს. თვალებიც არ ილღებოდნენ. ისინი ხარბად აღიქვამდნენ იმ სილამაზეს, მათ წინ რომ იშლებოდა. ჩემს წინ მიდი-მოდოდნენ ინგლისელი და ამერიკელი ტურისტები, რომელთაც გიდები თან დაჰყვებოდნენ: ისინი ხომ ძეგლების წინ არც კი ჩერდებიან, ისე ზერელედ ათვალიერებენ მათ, და გიდების შენიშვნებზე თავისი ტრაფარეტული "ო. ეის"-ით უპასუხებენ, მაგრამ ეს ბრბოები მე ისე აღარ მალეღვებენ, როგორც წინათ. მე ვცდილობდი არც-კი შემენიშნა ისინი და ყური არ დამეგდო მათი საუბრისათვის. დარბაზიდან დარბაზში გადასვლით მე მივაღწიე პომპეისა და ჰერკულანუმის "ბრინჯაოს". მე მუდამ მიყვარდა ეს ბრინჯაოს ნივთები, განსაკუთრებით კი "მოსვენებული მერკურისა" და "მოცეკვავე ფავნის" ქანდაკებები. მოსვენება

და მოძრაობა, - ასე შეიძლება გვეწოდა ამისთვის, - ეს ორი კონტრასტი მაშინვე იპყრობს ადამიანის ყურადღებას. შემდეგ ერთი მეორეს ცვლიდენ დანარჩენი "ბრინჯაოები", და არა თუ მხიბლავდენ მე ისინი, არამედ სურვილს მიღვიძებდენ, რაც შეიძლება მალე მენახა პომპეი, სადაც ისინი ოდესღაც რომაელთა სახლებს ამშვენებდენ და შემდეგ, დროებით დამარხულნი ვეზუვის წყალობით, კვლავ აღსდგენ ახალი ცხოვრებისათვის... მაგრამ ჯერ კიდევ უნდა ვინახულო პომპეის მოზაიკა და ფრესკები და თვალი მაინც გადავაავლო ბანკირ ლუცი ცეცილი იუკუნდის ჰერმას, რომელიც მისმა განთავისუფლებულმა მონამ აღმართა. განა ცოტა იყვნენ ასეთი იუკუნდები იმპერატორების რომში, ის იუკუნდები, რომელთაც საშუალება მისცეს პეტრონის მისი უკვდავი ტრიმალხიონის სახე შეექმნა!

პომპეის მოზაიკები და ფრესკები ძველებურად ლამაზი და წარმტაცი არიან. ჩემდა სასიხარულოდ მე ისინი არ დამვიწყებია. მათ შორის მაშინვე ვიპოვე ჩემი რჩეულნი: სხვათა შორის დიოსკორიდე სამოსელის ორი მოზაიკური სურათი, რომლებიც კომედიის სცენებს გადმოგვცემენ. რამდენი სიცოცხლე და ნამდვილი კომიზმია მათში და საუცხოვო ფერადებია შერჩეული! მაგრამ განა შეიძლება ხელოვნების ამ ძეგლების აღწერა? ისინი თვალთ უნდა ჰნახო, რომ იგრძნო მთელი სილამაზე! სწორედ მათში, ამ მარმარილოში, ბრინჯაოში, მოზაიკასა და ფრესკებში - თავი რომ დავანებოთ ლიტერატურას, - დღემდის ცოცხლობს ანტიკური ქვეყნის გენია, რომელიც უძლეველია თავის უკვდავ სილამაზეში. და ვისაც ეს არ ესმის, ისინი ჩვენ შეგვიძლია შევიცოდოთ, როგორც გვეცოდება ჩვენ უსინათლონი, შუქის თამაშს რომ ვერ ჰხედავენ და საუკუნო სიბნელეში იმყოფებიან. რამდენჯერმე ვიყავი მე მუზეუმში, და ყოველთვის შევივლიდი ხოლმე იქ, თუნდაც ცოტა ხნით, და მერე ნეაპოლის ხმაურიანი ქუჩებით რომ მივდიოდი, სიამოვნებით ვეზიარებოდი ხოლმე იტალიის ახალ ცხოვრებასაც და ჩემს თვალში რაღაც საუცხოვოდ იყო იტალიაში შეგუებული ეს ორი სამეფო, ძველი და ახალი, თითქოს ისინი ერთმანეთს ავსებდენ, თითქოს ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენდენ. მართლაც და, არსად, თვით საბერძნეთშიაც, არ რჩება ადამიანს ასეთი შთაბეჭდილება.

ნეაპოლში რომ დავათვალიერე ყველაფერი, რაც საჭირო იყო, და დროთა ვითარებაში გამქრქალი ცოდნაც განვაახლე, მე გავეშურე პომპეისაკენ, ელექტრონის რკინის გზით, ე.წ. "ცირკუმვესუვიანა"-თი. საუცხოვო დღე იყო: ასეთი დღეები მხოლოდ იტალიაში იცის. მთელი ბუნება მხიარულად იცინოდა. განსაკუთრებით კარგი იყო ზღვა, მისი ანერიტჰმონ გელასმა, როგორც ამბობს ესქილე თავის "პრომეთევ"-ში. უყურებდი მიდამოებს და ვტკბებოდი მათი სილამაზით. რაღაც არ გჯერა, რომ აქ, სადაც ეხლა სიცოცხლე სდულს, ქრ. შემდ. 79 წელს ყველაფერზე ვეზუვის მიერ მოვლენილი სიკვდილის ფრთები იყო გადაფარებული და თვით ვეზუვიც ისროდა მდულარე ლავას და ფერფლს: ისე მშვიდობიანად გვიცქეროდა ის ეხლა, და სუსტი, ოდნავ შესამჩნევი ბოლი ამოდიოდა მის მწვერვალთან. რომ ის ოდესღაც ძალიან განსრიხებულა, ამას ჰმოწმობს დაფარული პომპეი, რომელიც თანდათან ამოდის სინათლეზე არქეოლოგიური თხრის წყალობით, მაგრამ რა სახით? - დამტვრეული, დაფლეთილი და განადგურებული...

მაგრამ, ვიდრე პომპეიში ჩავიდოდი, საშუალება მომეცა დამეთვალიერებინა ერთი ვილლა, რომელიც ქალაქ გარეთ მდებარეობს და 1910 წელს იქმნა ამოთხრილი. ის მდებარეობს "ვია დეი სეპორკლი"-ს ბოლოში, თითქმის არრი დიომედეს ვილლის გვერდით. ეს არის ე.წ. "ვილლა

რომანა", ანუ "დიონისოს მისტერიების ვილლა". მას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს და საგულისხმოა განსაკუთრებით თავისი ფრესკებით, რომელთაგან 24 საუცხოვოდ არის დაცული და ავგუსტის დროს ეკუთვნის. ეს ფრესკები დიდი და ფართო "ტრიკლინის" კედლებს ამშვენებენ და მათ შინაარსს წარმოადგენს "ქალების ზიარება დიონისოს მისტერიებში". ფრესკები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და, თითქოს, სურათების სერიას წარმოადგენენ ერთსა და იმავე თემაზე. ჯერ მოჩანან სახეები, რომელნიც ამ ზიარებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ: ასე მაგ., ჩვენ ვხედავთ ქალს, რომელიც ბავშვს აწოვებს, შემდეგ ორ მოსაუბრე ქალს და, დასასრულ, კიდევ ერთ ქალს, რომელიც ზეთისხილის გვირგვინით არის შემკობილი და ფიალით ხელში მიემართება იმ ქალებისაკენ, რომლებიც რაღაც მსხვერპლის შეწირვაში იღებენ მონაწილეობას. ეს, თითქო, შესავალია, შემდეგ გამოხატულია სილენი, ქნარით ხელში ახალგაზრდა სატირი, ორი თხით და დასასრულ, პანი, რომელიც სალამურს უკრავს. ჩვენს წინ არიან ასე ვთქვათ, დიონისოს თანამგზავრები. აი, თვით დიონისოც. ის ესწრება, თუ როგორ წვრთნიან მის მისტერიებში გასანდობელ ხალხს. შემდეგ ჩვენ იმას კვლავ ვხედავთ, მაგრამ უკვე არიანთან ერთად. აქვეა სამი სატირი, რომელთაგან ერთი, ყველაზე ხნიერი, ვიდაცას ასმევს, მეორეს კი ნიღაბს უჩვენებს. აი, თვით ზიარების სცენებიც. ჯერ ვხედავთ ფეხის ცერებზე მომავალ ქალს. მის სახეზე სიხარულია აღბეჭდილი, იგი უკვე გამოუწვრთნიათ, ის უკვე ზიარებულა მისტერიებს. ამ სურათს მეორე სცვლის: ახალგაზრდა ტიტველა ქალი მუხლებზე დაჩოქილა, მის გვერდით მეორე ქალი დგას წნელით ხელში. ეს არის მზადება ფლაგელაციისათვის (გამათრახებისათვის). ეს მზადება, როგორც სჩანს, შიშის ზარსა სცემს ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელმაც აგრეთვე უნდა გაიაროს ეს გამოცდა და ის მეორე ქალის მუხლებში ჰმაღავს თავის სახეს. აი, კიდევ ერთი შემინებული სახე და შემდეგ მოდის თვალწარმტაცი სურათი დიდებული ქალისა, რომელიც თავის თმებს უვლის: მას ჰშველის ორი ამური. უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს კიდევ ერთი ქალის სურათი, რომელიც საერთო ყურადღებას იპყრობს. ჩვენს წინ ერთი ლამაზი ქალია, რომელიც სერიოზული და ჩაფიქრებული თვალებით აცილებს მის წინ, მისტერიებში საზიარებლად მიმავალ პროცესიას.

ძნელია უკანასკნელი სიტყვის თქმა ამ სურათების საიდუმლო აზრის შესახებ. ძნელია იმის თქმაც, თუ რა დანიშნულება ჰქონდა თვით ვილლას. უბრალო ვილლაა ეს, თუ მასთან რამე ღრმა შინაარსია დაკავშირებული? ვინ იცის. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პარალელისათვის აღვნიშნოთ პავსანიას ერთი ადგილი (VIII, 23, 1), სადაც ნათქვამია: ის ქალები, რომელთაც სურდათ დიონისოს მისტერიებს ზიარებულიყვნენ, დიონისოს ტაძარში მოდიოდნენ გასაწვრთნელადაო. როგორადაც არ უნდა განვმარტავდეთ ჩვენ ამ სურათებს, ერთი-კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, პირველ ყოვლისა განსაცვიფრებელია მათი ფერადების იშვიათი სიცხოველე. განსაცვიფრებელია აგრეთვე ის ძლიერი გამომეტყველება, რომელიც მხატვარს ჩაუქსოვია მის მიერ მოცემულ სახეებში. დასასრულ, აღსანიშნავია საერთო სილამაზე, ხაზების სიწმინდე, წვრილმანების შესრულების სიდიადეც, ჩვენს წინ უთუოდ დიდი მხატვარია, რაც ასე იშვიათია პომპეიში. მის მიერ შესრულებული სახეები ნამდვილ შემოქმედებითს კომპოზიციას იძლევიან: მათში არაფერია ხელოსნური!

ვილლა რომ დავათვალიერე, მე დაუბრუნდი პომპეის და დაწვრილებით შეუდგე მისი განძების განხილვას. განსაკუთრებულის მოწიწებით ჩავედი დადუმებულ ქალაქში და განზრახ

ჩამოვშორდი ტურისტთა ბრბოს: მათ სიცილსა და საუბარს დისონანსი შემოჰქონდა მთელ იმ სიმშვიდეში, რომელიც დამყარებულიყო ნანგრევთა შორის.

განსაკუთრებით მიზიდავდა "სკავი ნუოვი". მაგრამ შევიკავე თავი და ჯერ ისე მოვიარე პომპეის ქუჩები: ხან ერთ სახლში შევიდოდი, ხან მეორეში, თუკი შესანიშნავი იყო თავისი არქიტექტურით ან ფრესკებითა და სხვა დეტალებით. ასე მაგ., მე ვინახულე მარკ ლუკრეცი ფრონტონის სახლი, სადაც 1904 წელს პერსევის საუცხოვო ბრინჯაოს ქანდაკება იპოვეს. რასაკვირველია, დიდის ყურადღებით დავათვალიერე აგრეთვე ვეტტიების ცნობილი სახლი, რომელიც ისე განთქმულია თავის ფრესკებით, რომ მასზე დღესაც ამბობენ იტალიელები: ვეტტიების სახლის უნახველობა პომპეის უნახველობას უდრისო. უნდა ვთქვა მხოლოდ, რომ მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელად ვნახე პომპეი, ფრესკები ძალიან გამქრქალა. განსაკუთრებით დაზიანებულა იმ "ამურების" სურათი, რომელნიც სხვადასხვა სამუშაოზე სხედან. მე მხედველობაში მყავს მსროლელი, ოქრომჭედელი, მეყვავილე და სხვა ამურები: მათ ხომ მთელი ქვეყანა იცნობს! აი, ამ მყუდრო საჟანრო სურათებს დაუკარგავთ თავისი სიცხოველე და შუქურობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შუშის სამოსში გაუხვევიათ მზის სხივებისაგან დასაცავად. ტყვილად ხომ არ ირევიან ბუზებივით მათ წინ მაყურებლები, რომელნიც სხვადასხვა ენაზე გამოთქვამენ თავიანთ აღფრთოვანებას! მაგრამ განა ამ სურათებს გარდა ცოტა მოსახიბლავი რამ არის ვეტტიების სამყოფელოში, რომელიც ოდესღაც ორსართულიანი ყოფილა (ამას ჰმოწმობს დღემდე დაცული კიბის ნაშთები)? რად ღირს, მაგ, მისი პერისტილი: ჩვენს წინ არის საუცხოვო ბაღა შადრევანებით, აუზით, მარმარილოს საუცხოვო მაგიდებით და სხვა. არანაკლებ მომხიბვლელია ცალკე ოთახებით და მათი სურათებით ალ ფროსცო. მითები და დამოუკიდებელი კომპოზიციები შეადგენენ ამ სურათების შინაარსს, რომელთაგან, განსაკუთრებით, სამი გამოირჩევა: 1) ბახუსი, თავისი ამაღლის თანხლებით, მიიმართება თეზევის მიერ მიტოვებულ არიადნასკენ; 2) დედალი უჩვენებს პაზიფიას ამ უკანასკნელის შეკვეთით გაკეთებულ მოდელს ხის ძროხისა (საუცხოვოა პაზიფიას ფიგურა); 3) ვულკანმა მერკურის ბრძანებით უკვე მიაბა იქსიონი ბორბალს და ირიდა მოახსენებს იუნონას, რომ მისი შეურაცხმყოფელი უკვე დასჯილია. ამ სურათებში (და განა მართო ამათში?) განსაცვიფრებელია განსაკუთრებით, თუ როგორ მოხერხებულად არის კომპოზიცია მხატვრის მიერ შესრულებული, რომ მაყურებლის ყურადღება სწორედ მთავარმა ფიგურამ მიიპყროს. ეს უკანასკნელი ისე დეტალურად არის ხოლმე გამოკვეთილი, რომ რელიეფის მსგავსად წინ არის წამოწეული და იმ თავითვე იჭერს მთავარ, ცენტრალურ ადგილს, იმ დროს როდესაც ყველაფერი დანარჩენი იმ ცენტრალური ფიგურის სამკაულს წარმოადგენს.

საზოგადოდ, ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა პომპეის მხატვრობის შესახებ, მაგრამ ჩემს მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით შევჩერდე მასზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი სასიუჟეტო მხარე პირდაპირ ანცვიფრებს ადამიანს თავისი მრავალფეროვანებით. მართალია, ბევრი სიუჟეტი მეორდება, მაგრამ მათ შესრულებას ყოველთვის ახასიათებს ხოლმე რომელიმე ორიგინალური ხაზი. გარდა ამისა, თუ განმეორებას ადგილი აქვს მითების განსაზღვრული ციკლის გაშლის დროს, სამაგიეროდ მხატვრები თავისუფალი არიან ამ განმეორებისაგან, როდესაც მათ დამოუკიდებელი თემები აქვთ ალებული. აქ უკვე საზღვარი აღარ უჩანს ფანტაზიას, პეიზაჟი, "ნატურ მორტ", ცხოველთა სამეფოს ყოველგვარი წარმომადგენელი, წმინდა ფანტასტიკური

სიუჟეტები, - ყველაფერი ეს მოცემულია იქ და ახალ-ახალ ეფექტებს იძლევიან. მხატვრები ყოველდღიურ ცხოვრებასაც არ სტოვებენ უყურადღებოთ, და, თუ რომელიმე სცენა შეუფერებელი იყო მაღალი წრეების სახლებისათვის, ისინი ადგილს ჰპოულობდნენ დუქნებში, ტრაქტირებში და სასტუმროებში. აი, დუქანი მერკურის ქუჩაზე; აქ კედლებზე საგულისხმო სცენებია გამოხატული, მაგალითად: მაგიდას შემოსხდომიან სტუმრები, ისინი სჭამენ და სვამენ და იქვე მიწერილია, თუ რას მოითხოვენ ისინი; ერთს ჰსურს “ცოტა ცივი წყალი”, მეორეს - კიდევ ერთი “ჭიქა სეტინის ღვინო”. მეორე დუქანში სურათი უფრო ტრაგიკულია: ორი სტუმარი წაჩხუბებულა და მედუქნე მათ ერეკება, ხოლო იქვე წარწერილია: “იჩხუბეთ, მაშ მიბრძანდით”. ეს რაღაც თონიერს-ის მაგვარი უნდა იყოს. *** PAGE 27 ***

ვათვალისწინებ ამ მშვენიერ სახლებს და თან ვფიქრობ: “ყველაფერი ეს ჩემთვის ახალი ხომ არ არის, - ეს მშვენიერი სახლები მე ხომ წინათაც ბევრჯერ მინახავს!” ასეთია ადამიანის ცნობისმოყვარეობა: ის მუდამ ეძებს რაღაც არაჩვეულებრივს, დიადს. ჩემთვის ეს სიდიადე განსახიერებელია “სკანი ნუოვი“-ში. ცხადია, რომ იქ უნდა წავიდე, - ნებართვაც ხომ ჯიბეში მაქვს! მე მივეშურები ნანატრ ადგილისაკენ. მაგრამ პირდაპირ იქ შესვლა შეუძლებელია: ადგილი, სადაც თხრას აწარმოებენ, უბრალო მომაკვდავთა თვალთაგან ხის კედლით არის დაფარული; კედელში დატანებულია კარი, კართან დარაჯი დგას. სამოთხეში შესვლა არც ისე ადვილი ყოფილა! მაგრამ ნებართვის ქალაღმა გასჭრა და მე მიშვებენ შიგ, ჩემდა საბედნიეროდ, მე თავიდანვე მოხვდი არქეოლოგიური თხრის ხელმძღვანელთან, ძვირფას პროფესორ დელლა ჩორტე-სთან. მან პირადად დამატარა ყველა ადგილები, სადაც სიძველეებს სთხრიან. იგი მიზიარებს მე თავის დიდ ცოდნას და თითქოს ცდილობს, რომ არაფერი საგულისხმო არ გამომჩრეს. ნეტავ ყველა მუზეუმის გამგეები ამ დაულალავ მეცნიერს ჰგავდნენ! მას ისე თავდავიწყებით უყვარს პომპეი, ეს მკვდარი ქალაქი, სადაც იგი თავს გრძნობს, როგორც თავის სახლში! გგონია, რომ ეს მდუმარე ნანგრევები მხოლოდ მისთვის არღვევენ თავიანთ მდუმარებას.

ვდგევარ და მიხარია: მე ხომ “სკანი ნუოვი“-ში ვარ! ვდგევარ და არ მჯერა. წინათ პომპეიში მე მინახავს მხოლოდ გარე კედლების ცარიელი ჩონჩხები. ეხლა კი ჩემ თვალწინ სულ სხვა რამეა. ამოთხრილი სახლების ფასადების უმეტეს ნაწილს ისევ შერჩენიან ჭრელი ფერადები, კიდევ მეტი: აქა-იქ ამ ფასადებზე მოჩანან წარწერები, რომლებიც, კედლების ფერის მიხედვით, სხვადასხვა საღებავით არის გაკეთებული: შეხვდებით თეთრს, წითელს და შავ საღებავსაც კი, აქა-იქ დარჩენილია მეორე სართულების ნაშთები; მოსჩანს გადმოკიდებული აივნების ადგილებიც და ეს აივნები გამონაკლისს კი არ შეადგენენ: ისინი მრავლად ყოფილან და რადგან სახლები ქუჩის ორსავე მხარეს მისდევდნენ, ამიტომ აივნები ერთგვარი ფარდულებიც უნდა ყოფილიყვნენ და ამრიგად საჭირო ჩრდილიც უნდა მოეცათ, ქუჩის შედარებითი სივიწროვის გამო ეს ადვილი იყო. უნდა გამოვტყდე: როდესაც სახლების შეფერილ კედლებს დელლა კორტე-ს ბრძანებით, ტილოები გადაჰხადეს და მე დავინახე ფერადებით შემკული სახლები, - მე რაღაც უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო. უეცრად მომეჩვენა, რომ ქუჩა გაცოცხლდა, რომ პომპეი აღდგა, პომპეი პირვანდელი, დაუმახინჯებელი სახით, რომ აი, აგერ გამოჩნდებიან მისი ნამდვილი მცხოვრებნი, მოისმის რომაელთა საუბარი და ფილაქანზე ახმაურდებიან ფორანები და რომაული ეტლები. ოცნებიდან დელლა კორტე-ს მხიარულმა ხმამ გამომიყვანა: “ო, თქვენ ანტიური ქვეყნის

გრძნეულებათა ხელში ხართ! მესმის თქვენი მდგომარეობა; პომპეი ხომ ნამდვილ გრძნეულ ქალსა ჰგავს!" მე გამეცინა, მომჯადოებელი სიზმარი გაჰქრა, და მე კვლავ გადავიქეცი ჩვეულებრივ ტურისტად, რომელიც მისთვის უცნობ ძეგლებს ათვალიერებს. მივპყვები დელლა კორტე-ს. ჩვენ გვიერთდება ერთი ფრანგი პროფესორი თავისი ცოლით, და ჩვენ ვიწყებთ ნანგრევების დეტალურ დათვალიერებას. ჩვენი მეცნიერი გიდი პირდაპირ შეუდარებელია!

ძნელია დაწვრილებით აღდგენა ყოველივე იმისა, რაც მე ვნახე. ჩემ წინ გადაშლილ ჭრელ კალიედოსკოპში. ერთი სიმშვენიერე მეორეს სცვლიდა. საჭირო იყო ძალღონის მოკრეფა და მეხსიერების ამუშავება, რადგან არაფრის ჩაწერა არ შეიძლებოდა: თხრების სრული შედეგების გამოქვეყნებამდე ყოველივე პუბლიკაცია და სურათის გადაღება აკრძალულია! ერთი გზა-ლა დამრჩენოდა: მეთხოვნა შველა "დეა მემორია"-სთვის. მეც მას მივმართე! მაშასადამე, თუ რამე გამომრჩა, ამის დამნაშავე მე კი არა, არამედ ის Dea იქნება.

დავიწყებ სახლის ფასადებით, რომელნიც ქუჩას უყურებენ. აი ჩვენს წინაშე შესავალი "თერმოპოლიუმში" ანუ რესტორაციაში, სადაც იყიდებოდა ცხელი სასმელები, ჩვეულებრივ ცხელწყალგარეული ღვინო. ასეთი "თერმოპოლიუმები" პომპეიში მრავლად მოიპოვებოდა. მათი მოწყობილობა ასეთი იყო: მომარმარილოებულ დახლთან იყიდებოდა თიხის სურებში ჩამოსხმული სასმელები; სურები ჩასმული იყო დახლში. დახლთან ახლოს თაროებზე მოთავსებული იყო ბოთლები, ჭიქები და სხვა ჭურჭელი. კუთხეში იყო კერა, სადაც საჭმელებს ამზადებდენ. სტუმრები სჭამდენ და სვამდენ დახლთან, ზეზეულად, როგორც ეს იტალიაში დღევანდლამდე დარჩა; მაგრამ იმ სტუმრებისთვის, რომელთაც ცოტა მეტ ხანს უნდოდათ დარჩენა, არსებობდა განსაკუთრებული ოთახი ან ოთახები, თუ რესტორაცია მთელი სასტუმროს წინაოთახი იყო. დღისით "თერმოპოლიუმის", - და საზოგადოდ დუქნების, - შესავალში ფარდა იყო ჩამოშვებული (შეად. ეხლანდელი იტალია), ღამით კი იკეტებოდა ორფა კარებით, რომელზედაც ადებდენ რკინის ჭანჭიკს კლიტით. ასეთი კარების მულაჟები შეიძლება ნახოთ ახალი თხრების ადგილას. მათი გაკეთება კი შემდეგნაირად შეიძლება. თუმცა ხე, რისგანაც კარები ყოფილა გაკეთებული, სრულებით დამპალა და ჩვენამდე მას არ მოუღწევია, მაგრამ გაქვავებულ ფერფლზე დარჩენილია კარების ნაჭდევი. ამ ნაკვალევში ასხამენ, ფიორელის მეთოდით, თხიერ გიფსს და მიიღებენ გიფსის ნატვიფარს, რომელიც ზედმიწევნით გადმოსცემს ნამდვილის ყველა წვრილმანებს. არ შეუჭამია მიწას მხოლოდ კარების რკინის ნაწილები და აგრეთვე კარის შესამკობად დაკრული ლურსმნები, ჭანჭიკები, ურდულები, კლიტები და სხ.: ისინი ძველებურად არიან იმ ადგილებზე, რომელნიც მათ ეკავათ კატასტროფის დროს, 79 წელში.

მეტად საინტერესოა კარების "მულაჟები", მაგრამ უფრო საინტერესოა ის მხატვრობა, რომელიც ზოგიერთი სახლის ფასადების კედლებზეა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამგვარი მხატვრობით შემკობილი იყო არა ყველა სახლების ფასადები, არამედ ჩვეულებრივ, ფასადები იმ შენობისა, რომელნიც დუქნებს ან სავაჭრო დაწესებულებებს ეჭირათ. ასე მაგალითად, ერთი სახლის კედელზე, სადაც სასტუმრო იყო მოთავსებული, გამოსახულია მარცხენა მხარეზე მერკური, ტამრის კართან მდგომი, ხოლო მარჯვნივ - მშვენიერი სურათი: "ვენუს პომპეიანა" კვადრიგაში, რომელშიაც შებმულია ოთხი სპილო. ამრიგად, სასტუმრო ორი ღმერთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა: ერთი მფარველი ყოფილა მერკური, ვაჭრობისა და მოგების ღმერთი, ხოლო მეორე

- ძღვეამოსილი ვენერა, პომპეის მთავარი ღვთაება 88 წლიდან ქრ. წინ, ე.ი. იმ დროიდან, როდესაც დიქტატორმა სულლამ წინანდელი ოსკურ-სამნიტური ქალაქი გადააქცია რომის ახალშენად. ამ ახალშენს დაერქვა "კოლონია კორნელია ვენერია პომპეიანოვუმ" და იგი გადაეცა კორნელიუსთა გვარის მფარველს, ვენუს ფიზიკა-ს, ტყუილად კი არ სწერია ერთ საარჩევნო აფიშაზე კანდიდატის სახელის შემდეგ: "სკრიპსიტ ვენუს პომპეიანა", ე.ი. თვით ქალღმერთის მიერ არის დასახელებული ეს კანდიდატო. ტყუილად კი არ ამკობს კედლის მხატვრობას ასე ხშირად ვენერას სახეზე: აი ისევ ვენერა, ეხლა უკვე ამურის თანხლებით; ეს სურათი მოთავსებულია რომელიღაც დუქნის შესავლის მარცხნივ, მარჯვნივ კი, სიმეტრიის დასაცავად, კედელზე გამოხატულია რელიგიური პროცესია კიბელას პატივსაცემად. საზოგადოდ რომაელები არ ივიწყებდენ თავიანთ ღმერთებს: მარმარილოთიც, ფერადებითაც უყვარდათ მათ ღმერთების გამოსახვა, ხან ცალ-ცალკე, ხან როგორც ამას ერთ-ერთ კუთხის სახლის კედელზე ვხედავთ, ყველასი ერთად იუპიტერის მეთაურობით. გარდა რელიგიური ხასიათის გამოსახულებათა, პომპეიელები ხშირად სდგამდენ გზაჯვარედინებზე სამსხვერპლოებსაც. ასეთ სამსხვერპლოებს არა ერთხელ შეჰხვდება კაცი ახალ მონათხარებზე. ყველაზე უფრო საგულისხმოა ერთი მათგანი: სამსხვერპლოს ზემოთ, კედელზე, გამოსახულია ფორტუნა და ორი ლარი, თვით სამსხვერპლოზე კი, რომელიც კედელშია მოწყობილი, იხედება ნაშთი ფერფლის, ნახშირის და მსხვერპლად შეწირული ჩიტის ძვლებისა. ვინ იცის, იქნებ ეს იყო ვისიმე უკანასკნელი მსხვერპლი ვეზუვის ამოფრქვევის წინ!

ბევრ ცნობებს იძღვეიან ახლად გათხრილი ადგილები პომპეის ცხოვრების გასაშუქებლად. ამ საყურადღებო მასალების რიცხვს ეკუთვნიან აგრეთვე მრავალი, სხვადასხვა შინაარსის წარწერები. მათ შორის პირველი ადგილი, ჩემის აზრით, უჭირავთ "საარჩევნო აფიშებს", როგორც გამოძახილს მუნიციპალურ მოხელეთა არჩევნების წინ წარმოებული ბრძოლისას. ჩვეულებრივ ამ აფიშებს არჩევნების წინ სწერდნენ წითელი საღებავით. არჩევნების დამთავრებისას აფიშებს კი არ წაშლიდენ ხოლმე, არამედ შეინახავდენ და ახალი არჩევნების დაწყებისთანავე განსაკუთრებული მუშა - დეალბატორი-ი - ძველ წარწერას თეთრი საღებავით დაჰფარავდა და, ამრიგად, ადგილს დაამზადებდა ახალი წარწერისათვის. ამგვარი არჩევნების გარშემო ჩვეულებრივ გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა ხოლმე. არა მარტო ცალკე პირები, არამედ ხელოსანთა მთელი კორპორაციები ისწრაფოდენ - დაესახელებინათ თავიანთი კანდიდატები. ასეთი კორპორაციები კი პომპეიში მრავლად იყო. ასე მაგალითად, არსებობდა კორპორაციები მეპურეების მთელავების, დალაქების, ექიმების, სირაჯების, მზარეულებისა, აგრეთვე მატროსების, ყასბების, მეაბანოეთა, ტვირთის მზიდველთა, მიკიტნებისა და სხვათა. არჩევნების დროს ყველაფერი ეს ამომრავდებოდა ხოლმე და იწყებოდა ნამდვილი შეჯიბრება. აი ამ საარჩევნო ბრძოლის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს წარწერები-აფიშები. ამგვარ აფიშებს წინათაც ბევრს იცნობდენ. ახლად წარმოებულმა თხრებმა ამ დარგშიაც შეიტანეს თავისი წვლილი. პირველ ადგილზე ისევ მთელავთა კორპორაცია დგას, როგორც ყველაზე უძლიერესი, რაც გასაგებია: კამპანიის პროვინცია მუდამ განთქმული იყო თავის მაუდის ფაბრიკებითა და სახელოსნოებით! საინტერესოა ასეთი სახელოსნოების მოწყობლობა. კარის შემდეგ იწყება პირდაპირ დერეფანი. მის მარჯვნივ ან მარცხნივ მეკარეა. ის ღებულობდა ქსოვილებს და უკანვე გასცემდა ხოლმე შეკეთების შემდეგ. დერეფნიდან გასავალია ეზოში. შუა ეზოში ვრცელი ცარიელი ადგილია, სადაც გამოჰკიდებდნენ ხოლმე გარეცხილ მაუდებს. იქვე ლარია

წყლისათვის. ეზოს გარშემო პილიასტრებია, მათ ირგვლივ მოთავსებულია ოთახები მუშებისათვის. ეზოს იქით მისაღები ზაღაა და კიდევ მთელი რიგი სხვა სადგომებისა. კიდევ უფრო დაშორებით აუზია მაუდების დასაღობად, და მათი გასარეცი ადგილები. არის აგრეთვე სპეციალური ოთახები მაუდების მოსათელავად და დასაწნეხად. დაბოლოს, არის სადგომიც, სადაც განჯინებში ინახებოდა გაწმენდილი ტანსაცმელი ან მატერიები იქამდის, სანამ ისინი გადავიდოდა მეკარის ხელში შემკვეთელთათვის გადასაცემად. ერთი სიტყვით, აქ მთელი ლაბირინტი იყო ოთახების, ეზოების და სხვადასხვა მიხვეულ-მოხვეული ადგილების. ამრიგად, მთელავე, როგორც ძლიერი კორპორაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ არჩევნების დროს.

და არა მარტო ისინი: კომპეის მთელი მოსახლეობა, ქალებიც კი, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ ბრძოლაში. ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა ერთი წარწერა: "ჩ(აინმ) ლოლოიუმ ფუსცუმ აედ(ილემ) ვ(იის) ა(ედიბუა ს(აცრის). პ(უბლიცის) პ(როცურანდის), ასელლიოაე როგანტ ნეც სინე ძმყრინა". აქედან ცხადია, რომ ლოლლი ფუსკეს "ედილად" ასახელებდნენ (სხვა წარწერაში ის დასახელებულია "დუუმვირად"), ვინაც ახელლინები (უნდა ვიფიქროთ - თავაშვებული ქალები), თავიანთ მეგობარ ქალთან ერთად; ეს უკანასკნელი, სახელად სმირნა, მთელ კომპეიში ცნობილი უნდა ყოფილიყო. კარგი რეკომენდაცია კი არის მომავალი მაგისტრატისათვის, თუ მას ხმას აძლევენ როსკიპები! ამიტომ, პროფ. ძელლა ჩორტესთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აფიშა არის ლოლლი ფუსკეს მოწინააღმდეგეთა ხრიკი, რომლის საშუალებითაც მათ უნდოდათ გაეწილებინათ იგი ამომრჩეველთა წინაშე. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ ჩვენ გვაქვს ხელში მაშინდელი ყოფაცხოვრების მშვენიერი სურათი, რომელიც საარჩევნო ჰუმორს მოკლებული არ არის. მის კონტრასტს წარმოადგენს მეორე წარწერა, რომელშიაც, აგრეთვე ორი ქალი, ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს და თან უმატებენ: "ნეტავი ჩვენს ქალაქს მუდამ ასეთი მოხელენი ჰყავდესო!"

დიახ, მდუმარებს კომპეი, მაგრამ თავისს მდუმარებაშიც იგი მჭერმეტყველურად ლაპარაკობს: "დუმ ლასენტ კლამანტ". მაგრამ თუ საინტერესონი არიან საარჩევნო წარწერები, მათ არ ჩამოუვარდება ამ მხრივ მრავალი სხვაც, რომელთაგან მე მოვიყვან ერთს. ეს წარწერაც კედელზეა გამოყვანილი, დიდრონი წითელი ასოებით. წარწერაში გლადიატორები, თავიანთი "ლანისტას" პირით, აუწყებენ საზოგადოებას, რომ უახლოეს დღეებში დანიშნულია ამფითეატრში გლადიატორთა შებრძოლება. ათლეტების შეჯიბრება და ბრძოლა მხეცებთან. "მაშ ნუ გამოსტოვებს საზოგადოება ამ იშვიათ სანახაობას" და უნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ აფიშამ თავის მიზანს მიაღწია: რომაელებს ხომ ასე გაგიჟებით უყვარდათ "ლუდი ცირცენცეს"! ხალხი, რასაკვირველია, მრავლად აწყდებოდა ცირკს და ვინ იფიქრებდა, რომ სულ მალე ერთი საშინელი სანახაობა დასჩრდილავდა ყველაფერს: ვეზუვის ამოფრქვევა მოახლოებული იყო!

ეს ფიქრი მუდამ გიტრიალებთ თავში, როდესაც კომპეის ათვალიერებთ, და განსაკუთრებით მაშინ უფრო დაგიპყრობთ, როდესაც ქუჩიდან შედიხართ სახლებში, სადაც შეიძლებოდა ასე მოსვენებით ცხოვრება, დუქნებში, სადაც ვაჭრობა სდულდა, შედიხართ სახელოსნოებში, სადაც შრომობდნენ ხელოსნები ლუკმაპურის საშოვნელად. აი მაგალითად, რკინის ოსტატის სახელოსნო, - პატარა, ღარიბული სადგომი, მაგრამ, ეტყობა, შიგ გახურებული მუშაობა სწარმოებდა: ყველგან ჰკიდია და ჰყრია შესაკეთებლად მოტანილი ნივთები. აქ არის ბრინჯაოს

სანათურებიც, გატეხილი სურებიც, მოშლილი სასწორიც და სხვადასხვა ჯურის ქისებიც. ეტყობა, სახელოსნოს პატრონს ცუდად ჯდომა არ ჰყვარებია. კედელზე წარწერაა, რომ დუქანი ღია არის ამა და ამ დროს... ამრიგად, აქ ოფლით ჰმოულობდა კაცი პურს. ცოტა იქით კი, ქუჩის მეორე მხარეზე, ჩვენს წინაშე ერთი უზარმაზარი შენობაა, რომელიც ზოგიერთებს იარაღის დუქანი ჰგონიათ, მაგრამ რომელიც, ჩემის აზრით, უფრო საფარიკაო დარბაზი უნდა იყოს; აქ, ალბათ, სწავლობდა იარაღის ხმარებას პომპეის ახალგაზრდობა - "იუვენტუს პომპიანა". წარმოიდგინეთ უზარმაზარი ზალა, რომლის კედლები შემკულია შეიარაღებული ვიქტორიების (გამარჯვების ქალღმერთების) ფიგურებით. ერთი ფიგურა აღჭურვილია ხმლით, მეორე - შუბით, მესამე - ფარით ხელში და ხმლით, მეოთხე - მოკლე ხელშუბით და სხვ. მაგრამ საგულისხმოა ერთი შემდეგი გარემოება: ყველა ხმლებს, შუბებსა და ხელშუბებს წვეტები მომრგვალებული აქვთ; ამ მხრივ მათი ბოლოები წააგავან რაპირების წვერებს. აი სწორედ ეს გარემოება, გაუგებარი მეირაღის დუქნისათვის, მამლევს მე საშუალებას - ვიფიქრო, რომ ჩვენს წინაშე არის საფარიკაო ზალა, ერთგვარი თურნვერეინი, სადაც ახალგაზრდობა იარაღის ხმარებას სწავლობდა. რაც შეეხება იმ სახლის ფასადს, სადაც მოთავსებული იყო ზალა, მისს ორ პილიასტრზე (კედლის სვეტზე) გამოხატული იყო ფარები, ზურჩები, გულის ჯავშნები და სხვა, ე.ი. ყველაფერი ის, რაც კი საჭიროა რომელიღაც ჯარისკაცისათვის ან ჯარისკაცობის მსურველთათვის.

ასე თანდათან ვათვალისწინებდით ჩვენ მთელ ქუჩას, რაც კი დღემდე გათხარეს, შევიხედეთ ყველა ქუჩაბანდებში, შევადგინეთ საერთო შთაბეჭდილება სახლების გარეგანი შეხედულების მიხედვით, ეხლა საჭირო იყო მხოლოდ მათი დათვალისწინება შიგნიდან.

ამოთხრილ სახლთა შორის სამი იპყრობს მნახველის ყურადღებას. ერთ მათგანს ეწოდება "კასა დელლე სენტენზე მორალე" პირველი მისი თავისებურობა ის არის, რომ მისს "ატრიუმ"-ს არა აქვს "ცომპლუვიუმ"-ი, ე.ი. ოთხკუთხი ხვრეტი ჭერში. ეს არის ეგრეთწოდებული "ატრიუმ ტესტუდინანტუმ". ატრიუმიდან, მარჯვენა მხარეს რომ ვიაროთ, ჩვენ შევდივართ კორიდორში და მარცხნივ სიარულის შემდეგ, ჩვენ გვხვდება მშვენიერი "ტრიკლინიუმი" სამი, კედელში მოწყობილი, სარეცელით. მათს შუა მოთავსებულია მარმარილოს მაგიდა. ეს სარეცელები "მოსვენებისათვის" განმზადებულნი, ნადიმობის დროს, რასაკვირველია, სხვა სახეს ღებულობდნენ: მათ გადააფარებდნენ ხოლმე რბილ ხალიჩებს და სახეებთან ქსოვილებს, მორთავდნენ ბალიშებით; საზოგადოდ მთელი ოთახი მაშინ საზეიმო იერს მიიღებდა. მაგრამ იგი დღესაც ღამაზია. მისი კედლები შემკობილია მხატვრობით, რომელშიაც გვირგვინები და ჩიტებია გადმოცემული და რომელიც შენახულა თავისი პირვანდელი სახით. ამას გარდა, თვითეული სარეცლის ზემოთ, მუქ ფონზე თეთრი საღებავით, მოთავსებულია წარწერები, რომელთაგან მე დამამახსოვრდა ორი, ელეგიურ დისტიხებად დაწყობილი. აი ისინიც, მათი ჩვეულებრივი ტრანსკრიპციით:

1. სასცივოს ვოლტუს ეტ ბლანდოს აუტერ ოცელლოს

ჩონიუგე აბ ალტერიუს. შიტ ტიბი ინ ორე პუდორ!

2. აბლუატ უნდა პედეს, პუერ, ეტ დეტერგეატ უდოს

ნაპპა, ტორუმ ველეტ ლინტეა ნოსტრა, ცავე.

ამის თარგმანი ასეთი იქნება: 1. “ავხორცი მზერა და მაცდური თვალები მოარიდე სხვის მეუღლეს. ჰგიებდეს შენს სახეზე კდემამოსილება!” 2. “ყური უგდე, ყრმავ, რომ განზანოს წყალმა (სტუმრების) ფეხები, რომ საწმენდმა შეაშროს (მათი) სისველე და რომ სარეცელს ეფაროს ტილო!” რაც შეეხება მესამე წარწერას, მე იგი ზედმიწევნით არ მახსოვს. ვიცი მხოლოდ, რომ ამ წარწერაში, ქსენოფანის ყაიდაზე, სტუმრებს ეძლევათ რჩევა - თავი შეიკავონ სხვისი შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმისაგან და ჰსვან ისე, რომ თვითონ შეეძლოთ სახლამდე მისვლა.

მე დიდი დრო და ენერგია დამჭირდა, რომ წარწერები წამეკითხა და დამეხსომა. (ამაში დიდი დახმარება აღმომაჩინა ფრანგმა მეცნიერმა, რომელსაც ჩემსავით ძალიან უნდოდა კურიოზულ დარიგებათა დამახსოვრება, მით უმეტეს, რომ ასეთი რამ სრულიად ახალი აღმოჩენაა პომპეისათვის) და სწორედ, ამის გამოა, რომ მე ცუდად მახსოვს სახლის შინაგანი მოწყობილობა და ოთახები. მეხსიერებაში ჩამრჩა მხოლოდ მეორე სართული და ერთ-ერთი მის ოთახში დარჩენილი კარგი სურათი, რომელზედაც გამოსახულია “მიტოვებული არიადნა”.

“მორალურ სენტენციების” სახლიდან ჩვენ ისევ ქუჩაში გამოვვდიეთ, გადავსჭერით ქუჩა და “დეელა კორტე”-მ შეგვიყვანა ჩვენ ერთ მშვენიერ სახლში, რომელიც ჩემის აზრით ვექტიების სახლს არ ჩამოუვარდება. მართლაც, რას არ ნახავთ ამ სახლში! განსაკუთრებით კარგია მისი ტრიკლინიუმი, რომლის კედლებს ამშვენებენ “ილიადას” კერძო ეპიზოდების გამომსახველი ნახატები. მარტო აქილესის ფიგურა რადა ღირს: აქილესი ზის სავარძელში და ხელს უწოდებს მუხლმოდრეკილ პრიამოსს. დიდებულია მისი სახის გამომეტყველება და მთელი მისი პოზა: ჩვენს წინ არის ნამდვილი ეოლიის გმირი, რომელმაც იცის არა მარტო დასჯა, არამედ პატიებაც. მხოლოდ ერთი რამ არის დასანანი: საღებავები ძალიან ჰკარგავენ ფერს - მათ უკვე დაკარგული აქვთ სიახლე და სიცხოველე; მალე ალბათ ნახატები მთლად გახუნდება და მათგან მხოლოდ მკრთალი კონტურებიღა დარჩება. გადავდიოდით ერთი ოთახიდან მეორეში და ბოლოს დიდ ბაღამდე მივედით. ბაღში ერთი პატარა მარმარილოს კიბე მიდის. კიბე იწყება ტერასიდან, რომელსაც შუაზე არხი სჭრის. არხში ეხლაც მირბის წყალი, მარცხნივ და მარჯვნივ თითო შადრევანია, ტერასის ორსავე ფრთასთან იწყება თითო ოთახი. ერთ ოთახში არის ნახატი, ამ სიუჟეტზე: “დიანა, რომელსაც აქტეონმა მოუსწრო”, ხოლო მეორეში - ნახატი, რომელიც ეხება მითს “პირამსა და თისბეზე”. ორივე ნახატი კარგად დავიწყებული. ნახატები ტერასისაკენ იცქირებიან, რის გამოც მათი დანახვა ტერასიდან შეუძლებელია. ხოლო, რადგან მათი ფერები ღია არის და თვით ფიგურები კი მეტად რელიეფურია, ამიტომ ნახატები ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ. რაც შეეხება ბაღს, ეტყობა, დიდ სივრცეზე იყო გაშენებული და სხვადასხვა გვარის ხეები უნდა ყოფილიყო იქ დარგული. ბაღს შუაზე სჭრის “ევრიპი”, ე.ი. ხელოვნური მიხვეულ-მოხვეული არხი, რომლის საფეხურზე წყალი ჩამორბოდა. რომაელებს ხომ ქალაქშიც უყვარდათ სოფლის ცხოვრების ფიქციის შექმნა. ამგვარ სიყვარულს ხშირად დასცინიან ძველი ავტორები. საკმარისია დავასახელოთ ციცერონი (De leg. II, 2), რომელიც მასხარად იგდებს თავის თანამოქალაქეებს, რომელთაც დიდი მიდრეკილება აქვთ “ევრიპები” და “ნილოსები” მოაწყონ. ვისაც ბუნება უყვარს, იგი უნდა ტკბებოდეს მისი არა ხელოვნურის, არამედ ბუნებრივი სახის ხილვით, ამბობს ციცერონი. მაგრამ მე მაინც უნდა ვთქვა, რომ ჩემ მიერ პომპეიში ნახული “ევრიპიანი” ბაღი დიდებულია. დიდებულია აგრეთვე ერთ-ერთი მახლობელი სახლის მოზაიკები. ამ სახლში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოზაიკური

იატაკი “ატრიუმში”, რომელზედაც გამოსახული არიან ფარშავანგები და სხვა, უფრო პატარა ჩიტები. აღსანიშნავია აგრეთვე მოზაიკა სახლის შესავალში: ჯაჭვზე დაბმული ძაღლი კართან იქნებ სწორედ ასეთმა ძაღლმა შეაშინა ენკოლპი, პეტრონის რომანის ერთი გმირთაგანი, როდესაც იგი ტრიმალხიონის სახლში შედიოდა? დიახ, შესანიშნავია ეს მოზაიკები თავიანთი შესრულების სიწმინდით! ციცერონი კი მათაც დასცინის: “პავიმენტა მარმორეა ე ლაკუატა ტესტა ცონტემნო”. *** PAGE 36 ***

ჩვენ უკვე გვინდოდა სახლიდან წამოსვლა, როდესაც Dელლა ჩორტე-მ გვითხრა: აქ, ერთ-ერთ ოთახში “პერისტილთან” ახლოს, აღმოჩენილ იქმნა 6 ჩონჩხიო. სახლის უბედურ მცხოვრებთ თავისსავე სახლში უპოვიათ უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი; ასევე მომხდარა მეზობელ სახლშიც, სადაც ამოუთხრიათ 8 ერთად დაგროვებული ჩონჩხი.

ეს უკანასკნელი სახლი საინტერესოა ერთი წვრილმანით: მას აქვს მიწისქვეშა “კრიპტოპორტიკი”, რომლის მიზანი და დანიშნულება დღემდე გამოურკვეველია. იგი დიდ მანძილზე მიდის და მნახველს, უწინარეს ყოვლისა, აოცებს თავისი შესანიშნავი შემკულობით. მისს კედლებზე აქა-იქ დახატულია ყვავილები და ხილი, და გარდა ამისა, ოთხკუთხა ჩარჩოები, სადაც მოთავსებულია სცენები ტროადის ომიდან. ამ სცენებზე ღირს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

სცენები “ილიადადან”, საზოგადოდ, ხშირად გვხვდება პომპეის მხატვრობაში, მაგრამ გვხვდება ცალ-ცალკე. “კრიპტოპორტიკიდან” სახლში კი ჩვენ არაჩვეულებრივ რამეს ვხედავთ: ჩვენი თვალის წინ გაივლის მთელი “ილიადა” და, გარდა ამისა, მრავალი სცენა “ეთიოპიდიდან”. თვითოეულ ასეთ, კვადრატში მოქცეულ, სცენას აქვს სათანადო წარწერა ბერძნულ ენაზე, ქრ. შ. I საუკუნის მშვენიერი უნციალური ხელით. ამრიგად, ჩვენ მივიღებთ განუწყვეტელ ჯაჭვს, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავიმეოროთ ტროადის ომის ისტორია, მისს უმთავრეს მომენტებში. აი აქილესისა და აგამემნონის ცილობა (ამით იწყება კვადრატების ჯაჭვი); აგერ ოდისეს და დიომედეს მიერ რეზის ცხენების წაყვანაც; აი პატროკლეს სიკვდილი და ჰექტორის დაღუპვაც. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, როგორ მიაქანებს აქილესი უკანასკნელის გვამს, როგორ უცქერიან ამას ტროადის კომპიდან პრიამი, ჰეკუბა და ანდრომახა. ჩვენ ვხედავთ პრიამს აქილესის ბანაკში: იგი დიდი მუდარის შემდეგ გამოითხოვს თავისი შვილის გვამს და მიაქვს ეს უკანასკნელი ტროიაში. მაგრამ კვადრატები კიდევ განაგრძობენ თხრობას. ამორძალი პენტისელება იღუპება აქილესის ხელით. აქილესი შეებრძოლება ავრორას ძეს, მემნონს და მოჰკლავს მას. ყველა ამ ეპიზოდებს “ილიადასთან” უკვე კავშირი არ აქვთ: ისინი “ეთიოპიდაშია” მოთხრობილი.

არ უარვყოფ: ნახულმა მე პირდაპირ გამაშტერა, და მომაგონდა ვერგილის “ენეიდას” პირველი სიმღერა, ის ადგილი, სადაც ენეა ათვალისებრებს დიდონას მიერ იუნონას სადიდებლად აგებულ ტაძარს და “უკვირს, რომ კედლებზე მთლად ჰხედავს ტროადის ბრძოლათა სურათებს” მაგრამ, სახელდობრ რას ჰხედავს იგი? ყველაფერს, რაც კი პომპეის კრიპტოპორტიკშია, ე.ი. არა მარტო

სცენებს “ილიადადან”, არამედ ბევრს ისეთს, რომელიც მას არ ეკუთვნის: მე მხედველობაში მაქვს პენტესილევას დალუპვა და მემნონის სიკვდილი.

რით უნდა ავხსნათ ვერგილის “ენეიდასა” და კრიპტოპორტიკის ასეთი თანხმობა? რასაკვირველია, ვერგილის გავლენით კი არა, უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ ვერგილი თავის სურათს ხატავდა იმ ფრესკების გავლენით, რომელნიც მას არა ერთხელ უნახავს რომაულ სახლებში. მაგრამ ფრესკებით კედლების შემკობის ჩვეულება - რომაული არ არის, ისევე, როგორც თვით ფრესკულ მხატვრობას არ შეიძლება ეწოდოს რომაული ან პომპეის ხელოვნება. ეს ხელოვნება ბერძნულია. იგი აღმოცენდა საბერძნეთში, შემდეგ განვითარდა და სახე იცვალა ელინისტური ალექსანდრიის გავლენით, და ბოლოს, ამ განვითარებული ფორმით იგი გადავიდა რომში, გავრცელდა რომის მთელს საბერძნეთში და გზად, პომპეიშიც შეიარა. საბერძნეთის გენიამ შექმნა ეს ხელოვნება, ბერძენი ოსტატები ავრცელებდნენ მას. რომ ეს ოსტატები “ეთიოპიდას” არ იცნობდნენ, ეს თავისთავად იგულისხმება და საზოგადოდ, ვინ იცნობდა მას უკვე ბერძნული ლიტერატურის ალექსანდრიულ პერიოდში? ორი-სამი მეცნიერი და არა საზოგადოება, არქტინის პოემა, როგორც ასეთი, მაშინაც დავიწყებული ჰქონდათ. მაგრამ მისი ცალკე ეპიზოდები ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ: მხატვრობამ გადაარჩინა დავიწყებას ეს სცენები. ტრადიციით გადადიოდნენ ისინი ერთი საუკუნიდან მეორეში, ტრადიციითვე გადავიდნენ პომპეიში. ერთი სიტყვით, მხატვრებს მარაგში ჰქონდათ აუარებელი ტრადიციული სიუჟეტები, და ამ სიუჟეტებს გადმოსცემდნენ ხოლმე ისინი იმგვარადვე, როგორც ამას შვრებოდნენ შემდეგში მხატვრები, რომელნიც ქრისტიანულ ტაძრებს მხატვრობით ამკობდნენ. რაც უნდა იყოს, ჩემ მიერ აღნიშნული და “ეთიოპიდას” მიერ ჩაგონებული სცენები ჩვენთვის დიდი ღირებულების არიან. ჯერ ერთი, რამდენადაც მე ვიცი, ასეთი რამ პომპეის მხატვრობაში აქამდის არ ყოფილა აღმოჩენილი, და გარდა ამისა, ფრესკებში მთელი ტროადის ომის ასე სრულად გადმოცემაც მეცნიერებისათვის სრულიად ახალი რამ არის და, რასაკვირველია, უნდა აღნიშნულ იქმნეს, როგორც არაჩვეულებრივი მოვლენა.

ჩვენ დავასრულეთ “ახლად გათხრილი ადგილების” დათვალიერება. სადამო ჟამი იყო. ჩვენ დაღლილობას ვგრძნობდით. დაიღალა ძელლა ჩორტე-ც: 6 საათი მაინც გაატარა მან ჩვენთან, თანაც ყველაფერს დაწვრილებით გვიხსნიდა და გვიჩვენებდა. დრო იყო წასვლაზეც გვეფიქრა. გამოვემშვიდობე ძელლა ჩორტე-ს, გამოვემშვიდობე ჩემს ფრანგ თანამგზავრებსაც და წამოვედი უკან, “პორტა მარინა“-ს მიმართულებით. მე მიხდოდა მარტო დავრჩენილიყავი, მომეგონებინა და წესრიგში მომეყვანა ყველაფერი ნახული და გაგონილი. ტურისტები უკვე ცოტანი სჩანდნენ. ყველგან სიჩუმე იყო გამეფებული. ჩვეულებრივი ძილი თანდათან იპყრობდა ქალაქს. ჩემი ფეხის ხმა მკაფიოდ გაისმოდა ქუჩის ფილაქანზე. დღის სიციხემ იკლო. აგრილდა. ცა ნელა ჰკარგავდა თავისს მხიარულ ლურჯ ფერს. კიდევ რამდენიმე წუთი და შებინდებდა. მაგრამ აი “პორტა მარინა“-ც, მისი გასასვლელებით ქვეითად მოსიარულეთა და ფორანებისათვის. ოდესღაც აქ სიცოცხლე სჩქედდა, ეხლა კი სიწყნარეა, სიმარტოვე, მოწყენილობა. ვიხედები უკან, ვეთხოვები პომპეის. კიდევ ვიხილავ მას ოდესმე?

და აი, მე ისევ მატარებელში ვარ. მთელ მიდამოს სადამოს ბინდი გადაჰფარებია. ვეზუვიც ამ იისფერ ბოლში იმალება. პომპეის სიწყნარის შემდეგ პირდაპირ გაოცებთ იტალიელების უდარდებლობა და ჟრიაბული. ჩემს გარშემო ლაპარაკობენ, იცინიან, მღერაიან. იტალიური “ჩუმაღ

არ ჯდომის” ჩვეულების თანახმად, მგზავრები მეც მელაპარაკებიან. რას იზამ - უნდა შენც უთხრა რამე, თუმცა არ გინდა. ველაპარაკები მათ რაღაც სისულელებზე, მაგრამ ჩემი ფიქრი ჯერ პომპეის არ მოჰმორებია. მე ისევ ჩუმიად მიზიდავს ეს მკვდარი ქალაქი, ეს გრძნეული რუინები და ვიცი - მე არასოდეს არ განვთავისუფლდები ამ ფარული ტყვეობისაგან! ვისაც ერთხელ მაინც უხილავს ჭეშმარიტი სილამაზე, იგი მუდამ იწუხებს მაზე, შორეულზე!

3.

პომპეის დათვალიერების შემდეგ მე გადავწყვიტე - ნეაპოლში მეტ ხანს აღარ დავრჩენილიყავი. მართალია, კარგი იყო ჰერკულანეუმის პაპირუსებზე მემუშავნა (ეს პაპირუსები Mუსეო Naზიონალე-ში ინახება), მაგრამ ასეთი მუშაობა რამდენსამე თვეს წამართმევდა. მე კი ამისათვის არც დრო და არც გარემოება მიწყობდა ხელს. მე რომ ნეაპოლში დამეყოვნებინა, მაშინ რომისთვის იმდენი დრო აღარ დამრჩებოდა, რომ ბოლომდის მიმეყვანა იოანე იტალის ხელნაწერთა შესწავლის საქმე. ეს კი ნიშნავდა იმ მუშაობის შუაგზაზე მიტოვებას, რომელიც ჯერ კიდევ “სოფლიო ომამდე” დავიწყე. მე ავწონ-დავწონე ყველაფერი ეს და ნეაპოლიდან რომში გადავედი. მე უფრო გადაუდებელ საქმედ მიმაჩნდა იოანე იტალის ნაწერების გამოცემა, როგორც ვიცით, ეს მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსი ჩვენი იოვანე პეტრიწის მასწავლებლად ითვლება. ამ ფილოსოფოსის თხზულებათა პირველი ნაკვეთი მე გამოქვეყნებული მქონდა ტფილისიდან გამგზავრების წინა ხანებში, ამიტომაც მინდოდა - დამემზადებინა მასალა დანარჩენი ნაკვეთებისათვის, ასე ვთქვათ - უზრუნველმეყო ჩემი თავი სამერმისოდ და აი, მე ისევ რომში ვარ, სადაც დიდი, დიდი ხანია, რაც არ ვყოფილვარ. ამ ხნის განმავლობაში “მარადი ქალაქი” თითქმის არ გამოცვლილა. თუმცა - ის უფრო გალამაზებულა, თუ კი შეუძლია ეს მას, - მას, რომელიც ასე შემკულია სრულიად განსაკუთრებული სილამაზით, რომი ხომ ის ქალაქია, სადაც ისე, როგორც არსად სხვაგან, ჰარმონიულად შეხამებულია ანტიურობაც, საშუალო საუკუნეებიც და ახალი დროც. ყოველი ადამიანი, ვინც კი ყურადღებით ათვალიერებს მას, იპოვის ამ ქალაქში ყველაფერს, რაც კი ჰსურს: რომი ყველაფერზე იძლევა საჭირო პასუხს და სწორედ შეიძლება ამიტომაც იგი ყველასათვის ძვირფასი. საჭიროა მხოლოდ ნახოთ რომი, რომ მაშინვე იგრძნოთ იქ თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში. თქვენ მაშინვე გეჩვენებათ, რომ ეს ქალაქი გიპყრობთ თქვენ სავსებით, რომ თქვენ დაშორდებით მას, მაგრამ შორიდანაც მისკენ მიილტვით, როგორც ტყვე, რომელსაც ტყვეობიდან განთავისუფლება არ ჰსურს. პირადად ჩემთვის რომის თვითეული ქვა მრავალის მეტყველია, ხოლო როდესაც მე ფორუმს უახლოვდები, მუდამ მიპყრობს რაღაც არაჩვეულებრივი, სიტყვით გადმოუცემელი გრძნობა, რაღაც იდუმალი თრთოლვა თუ აღტაცება მოიცავს ხოლმე ჩემ სულს. ამასთანავე ერთად, გინდა უსათუოდ მოიგონო ყველაფერი ის, რაც იცი რომაული ლიტერატურიდან და ისტორიიდან, შეუფარდო ეს ნანგრევებს, გააცოცხლო, აღადგინო ნანგრევები და, ამრიგად, შორეული წარსულიდან გამოიწვიო ძველი რომის ბრწყინვალე სახე, როგორც ეს ჰორაციისა და პროპერცის ლექსებში გვხვატება. ყველაფერი ეს განვიცადე მე ეხლაც, რომთან დიდი ხნის განშორების შემდეგ! არც კი მახსოვს, რამდენჯერ დავათვალიერე ფორუმი, მუზეუმები, რამდენჯერ დავიარე ქუჩები, რაღაც სიხარბე დამეტყო! დღეები ისე მქონდა განაწილებული, რომ არც ერთი თავისუფალი წუთი აღარ მრჩებოდა. დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 1 საათამდე მე

ვმუშაობდი იოანე იტალის ნაწერებზე ვატიკანის ბიბლიოთეკაში. საჩქაროდ ვისადილებდი და შემდეგ ან მუზეუმში, ან ფორუმზე, ან კიდევ სადმე სხვაგან მივდიოდი, მინდოდა - მენახა რაც შეიძლება მეტი, ამეთვისებინა რაც შეიძლება უფრო სრულად და შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი, ჩემ მიერ რომში გატარებული დღე მე არ დამიკარგავს ცუდად: ძველ რომში შეუძლებელია უსაქმურად ყოფნა! მხოლოდ სადამოობით ჩავერეოდი ხოლმე იტალიურ ფუსფუსში და ჟრიამულში, ამ ჭრელ კალეიდოსკოპში, სადაც ერთი სურათი მუდამ მეორესა სცვლის, სადაც ერთმანეთთან გადახლართულია სილამაზე და სიმახინჯე, სიბრწყინვალე და სიგლახაკე. შემდეგ მე ვიწყებდი მთელი დღის განმავლობაში გაკეთებულის დამუშავებას, მეორე დღის დილიდან კი განსაზღვრული წესრიგით ერთიმეორეს მისდევდენ: ვატიკანი, მუზეუმები და სხ. ეხლა, როდესაც ყველაფერი ეს წარსულშია, განსაკუთრებულის სასოებით ვიგონებ რომში გატარებულ დღეებს. რა კარგი, რა მშვენიერი სიზმარი იყო... და - რა სწრაფად დასრულდა იგი! მაგრამ ასეთია ყველა სიზმრები: ისინი მუდამ სწრაფად ჰქრებიან!

რაც შეეხება ფორუმს, მის გათხრას ეხლაც ნელ-ნელა განაგრძობენ, მაგრამ ამ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ამ მუშაობას არავითარი არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, მე მაინც რამდენჯერმე დიდის ინტერესით დავათვალიერე ჩემთვის კარგად ნაცნობი ნანგრევები. როგორც ოდესღაც, მე ჩემი ყურადღება უმთავრესად მივაპყარი ვესტას ტაძარს, "ატრიუმ ვესტა"-ს (სახლს, სადაც ქალწული ვესტალები ცხოვრობდენ) და დომუს პუბლიცა-ს, "დიდი პონტიფიკის" სამყოფელს. ამ შენობების ნაშთები ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასია, ისევე, როგორც კასტორისა და პოლუქსის ტაძარი, თავისი სამი გადარჩენილი სვეტი. მაგრამ, ამ ნაშთთა გარდა, განა ცოტა არის ფორუმზე კიდევ ნანგრევები, რომელნიც იზიდავენ ძველი რომის მოყვარულთ, ცოტათი მაინც გაცნობილთ მის ისტორიასთან. ავიღოთ თუნდაც იმ ტაძრის ნაშთები, რომელიც ავგუსტემ ააგო იულიოს კეისრის სახელზე. მის დასავლეთ მხარეზე დარჩენილი სვეტის ფუძე უჩვენებს იმ ადგილს, სადაც დასწევს კეისრის გვამი და სადაც წარმოსთქვა მარკ ანტონიმ თავისი შესანიშნავი სიტყვა კეისრის სიკვდილზე. ეხლანდელი რომაელები დღესაც ამკობენ ამ ადგილს გვირგვინებით და ამით თითქოს ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დიდი დიქტატორის სახელი მათთვისაც ნიშნავს რაღაცას. მართლაც, მეტად დიდია ეს სახელი და მეტად ბრწყინვალეა მასთან დაკავშირებული ნაკვთები რომაელთა ისტორიისა. მაინცდამაინც პოეტი არ უნდა იყო კაცი, რომ ფორუმის სიმშვენიერე იგრძნო, დიდებული სანახავია მისი ღვთაებრივი ნანგრევები იტალიის ცის ლაჟვარდის ქვეშ, მზის სხივებით უხვად განათებულნი. თეთრად მოსჩანან სვეტები, აქა-იქ ამართულია კედლების ნაშთები, მოღუშული გამოიყურება თავის მარმარილოს მოსახულობას მოკლებული, კონსტანტინე დიდის ბაზილიკა. ალაგ-ალაგ ამოსულია ბალახი და მწვანე არშიად შემოვლებია ნანგრევების სითეთრეს. შაცრა Vია (ღვთაებრივი ქუჩა) კი მიდის წინანდებურად: იგი ხან იკარგება ბალახ ქვეშ, ხან ისევ გამოჩნდება, რომ მძაფრი მოსახვევის შემდეგ, ნერონის დროინდელი ქვაფენილით გაატაროს მგზავრი ტიტუს ტრიუმფალური თადის ქვეშ. დიახ, ძველმა რომმა დიდი ხანია რაც განისვენა, მაგრამ ჯერ კიდევ ისმის მისი ხმა; ეს ხმა უბრძანებს ყველას - შეისწავლონ წარსული საუკუნეების თეთრი ნისლით დაფარული სიძველენი.

მაგრამ მას შემდეგაც, რაც ფორუმს მოსცილდებით, დაათვალიერებთ პალატინს მისი ღირსშესანიშნავი ნანგრევებით (აქ აღვნიშნავ მხოლოდ ლივიას სახლს) და ისევ ახალი რომის

ქუჩებზე გამოხვალთ, ძველი რომი მაინც არ ჰშორდება მოგზაურს. იგი დროგამოშვებით იჩენს თავს ახალი ზედაფენის ქვეშედან, როგორც ძველი ფრესკა, თუმცა შეთეთრებული, მაგრამ არა იმდენად, რომ საბოლოოდ ადგილი დაეთმოს უფრო გვიანდელ მხატვრობას, მართლაც სადაც კი არ უნდა წახვიდეთ, ძველი რომის სახე ყველგან გამოსჭვივის, ხან სვეტის, ხან ქანდაკების სახით, ხან კიდევ მთელი შენობის (შეად. დიოკლეტის თერმები) ან კედლის სახით. სწორედ ამის გამო, როგორც მე ზემოთ აღვნიშნე, მყარდება სრულიად განსაკუთრებული კავშირი ძველსა და ახალ დროთა შორის. გგონია, რომ ისინი განუყრელნი არიან და ერთიმეორეს ავსებენ: ეს ერთგვარი დასაწყისი და დასასრულია! *** PAGE 42 ***

მაგრამ კმარა ძველ რომზე, მარტო ის კი არ მიზიდავდა მე. ასეთივე მიმზიდველი ძალა ჰქონდა ჩემთვის "ბიბლიოტეკა ვარიკანა" -საც, თავისი ხელნაწერების საუნჯით. 8 საათზე იღებოდა იგი და მე მუდამ ვცდილობდი, რომ ამ დროისათვის მიმესწრო, მიხვალ "სან პიეტრო"-მდე და იცი, რომ ეხლავე დაჰკრავს ზარი: იგი რეკავს სწორედ 8 საათზე. ზარის ხმაზე მივბრუნდები მარცხნივ; შევდივარ ალაყაფის კარებში. ვტოვებ ტაძარს მარჯვნივ და მივყვები "ვიალე დელლი ფონდამენტა"; გვერდით გაუვლი პაპის გვარდიელებს, სადარაჯოზე რომ დგანან. და პირდაპირ მივაღწევ, ბოლოს, ბიბლიოთეკასაც. ვადგენ ჩემ შესასვლელ ბარათს, ვაწერ ხელს, თანვე აღვნიშნავ ჩემი მოსვლის დროს (ასეთი ჩვეულება აქვთ იქ!) და შევდივარ თვით ბიბლიოთეკაში. რა კარგად იგრძნობ თავს იქ კაცი! ბიბლიოთეკის პრეფექტს, "პადრე ჯიოვანე მერკატი"-ს, რომელსაც მე ახალგაზრდობიდანვე ვიცნობ, ჯერ კიდევ არ დავვიწყებია, თუმცა ჩვენ ერთმანეთის დიდი ხნის უნახავნი ვიყავით. ის თითქმის არ გამოცვლილა: მხოლოდ მოხუცებულა, ჩემსავით. იგი ისეთივე საყვარელი, ალერსიანი და გულთბილი, ისეთივე მოქმედი და ენერგიული კაცია. მან იშვიათი სტუმართმოყვარეობით მიმიღო მე, ყველაფერი ჩემს განკარგულებაშია. დამრჩენია მხოლოდ ერთი რამ: ავიღო ბერძნული ხელნაწერები და მივჰყო ხელი მუშაობას. და აი, მე ისევ ნაცნობ გარემოში ვარ. მე წინ მიდევს იოანე იტალის დიდი ხნის ნანატრი ხელნაწერები. გადმოვწერ ახალ ტექსტებს, ვადარებ ძველებს დედანთან. მუშაობა კარგად და სწრაფად მიიწევს წინ. წლებს ვერ დაუსუსტებიათ მხედველობა, ვერ შეუსუსტებიათ სამწიფო ტექსტების გარჩევის წინანდელი უნარი. ხოლო თუ რაიმე სიმწიფე მხვდება წინ, მერკატი მუდამ მომეშველება ხოლმე: ტყუილად კი არ გაატარა მან ხელნაწერთა შორის მთელი თავისი სიცოცხლე. ასე, დღითიდღე ვმუშაობდი მე ვატიკანში და ასე თანდათანობით გადავწერე, შევადარე, დაახლოებით დასაბეჭდად შევამზადე იოანე იტალის ყველა, ჩემთვის ჯერჯერობით საჭირო თხზულებები. მაგრამ მე მინდოდა გავცნობოდი ქართულ ხელნაწერებსაც და, საზოგადოდ, გამეგო - არის თუ არა ვატიკანში კიდევ სხვა რაიმე ძველნაბეჭდი წიგნები. თქმა და შესრულება ერთი იყო. მე მომიტანეს ყველაფერი, რაც კი იყო ქართული და მე შევუდექი ამ, ჩემთვის ახალი, მასალების გარჩევას. *** PAGE 43 ***

არ დავფარავ: ასეთი მუშაობა ჩემთვის გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე იოანე იტალის შრომებზე მუშაობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მე საკმარისად არ ვიცოდი ქართული ენა და არც ისე ვიყავი გაცნობილი ქართული ხელნაწერების დამწერლობას, მაგრამ მე მაინც ყველაფერი

გავაკეთე, რაც კი შემიძლო, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ხელნაწერებს და არც წიგნებს ჩემი იმედები არ გაუმართლებიათ. A პრიორი შეიძლებოდა ეფიქრნა კაცს, რომ იმ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობის გამო, რომელიც საქართველოსა და ვატიკანს შორის არსებობდა (საკმარისია მოვიგონოთ ირბახი (რესპ.ირუბაქიძე), ვატიკანის ბიბლიოთეკაში საკმაოდ უნდა დარჩენილიყო ქართული ლიტერატურის ძეგლები. ნამდვილად კი არაფერი ამის მსგავსი არ აღმოჩენილა!

მართლაც, რა ვიპოვე მე იმ წიგნთა და ხელნაწერებს შორის, რომელნიც მე მომიტანეს? ვიტყვი ჯერ წიგნებზე. მათი რიცხვი მეტად მცირეა, სულ 12, ამასთანავე ისინი მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ეკუთვნიან და ჩვენთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენენ, საინტერესოა მხოლოდ ორი მათგანი, რომელიც მეჩვიდმეტე ს. ეკუთვნის. ერთია ქართული ენის გრამატიკა, 1643 წ. ფრანცისკო მაჯის მიერ შედგენილი, მეორე არის ქართული-იტალიური ლექსიკონი, რომლის ავტორი სტეფანე პაოლინი ორივე წიგნი გამოცემულია რომში, პაპი ურბანუს მერვეს ბრძანებით და მიძღვნილია პაპისადმი. რაც შეეხება პირველ წიგნს, მას ასე თუ ისე იცნობენ, ასე რომ მასზე მე არ შევჩერდები. მეორე კი მისი ბიბლიოგრაფიული სიდიშვიათის გამო, უფრო დაწვრილებითი განხილვის ღირსია. მისი სრული სათაური შემდეგია: "დიტიონარიო ჯორჯიანო ე იტალიანო, კომპოზიო და სტეფანო პაოლინი ცონ ლატინო დელ მ.დ. ნიცეფორო ირბახი, ჯორჯიანო. მონაკო დი ეს. ბაზილიო. ად უზო დე მისსიონარი დელლა საგრა კონგრ. დე პროპაჟ.ფიდუ" წიგნი იწყება ანბანით, რომელიც ასეა დალაგებული:

"ფიგ ნომე პოტესტია"

ა ან A ა

ბ ბან P ან ბ და სხ.

მე-3 გვერდიდან ლექსიკონი იწყება. მისი პირველი სიტყვა არის:

აბანო.

ლექსიკონი გრძელდება 126 გვერდამდე, სადაც იგი თავდება, ასე:

ჭურჭელი გინრგელი Vასო.

გვ. 127-128 უკავიათ რიცხვითს სახელებს, მათ მისდევს "ტავოლა დელლე ვოსი იტალიანე კორესპონდენტია ვოცაბოლი ჯორჯიანი". ამ წიგნში ყურადღების ღირსია ორი კერძო გარემოება: 1) გამოცემის წელი, 2) წინასიტყვაობა, როგორც სათაურიდან ჩანს, ლექსიკონი გამოცემულია 1629 წელს და მაშასადამე, უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ უძველეს და, შეიძლება, ყველაზე უფრო ძველ ნაბეჭდ ქართულ წიგნად. საინტერესოა წინასიტყვაობაც, იტალიურ ენაზე დაწერილი, რომელშიც აღნიშნულია წიგნის გამოსვლის მიზეზი და მიზანი. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ თეიმურაზ მეფეს გაუგზავნია რომის პაპისათვის სიგელი ქართულ ენაზე. სიგელი რომში ირბახს მიუტანია. რადგან პაპის კარისკაცთა შორის ქართულის მცოდნე არავინ აღმოჩენილა, ამიტომ სიგელი თვით ირბახს გადაუთარგმნია. ამის შემდეგ ჩამოუსხამთ ქართული შრიფტი და გადაუწყვეტიათ - დაებეჭდათ ამ შრიფტით ქართული ანბანი, რამდენიმე ლოცვის თანდართვით და ხსენებული ლექსიკონი. ეს უკანასკნელი შეუდგენია სტეფანე პაოლინის, რომელიც, ეტყობა,

ეკუთვნოდა იმ მისიონერთა რიცხვს, რომელთაც საქართველოში ყოფნის დროს ცოტათი უნდა შეესწავლათ ქართული ენა. უმთავრესი დახმარება პაოლინისათვის ირბახს აღმოუჩენია. ამრიგად, ლექსიკონი უნდა ჩაითვალოს პირველ, ქართული შრიფტით ქართულ ენაზე დაბეჭდილ წიგნად. ეს ნათლად ჩანს ავტორის წინასიტყვაობიდანაც, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ, რადგანაც ლექსიკონი პირველი დაბეჭდილი წიგნია ქართულ ენაზე, ამიტომ მის სასათაურო გვერდზე აღნიშნულ უნდა იქმნეს პაპი ურბანოს სახელიო. რომ ლექსიკონი დიდად გავრცელებული უნდა ყოფილიყო, ეს იმით მტკიცდება, რომ ის გადაბეჭდილი ყოფილა არა ერთხელ (ერთი ამ გადმონაბეჭდთაგანი დაცულია ვატიკანში). მისი დამატება კი ფრანცისკო მაჯის გრამატიკა არის. ასეთია ვატიკანში დაცული ქართული წიგნები.

გადავდივარ ეხლა ხელნაწერებზე. მეტი წილი ხელნაწერებისა, რომელთა რიცხვი 15-ს არ აღემატება, წინათ "მუზეო ბორჟიანო"-ს ეკუთვნოდა და შეწირული ყოფილა ვინმე ზლაკოვის მიერ. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო ეს უკანასკნელი. ოღონდ ყველა ხელნაწერებზე მიწერილია, რომ ესა და ეს ხელნაწერი შემოწირულია მუზეუმისათვის. ეს, ზლაკოვის მიერ ნაჩუქარი ხელნაწერები მეტნაწილად კათოლიკური შინაარსისაა, თავისთავად ცხადია, რომ ამ ხელნაწერებს ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ არის აგრეთვე სხვა ხელნაწერებიც, ზოგი ზლაკოვისეული, ზოგიც - არ ვიცით, საიდან შემოსული, რომელთაც, ჩემის აზრით, ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ. ამის გამო მე გადავიღე მათი ფოტოგრაფიები, ასეთი ხელნაწერი მე ოთხი გამოვარჩიე. მათ შორის ყველაზე უფრო საგულისხმოდ მიმაჩნია ორი, ორივე ეტრატზე დაწერილი, და ამასთანავე საკმაოდ ძველი: ისინი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეზე უგვიანეს ხანას არ ეკუთვნიან; ერთი მათგანი დაწერილია ასომთავრული ხუცურით, მეორე კი - ნუსხურით. პირველი ხელნაწერი წარმოადგენს "ოთხთავს", რომელიც შემკულია მშვენიერი ასოკაზმულობით. ხელნაწერის დამწერლობა ასეთია: თვითეული სახარების ყოველი პირველი ფურცელი დაწერილია ასომთავრულით, ხოლო დანარჩენი ფურცლები - ნუსხურით. რაც შეეხება მეორე ხელნაწერს, იგი არის "წმიდა მამათა ნაწერების" კრებული, რომლის მნიშვნელობის გამორკვევა, ფოტოგრაფიის მიხედვით, სპეციალისტებისთვის მიმინდვია. დასასრულ, მესამე ხელნაწერი, რომელიც ქალაქდზეა დაწერილი, წარმოადგენს ვახუშტის "საქართველოს ისტორიას".

როგორც ჩემი ნათქვამიდან ჩანს, ხელნაწერები, რომლებიც მე ხელში ჩამივარდა, მაინცდამაინც არც ისეთს ღირებულებას წარმოადგენენ, ნამეტნავად ჩვენი უნივერსიტეტის მუზეუმში დაცულ ხელნაწერებთან შედარებით. ცოტა იმედგაცრუებული, მე შევეცადე - როგორმე პროპაგანდა Fიდე-ში შევსულიყავი, მაგრამ იქ მე არ შემიშვეს, ასე რომ ძალაუნებურად დავეკმაყოფილდი იმით, რაც ვატიკანში აღმოვაჩინე. ვერსად აღმოვაჩინე მე აგრეთვე დედანი თეიმურაზ მეფის იმ სიგელისა, რომელმაც გამოიწვია პაოლინი-ს ლექსიკონის შედგენა: დედანი დაკარგული უნდა იყოს, დარჩენილია მხოლოდ მისი იტალიური თარგმანი, მაგრამ ეს უკანასკნელი მე არ მაინტერესებდა, მით უმეტეს, რომ იგი მოყვანილი აქვს ტამარატის (თამარაშვილსა თავის "საქართველოს ეკლესიის ისტორიაში").

ამრიგად, რამდენადაც ნაყოფიერი იყო ჩემი მუშაობა იოანე იტალის ხელნაწერებზე, იმდენადვე ღარიბი აღმოჩნდა თავისი შედეგებით ჩემი ცდა - მეპოვნა ძვირფასი ქართული ძეგლები: ასეთები ვატიკანში არ მოიპოვება!

მაგრამ თუ ჩემთვის რომში მთავარი მიმზიდველობა, სხვა ადგილებთან ერთად, ჰქონდა და აქვს ვატიკანს, თავისი საუცხოო ბიბლიოთეკით, - არის კიდევ რომის მახლობლად ერთი ადგილი, რომელთანაც დაკავშირებული არიან ჩემი საუკეთესო მოგონებანი და სადაც მე ოდესღაც ბევრი მიმუშავნია; ეს იყო მაშინ, როდესაც მე ჩემს სამაგისტრო დისერტაციას ვწერდი. ეს ადგილი არის სახელგანთქმული მონასტერი G"როტა Fერრატა", დაარსებული მეათე საუკუნის ნახევარში წმ. ნილოს უმცროსის მიერ. საუკუნეთა განმავლობაში იგი დიდ როლს თამაშობდა სხვა ბასილიანთ მონასტერთა შორის, როგორც ბერძნული საეკლესიო განათლების ერთი უუმნიშვნელოვანესი ცენტრთაგანი, მისი სწავლული ბერები, მეტნაწილად სიცილიელი ბერძნები, - მისი ბერძნული ხელნაწერების იშვიათად შერჩეული კოლექცია, დასასრულ, მონასტერთან დაკავშირებული ხსოვნა იმისა, რომ აქ განვითარდა და ჰყვავდა განსხვავებული ბერძნული სტენოგრაფიული სისტემა, რომელსაც საფუძველი წმ. ნილოსმა ჩაუყარა, - ყველაფერი ეს შარავანდედით ჰმოსავს მონასტერს, რომელსაც ყოველი იტალიელი იცნობს, მაგრამ რა საჭიროა ამის მტკიცება? ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ სახელი ჰქონდა გავარდნილი მონასტერს ისეთი თავისი წარმომადგენლების მოღვაწეობის წყალობით, როგორც იყვნენ აწ განსვენებულნი მამა ანტონი როკკი და მ. სოფრონი გასსიზი, რომელთა მეგობრობითაც მე შემიძლია ვიამაყო. მაგრამ ისინი ამ ქვეყნად უკვე აღარ არიან! ჩემ ძველ მეგობართაგან ცოცხალია მხოლოდ ერთი - მ. ბასილ ნორჩია, სახელოვანი ტრიუმვირატის უკანასკნელი წევრი. ეცემა მონასტერი. ჰშორდება მას მეცნიერების სული. თითქმის აღარავინ არ მუშაობს მის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში. მაგრამ, მას დღევანდლამდე მაინც შერჩენია რაღაც სიდიადე. ეს იმის საწინდარია, რომ მონასტერი მომავალში კიდევ აყვავდება, როდესაც წასულების ალაგს ახალგაზრდა თაობა დაიჭერს: გროტა ფერრატა-ში არის სკოლა, და მოწაფეთა შორის მოიძებნება რამდენიმე, რომელნიც იმედს იძლევიან. ჯერჯერობით კი მონასტერი ისვენებს თავისი წარსული მუშაობისაგან და ფხიზლად უდარაჯებს თავის საუნჯეს, მისი ბერების მიერ შეკრებილსა და შექმნილს. იქით, G"როტა Fერრატა"-სკენ მიილტვოდა ჩემი ფიქრი: მე მეგონა, რომ ჩემი მოგზაურობა იტალიაში სრული არ იქნებოდა, თუკი მე არ ვესტუმრებოდი იქაურ ჩემს მეგობრებს და ნილოსის ხელნაწერებს ერთხელ კიდევ არ ვიხილავდი.

ერთ კვირა დღეს ელექტრონის ტრამვაიმ სწრაფად მიმიყვანა მე ბივიო-მდე, რომელიც უკანასკნელი სადგურია Fრასკატი-მდე, საიდანაც ახლოა მონასტერი. მე გავიარე ჩემთვის ნაცნობი გზით მშვენიერ წაბლის ხეივანში და რაღაც 20 წუთში G"როტა Fერრატა"-ს მივაღწიე. გარედან მონასტერი ნამდვილს საშუალო საუკუნეების ციხედარბაზს მოგაგონებთ. ლამაზად არის ცად აზიდული მისი ბუმბერაზი კედლები და კოშკები, ღრმა თხრილით გარშემოვლებული. თხრილზე გადებულია ქვის ხიდი: ამ უკანასკნელს კაცი მიჰყავს ალაყაფის კარებამდე, რომელიც სადამომდის სულ ღიაა და რომლის საშუალებითაც თქვენ ვრცელ და კარგად მოკირყნულ ეზოში შედიხართ. ამ ეზოს მარცხენა მხრიდან მონასტრის ერთ-ერთი შენობის კედელი უცქერის. კედელს დატანებული აქვს ალაყაფის კარები. ამ კარებით კაცი პატარა ლამაზ ეზოში შედის. ეზოს შემოვლებული აქვს აჟურული კოლონადა. ხოლო თვით ეზოს შუაგულში შადრევანია: შადრევანის გარშემო - ყვავილები. კოლონადას სხვადასხვა სადგომთა კარები უცქერის. ერთი ამ კარის საშუალებით კაცი გრძელ კოლიდორში შედის: თქვენ უკვე მონასტერში ხართ, მაგრამ, რადგან კვირა დღე იყო და ეკლესიაში წირვა იდგა, მე სხვანაირად მოვიქეცი. გავიარე ეზო და შევედი საყდარში, სადაც შეკრებილი იყვნენ ყველა ბერები; მოვისმინე წირვა ბერძნულ ენაზე

(გროტატა ჟერატა-ში წირვა ბერძნულ ენაზე სწარმოებს) და წირვის შემდეგ პირდაპირ ჩემი ძველი მეგობრების წრეში მოვხვდი. როდესაც მათ სალი და უვნებელი დამინახეს, მათს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა: 12 წელიწადი იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით! გულს რაღაც სიხარული მოეფინა: მხოლოდ ერთი რამ იყო დასანანი: გვაკლდა სოფრონ გასსიზი, რომელიც ერთი წლის წინათ გარდაცვლილიყო. მწუხარებით მამცნეს ბერებმა ეს ამბავი, და სევდის ღრუბელმა დაგვფარა ჩვენ ყველანი. სამუდამოდ მოშორდა ამ ქვეყანას საუცხოო ადამიანი და დიდი მეცნიერი, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისია გროტატა ჟერატა-სთვის! მე დიდხანს ვერ შევრიგებოდი ამ სამწუხარო ამბავს. სულ მეგონა: აი აგერ გამოჩნდება მ. სოფრონი, მუდამ მხიარული, როგორც მე ის წინათ მიწახავს და მე ისევ ჩამოვუგდებ მას საუბარს ბერძნულ ჰიმნოგრაფიაზე, ნილოსზე, ხელნაწერებზე და მთელ რიგ ჩემთვის და მისთვის საინტერესო სამეცნიერო საკითხებზე. ჩემ განცდებს მ. ბასილ ნორჩიაც იზიარებდა. დიდხანს მდუმარენი დავდიოდით ჩვენ ორნივე მონასტრის კორიდორებში და ჯერ უფრო თვალებით ვსაუბრობდით, ვიდრე სიტყვებით. შემდეგ კი დაიწყო ერთმანეთის გამოკითხვა, ჩამოვადეთ საუბარი სხვადასხვა საკითხებზე. განუწყვეტლივ გრძელდებოდა საუბარი: სალაპარაკო ხომ ბევრი გვქონდა! მთელი დღე გავატარე გროტატა ჟერატა-ში და შემდეგაც არა ერთხელ ვესტუმრე მას ჩემი მეგობრების სანახავად და ბიბლიოთეკაში სამეცადინოდ. თვით მონასტერიც, ისიც, რაც მონასტერშია მოთავსებული და აგრეთვე მისი მიდამოებიც, - ყველაფერი ეს ერთ მთლიან სიმშვენიერეს წარმოადგენს და ადამიანს იშვიათ სულიერ კმაყოფილებას აგრძნობინებს. ავიღოთ თუნდაც მონასტრის საყდარი. ეს უკანასკნელი დაარსებულია მე-11 საუკუნეში, გადაკეთებულია მე-15 საუკუნეში, ხოლო 1754 წელს მის გარეგნობას დიდი ზიანი მიაყენა კარდინალმა გუადაგნი-მ, რომელმაც მისი მე-12 საუკუნის დროინდელი ფრესკები ბაროცო-ს სტილის სტუკკის ორნამენტებით შეაცვლივინა. მიუხედავად ამისა, ეკლესია, რომელსაც ბაზილიკის ფორმა აქვს, ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. კარგია მისი მარმარილოს სვეტები; მშვენიერია მე-12 ს. დათარიღებული კედარის კარი ნართექსში, შიგ ამოჭრილი რელიეფური გამოსახულებებით შემკული; ლამაზია მე-11 ს. მოზაიკა, რომელზედაც გამოსახულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ყველაფერი ეს არის ძველი დიდების ნაშთი, რომელიც რაღაც სასწაულით გადარჩენილა საყდრის ბარბაროსული მოდერნიზაციისა და განახლების დროს! პირადად მე ძალიან მომწონს "დომენიჩინო"-ს ნახატებიც, ეკლესიის ხელმარჯვნივ ჩაპკელლე ჟარნესიანა-ში მოთავსებული: მათში გადმოცემულია სხვადასხვა მომენტები წმ. ნილოსის ცხოვრებიდან; ამ მხატვრობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი, - წმ. ნილოსი ჯვარცმის წინაშე მუხლმოდრეკილი. დიდებულად არის გადმოცემული მხატვრის მიერ ღრმა ლოცვაში მყოფ წმინდანის ფიგურა და აგრეთვე მის გარშემო მდებარე იტალიური პეიზაჟი.

მხატვრობის ფერთა სიახლეს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი, ხოლო, როდესაც მონასტრიდან გამოდიხართ, თქვენს წინაშე გადაიშლება თვალწარმტაცი ბუნების სურათები: ჩაფიქრებულან ალბას მთების მწვერვალები. მთების ძირში გაშლილია ლამაზი ველები, მინდვრები და ვენახები, შორს მოსჩანს მარინო, ხოლო ყველაფერს ამას ლურჯ გუმბათად გადაჰკვრია იტალიის შეუდარებელი ცა, თავისი მარადიული ღიმილით.

მაგრამ დროა - ბიბლიოთეკასაც ვეწვიოთ. იქ რაღაც ნათელი სიჩუმეა. ყველგან დგანან მაღალი კარადები, სადაც ხელნაწერები ინახება. მერე, რა ძვირფას განძს შეიცავენ ეს კარადები! აი თვით

ნილოსის ხელით შესრულებული სახელგანთქმული ხელნაწერები და აგრეთვე კოდექსები, გროტაა ფერატა-ს მეორე წინამძღვრის მიერ დაწერილი. ჩვენთვის, პალეოგრაფებისათვის, მათ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ! და განა მარტო მათ? აი ცნობილი პალიმფსესტი, რომელიც შეიცავს სტრაბონის “გეოგრაფიის” ნაწყვეტებს. რომელი მეცნიერი არ იცნობს მას? ან ქრისტეფორე პატრიცის ხელნაწერი ლექსები? ან კიდევ კოდექსი, რომელიც იძლევა ყველაზე უფრო სრულ ვერსიას ბიზანტიური პოემის “დიგენის აკრიტა“-სას? ან-და ნაწყვეტები გიორგი მაღალას ქრონიკიდან? ყველაფერი ეს ხომ ისეთი ძეგლებია, რომ მათ შესახებ გულგრილად ლაპარაკი შეუძლებელია! არა ერთი და ორი საათი გავატარე მე ამ უკანასკნელად გროტა-ფერატას ბიბლიოთეკაში; იგი წინანდებურად სრულს ჩემ განკარგულებაში იყო. მე გადავათვალიერე ყველა ხელნაწერები, ამოვიწერე საჭირო ადგილები, ქაღალდზე გადავიტანე ჩემი წინასწარი შენიშვნები; ამის შედეგი კი იყო ის, რომ მე დამებადა გეგმა - უახლოეს მომავალში შევდგომოდი ნილოსის მიერ შემოღებული სტენოგრაფიული სისტემის ხელახალ შესწავლას. ის, რაც წინათ მქონდა გაკეთებული ამ დარგში, მე უკვე აღარ მაკმაყოფილებს. ჩნდება ახალი პერსპექტივები: ჩემი წინანდელი, სიჭაბუკის დროინდელი მუშაობა გამოდგება მხოლოდ სამირკვლად, - შეიძლება საკითხის უფრო ფართოდ დაყენება და უფრო ყოველმხრივ გაშუქება, ვიდრე მე ეს წინათ მქონდა განხილული.

მრავალი კარგი განცდა მახსოვს გროტაა ფერატა-დან. სხვა განცდებთან ერთად ისინი ჩემთვის წარმოადგენენ რაღაც დაუვიწყარ რასმე, რადგან მათ დამიბრუნეს სიცოცხლის სისრულე, განმიახლეს გონება, მომიმატეს ცოდნა. მხოლოდ ერთი რამ დამრჩა საწყენად, იმ ხნის განმავლობაში, რაც მე მონასტერში აღარ ვყოფილვარ, საშინლად გამოცვლილა მისი მიდამოები. გზა, რომლითაც მე ოდესღაც დავდიოდი, ერთს მთლიან ბაღს წარმოადგენდა იმ შორეულ დროში. მე ისევ კარგად მახსოვს დიდი ჩრდილნარიანი ტყე, რომელიც ფრასკატი-საკენ მიდიოდა. ეხლა იგი სრულებით გამქრალა: ტყე სულ გაუჩეხნიათ: დარჩენილია მხოლოდ ჩემთვის კარგად ნაცნობი და ძვირფასი პატარა ტევრი. ყველგან დაშენებულია ვილლები, გაშენებულია ვენახები; აღარ არის წინანდელი მდუმარება; ყველგან შეჭრილან ადამიანები - ერთი სიტყვით, ბუნება დამონებულია. მარტო მონასტერი მაგონებს წარსულს. შეუდრკელად სდგას იგი, წინანდებური დიდების შარავანდედით მოსილი, წინანდებური სიმშვენიერით მოსილი. და როდესაც მე მონასტერს გამოვეთხოვე, უკანასკნელი, რაც ტრამვაიდან დავინახე, იყო მისი კოშკები, მისი აჟურული სამრეკლო: მკაფიოდ მოსჩანდნენ ისინი საღამოს ჰაერში და განსაკუთრებულის ელვარებით ანათებდა მათ ჩამავალი მზის სხივები. ამის შემდეგ კი დაიწყო ისევ ჩამპაგნა ღომანა, მისი მხატვრული ნანგრევებით, დაუსრულებელი აკვედუკებით, მყუდრო მინდვრებით და ასეთი სურათები გრძელდებოდა თვით რომამდე. რომი კი შემხვდა მისთვის დამახასიათებელი ჟრიაშულით, მხიარული ფუსფუსითა და ჩოჩქოლით, ხალხით გატენილი “ცაფეს“-ებითა და თავისი ხმაურიანი ქუჩებით.

რომზე მე მეტს არაფერს ვიტყვი: საკმარისად ვილაპარაკე, თუ რა ვნახე მე იქ, რა გავაკეთე და რა განვიცადე. მართალია არაფერი მითქვამს მუზეუმების შესახებ. მაგრამ მათზე ლაპარაკი ძნელია. საკმარისია დაიწყო მათზე საუბარი, რომ იგი დაუსრულებლად გაგრძელდეს, ანდა გადახვიდე “გზის მაჩვენებლის” ტონზე. ამ უკანასკნელებს მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მუზეუმებში დადიხარ, მუზეუმების გარეშე კი მათი კითხვა და მოსმენა ძალიან მოსაწყენია!

ვიტყვი მხოლოდ, რომ, რაც უფრო ახლოვდებოდა ჩემი გამგზავრების დრო, მით უფრო მიმდინძა ყოფნა, უკანასკნელი დღეები მე სულ რომის ქუჩებზე სიარულში გავატარე. მინდოდა, რაც შეიძლება უფრო სრულად აღბეჭდილიყო ჩემს ხსოვნაში “მარადი ქალაქის” სახე. რა ვუყოთ მერე, - ვფიქრობდი მე, - რომ თავდება უცხო სიზმარი, ხომ უნდა შევინახო მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება მაინც, დაწვრილებით დავიმახსოვრო იგი! და მგონია, რომ მე შევძელი ეს. რომი ეხლაც თვალწინ მიდგას, მაგრამ როგორი ტკივილი იგრძნო ჩემმა გულმა, როდესაც მატარებელი დაიძრა, როდესაც მან გაგვაქროლა ქალაქის გარეუბნებით და როდესაც რომი საბოლოოდ მიმეფარა თვალთაგან, მაგრამ დიდი ხნით კი? იმედი მაქვს, რომ არა: უფრო ადვილია გაკაფული გზით მგზავრობა, ვიდრე უვალი გზით სიარული!

4

უფრო და უფრო შორს მიმაქროლებდა რომისგან მატარებელი. გავიარეთ ფირენცე (ფლორენცია), ბოლონია, ვერონა. მე საკმარისად ვიცნობ ყველა ამ ქალაქებს. ოდესღაც ბევრი ბედნიერი, კარგი დღე გამიტარებია მე იქ, მათ საუნჯეთა შესწავლის დროს. მინდოდა ეხლაც შევჩერებულიყავი ამ ქალაქებში დავმტკბარიყავ მათი ძეგლების ხილვით, ვსტუმრებოდი მათს გრილ ბიბლიოთეკებს. მაგრამ ეს წყეული ფულის საკითხი მიშლიდა ხელს: ის იყო, რომ ბევრჯერ სხვაგანაც თავისი ვეტო-ს ადებდა ჩემ გეგმებს და, რაც ყველაზე უფრო მწყინდა, - მუდამ უნდა დავმორჩილებულიყავი! მე კი, ფლორენციას რომ თავი დავანებოთ, განსაკუთრებით ვერონა მიზიდავდა. მახსოვს: როდესაც მატარებელი მას მიუახლოვდა, ნათელი, წყნარი ღამე იყო. ჰაერი სურნელებით ჰფშვინავდა. შორს, ჩვეულებისამებრ, მოუსვენარი ადიგგო ხმაურობდა. და მე ძალიან მომინდა - მიმეტოვებინა მატარებელი, გავჰყოლოდი ვერონას წყნარ ქუჩებს; სანამ მე ვყოყმანებდი, გაისმა მკვეთრი ხმა: “პარტენზა”, დაიწყეს ვაგონებში კარების მიხურვა და მე ძალაუნებურად ისევ ჩემ კუპეში ამოვყავი თავი. მატარებელმა განაგრძო გზა და გამაქანა ბრენეროს მიმართულებით. აქ მე გამოვეთხოვე იტალიას.

შემდეგ გავლილი გზიდან ჩემთვის საინტერესო იყო მხოლოდ ტიროლი, სადაც არა ერთხელ ვყოფილვარ და საკმაოდ დიდხანსაც მიცხოვრია ინსბრუკში. საზოგადოდ, მთელი ეს გადასავალი იტალიიდან ტიროლამდე მეტად ლამაზია. მომცინარე იტალიის შემდეგ თქვენ ერთბაშად შედიხართ მთის დიდებულს, ალაგ-ალაგ საშიშარ სამეფოში. აქ უკვე სხვა ჰაერია, სხვა ხალხი და ზნეჩვეულებანი. სადგურებზე ბავშვები Eდელწეის-ის თაიგულებს ჰყიდიან. მამაკაცები ტიროლის დამახასიათებელ ტანსაცმელში გამოწყობილნი, დინჯად ეწევიან ჩიბუხს. ქალები, დანადვლიანებული სახეებით, ჰყიდიან ყოველგვარ საჭმელებს. და ყველა ისინი ისეთი წესრიგიანი, სუფთა ხალხია, თავპარიან იტალიელებს კი არა ჰგვანან! განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში ერთი პატარა ლამაზი გოგონა. მაგრად დაწნული დალალებით და სუფთა, თუმცა ღარიბული კაბით. პატარა გოგო მთის ყვავილების თაიგულებს ჰყიდა. მის სახეზე ისეთი სერიოზულობა და ნადვლიანობა იყო გამოხატული, რომ მე და ჩემმა მეზობლებმა მივაქციეთ მას ყურადღება და გადავწყვიტეთ - გვესიამოვნებინა მისთვის და ყველა მისი თაიგულები გვეყიდნა. დავუძახეთ მას, დავიწყეთ ყვავილების ამორჩევა, ვკითხეთ, თუ რა ღირდა ყვავილები. “ჭიე დიე ჰერსცჰაფტენ წოლენ”, გულუბრყვილოდ გვიპასუხა მან. და ისე მოხდენილად იყო ეს

წარმოთქმული, რომ ჩვენ ღიმილი ვერ შევიკავეთ, უხვად დავასაჩუქრეთ გოგონა და კმაყოფილებით ვუმზერდით, როგორ გარბოდა ხტუნვით იგი, ბედნიერი და თან რომელიღაც ტიროლურ სიმღერას ღიღინებდა...

ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საზღვრებისგან განსხვავებით, იტალიის, ავსტრიისა და გერმანიის საზღვრები მგზავრებს არავითარ უსიამოვნებას არ აყენებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მატარებლის მიმართ ყველა საბაჟოებს მეტისმეტად ზრდილობიანად ეჭირათ თავი: თითქმის არასოდეს არ გვიხდებოდა ბარგის გახსნა, ისედაც გვიჯერებდნენ! ასე მშვიდობით ვიმგზავრე მე მიუნხენამდე, იქ ბერლინის მატარებელში გადავჯექი და მეორე დღეს დილით უკვე ბერლინში ვიყავი.

ბერლინი რაღაც მოღუშული დამხვდა. იტალიის მზეს შეჩვეულმა, მე დავინახე ნაცრისფერი ცა, მაგრამ ამასაც როგორმე შეურიგდებოდა ადამიანი, - ცივი კოკისპირული წვიმა რომ არ ყოფილიყო. გარშემო ყველაფერი დაღვრემილად გამოიყურებოდა. წვიმა გაგრძელდა ორი დღე. ამ ხნის განმავლობაში მე თითქმის არ გამოვსულვარ ჩემი ოთახიდან და წესრიგში მოვიყვანე ჩემ მიერ იტალიაში შეკრებილი მასალები. შემდეგ კი გამოანათა მზემაც, მაგრამ ეს უკვე სამხრეთის მზე აღარ იყო, და ცასაც აკლდა ის თბილი სილურჯე, როგორც იტალიაში მინახავს. სამაგიეროდ, ბერლინსაც აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმშვენიერე. მე მიყვარს ბერლინის სიღინჯე და საქმიანობა. აქ ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს და რას აკეთებს. ბერლინელებს ყოველთვის აქვთ გარკვეული მიზანი. ისინი არ მისცურავენ “უსაჭიოდ და უაფროდ”, როგორც იტალიელები. გერმანელისთვის პირველი ადგილი აზრს უკავია, ხოლო იტალიელისთვის - გრძნობას. ამისგან არის მჭიდროდ დამოკიდებული ყველაფერი დანარჩენიც. ამიტომაც არის, რომ ბერლინში ადამიანი თავისთავად სწორდები, ებმები მუშაობაში, უკუაგდებ ქართველურ უზრუნველობას და ნერვიულად ჰკიდებ ხელს საქმეს, არ გინდა დაჰკარგო არც ერთი წუთი. ასე მემართებოდა მე წინათ, როდესაც მე ჯერ კიდევ ვსწავლობდი ბერლინში. ასევე მოხდა ეხლაც. მე ბევრი რამ უნდა გამეკეთებინა, დრო და ფული კი ცოტა იყო. ძალაუნებურად უნდა ავჩქარებულიყავი. მაგრამ მე მაინც თავი ვერ შევიკავე, რომ უნივერსიტეტში არ შემეგლო და არ მენახა, რა ხდება იქ. გადავათვალიერე ლექციების ცხრილი, გავეცანი რამდენსამე სტუდენტს, გამოველაპარაკე მათ, და დავრწმუნდი, რომ გერმანიის შტუდენტენცჰაფტ ოდნავ თუ გამოცვლილა, მას სავსებით შეუნარჩუნებინა ყველა თავისი საუკეთესო თვისებები, რომლითაც იგი მუდამ ასე იყო განთქმული. გარდა ამისა, იგი უფრო ზრდილი, სამსახურის გამწევი, მე ვიტყვოდი - უფრო მშვიდი გამხდარა. ეს სიმშვიდე ან, უკეთ, ეს სირბილე მხოლოდ ამაღლებს გერმანელებს. ჩემში ისეთი გრძნობა იყო, თითქოს გერმანელებმა პირველ ადგილზე კვლავ სული წამოაყენეს, და სწორედ ეს სული იყო, რომ მათ ოდესღაც მთელს ქვეყანაზე გაამარჯვებინა. პრუსიის მუშტის ბატონობა გათავდა და, უნდა იმედი ვიქონიოთ, სამუდამოდ, მართლაც, უკვალოთ გამქრალან ბერლინის ქუჩებიდან პრუსიის ოფიცრები, ჯარისკაცთა ურიცხვი რაზმები, ყველა ეს “ჭაცკე” ბრანდენბურგის კარებთან და ფრიდრიჰ დიდის ძეგლთან. მხოლოდ “გრუნე პოლიზი” გვაგონებს კიდევ სამხედრო მუნდირის დროს; იგი ლურჯი, კასკებიანი “მცკუტზლელუტე”-ს მაგივრობას სწევს. და მართალი რომ ითქვას, ყველაფერი ეს ბერლინს უფრო ამშვენებს: გამქრალა უსიამოვნო სამხედრო-ბანაკური ელფერი, და გერმანიის

იანუსს მოუბრუნებია თავისი სახის ის მხარე, რომელზედაც აღბეჭდილია ღრმა აზრი, და არა მუქარა.

დიახ, დღეს გერმანიაში გამეფებულია აზრი და ამ აზრის საუცხოვო გამოხატულება არის წიგნების უამრავი რაოდენობა მეცნიერების ყველა დარგში. შეუძლებელია მოწიწებით ქედი არ მოიხარო სახელოვანი გერმანელი ერის წინაშე: იგი ხომ საშინელი ომის შემდეგ არა თუ ფეხზე წამოდგა, არამედ შესძლო დაემტკიცებინა ისიც, რომ შეიძლება მისი ფიზიკურად შემუსვრა, მაგრამ შეუძლებელია მისი სულიერი ძლიერების შედრეკა: იგი უკვდავია!

მე პირდაპირ თვალეხს ვაცეცებდი ამდენ წიგნის სიმდიდრეთა დანახვაზე. რამდენი ახალი და კარგი რამ გამოსულა! დანარჩენ სპეციალობათ რომ თავი გავანებოთ, მე უამრავი წიგნი ვიპოვე პირადად ჩემთვის, და გულში ერთხელ კიდევ მადლობა ვუძღვენი საქართველოს რესპ. სახალხო განათლების კომისარიატს, რომელმაც საშუალება მომცა საზღვარგარეთ გამგზავრებისა. თუ იტალიაში ანტიკური ქვეყნის ძეგლებს ვსწავლობდი, ეხლა ბერლინში ახალი ქვეყნის გენიის გამოსახულებას ვეცნობოდი. რასაკვირველია, ბედნიერად ვიგრძნობდი აქ თავს!

ცხადია, ჩემი ყურადღების ცენტრი ბერლინის მუზეუმი იყო, კერძოდ კი - ბერძნული პაპირუსების განყოფილება; ამ განყოფილებაში მე მიმუშავნია წინათაც, როდესაც მონაწილეობას ვიღებდი ბერძნული პაპირუსების საბუთების გამოცემაში. ამიტომ მიზიდავდა მე იგი. მაგრამ, ამასთანავე ერთად, გადავწყვიტე - გავცნობოდი ბერლინის შტაატსბიბლიოტეკ-ასაც, რომლის ახალი შენობა და მოწყობილობა მე ჯერ არ მენახა. ჩვენთვის, ქართველებისათვის ცნობილი ბიბლიოთეკათარის Dr. მეცკელენ-ის წყალობით, მე გავეცანი ბიბლიოთეკას, მის კატალოგებს, საბიბლიოთეკო საქმის დაყენებას და ჩემდა სასიამოვნოდ დავრწმუნდი, რომ ის ჭირვეული "ათწილადი" სისტემა, რომლის გამო ბევრი შუბი გადაუმტვრევიათ რუსეთში მის მომხრეებს, გერმანელების მიერ უარყოფილია, როგორც ზედმეტად გართულებული, არეული და უხერხული. მომეწონა აგრეთვე ეხლახან მოწყობილი ქართული წიგნების განყოფილება. მართალია, იგი ჯერ დიდი არ არის, მაგრამ მას ისეთი სიყვარულითა და საქმის ცოდნით აწყობენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ იგი მდიდარი განყოფილება დადგება. მე მგონია, რომ ჩვენც დახმარება უნდა გავუწიოთ ამ კეთილი საქმის დამწყებთ: ეს უსათუოდ შედის ჩვენ ეროვნულ ამოცანათა რიცხვში, მით უმეტეს, რომ ასეთი დახმარება ად მაიორემ გლორიამ გეორგიაე იქნება მიმართული. ჩვენ ხომ გვქონდა და გვაქვს კიდევ კარგი წიგნები. დაე მათ გერმანელებიც გაეცნონ, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა შორის მოიპოვება ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის მოყვარულები. საზოგადოდ ბერლინის შტაატსბიბლიოტეკ-ის დათვალიერებამ ბევრი სასიამოვნო საათი განმაცდევინა. რა წესრიგია, რა კარგად არის მოწყობილი ყველაფერი, მაგრამ ამასთანავე ერთად რა უამრავი ფულია დახარჯული, და ეხლაც იხარჯება, საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. და მე მომაგონდა ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, - რომლის დირექტორადაც მე გახლავართ, - მისი ღარიბი ბიუჯეტით; მომაგონდა, რომ მისთვის თითქმის შეუძლებელია ახალი გამოცემების შეძენა, რომ მას მუდამ აკლია ჟურნალები და მეტად გართულებულია უცხოეთიდან წიგნების გამოწერის საქმე. მახარებდა მხოლოდ ერთი რამ, - სახელდობრ ის, რომ, მიუხედავად ყველა ამისა და განსაკუთრებით, მიუხედავად ჩვენი აღმაშფოთებელი ნახევრად-სარდაფიანი სადგომისა, - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, თავისი 7

წლის არსებობის განმავლობაში, მაინც მიაღწია რაღაც შედეგებს. სამირკველი ჩაყრილია. ახლა კი ჩვენი ახალი თაობის საქმეა - ამ სამირკველზე სათანადო შენობის აგება!

მაგრამ აი მუზეუმიც. მას შემდეგ, რაც მე იგი აღარ მინახავს, მუზეუმი მეტად გაზრდილა და დიდად გამდიდრებულა ხელოვნების ახალი ძეგლებით. ეს, უმთავრესად, ეგვიპტის განყოფილებას ეხება. მაგრამ რამდენიმე კარგი საგანი მომატებია ანტიკური სკულპტურის წინანდელ საგანძურსაც. დავასახელებ მხოლოდ ეგრეთწოდებულ "თჰრონეულე ნატტინ"-ს. ქანდაკებაში გამოსახულია არქაული ტიპის მჯდომარე ქალღმერთი. ყველაზე უფრო იგი აკროპოლის "ქალწულებს" მოგვაგონებს, მაგრამ მათ აღემატება მეტი დახვეწილობით და, განსაკუთრებით, იმ გამომეტყველებით, რომელიც მიუცია მისი სახისათვის ხელოვანს. მშვიდი დიდებამოსილება აღბეჭდილია ქალღმერთის სახეზე და მთელ მისს პოზაში: მაშინვე გრძნობთ, რომ თქვენს წინაშე რაღაც ზეკაცური რამ არის. უნდა დაუმატო, რომ ქანდაკება მუზეუმში მოხერხებულადაც არის მოთავსებული: მისთვის მიჩენილია საგანგებო პატარა ოთახი, და ამ ოთახში შესვლისთანავე თქვენ მაშინვე ჰხედავთ ქალღმერთს მთელი მისი სიმშვენიერით და თითქოს გრძნობთ თქვენს თავზე მის მშვიდსა და დიდებამოსილ მზერას, რომელიც სასვია არაადამიანური უმფოთველობით. მე დიდხანს და არა ერთხელ ვტკბებოდი ამ ქანდაკებით (იგი მუზეუმს შეუძენია უკვე ომის დროს, მაგრამ სად - არ ვიცით), და, წარმოიდგინეთ, დროებით მიმავიწყდა კიდევ ბერძნული პაპირუსები - ჩემი უმთავრესი მიზანი მუზეუმში ყოფნის დროს.

მაგრამ მალე პაპირუსებმაც მიმიზიდეს, და იქ, პაპირუსაბტიელუნგ-ში, მე მაშინვე სახლში ვიგრძენი თავი. განყოფილების გამგე, ჩემი ძველი ნაცნობი პროფ. ჭელლჰელმ შცკუბარტ დამხვდა მე, როგორც ახლო ნათესავს. თითქოს ისევ დავგიბრუნდა სიჭაბუკის შორეული წლები, როცა მე და ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერები ვსწავლობდით პაპირუსებზე, ქვევით პატარა ოთახში, და როცა ჩვენ მაშინ ჩვენთვის დაუძლეველ სიძნელეებს ვხვდებოდით საბუთების ამოკითხვის დროს. მოგვაგონდა დაწვრილებითი ამბები მაშინდელი ჩვენი ცხოვრებიდან, ძველი მეგობრები და ამხანაგები. რამდენი მათგანი გარდაიცვალა ამ ხნის განმავლობაში, რამდენი დაიღუპა უკანასკნელი ომის დროს! ჩვენ ხომ ყველანი, ვინც პაპირუსებზე ვმეცადინებოდით, ნამდვილ ინტერნაციონალურ საზოგადოებას წარმოვადგენდით. აქ შეხვდებოდით ფრანგებსაც, ინგლისელებსაც, ამერიკელებსაც, გერმანელები ხომ იყვნენ და იყვნენ! და ჩვენ ყველანი მეგობრულად ვცხოვრობდით ერთმანეთთან. ეხლა კი? თითქმის აღარავინ არ დარჩენილა. ვართ მხოლოდ მე და შუბარტი, თუ არ ჩავთვლით რამდენსამე ჩვენს ღრმად მოხუცებულს მასწავლებელს. ომმა საშინლად გაანადგურა გერმანელ მეცნიერთა რიგები; ამის გამო საკმარისად აღარ მოიპოვება მუშა ხელი პაპირუსების დასამუშავებლად. ახალგაზრდა ძალები კი აღარ არის. შუბარტს ეგონა, რომ მე დიდი ხნით დავრჩებოდი ბერლინში, და წინდაწინ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ როგორ შევუდგებოდი მე კვლავ ბერლინის მუზეუმის პაპირუსების გამოცემას. და რა კარგი იქნებოდა ეს: განმეორებოდა ძველი დროის ამბავი. მეც, რასაკვირველია, მინდოდა ეს, მაგრამ ისევ წამოჰყო თავი ამ წყეულმა ფულის საკითხმა, და ერთად ერთი რამ, რაც მე შევძელი, ეს იყო ბერლინის ზოგიერთი პაპირუსების ა ვოლ დ' ოისეან გაცნობა და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ახალი ლიტერატურის შესწავლა პაპიროლოგიაში. მე მაინც იმედი მაქვს, რომ მალე კვლავ ვეწვევი ბერლინს და მაშინ მე ისევ ხელს

მივპყოფ ჩემთვის საყვარელ მუშაობას, რომელიც ომმა და მისმა შედეგებმა შემაწყვეტინეს. ჯერხანობით კი უნდა დავკმაყოფილდე ოცნებით და მის გადამუშავებით, რაც ჩემ ხელთ არის!

ბერლინის დანარჩენ შთაბეჭდილებებზე მე არაფერს ვიტყვი. ილაპარაკონ და სწერონ მათზე სხვებმა! მე კი მაინტერესებდა მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერება და ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული. და მე პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ამ მხრივ დასავლეთ ევროპაში ყველაფერი არა თუ რიგზეა, არამედ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში. მეცნიერება ვითარდება სრულიად თავისუფლად. იგი იკავებს ახალ გზებს და მთლად აყვავებულია. მართალია, მას აქა-იქ არ ჰყოფნის მეცნიერები, არ მოეპოვება წინანდელი ქონებრივი საშუალებანი, მაგრამ ყველაფერი ეს არც ისეთს კვალს ამჩნევს აზროვნების მსვლელობაზე.

მაგრამ აი დადგა კიდევაც ბერლინიდან ჩემი გამგზავრების დღე. მე ისევ ფრიედრიცჰაჰნჰოფ-ზე ვარ. მაცილებენ, გამოთქვამენ სურვილს და იმედებს, რომ ჩვენ მალე კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. სულს რაღაც მწუხრის ბინდი გადაეფარა. არ მინდა, რომ ბერლინს მოვშორდე, მაგრამ მატარებელი ხომ არ მომიცდის. ვჯდები ვაგონში. მატარებელი დაიძრა. და კვლავ იწყება ყველაფერი ის, რაც მე უკვე განვიცადე იტალიისკენ მგზავრობის დროს. საზღვრები, საზაოები, ნივთების გაშინჯვა - რა მოსაწყენია ყველაფერი ეს! მეორედ გამოვლისას ყველა ეს ამბავი უფრო უსიამოვნო და მომაბეზრებელი გეჩვენება. მე მაინც ვცდილობ - გულგრილობა დავიცვა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დამშვიდდა ჩემი მეზობელი - გერმანელი, რომელიც თავისი საქმეების გამო მოსკოვს მიემგზავრება. მას აბრაზებს ლიტვისა და ლატვიის პატარა რესპუბლიკების ხილვა. “უყურეთ, უყურეთ”, მეუბნება იგი, “მათ არაფერი თავისი არა აქვთ. აი ჩვენი ვაგონები, აი კიდევ რუსულებიც! მათი არც რელსებია, არც სადგურები! არაფერი თავიანთი მათ არ გააჩნიათ: ყველაფერი ნაპარავია! სატახტო ქალაქი კოვნოა! აბა რას ჰგავს ეს? მერე როგორ იჭიმებიან! რა თავმომწონედ არიან! შეჰხედეთ თუნდ ამ ოფიცერს. კაცს ეგონება, რომ ის იმპერატორია! მას უფრო მაღლა უჭირავს თავი, ვიდრე ჩვენს ყოფილ კაისერ-ს. როდის მოელება ბოლო ყველაფერს ამას?” და კიდევ დიდხანს ღელავდა ჩვენი გერმანელი, სანამ არ დაეძინა. მე მაცილებდა ყველაფერი ეს, მაგრამ არ უარვპყოფ, რომ ბევრი მისი შენიშვნა სამართლიანი იყო. ავიღოთ თუნდ ეს თავმომწონეობა. იგი მართლაც რომ კომიკურია, ისინი თითქოს ამ მამლაყინწაობით ცდილობენ დაფარონ თავიანთი შინაგანი სიცარიელე. და ბევრი ამგვარი კომიკური ხაზი შეგიძლიათ შეამჩნიოთ ლიტვისა და ლატვიის ტერიტორიაზე მგზავრობის დროს. საზოგადოდ ძალიან ცოტა რამეს ჰხედავ აქ სანუგემოს. და, რაც ყველაზე უფრო გეცემა ადამიანს თვალში, - ეს უადრესი სილატაკეა. ავიღოთ თუნდ მანძილი რიგიდან ოსტროვამდე. მგზავრმა რიგაშივე უნდა მოიმარაგოს სანოვაგე, რადგან სადგურებზე ხეირიანს ვერაფერს იშოვის. ეს მე ჩემ თავზე გამოვცადე, მხოლოდ რიგაა ძველებურად მოსაწყონი, მაგრამ მასაც აკლია ძველი თავისი სიცოცხლე და მოძრაობა: ჩემზე რიგამ განგვირგვინებული დედოფლის შთაბეჭდილება მოახდინა. რაღაც მოსაწყენობის, მეშჩანობის ბეჭედი აზის მას და ამასთანავე გაღატაკებაც ემჩნევა. ერთი სიტყვით, რამდენადაც საინტერესოა დასავლეთი ევროპა, მთელი მის მიერ მოცემული შთაბეჭდილების სიჭრელით, იმდენადვე მოსაწყენია გზა ლატვიასა და ლიტვაზე. და სულ იმაზე ფიქრობ, რომ მალე გათავდეს ეს გზა. მატარებელი კი, თითქოს განზრახ, ნელ-ნელა მიიზღაზნება... *** PAGE 58 ***

ბერძნული დამწერლობის ისტორია ეგვიპტეში

ბერძნული დამწერლობის ისტორია ეგვიპტეში უზარმაზარ პერიოდს მოიცავს, დაახლოებით 11 საუკუნეს, კერძოდ, ჩვ. წ. აღ-მდე მესამე საუკუნიდან ჩვ. წ. აღ-ის მერვე საუკუნემდე.

თუ თვალს გავადევნებთ ბერძნული დამწერლობის პერიოდთა თანდათანობითი განვითარების ყველა ვარიაციას, მაშინ მთელ რიგ იმ ცვლილებათა გარდა, რომლებიც გამოწვეული იყო დამწერლობის სუფთა შინაგანი განვითარებით, თვალში გვეცემა დამწერლობის რამდენიმე გარკვეულად დამახასიათებელი ტიპი, რომლებიც სრულებით არ ჰგვანან ერთმანეთს და იმ პერიოდებს ემთხვევიან, რომელთა ცვალებადობასაც ადგილი ჰქონდა ეგვიპტის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. დამწერლობა, რომლითაც წერდნენ პტოლემეოსების დროს, მკვეთრად განირჩევა ქრისტეს დაბადებიდან პირველ საუკუნეთა განმავლობაში არსებული დამწერლობისგან, - როდესაც ეგვიპტე უკვე რომის ძალაუფლების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ასევე ძლიერი განსხვავებაა რომის პერიოდის ამ დამწერლობასა და მომდევნო 3 საუკუნეში არსებულ დამწერლობას შორის. მანამდე, ვიდრე ის თავის მხრივ კიდევ არ გარდაიქმნება არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ წარმოქმნილ ახალ ტიპად. ამის გამო, ბერძნული პალეოგრაფია ყველა სახის ბერძნულ დამწერლობას ოთხ ტიპად ყოფს: პტოლემეოსების, რომელსაც ქრისტეს დაბადებამდე სამი საუკუნე ეჭირა; რომის პერიოდის, რომელიც ქრისტეს დაბადებიდან პირველ სამ საუკუნეს იკავებს; ბიზანტიური პერიოდის, რომელიც მოიცავს დროს ჩვ. წ. აღ-ის მესამე-საუკუნიდან მეექვსე საუკუნემდე და არაბული პერიოდის, რომელიც მერვე საუკუნის ბოლომდე აღწევს და უშუალოდ უკავშირდება პერგამენტული ხელნაწერების ნუსხურ ტიპს.

ასე რომ, ბერძნული ეგვიპტის ცხოვრებასა და ბერძნული დამწერლობის ისტორიას შორის ეგვიპტეში საკმაო პარალელიზმი შეიმჩნევა, რომლის გარკვევასაც შევეცდებით ამ წერილში. მაგრამ მანამდე უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ბერძნული დამწერლობის ორი ძირითადი სახეობის შესახებ, რომლებთანაც საქმე გვაქვს ჩვენამდე მოღწეულ პაპირუსებში. ეს სახეობებია ასომთავრული და კურსივი.

ასომთავრულ პერიოდთა დამწერლობის ძირითადი პრინციპია უარის თქმა ლიგატურაზე იგი ასოებს წერდა ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად, ერთმანეთთან გადაუბმელად, რაც ვერ პასუხობდა ყოველდღიურობის მოთხოვნილებებს, რადგან მისი გარეგნული სილამაზე საჭიროებდა ძალზე ხანგრძლივ დროს მწერლისგან. ამიტომ ასომთავრული თითქმის მარტო ლიტერატურული ძეგლებისთვის გამოიყენებოდა და ძალიან იშვიათად - საზოგადო ხასიათის დოკუმენტებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ გადაბმული კურსივით იწერებოდა. კურსივის პრინციპი დიამეტრულად საწინააღმდეგოა ნუსხურის პრინციპისა და მისი ძირითადი პირობაა ასოების რაც შეიძლება მეტად გადაბმა ერთმანეთზე. ეს ერთი მხრივ, სრულ თავისუფლებას ანიჭებდა დამწერს ასოთა ფორმების წარმოქმნის საქმეში და მეორე მხრივ, ხელს უწყობდა სამუშაოს სწრაფად შესრულებას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენამდე მოღწეულ პაპირუსთა სულ ცოტა სამი მეოთხედი კურსივით არის შესრულებული.

სამაგიეროდ, ასოთა გადაბმულობის გამო კურსივი ძნელად წასაკითხი ხდებოდა, მაგრამ არასოდეს მწერლის ინდივიდუალიზმი არ იკარგებოდა. ინდივიდუალიზმი განსაკუთრებულად ხშირად გვხვდება კერძო კორესპონდენციებში და ნაკლებად იმ საქმიან ქალაქებში, რომლებიც კანცელარიებიდან მომდინარეობდა. იყო რა სრულიად თავისუფალი ასომთავრულის ასოთა თავისებური უძრაობისგან, კურსივი ძვირფასია როგორც ისეთი სახეობა დამწერლობისა, რომელშიც ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილებებიც კი საშუალებას იძლევა იწინასწარმეტყველო დამწერლობის ახალი ფორმების წარმოშობა. ერთმანეთთან ათასგვარი ხვეულებით და კავებით დაკავშირებულ ასოებს აუცილებლად უნდა განეცადათ მუდმივი ცვლილებები, რასაც ცოტად თუ ბევრად უნდა მივეყვანეთ დამწერლობის ახალი ფორმების წარმოშობამდე და შემდეგ, როდესაც ეს ცვლილებები ალფაბეტის დიდ ნაწილს დაიკავებდა და ეს უკანასკნელი თითქმის გადახალისდებოდა, წარმოიშვებოდა დამწერლობის ახალი ყაიდა, რომელიც თავის მხრივ თანდათან კიდევ ახალ ფორმაში გადადიოდა.

კურსივის ეს მუდმივი ვარიაციულობა ჰგავდა იმ ცვლილებებს, რომლებიც შემდგომში განიცადა პერგამენტული ხელნაწერების ნუსხურმა წერილმა. ამან ძლიერი ბიძგი მისცა ასომთავრულსაც, განსაკუთრებით ჩანს ეს ქრისტეს დაბადებიდან მესამე საუკუნის ასომთავრულში. ეს უკანასკნელიც იცვლებოდა დამწერლობის ცვალებადობის საერთო ფონზე, მაგრამ იღებდა რა კურსივის ფორმებს, ასომთავრული თავის მხრივ დიდ გარკვეულობას გადასცემდა კურსივს, რის შედეგადაც ასომთავრულისგან კურსივიდან ნასესხები ელემენტები თანდათან ასომთავრულშიც ლებულობდნენ უძრაობის ხასიათს, რაც დამწერლობაში შემონახულ იქნა თითქმის ახალი კურსივული ძვრების დაწყებამდე.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენთვის მთავარ მიზანს ახლა კურსივი წარმოადგენს, რომელთან დაკავშირებით განსაკუთრებულად გარკვეულად არის შესაფერისი ჩვენგან ზემოთ ნახსენები ბერძნული წერილის 4 ტიპად დაყოფა: პტოლემეეების, რომის, ბიზანტიურ და არაბულ ტიპებად.

ამ ზოგადი ხასიათის შენიშვნების შემდეგ, რაც აუცილებელია ბერძნული დამწერლობის ისტორიაში კურსივის როლის გასარკვევად, შეიძლება უკვე შევუდგეთ ჩვენი ამოცანის შესრულებას, კერძოდ, გავარკვიოთ პარალელიზმის მიზეზები ბერძნული დამწერლობის ისტორიაში.

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტე წილად ხვდა პტოლომეუს ლაგს და დაახლოებით სამი საუკუნე მის შთამომავალთა ძალაუფლებაში იმყოფებოდა, ვიდრე საბოლოოდ რომის ნადავლი არ გახდა.

ლაგიდებმა, ფარაონთა ქვეყანაში ფეხის მოკიდებისას “იგი ნახეს უკვე საკმაოდ ელინიზირებული”. პსამეტისის დროიდან მოყოლებული აღარ შემწყდარა ეგვიპტეში ბერძნული ელემენტის მოძრაობა და მისი კონცენტრირების მთავარი ადგილი იყო მემფისი და ნავკრატისი. მაკედონელთა დინასტიის განდევნისთანავე ელინიზმი ფართო ტალღებად დაიღვარა მთელ ეგვიპტეში და ქვეყნის მთავარ, ოფიციალურ ენად იქცა ბერძნული ენა. პტოლომეუსთა ძახილს ბერძნული სამყაროს ყოველი მხრიდან გამოეხმაურნენ ბერძენი მომთაბარენი და თავს იყრიდნენ

რა მაკედონელ დიდებულთა ირგვლივ, თანდათან მეორე რიგში გადაჰყავდათ ადგილობრივი ეგვიპტელები. თვითონ პტოლომეუსები დიდი ხელოვნებით უწყობდნენ ხელს ამ პროცესებს: იცავდნენ ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, აღიარებდნენ ადგილობრივ ღმერთებს, თავს ფარაონთა პირდაპირ მემკვიდრეებად წარმოადგენდნენ და ამავე დროს პირველ რიგში, წინა პლანზე გამოჰყავდათ ბერძნული ხალხურობა, აძლიერებდნენ მას, უწყევდნენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და თანდათან ეგვიპტის ნამდვილ ბატონ-პატრონებად ბერძნები გადააქციეს, ხოლო ეგვიპტე, ალექსანდრიის მეთაურობით, - მთელი საბერძნეთის პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრების ცენტრად. მართალია, თვითონ მთავრობა უწყობდა ხელს ბერძნების დაწინაურებას, მაგრამ თვითონ ბერძნებიც, წინაპართაგან გადმოცემული დიდი კულტურის ძალმოსილებით შთაგონებულნი, ცდილობდნენ მეცნიერების, ენისა და დამწერლობის მეშვეობით ამ კულტურისთვის ეზიარებინათ ადგილობრივი მოსახლეობა.

ბერძნული მეცნიერება ჰყვავდა პტოლომეუსთა ზრუნვისა და გულუხვობის ქვეშ. ბერძნული ენა ისე სწრაფად ვრცელდებოდა ეგვიპტეში, როგორც შეჰფერის მოწინავე ეროვნების ენას. საბოლოოდ, ბერძნულმა დამწერლობამ სრულიად თავისუფალი განვითარება დაიწყო, როგორც ცხოვრებისა და მეცნიერების მოთხოვნილებათა ირიბმა გამომხატველმა და, რა თქმა უნდა, ბერძენი ხალხის გამორჩეულ ვითარებაში ჩაყენების გამო, ყველაფერი ეგვიპტეში უკვე სუფთა ბერძნულ ხასიათს იძენდა და ატარებდა.

ამ ხასიათით გამოირჩეოდა ბერძნული დამწერლობაც, რომელიც ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ ჩვენამდე მოღწეული ძეგლებით, რომელთაგან ყველაზე ძველია ჩვ.წ.ად-მდე მესამე საუკუნის პტოლომეუსთა პერიოდის ყველაზე ძველი პაპირუსები; სულერთია, რითი არიან ისინი დაწერილი, ასომთავრულით თუ კურსივით, ყოველთვის ატარებენ ეპიგრაფიკულ ხასიათს, რაც უფრო ძლიერ ეტყობა ასომთავრულს და ნაკლებად - კურსივს. ეს ეპიგრაფიკულობა, რაც ცალკეულ ასოთა ფორმას ემჩნევა, თანდათან ქრება და მის ერთადერთ გამოხატულებად რჩება ასოთა ფორმების ძლიერი დაკუთხულობა, რისგანაც ვერ განთავისუფლდა პტოლომეუსთა დამწერლობა იმ თავისებურების გამო, როგორიცაა ჰორიზონტალური დამაკავშირებელი შტრიხის არსებობა. ეს შტრიხი ასოების თავს მიჰყვება. მას იშვითად თუ შეხვდებით ასომთავრულ წერილში და მხოლოდ კურსივის საკუთრება იყო(...), ასოები მალღებდნენ, ვიწროვდებდნენ, უფრო გამოკვეთილ სახეს ღებულობდნენ, უფრო სწორი და ნაზი ხდებდნენ. ამასთან დაკავშირებით საერთო ტონი წერილისა იცვლება (შემდეგ გრ. წერეთელს ვრცლად აქვს განხილული ბერძნული წერილის (დამწერლობის) დეტალური ცვალებადობა ეგვიპტეში, რომის, ბიზანტიის და არაბულ პერიოდებთან დაკავშირებით, რასაც ღრმად სპეციფიკური, სპეციალისტი პალეოგრაფებისათვის საჭირო ხასიათი აქვს და ამიტომ მას აქ გამოვტოვებთ. ჩვენ უფრო გვინტერესებს ეგვიპტურ ყოფა-ცხოვრებასა და, ზოგადად, დამწერლობაზე ბერძნული და შემდეგ რომაული ზეგავლენის საერთო სურათი, რაც ამ წერილში ნათლად არის აღწერილი. - მთარგმნ.).*** PAGE 62 ***

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მე-2 ნახევრიდან ვამჩნევთ დამწერლობის ახალ ტიპს, რომელიც კარგავს პტოლომეუსთა პერიოდის კურსივისთვის თვისებებს და იძენს ახალ

ხასიათს, რომლის განვითარება ემთხვევა ეგვიპტის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და მის გადაქცევას რომის პროვინციად. ამასთან დაკავშირებით კენიონი თავის წერილში „ბერძნულ პაპირუსთა პალეოგრაფია“, - ვარაუდობს, რომ “კურსივის ხელნაწერთა ნიმუშები დადგენილი და დაკანონებულ იქნა ეგვიპტის უმაღლეს ხელისუფალთა მიერ”.

ამასთან, „დამწერლობის ვარირება ხდებოდა იმის მიხედვით, თუ საიდან იყო ეს პიროვნება: ალექსანდრიიდან, რომიდან თუ კონსტანტინოპოლიდან“, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბერძნული კურსივის ძირითადი ცვალებადობა ხდებოდა თითოეული ხელისუფლის შეგნებული ზეწოლით დამწერლობის ხასიათზე, მაგრამ ეს არ დასტურდება ფაქტებით. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ, რომისგან დაპყრობილმა ბერძნულმა ეგვიპტემ შეინარჩუნა, რამდენადაც ეს დაპყრობილი ქვეყნისგან შეიძლებოდა, თავისი შინაგანი ცხოვრების წყობა.. რომის მიერ ჩატარებული პოლიტიკური ზომები არ შეხებია ბერძნის პირად ცხოვრებას და ენას. იგი დარჩა ქვეშევრდომად და არა რომის იმპერიის მოქალაქედ. თავისი ძველი ცხოვრებით განაგრძობდა ბერძენი ცხოვრებას. მართალია, პტოლომუსთა დროს ეს იყო მოწინავე სახელმწიფო ელემენტის ცხოვრება, მაშინ როდესაც უკვე პირველ ადგილზე წამოიწია ახალმა, რომაულმა საწყისმა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვეყნის მთელი შინაგანი მმართველობა ისევ ბერძენთა ხელში იყრიდა თავს. მართალია, უმაღლესი სახელმწიფო პირები რომაელები იყვნენ, მაგრამ მეორეხარისხოვანი ჩინოვნიკური თანამდებობები მთლიანად ბერძნებს ეჭირათ ხელში, - კერძოდ, ალექსანდრიის მოქალაქეებს. ბერძნული ენა კვლავ ეგვიპტურ ოფიციალურ ენად დარჩა და ამ ენით სარგებლობდნენ ყველგან, უმაღლესიდან უმდაბლეს ინსტანციებამდე. ლათინური ენა მხოლოდ არმიით იყო შემოსაზღვრული. ბერძენი ხალხის ასეთმა გამორჩეულმა მდგომარეობამ, მისი ენის სრულმა გაბატონებამ, ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის, - ეგვიპტელების სრულმა დაბეჩავებამ ის გამოიწვია, რომ ბერძენთა მდგომარეობა ოდნავ თუ შეიცვალა და თუ დე იურე არა, დე ფაქტო მაინც ისინი დარჩნენ არსებულ წესწყობილებაშიც გაბატონებულ მდგომარეობაში. თუმცა ეს გაბატონებულობა მათ რომაელებთან ჰქონდათ წილნაყარი. ბერძნული ელემენტის ასეთი ძლიერი ზეგავლენის გამო, ისევ მის ხელში უნდა ყოფილიყო სასკოლო საქმე და ზოგადი განათლება. სკოლა ისევ განაგრძობდა დიდებულ ბერძნულ ტრადიციებს, ელადის დიდ მოაზროვნეთა საქმეებს, რომლებიც რჩებოდნენ ბერძნული აზროვნების ხელმძღვანელებად. ამის გამო, ზოგადი განათლება სუფთა ბერძნულ ხასიათს ატარებდა: ბერძნული ტრადიცია, ბერძნული ენა, ბერძნული დამწერლობა შეგნებულად უპირისპირდებოდა რომაულს. ასეთი სწრაფვა, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ თავიანთი სულიერი დამოუკიდებლობა, აშკარად ჩანს ეგვიპტეში რომის გაბატონების პირველ ორ საუკუნეში. რომი ამას თავის მხრივ არ ეწინააღმდეგებოდა და თუ ზოგჯერ ვიწრო ნაციონალიზმს გამოავლენდა, ისე როგორც ეს ფლავიუსების დროს იყო, მაშინ მეორე მხრივ, უფრო ხშირად თვითონ ცდილობდა ელინურ სამყაროს, ელინურ საწყისს, ელინურ მოდგმას შერწყმოდან და შეეთვისებოდა, რათა საფუძვლიანად მოეკიდებინა ფეხი მის სულიერებაში ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ანტონიუსების დროს.

ბერძნების სწრაფვა ყველაფერში ბერძნებად დარჩენისაკენ, დამწერლობასაც ეტყობა. მაგრამ მაინც, რომის ბატონობის დროინდელი ბერძნული დამწერლობა ძალიან ცოტა საერთოს ამჟღავნებს პტოლომეუსების პერიოდის ბერძნულ დამწერლობასთან.

ჩვენ აქ უკვე დამწერლობის ახალ ტიპს ვხედავთ, დაწყებულს ძვ. წ. აღ-ით პირველი საუკუნის დასასრულიდან. თუ პტოლომუსთა დროს კურსივი კუთხოვნობის გარეშე წარმოუდგენელია, რომის პერიოდის კურსივი წარმოუდგენელია მრგვლოვანობის გარეშე და ეს მრგვლოვანობა ახასიათებს არა ცალკეულ ასოებს, არამედ მათ შეერთებას და გადაბმასაც. ასე რომ, პირველი რაც გაცნობას რომაულ კურსივში იწვევს, ესაა მთელი წერილის საერთო მრგვლოვანობა, რომლის დროს ცალკეული ასოები, თუნდაც ზედმიწევნით კურსივულ ძეგლებში, ინარჩუნებენ თავის გარკვეულობას და თანაც არ არღვევენ ურთიერთგადაბმის საერთო ტონს და მრგვლოვანობას. მაგრამ დამწერლობის ამ ახალი ტიპის მოვლინება, რომელიც ემთხვევა რომის ბატონობის პერიოდს, თუ არ უკავშირდება ახალი ხელისუფლების ძალისხმევას, მაშინ რით შეიძლება აიხსნას მისი წარმოშობა, რამაც გამოიწვია პტოლომეუსთა კურსივის სრული გაქრობა.*** PAGE 64 ***

მე ვფიქრობ, რომ კურსივის სრული გაქრობა, პირველი საუკუნის პტოლომეევთა კურსივის პრაქტიკული თვალსაზრისით სრული უვარგისობა, ახალი ტიპის დამწერლობის მოვლინება გამოწვეული იყო მთელ რიგ მიზეზთა ბუნებრივი განპირობებულობით და იმ პოლიტიკური მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფებოდნენ ბერძნები.

რომაული კურსივი მაქსიმალურ დახვეწილობას აღწევს პირველი საუკუნის 70-იან წლებში. შემდეგ იწყება მისი თანდათანობით დაქვეითება . იგი აღწევს მესამე საუკუნის არა უგვიანეს პირველ ნახევრამდე და მის გვერდით თანდათანობით იწყებს გამოჩენას მეორე ტიპი, უფრო დახვეწილი, უფრო ნაზი და გამოყვანილი, მაგრამ ბევრი რამით ლათინურის მატარებელი. საერთოდ ლათინური ელემენტი თანდათანობით იჭერს ადგილს ბერძნულ დამწერლობაში და სახეს უცვლის, თავის სახეს აკარგვინებს მას . თანდათანობით კარგავს იგი თავის ბერძნულ სახეს და ლათინურ სახეს ღებულობს. მეხუთე საუკუნიდან ეს ახალი ლათინური ფორმა შედის თავისი განვითარების ბოლოს წინა პერიოდში - ბიზანტიურ პერიოდში.

ისმის კითხვა, რატომ და როგორ დაკარგა, ბოლოს და ბოლოს, ბერძნულმა დამწერლობამ ამდენი საუკუნის მანძილზე შენარჩუნებული საკუთარი სახე და დაექვემდებარა სწორედ იმ ლათინიზაციას, რომლისგანაც თავის დახსნას ასე ცდილობდნენ ბერძნები? პირველი ვარაუდი, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით თავში უნდა მოუვიდეს კაცს, ესაა კენიონის ზემოთ აღნიშნული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან შეგნებულ ზეწოლას. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბერძნული კურსივის ბიზანტიურ პერიოდთან დაკავშირებით ეს ვარაუდი არ შეიძლება სწორი იყოს.

ლათინიზაციის მიზეზი აქ შეიძლება დავინახოთ იმ გარემოებათა ბუნებრივ მდინარებაში, რომლებიც დაკავშირებული იყო ბერძნულ ცხოვრებაში რომაული საწყისის მშვიდობიან შემოჭრასთან. ანტონინთა და სევერთა პოლიტიკას რომაული სამყარო მიჰყავდა ბერძნულ სამყაროსთან შერწყმისკენ. ნათლად ხედავდნენ რა ბერძნული ეროვნულობის მთელ გონებრივ უპირატესობას რომაული ეროვნების გონებრივ შესაძლებლობებზე, მათ განზრახული ჰქონდათ და სურდათ რომაული კულტურის განახლება ბერძნულთან შერწყმით. რა თქმა უნდა,

ხელუხლებელი რჩებოდა რომაული სახელმწიფოებრივი საწყისი, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი, რაც განყენებულ, სუფთა გონებრივ საკითხებს შეეხებოდა, უნებლიედ იძენდა ბერძნულ ელფერს. თავის მხრივ, ბერძნული სამყაროც შეუმჩნევლად ექცეოდა რომაელთა ზეგავლენაში. კარაკალას დროს ეგვიპტელი ბერძნების მიერ რომის მოქალაქეობის მიღებისთანავე, ბუნებრივია, უნდა შეცვლილიყო იმდროული ცხოვრების პირობებიც. გახდა რა რომის მოქალაქე, სუფთა ბერძენი სულ უფრო ხშირად და ბოლოს გამუდმებულად ეხებოდა და ეჯახებოდა ლათინურ ენას, ზნე-ჩვეულებებს, კანონებს და ბოლოს, ლათინურ დამწერლობას და ა.შ., რის შედეგად თავდაპირველად მისდა შეუმჩნევლად, ხოლო შემდეგ კი შეგნებულად და გააზრებულად იგი უნებლიეთ იღებდა ლათინურ სახეს და კარგავდა თავის ბერძნულ სახეს.

სანქტ-პეტერბურგი

1906 წ.

ჰეროდეს “მიმიამბების”

წინასიტყვაობა და შესავალი

წინასიტყვაობა

ჰეროდეს “მიმიამბები”, მისი ყოფითი სცენები, დიდი ხანია იზიდავდა ჩემს ყურადღებას და არაერთხელ, ჯერ კიდევ იურიევის და პეტერბურგის უნივერსიტეტებში პროფესორად მუშაობისას, მიმიძღვნია მათთვის ჩემი ლექციები. ჯერ კიდევ მაშინ ვცდილობდი დედნის საზომით რუსულ ენაზე მათ გადმოტანას.

1918 წლისათვის ბოლომდე მივიყვანე ჰეროდეს “მიმიამბთა” ზოგადი თარგმანი და მას შემდეგ 10 წელი გავიდა. რამდენადაც შემემძლო, მთელი ამ დროის განმავლობაში ვაგრძელებდი არჩეულ ავტორზე მუშაობას. შემქონდა შესრულებულ გამოკვლევაში აუცილებელი შესწორებები, ვცვლიდი და ვავსებდი მათ იმ სამუშაოთა მიხედვით, რაც მასზე მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში. იმავე ჰეროდეს, უკვე საქართველოში მივუძღვენი რამდენიმე საჯარო ლექცია. გავარჩიე იგი როგორც თავისთავად, ისე მის ანტიპოდ თეოკრიტოსთან ერთად.

შემიძლია ვთქვა, რომ ჰეროდეზე ჩემი მუშაობა უკვე დამთავრებულია და გამოქვეყნება შეიძლება. მაგრამ არის კი მისი გამოცემის დრო? ჩვენს დროში გრეცა ნონ ლენგუნტურ? მაგრამ მაინც ვაძლევ თავს უფლებას, რომ ჰეროდესთან, ელინისტური პერიოდის ბერძნული პოეზიის რეალიზმის ამ წარმომადგენელთან ნაცნობობას როგორც სიამოვნების, ისე სარგებლობის მოტანა

შეუძლია ანტიკური ლიტერატურის მოყვარულთათვის. ამიტომ ვბედავ მათ სამსჯავროზე ჩემი ნამუშევრის წარდგინებას.

მხოლოდ ერთზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ჰეროდე მე დედნის საზომით, ე.წ. ქოლიამბით (ანუ “კოჭლი იამბით”), ანუ სხვაგვარად, იამბური ტრიმეტრით ვთარგმნე, რომელშიც დაგრძელებულია ბოლოსწინა მარცვალი. მართალია, რუსულად ამ დაგრძელების გადმოცემა სათანადოდ არ შეიძლება, მაგრამ მე ვვარაუდობ, რომ მაინც შეიძლება იმ პირობით, თუ ბოლოსწინა სიტყვას მახვილი გაუკეთდება ბოლო მარცვალზე, ხოლო უკანასკნელ სიტყვას კი პირველ მარცვალზე, ანდა თუ სიტყვა (რესპ. სიტყვები), რომელიც ამთავრებს ლექსს, შემდგარი იქნება იამბისა და ტროქეასგან, ასე მაგალითად:

1. Он разорил меня до тла игрой вечной

2. Подумать я могла, что гус загогочет.

სხვა საქმეა, რამდენად ლამაზია ეს საზომი. მაგრამ არც ჰიპონაქტს, მის გამომგონებელს და არც ჰეროდეს, ჰიპონაქტის მიმდევარს, არ ჰქონიათ სილამაზე მხედველობაში. ისინი სხვა რამისკენ მიისწრაფოდნენ: რაც შეიძლება ახლოს მიეყვანათ ლექსის ზომა ყოველდღიურ მეტყველებასთან. გაეკეთებინათ ისე, რომ რაღაც საშუალო გამოსულიყო პოეზიასა და ნამდვილ პროზას შორის. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უმტკივნეულოდ შეგვეცვალა ქოლიამბი ჩვეულებრივი რუსული “თეთრი” ლექსით, ან ნამდვილი ბერძნული იამბური ტრიმეტრით, მაგრამ ეს შეგნებულად არ გავაკეთე, რადგან ვთვლი, რომ მსგავსი შეცვლით ჰეროდეს ლექსი დაკარგავდა მისთვის დამახასიათებელ სიმწკლარტეს და პროზაულობას. სწორად მოვიქეცი თუ არა, ამაზე არაფერს ვიტყვი; დაე, ეს თვითონ მკითხველმა განსაჯოს.

თბილისი, 1928 წ. ნოემბერი

შესავალი

I.

ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში შეხვედებით მრავალ მწერალს, რომელთა შემოქმედებაზე მხოლოდ მცირერიცხოვანი და მცირესიტყვიანი ნაწყვეტებითა შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ესეც მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში. უარეს შემთხვევაში კი მხოლოდ მოკლე, ურთიერთგამომრიცხავმა და ზოგჯერ მცდარმა ცნობებმა თუ მოაღწიეს ჩვენამდე. ასეთ მწერლებზე შეიძლება ვთქვათ, რომ მათგან მხოლოდ აჩრდილილა შემორჩა, ისიც აჩრდილი არა საღამოსი, არამედ შუადღისა, თვალისათვის ძლივს შესამჩნევი.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა 1889 წლამდე პოეტი ჰეროდეც. მისი შემოქმედებიდან შემორჩენილ რამდენიმე ცალკეულ ლექსს თუ არ ჩავთვლით, მის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის

ვიცოდით, რომ წერდა მიმიაშვებს, ანუ მიმებს, ანუ სხვაგვარად ყოფით სცენებს გადმოსცემდა იამბური საზომით შექმნილი ლექსებით. მეტიც, არ მოხერხდა მისი ცხოვრების პერიოდის ზუსტად გარკვევა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობილი იყო ქრისტეს დაბადებიდან მე-2 საუკუნეში, რასაც ცხადყოფს პლინიუს უმცროსის სიტყვები, რომლებითაც მან თავის მეგობარს არრი ანტონინს, კონსულსა და პოეტს მიმართა, რომელიც წერდა არა ლათინურად, არამედ ბერძნულად: “ასე მგონია შენს ნაწერებს ფუტკრები ავსებენ ყვავილის თაფლით. უკიდურეს შემთხვევაში, მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება, როცა წავიკითხე ამას წინათ შენი ბერძნული ეპიგრამები და მიმები. რა ტკბილი და მშვენიერია ისინი! როგორ მოჰბერავს მათგან ანტიკურობა! რამდენი გონებასაზვიანობა და სიმართლეა მათში! მეჩვენებოდა, თითქოს ხელში კალიმაქოსი ან ჰეროდეს ქმნილება მეჭირა, ანდა თუკი რამე არსებობს კიდევ მათზე საუკეთესო”. მაგრამ გადავიწყებოდა ვერ იხსნა ჰეროდეს სახელგანთქმულობამ და რომ „კეთილი შემთხვევა“ არა, იგი სამუდამოდ დარჩებოდა ჩვენთვის „ხმად მლაღაღებლისა უდაბნოსა შინა“.

მაგრამ აი, 1889 წელს ეგვიპტეში მოპოვებული იქნა ქრისტეს დაბადებიდან მე-2 საუკუნის ნაწილობრივ დაზიანებული პაპირუსის გრაგნილი, რომელიც ჰეროდეს 8 მიმს შეიცავდა. მის ახლახან მივიწყებულ პოეტურ ცხოვრებას ახალი სიცოცხლე შთაებერა: მისი მიმები, რომელთაც იგი თავის თანამედროვეებისთვის ქმნიდა და რომლებზედაც აგებდა თავის მომავალ დიდებას, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მონაპოვარიც გახდა. მეტიც, თუ აქამდე ჰეროდეს ცხოვრების პერიოდი სათანადოდ არ იყო დაფიქსირებული, ახლა ეს საკითხიც დამაკმაყოფილებლად გადაიჭრა და ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჰეროდეს ცხოვრობდა ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 საუკუნის პირველ ნახევარში, ანუ იგი იყო ელინისტური პოეზიის ისეთ ვარსკვლავთა თანამედროვე, როგორებიც იყვნენ ფილატესი, კალიმაქოსი, თეოკრიტოსი და სხვ. დაბოლოს, საკმაოდ ნათელი შეიქნა ის რამდენადმე განყენებული მდგომარეობაც, რომელიც ჰეროდეს ეჭირა მის თანამედროვე ლიტერატურაში იმ დროს არსებული “წრეობანას” მიზეზით. ერთი სიტყვით, პაპირუსის გრაგნილის წყალობით, ჰეროდეს წოდებული მკრთალი აჩრდილი ცოცხალ, ნათლად წარმოდგენილ სახედ გარდაისახა და იგი თანდათან უფრო რელიეფური, გარკვეული და კონკრეტიზებული ხდება. ჰეროდეს მიმიაშვების ჩაღრმავებული შესწავლის შედეგად, ჩვენ უკვე შეგვიძლია ამ პოეტს თავისი მკაცრად გარკვეული ადგილი მივაკუთვნოთ ელინისტურ ოლიმპზე.*** PAGE 68 ***

2.

ძნელია სრული გარკვეულობით იმის თქმა, რომ კუნძული კოსი იყო, როგორც ერთნი ფიქრობენ, თუ ეფესო იყო, როგორც მეორენი ფიქრობენ, ჰეროდეს სამშობლო. მართალია, ზოგიერთი მიმის მოქმედება (1, 2, 3, 4 მიმები) კუნძულ კოსზე მიმდინარეობს და მე-4 მიმში კუნძული კოსი იხსენიება როგორც „ტკბილი“, ე. ი. მინიჭებული აქვს ეპითეტი, რაც ბერძნულ პოეზიაში სამშობლოს განეკუთვნება. „არაფერი გვაქვს ჩვენს სამშობლოზე და მშობლიურზე უფრო უტკბესი“. მაგრამ მეორე მხრივ, იმდენივე წვრილმანი, როგორც ჩანს, ეფესოს სასარგებლოდაც მიუთითებს. უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ძალზე მხურვალე განდიდება აპელესისა,

რომელიც ეფესოელადაც იწოდება, თუმცა იგი წარმოშობით კოლოფონიდან იყო და მხოლოდ შემდგომ მიიღო ეფესოს მოქალაქეობა. შემდეგ მე-7 მიმში მოხსენიებულია თვე ტავრონი, რომელიც არ არსებობს კოსის კალენდარში და პირიქით, არის ეფესოს კალენდარში. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ჰეროდეს განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ეფესოელი პოეტის ჰიპონაქტოსისადმი და ის ფაქტიც, რომ უკიდურეს შემთხვევაში სამი მიმოსის მაინც მოქმედების ადგილად უეჭველად ეფესი გვევლინება. ერთი სიტყვით, ჩვენს ხელთ არაა მონაცემები, რომლებიც საკითხს ჰეროდეს სამშობლოს შესახებ გარკვეულად ერთ ან მეორე მხარეს გადასწონიდა. სასწორი, ჩვენი აზრით, გაწონასწორებულია, ჰეროდე შესაძლებელია ეფესოდან ყოფილიყო და ხანგრძლივად ეცხოვრა კუნძულ კოსზე, ან პირიქით, და ამის შესახებ შეიძლება მისი სახელიც ლაპარაკობდეს, დანამდვილებით რომ ვიცოდეთ, რომ მის სახელს აქვს არა იონიური, არამედ დორიული ფორმა, - ჰერონდი ან ჰერონდე. მაგრამ ჩვენი წყაროები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და სრულ თავისუფლებას იძლევიან, რათა ჰეროდე გინდ კოსელად ან ეფესოელად მივიჩნიოთ, გინდაც დორიელად ან იონიელად ჩავთვალოთ ჩვენი პოეტი.

არანაკლებ გაურკვეველია, თუ ორიდან რომელი პტოლემეოსის დროს მოუხდა ეცხოვრა ჰეროდეს, - პტოლომეოსი მეორე ფილადელფის (285/4 - 246წ. ჩვ. წ. აღ-მდე), თუ პტოლომეოსი II ევერგეტის (246 - 222/1 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) მეფობის დროს. როდესაც პირველ მიმში აღწერს და ჩამოთვლის ეგვიპტის ღირსშესანიშნაობებს, ხატავს მას აყვავებულ და კეთილმოწყობილ ქვეყნად, ჰეროდე ეხება ალექსანდრიას, ჩერდება მუზეუმზე და „ღმერთ ძმათა სასახლეებზე“, ე. ი. პტოლომეოს ფილადელფის, მისი დისა და მეუღლის არსინოეს ტაძარზე. მუზეუმზე განსაკუთრებულად აღარ ვისაუბრებთ, რადგან ყველამ იცის, რომ ის იყო ფილადელფოსის საყვარელი ქმნილება და სწორედ მან მოათავა და მოაწყო იგი. ასე რომ, ფილადელფთან მჭიდროდაა დაკავშირებული ეგვიპტის დეიფიცირებულ მეუფეთა „ღმერთ-ძმათა სასახლეები“, რომელთა კულტი პირველად მოიხსენიება არსინოეს სიკვდილის წელს, - 270 წ. ასე რომ, პირველ თავში ჰეროდე ალექსანდრიის იმ ღირსშესანიშნაობებზე ჩერდება, რომლებიც განსაკუთრებულად ძვირფასი და ახლობელი იყო პტოლომეოს ფილადელფოსისათვის. მაგრამ როდესაც საუბრობს ეგვიპტეზე, როგორც „მიწიერ სამოთხეზე“, ჰეროდეს სავალდებულოდ მიაჩნია იმის აღნიშვნაც, თუ ვის უნდა უმაღლოდეს თავის კეთილდღეობას ეგვიპტე, ე. ი. მეფეს ეგვიპტისას, რომელსაც იგი „მეფე მწყალობელს“ უწოდებს. ვინ იგულისხმება ამ უკანასკნელში? პტოლომეოსი ფილადელფოს თუ პტოლომეოსი ევერგეტი? როგორც ჩანს, პირველი და მართლაც, მიაგებს რა პატივს პირველად ფილადელფის განსვენებულ მეუღლეს, რომელიც განუყოფელი რჩება ზოგადი „ღმერთ-ძმების“ კულტისგან, ჰეროდე შემდეგ საგანგებოდ საუბრობს თვითონ ფილადელფოსზე, რომელმაც მეუღლეზე მეტხანს იცოცხლა, „მწყალობელ მეფეს“ უწოდებს მას და ამით თითქოს გამოხატავს მის სულიერ სიმადლესაც, მსგავსი ჰიპოთეზა მე სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში, უფრო შესაძლებლად, ვიდრე მეორე, რომლის დროსაც „მეფე-მწყალობლად“ პტოლომეოს ევერგეტი იქნება. ირიბი დადასტურება იმისა, რომ ჰეროდეს მოღვაწეობის ხანა ფილადელფის მეფობის პერიოდს ემთხვევა შემდეგია: მე-4 მიმში განსაკუთრებული ამაღლებულობით საუბრობენ აპელესზე, ახლახან გარდაცვლილ კაცზე. ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ მან მუშაობა ფილიპე მაკედონელის დროს დაიწყო, უმაღლეს დიდებას მიაღწია დიადოქოსების დროს და პლინიუს უფროსის მიხედვით მისი მოღვაწეობის

აყვავების დრო ემთხვევა 112-ე ოლიმპიადას, ე. ი. 328-325 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე. დიადოქოსებიდან იგი მუშაობდა პტოლომეოს I ლაგაზე (პლუს 285 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) და ვივარაუდოთ, რომ მისი ცხოვრება მე-3 საუკუნის დასაწყისზე უფრო შორს მიდის, ჩვენ არ გვაქვს არავითარი საფუძველი. მაგრამ რადგანაც მასზე ჰეროდე ლაპარაკობს, როგორც თავის თანამედროვეზე, ამიტომ ნათელია, რომ თვითონ ჰეროდეს არ შეიძლება ემოღვაწა ევერგეტის მეფობის დროს: იგი დაემთხვევა არა მე-3 საუკუნის მეორე ნახევარს, არამედ უფრო პირველ ნახევარს, როდესაც პტოლომეოს ფილადელფი მეფობდა. სწორედ ასე მივყავართ იქით მე-4 მიმში. „პრაქსიტელეს შვილების“ ხსენებას. ესენი არიან ცნობილი მოქანდაკეები - ტიმარქი და კეფისოდოტი, რომელთა აყვავების ხანად პლინიუს უფროსი მიიჩნევს 121-ე ოლიმპიადას, ე. ი. 295-293 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე და რომლებზედაც ჰეროდე ისე საუბრობს, როგორც ცოცხლებზე. დაბოლოს, როგორც ჰერზოგ-ი აღნიშნავს, იგივე ხანამდე მივყავართ ასკლეპიოსის აშენების ისტორიას. როგორც ჰერზოგ-ის მიერ ჩატარებული გათხრებიდან გაირკვა, ასკლეპიოსის ტაძარი კუნძულ კოსზე, რომელიც მე-4 მიმოსში მოიხსენიება და რომლის ნარჩენებიც ამ გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი, თარიღდება მე-3 საუკუნის დასაწყისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეროდე იმ ღვთის ტაძარს აგვიწერს, რომელიც შემდეგ შეცვალეს უფრო მდიდრული აღნაგობის შენობებით, რაც შედეგი იყო დაახლოებით 270 წელს კუნძულ კოსზე ასკლეპიოსის კულტის სასარგებლოდ გაწეული მძლავრი პროპაგანდისა; აგიტაცია დაიწყო „ტაძრის მშენებლობაზე“ ფართო ხელმოწერებით. მაგრამ, რაკი ეს ჩვენთვის ისედაც ცნობილია, და ისიც ცნობილია, რომ ასკლეპიოსის კულტის გავრცელებაზე დიდი როლი ითამაშა პტოლომეოს ფილადელფოსმა, ამიტომ ჰერზოგ-ის მიერ შემოთავაზებული აზრი გვევლინება კიდევ ერთ მნიშვნელოვან რგოლად იმ დასაბუთებათა ჯაჭვში, რომლებიც ადგენენ შემდეგ ფაქტს: ჰეროდეს მოღვაწეობა უნდა მივაკუთვნოთ არა ევერგეტის, არამედ ფილადელფოსის ეპოქას.

3.

ამით, ჰეროდეს სიცოცხლის პერიოდის მიახლოებითი სიზუსტით დადგენით ამოიწურება ჩვენი ცოდნა პოეტზე. თვითონ თავის თავზე არაფერს ამბობს. მხოლოდ 1 და მე-4 მიმოსებში შეიძლება ზოგიერთი სუბიექტური ნოტის დაჭერა, რომელიც თუკი რამეზე მიუთითებს, ისიც მხოლოდ ეგვიპტის მფლობელისა და მისი მხატვრული გემოვნებისადმი პოეტის ლოიალობაზე, რამდენადაც საქმე ეხება ტიმარქოსის, კეფისოდოტოსის და აპელესის ნაწარმოებთა აღწერასა და შეფასებას. მხოლოდ მე-8 მიმოსი - „სიზმარი“ შეიცავს რაღაც მეტს. აქ თვითონ ჰეროდეს გლეხის ნიღბით წარმოდგენილი და თავის ლიტერატურულ უფლებებს იცავს მისკენ მიმართული ყოველგვარი დაკნინებისაგან. სწორედ ამ მიმოსმა მოაღწია ჩვენამდე ძალიან ფრაგმენტული სახით და მხოლოდ ჩრუსიუს-ის, ჰერზოგ-ის და კნობ-ის ინტენსიური მუშაობის შედეგად გახდა ასე თუ ისე შესაძლებელი მისი შესწავლა. მეორე მხრივ, თავისი ქარაგმულობის წყალობით იგი მრავალმხრივ გაურკვეველი რჩება ჩვენთვის და ფართო სარბიელს იძლევა ათასნაირი ვარაუდისა და მკითხაობისათვის, რომელთაგან შეიძლება „რაღაც-რაღაც“ აზრების გამოტანა, რაც ოდნავ ხდის ფარდას ჰეროდეს დროს არსებულ ლიტერატურულ „წრეობანას“. როგორც ჩანს,

ჰეროდეს ხელახლა შევეყვართ თეოკრიტოს მეშვიდეს მიერ “შემოდგომის დღესასწაულში” იდილიად დახატულ, ფილეტესის ირგვლივ დაჯგუფებულ პოეტ-ბუკოლიკთა წრეში. მაგრამ თუკი თეოკრიტესთან ყველაფერი მშვიდობისა და მეგობრობის სულით არის გაჟღენთილი, თუკი მისი სიტყვებიდან ცხადი ხდება, რომ იგი კოსის წევრია, სრულიად სხვა შთაბეჭდილებას ახდენს ჰეროდეს მიმი. ჩვენ წინაა მოწინააღმდეგეთაგან უარყოფილი სხვა ბანაკის, სხვა მიმართულების და თავის პოეტურ ღირსებათა დამცველი ადამიანი. თეოკრიტოსი თავისუფლად აქცევს თავის მეგობრებს “თხის მწყემსებად”, ამკობს მათაც და საკუთარ თავსაც, ფილეტესის გამოკლებით, ფიქტიური სახელებით: ლიკიდა, სიმინიდა, სიკელიდა, ტიტირა და ა.შ., რომელთა ადგილას თეოკრიტოსის თანამედროვეებს თავისუფლად შეეძლოთ ნამდვილი სახელების ჩასმა. ჰეროდესთან კი პირიქით, მტრული და უსახელო ბრბოა “თხის მწყემსების” სახით გამოყვანილი. მათ ვიღაც “ბრაზიანი მოხუცი” მეთაურობს, რომელშიც *Hyrcanus*-ი სწორად ხედავს ფილეტეს. ერთი სიტყვით, თეოკრიტოსი გვიხატავს კოსის წრეს მისივე ინტიმური ცხოვრებით. ჰეროდე კი თავის ბრძოლას აღწერს “უცხოთა” წინააღმდეგ.

მაგრამ თუ ასეთ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ჰეროდე “კოსის” პოეტურ თანამეგობრობასთან, მაშინ, მით უფრო და არანაკლებ საინტერესოა გვცოდნოდა მისი დამოკიდებულების ხასიათი იმ დროის პოეტური შემოქმედების საკითხთა თავისებურ უმაღლეს მსაჯულ კალიმაქოსთან. ჩვენ უკვე ვიცით კალიმაქოსის მკაცრი ბრძოლების შესახებ ეპიკური პოემის “არგონავტების” ავტორთან აპოლონიოს როდოსელთან. ბრძოლისა, რომელიც გაღვივდა ლიტერატურულ შეხედულებათა და გემოვნებათა განსხვავებულობის საფუძველზე, ვიცით კალიმაქოს შეურიგებლობაზე ყოველგვარ იმ სიახლეთა მიმართ ლიტერატურაში, რაც მის შეხედულებებს უპირისპირდებოდა. ისმის კითხვა: როგორ ეპყრობოდა იგი ჰეროდეს და შეიძლება თუ არა ამ კითხვაზე მეტად თუ ნაკლებად დადებითი პასუხის გაცემა? თვითონ ჰეროდესთან ამის შესახებ ჩვენ ვერავითარ ახსნას ვერ ვიპოვით. ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მას უხდებოდა მოპოვებული მდგომარეობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ უკვე სიბერის წლებში, თავისი კარიერის ბოლოს, კალიმაქოსმა დაწერა „იამბი“, განსაკუთრებული ნაწარმოები, რომელმაც ოქსირინქოსის ერთ-ერთი პაპირუსის სახით მოაღწია ჩვენამდე დაგლეჯილმა და დახეულმა. ეს ნაწარმოები დაწერილია “კოჭლი იამბის” საზომით ანუ ქოლიამბით, რომელიც ჰიპონაქსი ეფესოელმა შემოიტანა ბერძნულ პოეზიაში. თვითონ ჰიპონაქსი პირველ პირში ასეთი სიტყვებით იწყებს პირველ იამბს:

„ყური დაუგდეთ ჰიპონაქტს! მე აქ თქვენთან

მოვედი იქიდან, სადაც ხარი გრომად იყიდება,

და მომაქვს იამბი, მაგრამ იგი ისე აღარ

იმღერებს, როგორც მღეროდა ძველად,

ბუპალთან ომის დროს.”

ამ ლექსიდან უკვე ჩანს, რომ თავის “იამბებში” კალიმაქოსი ნიმუშად იღებს ჰიპონაქსს, ითვისებს მის სტილს, სალექსო საზომს და დიალექტს ისე, როგორც ამას ჰეროდე აკეთებს თავის

მიმოსებში. მაგრამ თუკი ჰეროდე სცენებს გადმოსცემს, კალიმაქოსის იამბები სხვა არაფერია, გარდა ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული და ზოგჯერ სულაც დაუკავშირებელი ნოველები, ლეგენდები და არაკები, რომლებიც ჰიპონაქსისებურად არ „იკბინებიან“. ერთი შეხედვით პირადი გამოხდომებიც თითქოს არ ჩანს. მაგრამ ეს შთაბეჭდილება ბოლომდე რაღაც არ მართლდება. უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთ იამბში, რომელშიც როგორც ჩანს, პოეტური ტექნიკის საკითხები ირჩეოდა (მხოლოდ გაუგებარია წინამორბედებთან რა კავშირში), გარკვეული გამოხდომა არის ქოლიამბური პოეტების წინააღმდეგ, რომლებიც “ეფესოს კერიიდან ანთებენ თავიანთ ცეცხლს” (ანუ ჰიპონაქსისგან სესხულობენ), არქაიზმებითა და ნეოლოგიზმებით კაზმავენ თავიანთ ლექსებს და არც დიალექტა შერევაზე ამბობენ უარს. *ჰერზოგ-ის* აზრით, კალიმაქოსის ამ სიტყვებში ჰეროდეს საწინააღმდეგოდ მიმართული კრიტიკა უნდა დავინახოთ და მე ვფიქრობ, რომ *ჰერზოგ-ი* მართალს ამბობს. მეტსაც ვიტყვი: ხელს თითქმის არაფერი გვიშლის, რომ კალიმაქოსის იამბებში ჰეროდეს ქოლიამბებისადმი თავისებური კორექტივები დავინახოთ: კალიმაქოს ლექსი უფრო ჩამოქნილია, ენა ვირტუოზულ სრულყოფამდეა აყვანილი, - ჩვენ წინაშე თითქოსდა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა წერო ქოლიამბებით. ჰეროდეს მიმამბებები რომ კალიმაქოსის იამბებზე ადრე დაიწერა, ვფიქრობ ეს თვითონ ჰეროდეთი მტკიცდება: მას რომ პრიორიტეტი არ ჰქონოდა, თავის თავს ჰიპონაქსის შემდეგ მეორე ქოლიამბიკოსს არ უწოდებდა.

ასე რომ, თუ სწორია ჩემ მიერ მოყვანილი მოსაზრებები, მაშინ თავისთავად გამომდინარეობს ასეთი დასკვნა: თეოკრიტოსისაგან განსხვავებით, ჰეროდე არ განეკუთვნებოდა კოსის ლიტერატურულ წრეს. ამასთან, იგი თეოკრიტოსისაგან განსხვავებით, შორს იდგა კალიმაქოსისგან და უფრო მეტიც: შეიძლება ვიფიქროთ, რომ როგორც კოსის თანამეგობრობა, ისე კალიმაქოსიც, მტრულად ექცეოდა ჰეროდეს. მათთვის იგი იყო “უცხო” პოეტი, თავისი გზით მიმავალი მხატვარი, რომელიც უხემ რეალიზმს ნერგავდა, ე. ი. იგი იყო მათ გემოვნებათა, შეხედულებათა და მიმართულებათა საპირისპიროდ მოქმედი პიროვნება.

რა თქმა უნდა, გარკვევა იმისა, თუ რამდენად მართლ იყო საერთოდ ჰეროდე, ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ არც მისი მიჩნევა “ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა” არ შეიძლება. სხვა ადებტებიც ჰყავდა იმ რეალისტურ მიმართულებას, რომელსაც იგი მიჰყვებოდა. საკმარისია მივუთითოთ ისეთ სახალხო პოეტზე, როგორც იყო ბედისგან შეჭირვებულთა, ღარიბთა და ღატაკთა ჭეშმარიტი მომღერალი ლეონიდას ტარენტელი. ასე რომ, თუ ჰეროდეს პერიოდის პოეზიაში მთავარ და განმსაზღვრელ როლს თამაშობდა კალიმაქოსის მეთაურობით მიმდინარე აკადემიური მიმართულება, რომელიც იდეალიზმისკენ იხრებოდა, მაშინ, როგორც მისი საწინააღმდეგო მიმართულება, არსებობდა სხვა მიმდინარეობაც, რომლის ლოზუნგი იყო: “ახლოს ცხოვრებასთან, - შორს ფანტაზიისგან” და რომლის წარმომადგენელთა შორის ჰეროდე იყო უკვე არა უცხო, არამედ „თავისი კაცი“.

4.

ჰეროდე თავის თავს “ქოლიამბების” ავტორს უწოდებს, მაშინ როდესაც მის ნაწარმოებებს ყველაზე მეტად შეეფერება ტერმინი “მიმამბები” (ე. ი. მიმი იამბად) და პირველად გვხვდება

ტერენცოს მავრთან, რომელიც ცხოვრობდა ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 საუკუნეში. შეჩერდა რა იამბზე, როგორც ლექსის საზომზე, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერებოდა მის მიერ დასახულ მიზნებს, ჰეროდემ აიღო არა სუფთა იამბური, არამედ ქოლიამბური ტრიმეტრი, რომელშიც ლექსის დასკვნითი ნაწილის ფორმა არის ნაცვლად, ბოლოში შეფერხებით იგი მართლაც იძლევა რაღაც დაკოჭლებულის, შეფერხებულის შთაბეჭდილებას, რის გამოც იწოდა კიდევ ბერძენ ოსტატთაგან ქოლიამბად, ე.ი. „კოჭლ იამბად“. თავის წარმოშობას იგი ჰიპონაქს ეფესოელს უმადლის (დაახლოებით 520 წ. ჩვ. წ. აღ-მდე), რომლის პოეზია ატარებდა წმინდა ქუჩურ, მაწანწალურ ტონს. ეს ტონი თავისთვის შესაბამის მეტრულ ფორმას მოითხოვდა, რასაც წარმოადგენდა სწორედ „კოჭლი იამბი“, რომელიც თავის თავში ასევე რაღაც მდაბალს, ანტიპოეტურს, პროზასთან მიახლოებულს განასახიერებდა და ამგვარად სრულიად შესაფერისი იყო იმ პოეზიისთვის, რომლის მიზანია ყოფა-ცხოვრების უარყოფითი მხარეების, მისი გრიმასებისა და სიმახინჯეების, ბოლოს და ბოლოს, მისი პროზაულობის წარმოსახვა.

ჰეროდეს მხრიდან ეს იყო უდავოდ წარმატებული ნაბიჯი, რომლითაც იგი მშვენივრად გადმოგვცემს თავის ფაქიზ მხატვრულ ალღოს, როდესაც არჩევანს „კოჭლ იამბზე“ აჩერებს და ხელახლა შემოჰყავს იგი ლიტერატურულ მიმოქცევაში. თვითონ პოეტიც გრძნობდა ამას, თორემ ასეთი ცხადი სიამაყით არ იტყოდა :

“მუზასა ვფიცავ, დიდება თანმდევეს,

როცა დავიწყებ უბრალო იამბით

კოჭლი ლექსების შეთხზვას, -

მსგავსად ძველი ჰიპონაქსისა.

მეორე მას შემდეგ, კოჭლი სიმღერით

ვუმღერ და ვატკობ მომავალ ქსუფიდებს!”

მაგრამ „კოჭლი იამბისკენ“ მიბრუნება და ელინისტურ ლიტერატურაში მისი შემოტანა, ჰიპონაქსისკენ, მისი სტილისა და დიალექტისკენ დაბრუნებასაც მოასწავებდა. მართალია ისე არაა ჰიპონაქსი ჰეროდესთან წარმოდგენილი როგორც „რედივივუს“, მაგრამ ისე ცოცხლობს ჰეროდეს მიმიაბებში, როგორც მათზე მოქმედი ფერმენტი. უფრო მეტიც, იგი აძლევს მათ მეტრულ ფორმას, ტონს, ვგრძნობთ მის სუნთქვას, ვხვდებით მისგან პირდაპირი სესხების მომენტებსაც. ერთი სიტყვით, ჰიპონაქტია ის ერთ-ერთი ღუზა, რომელზეც დგას ჰეროდეს შემოქმედება.

მაგრამ, რამდენადაც დიდი უნდა ყოფილიყო ჰიპონაქსის გავლენა, მაინც არ მიუცია მას ჰეროდეს ნაწარმოებებისთვის ის ლიტერატურული ფორმა, რომელშიც ახლავ მოქცეული. ჰიპონაქსი - იამბიკოსია, მასთან პირველ ადგილზე დგას პირადი ინვექტივა, იგი უმეტესწილად სუბიექტივისტია. ამ თვალთახედვით მისი პოეზია ჰეროდესთვის საზიანოა. პოეტისთვის, რომელსაც ყოფითობის აღწერა უნდა, რათა ცხოვრებისეული სურათები გადმოგვცეს, მან გარკვეულწილად კომედიის ამოცანებსაც უნდა მოჰკიდოს ხელი. ამიტომ ჰეროდეს სულ სხვა,

უფრო შესაფერისი ჟანრი უნდა მოენახა. ასეთი ჟანრი იყო სწორედ მიმოსი, ე. ი. ყოფითი სცენა, რომელიც ძირითადად ხალხის ცხოვრებიდან წარმოსახავდა ყოფითობის სხვადასხვა მხარეს და ყოველდღიურობის ორომტრიალის ფონზე გამოჰყავდა ჩვეულებრივ ადამიანთა ტიპები. თავისი ფესვებით იგი ღრმად მიდიოდა ხალხურ შემოქმედებაში, ძირითადად დორიულ ქვეყნებში ვითარდებოდა და დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა მხატვრული ლიტერატურის საზღვრებს მიღმა. მე-5 საუკუნეში ჩვ. წ. აღ-მდე, მიმი, როგორც იქნა, შემოიყვანა ლიტერატურაში სირაკუსელმა სოფრონმა. მან გადაამუშავა იგი, შეუნარჩუნა მეტყველების პროზაული ფორმა, უბრალო ხალხური ენა, კომპოზიციაში შეიტანა სიმწყობრე, ისე, რომ ამით არ გაურთულებია ფაბულა და ამგვარად შექმნა ლიტერატურული მიმი, რომელსაც უნდა გადმოეცა ყოფა-ცხოვრება და მისი შინაარსი. უბრალო შეხვედრა, ვიზიტი, დღესასწაული, შეჯახება, - ყველაფერი ეს შესაფერისი ფონი იყო მიმისთვის და შემდეგ ამ შემთხვევით ფონზე ვითარდებოდა მონოლოგიური თუ დიალოგიური ხასიათის შესაბამისი სცენა. საუბარი მიმდინარეობდა ჩვეულებრივ, ზოგჯერ უბრალო ხალხურ ენაზე, თქმულებების, ანდაზების, ფხიანი სიტყვების თანხლებით. ასეთი საუბრებით ნათელი ეფინებოდა მოცემულ ადამიანთა ყოფას, მათ ზნეს, ჩვევებს, შეხედულებებს, ფიქრებსა და შეგრძნებებს, - ერთი სიტყვით, ყველაფერს, რისგანაც დგება გარკვეული ტიპი თუ ხასიათი. პარალელურად იზრდებოდა მთელი რიგი სასაცილო მდგომარეობები, უხეში, ხშირად სარისკო გამოვლინებები და ყოველგვარი ხასიათის წმინდა ყოფითი შემთხვევები, რის შემდეგაც მართლად და თვალშესახებად, ავტორის სუბიექტურ გრძნობათა ყოველგვარი მინარევების გარეშე, იხატებოდა ყოფითობის რომელიმე კუთხე. მსგავს ხასიათს ატარებდა სოფრონის მიმოსები და მათი ისეთი დასახელებები, როგორებიცაა “სიდედრი”, “ქალები ისთმოსის დღესასწაულზე”, “ქალები, რომლებმაც მთვარე ჩამოიტანეს დედამიწაზე”, “მეთევზე და მიწათმოქმედი”, “ქალები საუზმეზე”, უკვე თავისთავად გვიჩვენებს, თუ რა მრავალფეროვანი იყო მიმოსების შინაარსი და რა უსაზღვრო იყო დარგები მათი სიუჟეტებისთვის. მიმოსი განვითარდა სიცილიაში დორიულ ნიადაგზე და სოფრონის ხელით მხატვრულად გადამუშავდა, მაგრამ ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ თითქოსდა შეჩერდა მისი განვითარება. სოფრონის მიმოსები პლატონმა ათენში გადაიტანა, სადაც მას უმაღლესი ხარისხის გრძნობიერი შეხვედრა ჰქონდა და სოფრონი კვლავ ძველებური სინათლით ანათებდა. მაგრამ ეს მიმოსის ისტორიაზე არ აისახა. მხატვრული მიმოსი შემდეგში აღარ დამუშავებულა და როგორც მთელმა მან თითქოს დაასრულა თავისი განვითარება. მაგრამ აი, ბერძნული ლიტერატურის „კლასიკური“ პერიოდის შემდეგ დადგა ლიტერატურის „ელინისტური“ პერიოდი, რომელსაც ჰქონდა ყოველივე ანტიკურის შესწავლისა და მშობლიურ ნიადაგზე მისი გადატანის მიდრეკილება. მან არც მიმოსი დატოვა უყურადღებოდ. იგი ეცნობოდა მის გემოვნებებს, უკიდურეს შემთხვევაში, „რეალისტური“ მიმართულების გემოვნებებს, რომელიც არსებობდა მასში “აკადემიურ” მიმართულებათა გვერდით და ისე, რომ არ შეცვლილა მიმოსის შინაგანი ხასიათი და შინაარსი, მან აითვისა იგი როგორც ასეთი და შეუდგა მის გადამუშავებას. მაგრამ მიმოსის გადამუშავება შეიძლებოდა ორნაირად წარმართულიყო: უფრო ღრმად და ნაკლებად ღრმად. საკმარისი იყო ჩარჩოს შევიწროება და მიმოსი ხდებოდა ფაქიზ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს მოკლებული უპრეტენზიო სცენა, - მომენტალური ფოტოგრაფიული სურათი და პირიქით, საკმარისი იყო ჩარჩოს გაფართოება და მიმი კარგავდა მომენტალური ფოტოგრაფიული სურათის სახეს. იგი ხდებოდა რაღაც უფრო რთული, მთლიანი დრამატული

კომპოზიცია და თანაც ისეთი, რომელსაც შეეძლო სინათლე მოეფინა ადამიანის სულის მრავალფეროვანი მოძრაობისათვის, გრძნობებისა და განცდებისათვის. ამასთან, პოეტის ტალანტზე იყო დამოკიდებული, თუ ადამიანის სულის რომელ მხარეს დაეთმობოდა მომეტებული ყურადღება, - ნაზ, რბილ, შთამაგონებელ მხარეებს თუ უხეშ, მდაბალ, ცხოველურ გამოვლინებებს. პირველ შემთხვევაში, რეალისტურ მიმს შეეძლო თავის ორგანიზმში შეეშვა რომანტიზმის ნაკადი, ხოლო მეორე შემთხვევაში - იგი რჩებოდა რეალისტური Pორ Eხცელენცე.

ამ ორი მიმართულებით ვითარდებოდა მიმოსი ელინისტურ ლიტერატურაში ორი პოეტის, წმინდა რეალისტის ჰეროდესა და რომანტიკული ელფერის თეოკრიტოსის სახით. ამასთან, ერთსაც და მეორესაც შემოქმედებით ბაზად სოფრონის მიმები ჰქონდათ აღებული, რომელიც იმ მეორე ღუზად იქცა ჰეროდესთვის, რომელზედაც დგას მისი პოეზია.

ჰეროდე უფრო ახლოსაა სოფრონთან, ვიდრე თეოკრიტოსი. იგი ინარჩუნებს სოფრონის ტონის სიმწკლარტეს. მას არ აქვს ლირიკა, არ აქვს რბილი იუმორი, არც დასახატ სურათთა სიმკაცრის შერბილების სურვილი, - იგი ნაღდი ვერისტია. სოფრონის პროზის ლექსად შეცვლის დროსაც კი ქოლიამბს ირჩევს, ყველაზე ნაკლებ პოეტურ საზომს, თუმცა ყველაზე ახლოს მდგომს სალაპარაკო მეტყველებასა და სინამდვილესთან. ზუსტად ასეთს ვნახავთ მას ქვემოთ, მისი მიმების ანალიზის დროს - სოფრონის ტრადიციათა ერთგული, იგი თავს იკავებს რთული კომპოზიციებისგან და ღრმა ფსიქოლოგიური წვდომებისგან. მხოლოდ ისაა მისი მიზანი, რომ გადმოსცეს ცხოვრებიდან გადმოღებული სურათები და მეტი არაფერი.

სულ სხვა საქმეა თეოკრიტოსი. სოფრონისეული პროზის მაგიერ მიმოსში მას დაქტილური ჰეგზამეტრი შემოაქვს, მისთვის დამახასიათებელი ჰარმონიულობითა და ტონის მრავალფეროვანი ლივლივით. შემდგომ იგი არბილებს სოფრონის უხეშ რეალობას და მოუქნელობას, საერთო ესთეტიკურ სინატიფეს სძენს მას და რომანტიზმის შესამჩნევ ნაკადს ღვრის მასში. მეტიც, მას არ უნდა უბრალო ჟანრობრივი სცენების ვიწრო ჩარჩოებით დაკმაყოფილდეს. ამიტომ ლირიკულ ჩანართებს აკეთებს, კომპოზიციას ართულებს, ადამიანის სულის სიღრმეებში შეღწევას ცდილობს და აიდევალბს მას. ერთი სიტყვით, შეუძლია ყველაზე ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მდგომარეობის პოეტიზირება და სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებში ისეთი თვისებების გამოძებნა, რომლებიც თითქოს მალა სწევს მათ ამ ცხოვრებისეული ყლარტიდან და უხამსობიდან. ასე რომ, ჰეროდე და თეოკრიტოსი ორი ანტიპოღია და ერთმანეთს მხოლოდ იმით ჰგვანან, რომ ორივე სოფრონზეა დამოკიდებული.

იმის გამო, რომ სოფრონის შემოქმედება ჩვენთვის მხოლოდ ყველაზე ზოგადი სახით არის ცნობილი და მასზე მსჯელობა მხოლოდ მცირესიტყვიანი და მცირერიცხოვანი ნაწყვეტების მიხედვით გვიხდება, ჩვენ არ შეგვიძლია სათანადო სიზუსტით მივყვეთ, თუ რამდენად ღრმად ესესხებიან მას ჰეროდე და თეოკრიტოსი. ჩვენი მსჯელობები ამ მხრივ მხოლოდ მიახლოებითი ხასიათისაა. მაგრამ იმის მიხედვით, რაც გაგვაჩნია, შეგვიძლია ვთქვათ ის მაინც, რომ თეოკრიტოსის “ჯადოქარი” პარალელია სოფრონის მიმისა “ქალები - მთვარის ჩამომტანები”, რომ თეოკრიტოსის „სირაკუზელი ქალების“ მასალაა სოფრონის მიმოსი „ქალები ისტმიის დღესასწაულზე“ და რომ იგივე მიმი აისახა ჰეროდეს მიმში „ქალები ასკლეპიოსის ტაძარში“.

აქედან სხვადასხვა წვრილმანთა გაუთვალისწინებლად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ელინმა პოეტმა საკმარისად ისესხა თავისი ნათელი ძველი მიმოლოგოსისგან, მაგრამ ეს არ გამოირცხავს მათ ორიგინალობას და შედარებით თვითმყოფადობას. სრულად შეიძლება ითქვას, რომ სოფრონზე გადიოდა მათი გზა, მაგრამ ეს გზა მათ გაჰყავდათ სრულიად დამოუკიდებლად. ეს უფრო ჰეროდეს შეეხება მე მგონია, რომელიც ჰერზოგ-ის სიტყვებით რომ ვთქვათ, “იმდენად მიმბაძველი არ იყო სოფრონისა, რამდენადაც მისი მოწაფე და სულიერი ნათესავი”.

ასეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენზე ჰეროდე ძველი და ახალი კომედიებისადმი მისი დამოკიდებულების შეფასებისას. კომედია მისთვის, რა თქმა უნდა, კარგად ნაცნობი და ახლობელია: როგორც ყოველი ელინისტი პოეტი, იგი უპირველეს ყოვლისა პოეტა დოცტუს, მისი მიმების ენაში შეიძლება მოიძებნოს არისტოფანესა და მენანდრესთან დასესხების პირდაპირი ნიშნები. დასესხებულია მის მიმოსში გამოყვანილი ზოგიერთი ტიპიც. საკმარისია მივუთითოთ ტიპებზე - “ბანდირი” და “ზღვაოსანი”, რომლებიც შექმნა საშუალო და ახალმა კომედიამ და რომელთაც ვხვდებით ჰეროდესთან ბატარის და ფალესის სახით. ეს ყველაფერი მაინც არ გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ჰეროდე იყო მასწავლებლისგან მიღებული მასალის გადამწერი მოწაფე. ამ ლიტერატურული მასალის გარდა, მას ჰქონდა ცხოვრებისგან მიღებული მასალაც. დავუშვათ, რომ მის მიერ დამუშავებული ესა თუ ის ტიპი ადრეც არსებობდა. დაე, ესა თუ ის სიტუაცია კომედიაში მანამდეც იყო. საქმე ის არის, თუ როგორ ასახავს იგი ძველ ნიმუშებს, რა ახალი თვისებები შეაქვს მათში, რა ხარისხით ითვისებს თანადროულ ცხოვრებას და როგორ იჭერს მის ელფერს. მოლიერიც ხომ თავისი პარპაგონეს შექმნისას პლატუსის ევკლიონით ხელმძღვანელობდა. შექსპირიც ხომ “შეცდომათა კომედიებში” ვერ გაექცა პლატუსის პიესის “მენეხმის” ზეგავლენას. იგივე შეიძლება ითქვას ჰეროდეზეც. დიახ, მისი შემოქმედება ორ ღუზაზე, - ჰიპონაქსზე და სოფრონზე დგას. მაგრამ ამ ღუზების გარდა, მას სხვა ნავსადგურებიც აქვს. ეს ნავსადგური არის კომედია. და ამიტომ და მით უფრო, ხელეწიფება ჰეროდეს საკუთარი სახის შენარჩუნება. მისი სახეა, - თავისი დროის ყოფა-ცხოვრების ამსახველი პოეტის სახე, რომელსაც იგი ავლენს საკმაოდ მაღალხარისხოვნად და ამას მისი მიმების ანალიზებიდან დავინახავთ.

5.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰეროდე შორს იყო ძველ ოსტატთა მონური წაბაძვისგან. მის ამოსავალ წერტილს გარემომცველი ცოცხალი სინამდვილე წარმოადგენდა. ამ სინამდვილის გადმოცემას შეეცადა იგი მის მიერ შემუშავებული ხერხებით. როგორც ნამდვილი “მიმოლოგოსი”, იგი წერდა ყოველგვარი შეფარული აზრების, ყოველგვარი დიდაქტიკური ან სატირული ტენდენციების გარეშე. იგი ცდილობდა მხოლოდ ის გადაეღო, რასაც თვითონ ხედავდა და ესმოდა მის მიერ დასაკვირვებლად ამორჩეულ ადამიანთა გარემოში. ჰეროდესთან ისინი, ძირითადად, “პატარა ადამიანები” არიან, რომელთა ინტერესები ყოფითობას არ სცილდება. მათი ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი, მათი სიტყვები და ქცევები, მათი სიხარული და მწუხარება, ყველაფერი ეს ჰეროდეს სახით პოულობს ზუსტ და ერთგულ განმასახიერებელს. მიმის კანონთა მიხედვით, იგი არ ცდილობს ჩაუღრმავდეს თავის გმირთა ფსიქოლოგიას:

მისთვის საკმარისია უბრალო მომენტალური სურათის დაფიქსირება, იმისდა მიუხედავად, ცუდს გამოსახავს იგი თუ კარგს. ამიტომ არის, რომ ჰეროდოტე ყველა სცენას ყოველგვარი ვნებისა და განცდების გარეშე უდგება. იგი არ განიცდის თავის პერსონაჟთა ბედს. იგი არ არის თავის გმირთა წუხილით აღშფოთებული და არც მათი სიხარულით არის გახარებული. იგი ფოტოგრაფივით იღებს სურათებს და შემდეგ გამოფენს მათ ყველას გასაცნობიერებლად, თითქოს გვეპატიჟება დავინახოთ ჩვენი ცხოვრება და ვნახოთ, რა ხდება ჩვენი სიცოცხლის სხვადასხვა მოსახვევში. ასეთნაირად, თანდათანობით და გარკვეულად მიდის მაცურებელი იმ აზრამდე, რომ ჰეროდეს მიერ დახატული მილეუ-ს სრულიად შეეფერება სიტყვები: “ეს მიღწეა ნუიტს ეტ უნე ნუიტ”. „ნიფასტე სურ ლეს დეუბ ფაცეს ესტ ლ’ჰიპოკრისე, ეტ ლ’აურტე ლა პერვერსიონ“.

1. ჰეროდეს მიმების კრებულის პირველი სცენაა “მაჰანკალი ანუ შუამავალი”. თავის შეყვარებულს მოუთმენლად ელის ახალგაზრდა ქალი მეტრიქე. ეგვიპტეში წავიდა მანდრისი და უკვე ათი თვეა აღარაფერს იტყობინება. მაგრამ მეტრიქე მისი ერთგულია. მარტოობაში იმოკლებს სიცოცხლეს და ხელსაქმეს უზის სახლში. არავინაა მასთან გარდა თრაკიელი მონა ქალისა. სტუმრებს იგი არ ელის, მათთვის მას არ სცხელა. მაგრამ მოულოდნელად მაინც მოდის სტუმარი, ბებერი გილისა. ოდესღაც მან გაუწია მეტრიქეს დაუვიწყარი სამსახური: მან მოუწყო მას, ასე ვთქვათ, ეს ბედნიერება, - გააცნო და დაუახლოვა მანდრისი. ამიტომაც “დედილოს” რომ ეძახის მას მეტრიქე და უხარია მისი მოსვლა. ეჭვიც კი არ ეპარება, თუ ახლა რისთვის ეწვია იგი. მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ერთბაშად არ უხსნის თავის განზრახვას. პირიქით, გამოცდილი მაჰანკალი შორიდან იწყებს სიტყვას, ჯერ ზოგადი მინიშნებებით: რაღაც დიდი ხანია მანდრისი არ ჩანს! ხომ არ დაივიწყა მეტრიქე? არადა, რატომაც არა? ძალზე ბებერი სატყუარაა ეგვიპტეში ამ მხრივ! მარტო ქალები რაღაც ღირს! და თუ ეს ასეა, ღირს განა, რომ მეტრიქე ასე ელოდოს, იტანჯოს და სიხარული მოიკლოს. “ჩუეილლეზ ვოტრე ჯეუნესესე! ღუანდ ონ პერდ სონ ავრილ, ენ ოცტობრე ონ ს’ენ პეინტ”. აი, დასკვნა, რაზეც მიდის გილისა. ახლა უკვე ჩაყრილია საფუძველი დასაწყისისთვის და გაგრძელებაც შეიძლება. გილისაც ფრთხილად იწყებს მეტრიქესთან შუამავლობას ვიღაც ყმაწვილზე, რომელიც თითქოს ფლობს ყველა ღირსებას: ლამაზია და მდიდარი, ცნობილი ათლეტია და ქალიშვილივით მორცხვი, თავმდაბალი. ასეთთან მანდრისა რომ გააცურო, ცოდვაც არ არის. მით უმეტეს, რომ სიამოვნებასთან ერთად მოგებას ნახავ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მეტრიქე შეაწყვეტინებს ბებერს და ფაქიზი იუმორით იცილებს თავიდან შემოთავაზებულ წინადადებას. გადაჰყავს საქმე ხუმრობაში და უმასპინძლდება ღვინიანი თასით, რადგან გილისას უყვარს დაღვევა. გილისა მიდის იმ იმედით, რომ თუ მეტრიქესთან არაფერი გამოუვიდა, სამაგიეროდ, ორი სხვა მისი კლიენტი უფრო სიტყვაწყლიანი იქნება.

მაჰანკლის ტიპი, რა თქმა უნდა, ჰეროდეს დამოუკიდებელი ქმნილება არ არის. ეს ტიპი გვხვდება ევრიპიდესთან (შეად. ძიძა “ჰიპოლიტოსში”). იგი დახვეწა და გააღრმავა საშუალო და ახალმა კომედიამ, შეიტანა მასში დამატებითი წვრილმანები (ასე მაგ., მაჰანკალი ისევე როგორ ყველა მოხუცი ქალი, გამოყვანილია სმის მოყვარულად). ბერძნული კომედიიდან ის გადავიდა რომაულში და საბოლოოდ გადაბარგდა რომაულ ეროტიკულ ელეგიაში, სადაც მაჰანკლები,

მათვის დამახასიათებელი თვისებების გარდა, დახატულნი არიან ქურდბაცაცებად და ალქაჯებად. დასავლეთევროპულ ლიტერატურაში, მაქანკლის ანტიკური ტიპის ანარეკლად შეიძლება იქნეს მიჩნეული პლავტისა და ოვიდიუსის მსგავსად დამუშავებული შუამავალი მაცეტტე, რომელიც მოქმედი გმირია ლეგინიერ-ის 13 სატირში და ჯულიეტას ძიძა შექსპირის “რომეო და ჯულიეტაში”. რაც შეეხება რუსულ პოეზიას, მე აქ მივუთითებდი მაქანკალს, ნიკიტინის პოემა “მუშტში”: დიდებულადაა აქ დახატული მისი გარეგნული სახე, დიდებულია მისი პირიდან წარმოთქმული სიტყვები, რომელიც გილისას სიტყვების კარგ პარალელად გამოდგება.

ერთი სიტყვით, ჰეროდემ სრულიად გამზადებული ტიპი მიიღო. მან რა შეიტანა ახალი მასში? უკვე ზელინსკი აღნიშნავდა, რომ ახალია „შეუდარებელი მშვენიერება ხალხური სიტყვისა“. მაგრამ ამას გარდა, თვით გილისას სიტყვა იქცევს ყურადღებას. მე აღარ ვლაპარაკობ, რომ იგი ნამდვილი რეალისტური ტონალობითაა შესრულებული. იგი იმითაცაა კარგი, რომ ეს სიტყვა მომდინარეობს მიხედვით ჯერ ასეთი ტკბილია და დაშაქრული, ხოლო თანდათანობით, რაც უფრო და უფრო თავხედური ხდება, მით უფრო თანამიმდევრულად იხატება გილისას სახე. იგი რომ იტყვიან, “უსაპნოდ მიძვრება სულში”. გილისა ისე ლაპარაკობს, როგორც უნდა ილაპარაკოს მისმა მსგავსმა ადამიანმა. მის ხასიათში, მის სიტყვებში არ არის მისთვის შეუფერებელი თვისებები და რომ იყოს კიდევ, ამ სიტყვებს პოეტი ისე წარმართავს, რომ მათში არ გვხვდება არც ერთი ყალბი ნოტი, რომელიც არ შეესაბამება მის მიერ დახატულ ტიპს. და უნდა ითქვას, რომ ეს მას კარგად გამოუვიდა. გილისა ცოცხლად დგას ჩვენ წინ. რაღაც მცოცავი, გველური გამუდმებით იგრძნობა მასში. მიუხედავად მისი მოჩვენებითი გულითადობისა, როგორც გველი, უეცრად იხსნება და წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, ისევ იღებს გარეგნულად მშვიდ იერს, თუმცა ამ დროს ყველაფერი დულს მასში: საკმარისია მისი უკანასკნელი სიტყვების გახსენება. რაც შეეხება მეტრიქსს, მასზე ბევრი ლაპარაკიც არ არის საჭირო. ესაა ტიპი პატიოსანი ქალისა, ერთგული საყვარლისა და დახატულია ზოგადად, საკმაო სიღრმის გარეშე და თუ რაიმე ინტერესს წარმოადგენს, მხოლოდ იმით, რომ ერთადერთ დადებით ტიპად გვევლინება ჰეროდეს მიერ დახატულ ყველა სხვა ტიპთან შორის. უარყოფითი ტიპები უფრო გამოუდის მას და ამ მხრივ ყველაზე წარმატებულ ტიპად შეიძლება ჩაითვალოს “ბანდირის”, ანუ მაქანკლის ტიპი მეორე მიმოსში.

2.

ამ მიმოსში, რომლის სათაურია “ბანდირი”, ანუ მაქანკალი, - ჩვენ ვესწრებით სასამართლო გამოსვლებს, სასამართლო სიტყვებს, რომელსაც წარმოთქვამს გორკის “ფსკერის” ერთ-ერთი ელინისტური წარმომადგენელი, მაქანკალი ბატარი, - სასაცილო და ამასთან ამაზრზენი ტიპი, რომელიც ცდილობს ტალახში ამოსვაროს თავისი მოწინააღმდეგე და შეურაცხმყოფელი, პურით მოვაჭრე მდიდარი ფალესი; ეს უკანასკნელი ღამით შეიჭრა ბატარის დაწესებულებაში, კინაღამ ხანძარი გააჩინა იქ, სცემა მეპატრონე, ძალით წაიყვანა ერთ-ერთი გოგო და ყოველმხრივ შეურაცხყო და დაამცირა იგი. ყველაფერ ამას ჰყვება ბატარი თავის სიტყვაში და ეს სიტყვა არის მაღალი სტილის ჩვეულებრივი სასამართლო სიტყვის ფაქიზი პაროდია. უკვე პირველი პუნქტი,

მის მიერ წაყენებული და, კერძოდ, ის, რომ მდიდარს არ უნდა ჰქონდეს სასამართლოში არავითარი უპირატესობა ღარიბზე, თავისი სიმდიდრის გამო, წარმოადგენს თავისებურ “ზოგად ადგილს”, რომელიც ატიკელ ორატორთა სიტყვებში გვხვდება. არც მეორე პუნქტი ატარებს სხვა ხასიათს: “კანონის წინაშე ყველა თანაბარია”. ასევე მესამე პუნქტი: “ვინც არ უნდა იყოს, კანონის დარღვევა არ ეპატიება, რადგან ამას შეუძლია შეარყიოს სახელმწიფოებრიობის საფუძვლები”. ამ სამ პუნქტს ავითარებს ბატარი და ცდილობს თავის პროცესს იმაზე დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს, ვიდრე იგი ამას იმსახურებს. მისი სიტყვებიდან გამომდინარეობს, თითქოს პროცესის წაგების შემთხვევაში წააგებს არა მარტო ის, როგორც კერძო პირი, არამედ საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივ უშიშროებასაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბატარი, როგორც ნამდვილი ათენელი ადვოკატი, ბუხს აქცევს სპილოდ, რომ როგორმე აჯობოს თავის მოწინააღმდეგეს. მან მშვენივრად იცის, რომ ეს უკანასკნელი ისეთივე უცხოელია, როგორც თვითონ იგი, მაგრამ მას აქვს დიდი უპირატესობა იმ მხრივ, რომ ფალესმა დროზე შემოიტანა პური და ამით “მოსპო შიმშილი ქალაქში”, ანუ სიკეთე გაუკეთა ქალაქს. საჭიროა ამ შთაბეჭდილების შემცირება და ბატარი ცდილობს ამ მიზანს მოქნილი სვლით მიაღწიოს: იგი ხაზს უსვამს, რომ ფალესმა პური გაყიდა და ტყუილად არ გარჯილა. ე.ი. ივაჭრა და მოგება მიიღო. ამიტომ იგი საკუთარი თავის კეთილისმყოფელია და არა ქვეყნისა და საზოგადოებისა. ამიტომ ფალესს არავითარი უპირატესობა არ აქვს ბატარზე, ისინი თანაბარნი არიან: ერთი პურით ვაჭრობს და მეორე - ქალებით. მათი სოციალური მდგომარეობა ერთნაირია: ორივე უცხოელია და რადგანაც ეს ასეა, ორივენი წყნარად უნდა ისხდნენ, დაემორჩილონ კანონს და არ უნდა დაარღვიონ იგი. ასე იქცევა ბატარი, რომელიც იცავს პრინციპს: “იცხოვრე ისე, როგორც გაჭირვება გკარნახობს და არა ისე, როგორც გსურს”. ფალესი კი იქცევა ისე, თითქოს უბრალო ფრიგიელი კი არ იყოს, რომელსაც მათრახით უნდა ასწავლო ჭკუა, არამედ ეს არტიმა ფარავს თავის ბარბაროსულ წარმომავლობას მყდერი ბერძნული სახელით “ფალესი”. თავისი ფულის იმედით არღვევს კანონებს, უფლებას აძლევს ხელებს, აყენებს შეურაცხყოფას და აწუხებს ღარიბ ადამიანებს. ამის მოთმენა არ შეიძლება: სამართლიანობის სახელით ფალესი უნდა დაისაჯოს, თორემ ისე ვერ იცხოვრებს არათუ ბატარი, არამედ ვერც ერთი უცხოელი, რომლებიც (ეს იკითხება სტრიქონთა შორის) იძულებულნი იქნებიან დატოვონ ქალაქი, სადაც მეფობს არა სამართალი, არამედ დანაშაული, ამრიგად, წვრილმანი, კერძო შემთხვევა ბატარმა აქცია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ და ამის შესაბამისად, იგი დაუღალავად ამკობს თავის სიტყვას ლისიას ან დემოსთენეს მსგავსი პათეტიკური ტირადებით.

მაგრამ ბატარი ბატარი არ იქნებოდა, თუ სიტყვაში პირობით პათოსს არ დაურთავდა მთელ რიგ დამატებით დეტალებს, რომლებიც ზუსტად წარმოაჩენდა მის სახეს. ყოველთვის უწმაწურობამდე დადის იგი, ხუმრობს, ენამახვილობს და ყველაზე უხემ და უცენზურო იმ ქუჩურ სიტყვებს ხმარობს, რომლებიც პრაქტიკულად იხმარება მის “ბანდირულ” პროფესიაში. რად ღირს სიტყვის ის ადგილი, სადაც იგი აქებს თავის ხელობას, რომელიც მის ოჯახში მემკვიდრეობით საქმედ არის ქცეული. არანაკლებია ის პასაჟი, სადაც მას გამოჰყავს მოსამართლეთა წინ ფალესის მიერ შეურაცხყოფილი გოგო და მათ გრძნობებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, წინადადებას აძლევს გოგოს გაიხადოს მოსამართლეთა წინაშე. იმის გამო, რომ გოგო თამაშობს როლს შაინტე ნიტოუცკე, იპრანჭება და მერყეობს, იგი მამობრივი ტონით ურჩევს მას განაგდოს ეს მაცდური სირცხვილი: დაე, მან იცოდეს, რომ მოსამართლენი მას

მხოლოდ ძმური და მამობრივი თვალთ შებედავენ! დაბოლოს, არანაკლებ თვალსაჩინოდ წარმოჩნდება ბატარის ნამდვილი სახე იქ, სადაც იგი, ასე ვთქვათ, ა პორტ ფალესთან, წინადადებას აძლევს მას მშვიდობიანად გაათავონ საქმე: გადაუხადოს ბატარს ფულის ნაწილი. ფული დადოს მაგიდაზე! ხოლო მაშინ კი, რაც უნდა, ის ქნას. თუ უნდა ისე აწამოს კიდეც ბატარი, როგორც უკანასკნელი მონა. ეს ბოლო ხრიკი, რომელიც განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ბატარის ნამირალობას, მით უფრო კომიკურია, რომ მას თანა სდევს საზეიმო დასკვნა, გადმოცემული ამაღლებული ტონით. მაგრამ აქ კი ვეღარ იკავებს თავს ბატარი: თავისი სიტყვის დასასრულს, იგი ისევ მდაბალ გამოხდომას აკეთებს, - რაც უკანასკნელ აკორდად გაისმის.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მაჭანკლის ტიპი ძალზე კარგად, იშვიათად გამოუვიდა ჰეროდეს. ბატარი - ღირსეული ალტერ ეგო-ა გილისასი. როგორც მაჭანკალს შეეფერება, იგი მოქნილია, ეშმაკი, მოხერხებული; ენაწელიანი, ყოველთვის მზად აქვს ანდაზები და ზუსტი გამოთქმები: იგი ორატორია თავისი ბუნებით! მაგრამ ამასთან ერთად ბატარი ხარბი და უხეშია; მან არ იცის სირცხვილი. მის თავხედობას საზღვარი არ აქვს; მისთვის ყველა საშუალება ხელმისაწვდომია და ყველაფერს იყენებს: მოსამართლეებთან ფარისევლობასთან ერთად იგი ჭუჭყში სვრის ხან თავის თავს, ხან მის მოწინააღმდეგეს და ბოლოს ვარდება მინორულ თუ ცრუპათოსში, დაწეულ ტონალობაში. ერთი სიტყვით, იგი რიგრიგობით გადასინჯავს ყველა კლავიშს, რათა მიიღოს საჭირო ბგერები და ამისთვის არავითარ დისონანსებს ყურადღებას არ აქცევს.

რა თქმა უნდა, ჰეროდეს მიერ გამოყვანილი ეს ტიპი მაჭანკლისა მთლად ახალი არ არის: ჰეროდემდე ბევრად ადრე შექმნა იგი კომედიამ. საშუალო კომედიის წარმომადგენლები ევბული და ანაქსილი არამცთუ გმირად აქცევენ მაჭანკალს, არამედ პიესას აძლევენ მის სახელს - “ბანდირი”. ასევე იქცევა ახალი კომედიაც ფილემონას სახით, მენანდრა და პოზიდიპა :“ბანდირი” ხდება მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პერსონაჟი და შემდეგ გადადის იგი პლაგატუსისა და ტერენციუსის რომაულ კომედიებში.

თავისთავად იგულისხმება, რომ ბერძენი კომიკოსები თანდათან აღრმავებენ და ხვეწენ მათ მიერ შემოყვანილ ტიპს, ამარაგებენ მას მთელი რიგი სპეციფიკური ხასიათის მხარეებით, აგრეთვე ქმნიან მისთვის მთელ რიგ ისეთ სიტუაციებსა და მდგომარეობებს, სადაც იგი გამოავლენს თავისი ხასიათის მთელ რიგ უარყოფით თავისებურებებს. დაბოლოს, ისევე როგორც კომედია, მაჭანკალს ახასიათებს მისგანვე ბევრით დასესხებული ბერძნული რომანი. საკმარისია მივუთითოთ შესაბამის ადგილზე “ისტორია აპოლონიი რეგის თყრი”, სადაც ბანდირი გოგოს თხოვნას, შეიბრალონ მისი უმანკოება, პასუხობს: “ნუთუ არ იცი, ჯალათსა და მაჭანკალზე რომ თხოვნა და ცრემლები არ ჭრის?” ამრიგად, “ბანდირი” როგორც კომიკური ტიპი, თანდათან სრულ ფორმირებას განიცდის და მზა სახით უვარდება ხელთ ჰეროდეს. მაგრამ დაე, ნუ არის ახალი თვითონ მაჭანკლის ტიპი, იგი მაინც ახალია ჰეროდეს მიერ მისდამი მინიჭებული ინტერპრეტაციით. ახალია ენის ოსტატური ხმარების მიხედვით, რომელიც გაჯერებულია ანდაზებით; ახალია მასში ჩადებული ექსპრესიითა და სიცოცხლით. ბოლოს და ბოლოს, ტყუილუბრალოდ არ გახდა ძველი მსოფლიოს ლიტერატურაში ჰეროდეს ბატარი მაჭანკლის უარყოფითი ტიპი. უკვე ეს ერთი უჩვენებს, რომ ჰეროდეს მიერ შექმნილი პერსონაჟი უბრალო ასლი არ იყო: ელინელმა პოეტმა შეძლო „ძველ ტიკში ახალი ღვინის ჩასხმა”.

დაბოლოს, რაც შეეხება, ფალესს, რომლის წინააღმდეგაც ბატარი გამოდის, მისი სახით გამოყვანილი ტიპი ვაჭარი ზღვაოსნისა, ჰეროდეს მიერ დახასიათებულია ისეთნაირად, როგორც მას ახასიათებდა ახალი კომედია, ე.ი. უხეში, თავხედი და დებოშისადმი მიდრეკილი მოძალადე, ანუ ავლა გელიას სიტყვებით რომ ვთქვათ ალიენუმ აბ ომნი ჰუმანიტატე. მაგრამ თუ კი ფალესი მხოლოდ იმისათვის სამართლდება, რომ ბატარის დაწესებულებაში შევარდა და იქ მთელი რიგი ნებადაურთველი ექსცესები განახორციელა, მაშინ უკვე სუფთა ცხოვრებისეულ სისხლის სამართლის შემთხვევაზე და ისიც საროსკიპოში ჩადენილზე მოგვითხრობს ერთი პაპირუსი. იგი პროცესუალური ოქმის ამონაწერია.

ვინმე დიოდემოსი, დეკურიონი, წარმოშობით ალექსანდრიელი სამართლდება მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მკვლელობისთვის, რომელთანაც იგი განსაკუთრებულად იყო განწყობილი და მასთან არაერთხელ უქეიფია საროსკიპოში. მოწმედ გამოდის მოკლულის დედა თეოდორა, რომელიც მკვლელისგან მოითხოვს ზარალისა და დანახარჯის გადახდას, რადგან მისი მოკლული ქალიშვილი, რომელიც მან სიღარიბის გამო მოათავსა ბანდირთან (შუამავალთან - მთარგმნ.) საროსკიპოში, იყო მისი ერთადერთი მარჩენალი. ეგვიპტის პრეფექტის გადაწყვეტილებით დიოდემოსი, როგორც რომელიც მოქალაქე, ხმლით გაიროზგება, თეოდორას კი, რომელიც ერთადერთი მარჩენალი ქალიშვილის სიკვდილის გამო კარგავს არსებობის ყოველგვარ საშუალებას, საკომპენსაციოდ ენიშნება ბრალდებულის ქონების მეათედი ნაწილი. ასე რომ, თუ “ახალი” კომედია უფრო უხეშია, ვიდრე მიმი, და ჩვენს წინაშე გამოჰყავს მხოლოდ კომიკური ტიპები, მაშინ ნამდვილი ცხოვრება ხომ ყოველგვარი შერბილების გარეშე თვალწინ გადაგვიშლის თავისი ტრაგიკულობით საშინელ შემთხვევებს. რომელი უფრო მეტია? ერთი მხრივ, დედა, რომელიც ერთადერთ ქალიშვილს აბარებს საროსკიპოში, რათა მის ხარჯზე თავი ირჩინოს, თუ პატივცემული მოქალაქე, ქალაქის დეკურიონი, რომელიც კლავს ერთ-ერთ იმ ქალიშვილს, რომელთანაც დღიდან დღეზე ატარებდა საღამოებსა და ღამის საათებს! ცხოვრების გრიმასები სად უფრო მახინჯი და მოქმედია?

3.

თუ წინა მიმოსში გილისასა და ბატარის სახით გამოყვანილია საზოგადოების ნამძირალები, სამაგიეროდ, მე-3 მიმოსში “მასწავლებელი”, პოეტს სხვა სფეროში გადავყავართ. ჩვენ წინაა სკოლა, რომელსაც ლამპრისკი ინახავს. იგი პროტოტიპია იმ “მოჩხუბარი” ორბილისა, რომელზედაც ასე ლამაზად მოგვითხრობს ჰორაციუსი. ლამპრისკთან მიდის საცოდავი ქვრივი მეტროტიმე თავის შვილთან კოტალასთან ერთად. მაგრამ მისი მოსვლა განსაკუთრებული ხასიათისაა: ბიჭი მან სასწავლებლად კი არ მოიყვანა, არამედ იმისთვის, რომ მკაცრმა მასწავლებელმა აიძულოს იგი ჭეშმარიტების გზას დაადგეს, ანუ გაიროზგოს. მეტროტიმე აღარ ათავებს მჭევრმეტყველებას. იგი გახარებულია, რომ მიეცა შემთხვევა თავისი მწუხარების გამომჟღავნებისა და აღარ დაეძებს, უსმენენ თუ არა, აჩქარებით და აღელვებული იწყებს მთელი თავისი მწუხარების გადმოღვრას. ბიჭს სწავლა არ უნდა და არც სწავლობს. კალაპოტში მისი ჩაყენების ყველა ცდა ამაოა. მხოლოდ თამაშები და დღესასწაულები არის მისი ფიქრისა და ოცნების საგანი. უფრო მეტიც, მან ნაცნობობა დაამყარა ათასნაირ ღარიბ-ღატაკთან. დადის

სათამაშო პრიტონებში, მთელ დღეებს სახლის გარეთ ატარებს, უსაქმოდ დაეხეტება სადაც გაუხარდება. იმ უიშვიათეს საათებშიც კი, როცა სახლშია, არაფერი სარგებლობა არ მოაქვს: სახურავზე ზის და ერთადერთი შედეგი ამისა ისაა, რომ კრამიტები ისე ხმაურობს მის ფეხქვეშ, როგორც “ტკბილი ორცხობილები”. შედეგად ახალი ხარჯებია: მეტროტიმამ უნდა შეაკეთოს დაზიანებული სახურავი, მას კი ფული არ აქვს, - ფული სწავლის ქირისთვისაც კი არ ყოფნის. ერთი სიტყვით, მეტროტიმას მთელი იმედები, რომ მისი შვილისგან რაიმე გამოვიდოდა და იგი იქნებოდა “შავ დღეებში მისი ნუგეში”, სულ ტყუილი აღმოჩნდა. არავითარი დაპირება მასზე არ მოქმედებს, - სულ წავიდა ხელიდან. ერთილა დარჩა: კარგი ჭკუის სწავლება! დაე, ლამპრიკმა მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი, - იქნებ რამე სარგებლობა მოიტანოს! და აი, იწყება საზეიმოდ წარმოდგენილი გაროზგვის სცენა, გახალისებული კოტალას მასწავლებლის ირონიული შენიშვნებით, კოტალას ყვირილით და მეტროტიმას მოთხოვნებით უფრო ძლიერ და უფრო ხანგრძლივად სცემონ ბიჭს. “გველზე ჭრელია” კოტალა ამ ეგზეკუციის შემდეგ, მაგრამ დედამისი მაინც უკმაყოფილოა და ლამპრიკსი მას აწყენარებს დაპირებებით, რომ უახლოეს მომავალში განაახლებს დასჯას.

სრულიად შესაფერის ეპიგრაფად გამოდგებოდა ამ სცენის პერეცეპტი, რომელიც ერთ ეგვიპტურ სამოსწავლო დაფაზე გამოსახული: (...) - “შრომა გიყვარდეს, ბიჭო, თუ გინდა, რომ გაროზგვას გადაურჩე.” კარგი თვალსაჩინო ილუსტრაციაა პომპეის ყოვლად ცნობილი ფრესკა, რომელზედაც გამოსახულია ურჩი მოსწავლის როზგებით დასჯის სურათი. ჩვენთვის თავად გაროზგვის სცენა იმდენად საინტერესო არაა, რადგან იგი ძალიან რეალისტურად და უხეშად აქვს ჰეროდეს გადმოცემული, ვიდრე ის პერსონაჟები, რომლებიც მიმოსში არის გამოყვანილი და რომელთა შორის პირველი ადგილი თვითონ მეტროტიმეს უჭირავს. ესაა ხალხის წიაღიდან მოსული ქალის ტიპი, დამარღვული და უფლებსმოყვარული, რომლის ენერგიაზეა მთელი მისი ოჯახის სიკეთე დამოკიდებული. დამხმარეები მას არ ჰყავს. ჰყავს მხოლოდ მამა, “ნახევრად ბრმა და ნახევრად ყრუ მოხუცი”, რომელიც სრულიად დაუძღურებულია: იგი როგორც იტყვიან, ზედმეტი პირია. სიძნელეებისა და უქონლობისგან გაჭყლეტილი მეტროტიმე აქეთ-იქით ასკდება როგორც თევზი ყინულის კედელს, რომ როგორმე ზედმეტი კაპიკი იშოვოს, ხოლო ფული ისე ცოტაა, რომ კოტალას სწავლისთვის ყოველთვიურად შეტანილი გროშებიც კი თავდაყირა აყენებს მთელ მის ანგარიშებს. მუდმივი გაჭირვებისაგან მეტროტიმე გამოიფიტა. ყოველდღიურობაში თავჩარგული იგი სრულიად განიდარცვა ყოველგვარი სიბრალოლის გრძნობებისგან. მასში დულს ყველაფერი, და მისი სულის მდგომარეობას გამუდმებულად ემატება მწარე აზრები თავის გზააზნეულ შვილზე, რომელმაც გაამტყუნა მთელი მისი იმედები. როგორც კი გაახსენდება, თუ რას ელოდა და რა მიიღო კოტალასგან, მაშინვე გაცოფება იპყრობს და მაშინ მისმა ბოროტებამ თავშეკავება აღარ იცის.

ერთი სიტყვით, მეტრონიმე ჩვენ წინაშე დგას როგორც ცოცხალი, ყველა თავისი ღირსებითა და უღირსობით. მაგრამ არანაკლებ ცოცხლადაა დახატული სკოლის ვითარება და სკოლის მეთაური ლამპრისკი, რომელიც “მწარე როზგით აღნიშნავს” დამნაშავე მოსწავლეებს. იგი, მისივე საკუთარი სიტყვებით, “ნაღველითა სდულს” და შეუძლია როცა ეს საჭიროა, გამოამჟღავნოს უხეში იუმორიც. კარგია კოტალაც, ხელიდან წასული ბიჭის უიმედო ტიპი, რომლისთვისაც უკვე პატარაობიდანვე აღარაფერი წმიდა ამ ქვეყანაზე აღარ არსებობს და რომლის დასჯამ ძნელად

რომ რამე შედეგი გამოიღოს. მაგრამ არანაკლებად, ვიდრე მოქმედი პირები, არის დახატული ღარიბი ოჯახის ყოფა, სადაც ყველაფერი დედის მხრებს აწევს და სადაც ნათელი არსაიდან არ ჩანს: თვით სუსტი იმედიც კი მომავალში შვილისგან დახმარებისა, ტყუილი გამოდგა.

4.

მართალია მძიმეა ღარიბთა ცხოვრება ამქვეყნად, მაგრამ მათაც აქვთ წუთები სულიერი დამშვიდებისა და ყოველდღიურობისგან ხანმოკლე დასვენებისა. ამას გადმოსცემს თეოკრიტოსის მიმოსი “სირაკუსელი ქალები” და ამასვე ეხება ჰეროდეს მე-4 მიმი “ქალები ასკლეპიოსის ტაძარში”. ჩვენ კუნძულ კოსზე ვიმყოფებით, ასკლეპიოსის ტაძარში. თენდება. ტაძართან ორი მლოცველი ქალი მოდის, ორი მეგობარი - კოკალა და კინა, რომელთაც თან ახლავთ მონა. ისინი მოვიდნენ, რათა ღმერთზე ილოცონ და ავადმყოფობათაგან განკურნებისათვის მამალი შესწირონ: უფრო დიდი მსხვერპლისთვის არ ეყოთ საშუალებები. ღმერთ ასკლეპიოსს ლოცვებით, რომელშიც რიტუალურ წვრილმანებს ენაცვლება მიამიტობა, მიმართავს კინა. იგი, როგორც გამოცდილი, ყველაფერში ხელმძღვანელობს თავის მეგობარს. მისთვის კარგადაა ცნობილი არა მარტო საწესჩვეულებო მხარე მთელი თავისი წვრილმანებით, არამედ ტაძრის ყველა ღირსშესანიშნაობაც და იგი, როგორც კარგი გიდი, კოკალას ყურადღებას მიაპყრობს ყველაფერზე, რაც დათვალთქმის ღირსია. რადგანაც მეგობრები ძალიან ადრე მოვიდნენ და ტაძარი ჯერ კიდევ დაკეტილია, ამიტომ კოკალა ჯერჯერობით ეცნობა მთელ რიგ სკულპტურებს, რომლებიც ტაძრის წინ, საკურთხეველთან არის თავმოყრილი. იგი ყოველად მიამიტურად გამოხატავს თავის აღტაცებას მისთვის უცნობ ხელოვნების ნიმუშთა ხილვისას. იგივე გრძელდება შემდეგაც, როდესაც ტაძარი გაიღება და მეგობრები მლოცველებთან ერთად ჯგუფურად შევლენ ტაძრის სიღრმეში. კოკალას ყურადღებას იპყრობს აპელესის სურათი, რომელიც მსხვერპლშეწირვის პროცესიას გამოხატავს. კოკალა გაოცებულია. აღტაცების გადმოსაცემად სიტყვებს ვეღარ პოულობს. მისი მოძახილის როლს ასრულებს კინა. მთავარი, რაც ქანდაკებასა და სურათებში ატყვევებს მეგობრებს, ესაა სინამდვილის სრული ილუზია, რომელსაც ისინი იძლევიან: როდესაც ნახეს ქანდაკება “ბიჭი ბატით”, კოკალა ელოდება, რომ “ბატმა დაიყიყინოს”. ქანდაკებაზე, სადაც გამოსახულია გოგონა, რომელიც გულისთქმით შეჰყურებს ვაშლს, კოკალა წამოიძახებს: “თუ ახლა იგი ნაყოფს არ მიიღებს, ალბათ სულს განუტეებს”. ბოლოს იგი ცოცხალი ჰგონია და არა ხელოვნური. განსაკუთრებით სიცოცხლით აღსავსედ მიაჩნია ხარი და მიამიტად შენიშნავს: “მრცხვენია, რადგან ქალი ვარ, თორემ ისე ვიკვილებდი, როგორც ხარის ნარჩოლი”.

ერთი სიტყვით, კოკალა და მასზე უფრო თავშეკავებული კინა ისე აღტაცებულნი არიან, როგორც არის ხოლმე აღტაცებული გაუნათლებელი და ხელოვნებაში გაუთვითცნობიერებელი ხალხი: რაც მეტი სიცოცხლეა, ის უფრო იზიდავთ და მზად არიან ყოველ გამოსახულებას შეეხონ, ყოველი საგანი გასინჯონ, თან ლამის ყველას მოსთხოვონ მათი გულუბრყვილო აღტაცების გაზიარება. მაგრამ ეს არ უშლით ხელს გზადაგზა გინებით დააცხრნენ ტაძრის თანამშრომელს. ერთი სიტყვით, ცოტა ხნით თავი დააღწიონ იმ ყოველდღიურობას, რომელსაც მიეჩვივნენ და რომელში ჩაფლულთ ეჩვენებათ, რომ რელიგიას და მასთან დაკავშირებულს ყველაფერს

შეუძლია სულ ცოტა ხნით, რამდენიმე მოკლე წამით მაინც წამოსწიოს ისინი მიწიდან. ამ მხრივ, თეოკრიტოსის “სირაკუსელი ქალები” უფრო მგრძობიარე და პოეტურია, ვიდრე ჰეროდეს მომლოცველი ქალები. სამაგიეროდ, ჰეროდეს ქალები უფრო რეალისტურები და უფრო ცხოვრებისეული არიან თავისი უხეში უშუალოებით. თქმა იმისა, რომ კოკალასა და კინას ფიგურები დეტალურადაა დამუშავებული, არ შეიძლება. ისინი ზოგადად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ ისე, რომ ერთმანეთის კონტრასტებს წარმოადგენენ. კინა უფრო დადებითია. თავს უფრო განათლებულად მიიჩნევს. თავის მეგობარს გულკეთილი მფარველობით ექცევა და ხელმძღვანელი როლიც მას ეკუთვნის. კოკალა უფრო უბრალოა და გამოუცდელი, ნაკლები უნახავს, ყველაფერი სიახლე იპყრობს, რაც გონებაში აქვს, ის აქვს ენაზეც. პრიმიტიული ექსპანსიურობიდან გამომდინარე, არ შეუძლია თავის გრძობათა და განცდათა შეკავება.

შესაძლებელია, რომ პოეტს არ სურდა თავისი გმირების სახის გაღრმავება. მიმში მთავარ როლს ღმერთ ასკლეპიოსის ტაძარი თამაშობს, მასში თავმოყრილი ხელოვნების ნიმუშებითურთ. იგი თითქოს ჩრდილავს თავისი სიმდიდრით დანარჩენ გმირებს და ამ სიმდიდრეს, ტაძრის ამ მნიშვნელობას ცდილობს პოეტი თავის პერსონაჟთა პირით მიაქციოს მკითხველთა მომეტებული ყურადღება.

მაგრამ თუ გავიხსენებთ, როგორც ამას *ჰეზოგ*-ი აკეთებს, რომ სწორედ ჩვ. წ. აღ-დან მე-3 საუკუნეს ეკუთვნის ღმერთ ასკლეპიოსის აღზევების პროპაგანდა კოსზე მისი ტაძრის და კულტის გაფართოებისთვის, მაშინ მეტისმეტად გაბედული აღარ იქნება ვარაუდი იმისა, რომ ჰეროდეს მიმი “ეინ ცლიცდ ინდეზ პროპაგანდა სეინსოლოტე”. მაშინ კიდევ უფრო გასაგები გახდება ის აღტაცება, როგორითაც არის აღწერილი ტაძრის ღირსშესანიშნაობები და ის ლოცვა ღმერთისადმი, რომლითაც მიმი იწყება. მაგრამ თუ ეს ჰიპოთეზაც *ჰეზოგ*-თან არასაკმარისად მტკიცედაა დასაბუთებული, მაინც, მით უფრო იმსახურებს ყურადღებას, რომ ჩვენ მიერ გარჩეული მიმი ძვირფასია არქეოლოგიური თვალსაზრისითაც. როგორც ამ გათხრებმა გვიჩვენა, იგი იშვიათი სიზუსტით აგვიწერს ასკლეპიოსის ძველ ტაძარს კოსზე, მის გადაკეთებამდე და უფრო მდიდრული და ფართო ტაძრით მის შეცვლამდე. არც ერთი შეცდომა არაა ჰეროდეს აღწერაში. ყველაფერი დაწვრილებითაა გადმოცემული და ჩვენ, შევყურებთ რა ტაძრის ნარჩენებს, თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, სად იდგა ქანდაკებები, - შენახულია მათი ბაზისები, რომელსაც აღფრთოვანებით შესცქეროდნენ ჰეროდეს მლოცველები, სადაც იმყოფებოდა გრანტიტისგან გამოთლილი გველი, რომლის ხახაშიც უშვებდნენ ისინი თავიანთ შესაწირავს და სადაც იყო ასკლეპიოსის და მისი ოჯახის სტატუეტებით მორთული საკურთხეველი, რომლის წინაც ჰეროდეს წარმოდგენით, წარმოთქვამს თავის ლოცვას კინა. პოეტი - რეალისტი აქაც თავისი თავის ერთგული დარჩა: მან გამოსახა ის, რაც თვითონ არაერთგზის უნახავს, რითაც თვითონ არაერთგზის აღტაცებულა. მხოლოდ ერთში შეცდა იგი: უბრალო ქალისთვის ზედმეტად მხურვალედ აქებს კინა ასკლეპიოსს და მეტად გამართულად საუბრობს პრაქსიტელეს ვაჟიშვილებზე. ამით იგი ხელოვნების ამ მოღვაწეთა მიმართ თვითონ პოეტის მიდრეკილებებს ხომ არ გამოხატავს? რაც შეეხება თავისი მიმოსის ნიმუშებს, მათი მონახვა ადვილად შეეძლო ჰეროდეს კლასიკური პერიოდის ძველ ბერძნულ ლიტერატურაში. უპირველეს ყოვლისა, მას შეეძლო ეპიქარმოსის კომედიებით სარგებლობა, სადაც აფენიას

სიტყვებით “ღვთისმოსავეები ათვალიერებდნენ დელფოში ალექმის მიხედვით შემოწირულობებს და თითოეულ მათგანზე გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს”. შემდეგ კარგი მასალა შეეძლო ჰეროდესთვის მიეცა ევრიპიდეს ტრაგედიას “იონს”, რომელშიც კრეუსას თანამსახურნი, დელფოში მისვლისას, ტკბებიან აპოლონის ტაძრით, ათვალიერებენ როგორც ფრონტონის ქანდაკებებს, ასევე რელიეფს და ერთმანეთს უზიარებენ აზრებსა და შთაბეჭდილებებს. დაბოლოს, უნდა გავიხსენოთ სოფრონის მიმიც “ქალები ისტმის დღესასწაულზე”, რომლის ნიმუშის მიხედვითაც თეოკრიტოსმა შეადგინა თავისი 15 იდილია, თავისი “სირაკუზელი ქალები” და რომელსაც ასევე შეეძლო გავლენა მოეხდინა ჰეროდეზე. მაგრამ თუ ჩვენ შეგვიძლია ამ ლიტერატურული პარალელების მიყენება ჩვენი მიმისთვის, მეორე მხრივ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა დოზით იმოქმედა ჰეროდეზე ეპიქარმოსის და სოფრონის ნაწარმოებებმა და რამდენად გამოიყენა მან ისინი: ამ მიზნისთვის ძალზე ცოტა მასალა გვაქვს შემორჩენილი - ეპიქარმოსისა და სოფრონისგან მხოლოდ საცოდავი ნაგლეჯებია შემონახული.

5.

ნაკლებად სასიხარულო სურათი იხატება მე-5 მიმში, ვიდრე მე-4-ში. მისი სათაურია “ექვიანი”. ჩვენ აქ ვეცდებით ელინური “სალტიჩიხას”, ე. ი. ადამიანური პიროვნების დამონებისა და დამცირების სამეფოში. მართალია, ჰეროდეს გმირები და გმირი ქალები საერთოდ უხეშად ექცვიან თავიანთ მონებს, მათ არ თვლიან ადამიანებად, არ ინანებენ შეურაცხყოფელ სახელებსა და მკაცრ მუქარას. მაგრამ ის, რაც მე-5 მიმში არის წარმოსახული, კიდევ უფრო ბნელ სფეროში მიგვერეკება. ჩვენ ვესწრებით ექვიანობის ველურ სცენას, რომელსაც უწყობს ვნებებში მეტად მგრძნობიარე და თავშეუკავებელი ქალბატონი ბიტინე თავის საყვარელს, - მონას გასტრონს. მას ეჭვი შეაქვს გასტრონის ახლო ურთიერთობაში თავის მეზობელ ამფიტეასთან და მიუხედავად ხვეწნისა, იძულებით გამოტყდომისა და შეწყალების თხოვნისა, გაბაწრულს აგზავნის მას ეგზეკუციისთვის ვიღაც გერმონთან წისქვილში. წამის შემდეგ იგი მას უკან აბრუნებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ სიბრაზე სიკეთით შეეცვალა, - არა, მას უნდა ხელახლა დაამციროს იგი და დალი დაასვას. მხოლოდ თანამსახურის კიდილეს თხოვნა, რომელსაც გავლენა აქვს ბიტინეზე, იხსნის გასტრონს მძიმედ დასჯისგან: ბიტინე აპატიებს მას, მაგრამ დიდი ხნით? თუ მხედველობაში მივიღებთ მის ხასიათს, გასტრონი არაა ექვიანობის ახალი სცენებისგან დაზღვეული. მიმოსის დასაწყისში ტყუილუბრალოდ არ ეუბნება იგი ბიტინეს, რომ ის გამუდმებით ეძებს მიზეზებს და დღედაღამ განუწყვეტლივ სვამს მის სისხლს.

ბიტინე არის მიმოსის ცენტრალური სახე. მისი ახირებულობა, ცინიზმი, უხეშობა და თავშეუკავებლობა, ჰეროდემ დიდებულად გამოავლინა. ესაა საბოლოოდ გაუხამებული და გაუკუღმართებული ქალის, ფსკერზე დაშვებული ქალბატონის ტიპი.

თუკი ბოლოს და ბოლოს, იგი პატიობს გასტრონს, ესაა უდავოდ არა მასში გაღვიძებული სიბრაულის შედეგი, არამედ იმ მომხიბლაობის შედეგია, რომელიც თვითონ გასტრონს აქვს. კიდილას გამოქონაგება ხელს აძლევს ბიტინას: შეიძლება როლიც გაითამაშო და ლამაზი სხეული არ დააზიანო, ანუ “მგელიც მამლარი დარჩეს და ცხვრებიც მთელი გადარჩნენ!” მაგრამ ბიტინას

გარდა, ძალიან კარგად, თუმცა ძალზე ზოგადად, არის აღწერილი მთელი გარემო ვითარება: შიშისგან აკანკალებული შინამოსამსახურენი, შერისხული, აგერ ახლახან კი გათავხედებული და თვითკმაყოფილი საყვარელი, ყმობაში მისი ამხანაგების მისდამი დამოკიდებულება, მასზე ხელის აღმართვას რომ ვერ ბედავენ - ყველაფერი ეს ისეთ დამაღონებელ ზეგავლენას ახდენს, რომ ვეღარ სუნთქავ: ირგვლივ თითქოს გაუვალნი წყვილია და იქიდან თავის დაღწევის საშუალება აღარაა!*** PAGE 93 ***

ძნელია იმის თქმა, თუ საიდან აიღო ჰეროდემ თავისი მიმის შინაარსი. შესაძლებელია ცხოვრებამ და გარემომცველმა სამყარომ მისცა მას ეს მასალები. გარემომ, რომელშიც მაშინ მიმდინარე ზნეობრიობის დაცემის პირობებში, მსგავსი შემთხვევები ძნელად თუ იქნებოდა იშვიათობად გადაქცეული. მართალია, “ცხოვრების სარკე”, ანუ ახალი კომედია, არ ეხება ასეთ საჩოთირო თემებს, თითქოს გვეუბნება, რომ მას ესენი არ შეუმჩნევია. მაგრამ ეს, როგორც გონებამახვილურად შენიშნავს *ჰერზოგ-ი*, აიხსნება “ცენზურის დაუწერელი კანონით”, რომელსაც ემორჩილებოდა კომედია და აღარ გადმოსცემდა ცხოვრების ყოველნაირ მახინჯ გრიმასებს.

სხვა საქმეა მიმი. მას არაფერი აფრთხობდა და არ აშინებდა, როგორი საზიზღარიც იგი არ უნდა ყოფილიყო. და ჰეროდემ, რომელმაც გააშუქა მაშინდელი ცხოვრების ერთ-ერთი ჭუჭყიანი კუნჭული, არ იყო ამ მხრივ ერთადერთი მიმოლოგოსი. საკმარისია მივუთითოთ ანონიმურ, ე.წ. *ოქსირინქოსის* მიმოსზე, რომელიც შემოინახა ჩვ.წ. აღ. მე-3 საუკუნის ერთმა პაპირუსმა. ამ მიმოსშიდაც გამოყვანილია ქალი, რომელიც თავისი მონისგან, ეზოპესგან პასუხს ითხოვს მასში არსებულ და მისკენ მიმართულ ვნებაზე. მონას, შეყვარებულს თავისთანა მონაზე აპოლონიაზე, არ უნდა ქალბატონს თანაუგრძნოს. ამით გაღიზიანებული, იგი უბრძანებს შინამოსამსახურებს, მოკლან ურჩი და მისი შეყვარებულიც. მაგრამ შინამოსამსახურენი თითქოს ასრულებენ, მაგრამ სინამდვილეში არ ასრულებენ ამ ბრძანებას. განწირულნი ცოცხალნი რჩებიან, ხოლო ქალბატონი სხვა მონას შეაცდენს და შთააგონებს მას მოწამლოს მისი ქმარი, რათა გათავისუფლდეს მისგან და მისი ქონება ჩაიგდოს ხელთ. მაგრამ ეს გეგმაც არ განხორციელდება, ხოლო სიმახინჯე ბოლოს და ბოლოს დაისჯება.

ასე რომ, ჩვენ მიერ განხილულ მიმში ვხედავთ ჰეროდეს მიერ დამუშავებული თემის ვარიაციას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჰეროდეს სცენა თითქოს ამოგლეჯილია ცხოვრებიდან, მაშინ როდესაც *ოქსირინქოსის* მიმი მრავალ ისეთ წვრილმანს შეიცავს, რომლებიც აძლიერებს ეფექტს და კარგად მოფიქრებულის შთაბეჭდილებას სტოვებს. მისი დასათაურება ასე შეიძლება: “დანაშაულიდან დანაშაულისკენ”.

6.

კიდევ უფრო საჩოთირო თემას ეხება ჰეროდე თავის მე-6 მიმში. “მეგობარი ქალები, ანუ გულითადი საუბარი”. მეტრო, ახალგაზრდა ქალი, მონის თანხლებით მიდის თავის მეგობარ

ქალთან, კორიტოსთან. თავისდა საუბედუროდ, კორიტოს მონა ქალი საკმაოდ ჩქარა ვერ გამოუწევს სავარძელს სტუმარს. ეს ისეთ მრისხანებას გამოიწვევს კორიტოში, რომ იგი თავისი თავშეუკავებლობით მე-5 მიმის გმირს მოგვაგონებს. ლანძღვა და მუქარა სეტყავსავით ეყრება თავზე მონა ქალს და თუკი კორიტო უფლებას არ აძლევს თავის ხელებს, ესეც მხოლოდ სტუმრის პატივისცემის გამო და ამას იგი არც მალავს. მაგრამ სტუმარი ვერ ითმენს - მას საჭირო და მნიშვნელოვანი საქმე აქვს და თანაც ისეთი, რომ ზედმეტმა ყურმა იგი არ უნდა მოისმინოს. ამიტომ მონა ქალებს გაისტუმრებენ ოთახიდან. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი კარებიდან ისმენენ, მიყურადებით, ისეთი მანერით, როგორც ამას აკეთებენ “ძველ” და “ახალ” კომედიებში მონა ქალები. მოსასმენი კი არის - მეტად დამახასიათებელია ის ინტიმური საუბარი, რომელსაც მონების გასტუმრების შემდეგ შეუდგენენ მეგობრები. მეტროს უნდა გაიგოს, როგორაა გაკეთებული ტყავის ერთი ნივთი, რომელიც კორიტოს ეკუთვნის და მან შესანახად მიაბარა ერთ-ერთ თავის ახლო მეგობარ ქალს იმ პირობით, რომ სხვის ხელში იგი არ უნდა გადასულიყო. მაგრამ სწორედ სხვის ხელში ნახა იგი მეტრომ. კორიტო აღშფოთდება: ასე მოატყუო მისი ნდობა? მაგრამ დადებითი მეტრო ადვილად შეძლებს განრისხებული მეგობრის დაწყნარებას, მით უფრო, რომ კორიტო მართალია ბრაზიანია, მაგრამ იოლად გადაუვლის ხოლმე მრისხანება. წუთიც და მისი მრისხანებიდან კვალიც კი აღარ რჩება. მას ართობს მეტროს დაჟინება, იგი ილიმება და ბოლოს ასახელებს ამ ნივთის ოსტატს. ესაა მეტყავე კერდონი. კი, მაგრამ კერდონი რამდენიმეა და ისინი, ვისაც მეტრო იცნობს, რაიმე საინტერესოს შემქმნელები თითქოს არ უნდა იყვნენ. აღმოჩნდება, რომ არის მესამე, რომელსაც იგი არ იცნობს. სწორედ იგი ჰყავს კორიტოს მხედველობაში. და აი, დიდი ემფაზით (ბერძნ. - გამომსახველობით - მთარგმნ.) იწყებს იგი ამ კერდონის აღწერას, თანაც მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი ისე შეჭრილია მის მეხსიერებაში, რომ თითქოს ცოცხლად უდგას თვალი. მართალია, იგი დაბალია და მელოტი, მაგრამ სამაგიეროდ ოქროს ხელები აქვს! სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ მას ასე მალულად უხდება თავისი ნაკეთობების გაყიდვა. კორიტოს სიტყვებით, ამის მიზეზია “გადასახადის ამკრეფი”. მაგრამ, როდესაც გავიგებთ, თუ რა ხასიათისაა კერდონის ნაკეთობა, ნათელი შეიქნება მისი ასეთი საიდუმლო ქმედების მიზეზი. იგი არა იმდენად “გადასახადის ამკრეფებს” უნდა ემალეოდეს, რამდენადაც ქალთა ზნეობის მეთვალყურეებს, - იმდენად აკრძალულია ის ნივთები, რომლებსაც იგი აკეთებს და თავის კლიენტებში ასაღებს. კორიტო ტყუილად არ ამბობს, როდესაც მისი გაკეთებული ერთ-ერთი ნივთი აღწერა, რომ იმ ქალებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულად მძაფრ შეგრძნებებს ესწრაფვიან, არ არსებობს სხვა, უფრო შესაფრისი მეტყავე, ვიდრე კერდონია.

ასე, ნელ-ნელა ირკვევა, თუ რა “საგანია” საუბრის საფუძველი. კორიტო ურცხვად აღწერს მის აგებულებას და ხარისხს და არ ფარავს, რომ კერდონს ჰქონდა მეორე ეგზემპლარიც, რომელიც მას არ დაუთმო და ბოლოს და ბოლოს, მეტროს მიუთითებს იმ ქალზე, რომლის მეშვეობითაც შეძლებს მისთვის საჭირო კერდონის მიგნებას. ერთი სიტყვით, ეს ვიზიტი უშედეგოდ არ დამთავრებულა მეტროსთვის. თავისი დაჟინებულობის წყალობით, იგი ღებულობს მისთვის აუცილებელ მითითებებს და მიდის, ხოლო კორიტო, იმის ხაზის გასასმელად, რომ მეტროსგან ყველაფერს უნდა ელოდო, უბრძანებს მონა ქალს, ყოველი შემთხვევისთვის გადათვალოს ქათმები: ისეთი მელასგან, როგორიც მეტროა, ყური გაფაციცებული უნდა გეჭიროს.

კორიტოც და მეტროც ჰეროდეს საკმაოდ თვალშისაცემად და რელიეფურად ჰყავს აღწერილი. ისინი ერთმანეთს სჯობნიან თავიანთი გარყვნილებით. მაგრამ ხასიათით ორივე საპირისპირო პიროვნებაა. კორიტო უშუალო, უბრალო, უხეში და ფეთქებადია. მეტრო უფრო დადებითი პიროვნებაა, გაწონასწორებული, დაჟინებული და ეშმაკია. იგი ნებსით თუ უნებლით აღწევს თავისას. ერთად აღებულნი, ორივე მეგობარი მოგვაგონებს მოპასანის ორ პერსონაჟს: “ს პეტიტე ბარონნე” და “ს პეტიტე მარქუსე”. მაგრამ ისინი ბევრად უბრალონი არიან თავიანთი გარყვნილებით, ვიდრე მოპასანის გმირები და ამაშია მათი მნიშვნელოვანი უპირატესობა. მათზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მათ გამართლებას ემსახურება “სატირ ცანდეურ დოუს ლა ლეპრავატიონ”.

მაგრამ მოქმედ პირთა გარდა, სცენაში არის ბევრი წვრილმანი, რომელიც იმსახურებს მოხსენიებას. ასე მაგალითად, კარგადაა მოხაზული ალექსანდრიის ზნედაცემული საზოგადოება, მომეტებულად ქალთა საზოგადოება, რომელიც არაფერზე არ შეჩერდება თავის ყველაზე აღვირახსნილ მგრძნობელობათა დასაკმაყოფილებლად. კარგადაა გამოვლენილი ბრწყინვალეობა, რაც გამოიხატება როგორც სტუმრის მიღების უნარში, ასევე ყველაზე ძალდაუტანებელი “ჩაუსერიე” საუბრის წარმართვაში და ამასთან, ეს ბრწყინვალეობა არ გამორიცხავს შინაგან უხეშობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მიმოსშიც ჰეროდე მისთვის დამახასიათებელი ხელოვნებით ხატავს მისი თანადროული ცხოვრების ბნელ მხარეებს, თუმცა შესაძლებელია, რომ არა მარტო მხოლოდ რეალური სინამდვილიდან იღებს იგი მისთვის საჭირო მასალას. უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ამაზე მიუთითებს ჰერზოგ-ი, ანალოგიური თემა განავითარა ჯერ კიდევ არისტოფანემ ერთ თავის კომედიაში. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ერთი პაპირუსის ნაგლეჯი, რომელიც შეიცავს ორი ქალის საუბარს იმავე საგანზე, რაზედაც მსჯელობდნენ კორიტო და მეტრო. ამასთან, ეს ნაწყვეტი ვილამოვიცის წინადადების თანახმად, უნდა მივაკუთვნოთ არისტოფანეს კომედიას: “ქალები თესმოფორიებზე”.

7.

მიმოსში, სათაურით „მეწაღე“, მოქმედება გადადის იმ კერდონის ფარდულში, რომელსაც თვალდათვალ ჩვენ უკვე გავცვანით მეტროსა და კორიტოს საუბრით. მაგრამ თუ იქ კერდონი მხოლოდ იწყებდა მოდაში შემოსვლას, აქ იგი უკვე მტკიცედაა ჩამჯდარი ხელოსნის როლში, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი სახელოსნო, სადაც მასთან მუშაობს რამდენიმე ქვეოსტატი. როგორც ჩანს, იმ ნაკეთობებმა, რომლებსაც დახლქვეშ ასაღებდა ქალებში, გაიყვანეს იგი კეთილდღეობის გზაზე და გააკეთეს ის, რომ ახლა აშკარად ვაჭრობს ქალების ფეხსაცმელით და „გადასახადების ამკრეფთა“ შიში აღარ აწუხებს. კორიტოს სიტყვებიდან ვიცით, რომ კერდონი მელოტი და დაბალია, ვიცით ისიც, რომ ეშმაკია, გაქნილი და შეუძლია “რკინაზე მაგარიც” იყოს. მაგრამ კერდონის ამ თვისებაზე მხოლოდ საუბარი იყო, ახლა კი მოგვიწევს მასთან საქმეში გაცნობაც.

ჩვენ წინ კერდონის ფარდულია. შემოდის მეტრო, სწორედ ის მეტრო, რომელიც ოდესღაც ეძებდა კერდონს. ამჟამად მას უკვე კარგად იცნობს, იგი გადაიქცა კერდონის ხშირ სტუმრად, მის მაკლერად და მიჰყავს მასთან ახალ-ახალი მყიდველები, თავისი მეგობრები და ნაცნობები. ასე

იქცევა იგი ახლაც: მას თან ახალი შემკვეთები მოჰყვნენ, რომელთაც მეტრომ ურჩია კერდონთან მისვლა. კერდონი უბრძანებს მონა დრიბილას გამოიტანოს სკამები მოსულთათვის. მაგრამ დრიბილა ძალზე ნელია. და აი, იწყება ჩვენთვის მე-6 მიმოსიდან ასე ცნობილი მონის გაწკეპლვა. ეს თავისებური უვერტიურაა - მოქმედებისა და აი, თვით მოქმედებაც... პირველად გაიხსნება კარადა, იქიდან მონა პისტი გამოიღებს სანდლების წყვილს, ამ წყვილს კერდონი აქებს ყოველმხრივ და დემონსტრირებას უკეთებს: რა ღირს სამუშაო! რა საკვირველი ფერისაა ტყავი! სამაგიეროდ, ეს შეღებვა მთელი სამი სტარტერი დაჯდა! მაგრამ მყიდველ ქალებს არ სჯერათ და იცინიან. მაშინ კერდონი იწყებს ფიცსა და ღმერთს ახსენებს, რომ იგი არ ტყუის. დიახ, სწორედ სამი სტარტერი გადაუხადა მან მეტყავს ტყავის საფასურად და მისი შეღებისთვის. მაგრამ ეს გასაგებიცაა. ტყავის დიდი პარტიებით მოვაჭრენი ცდილობენ მეტი მოგების ნახვას და კერდონის მსგავს წვრილ ხელოსნებს ავიწროებენ. ამის შედეგად მეტყავე მდიდრდება და მეწაღე კი ზარალდება. კერდონიც ზარალშია. დილიდან შუალამემდე მუშაობს, ხემსიც კი არ ჩასდის პირში, აქ კი ხარჯს ხარჯი ემატება, მარტო მონები და ქვეოსტატები რად ღირს. ერთი სიტყვით, ცხოვრება კი არა, ნამდვილი კატორღაა.

ასე იღვრება კერდონი, რათა მყიდველ ქალთა განწყობა მოიპოვოს, მაგრამ ხედავს, რომ მისი მჭევრმეტყველება არ მოქმედებს და ტაქტიკას იცვლის. ცდილობს ქალები დააბრმავოს მისი საქონლის მრავალფეროვნებითა და რაოდენობით. გამოქვს სანდლებიანი ყუთები, ახასიათებს სხვადასხვა სახის ფეხსაცმელს. სწრაფად ჩამოთვლის მათ ღირსებებს, გამოდის ჭრელი კალეიდოსკოპის მსგავსი რაღაც და კერდონი დარწმუნებულია, რომ ეს კალეიდოსკოპი იმოქმედებს. ასეც ხდება: მეტრო აირჩევს თავისი მეგობრისთვის წყვილ ფეხსაცმელს, იკითხავს ფასს, მაგრამ თხოვნისა და ხვეწნის გარეშე იყოსო, დაუმატა მან. მაგრამ თუ მეტრო მოხერხებულია, მოხერხებული არის კერდონიც, ფასზე რატომ ვილაპარაკოთ? უკეთესი იქნება თვითონ მეტრო თუ შეაფასებს. იგი ხომ არ აწყენინებს საცოდავ მშრომელს და იმდენს მისცემს, რომ საკვებად მაინც ეყოს. კერდონი ასე ამბობს, მაგრამ არაა დარწმუნებული წარმატებაში. ტყუილად არ ემახის გვერდზე შებრუნებული დასახმარებლად ჰერმესს და პოსულს, - თუ ისინი არ დაეხმარებიან, ცუდად იქნება საქმე! და იწყება ვაჭრობა. კერდონი იძულებულია თქვას ფასი და ამბობს ძალიან მაღალ ფასს, რაც ირონიულ შენიშვნებს იწვევს, რომლებსაც ავად თუ კარგად, მეწაღე იგერიებს. მაშინ მეტრო სხვა თამაშს იწყებს: მისი აზრით, კერდონს უბრალოდ არ ესმის თავისი ბედნიერება, კარგავს შესაძლებლობას ხელი შეავლოს ქალების ასეთ ლამაზ ფეხებს. თამაშს ცვლის კერდონიც. მართალია, რჩეული წყვილი წადისთვის ამ დღეებში მას მეტ ფასს აძლევდნენ, მაგრამ მეტროსთვის იგი დაუწევს ფასს, რაკი მის მეგობარს ასე მოსწონს ეს წაღები. მეტიც, პირველად მეტროს გაასინჯებს ამ წაღებს და თან სეტყვასავით დააყრის რჩეულ, შიგადაშიგ საკმაოდ უწმაწურ კომპლიმენტებს. შემდეგ მისი მეგობრების რიგიც დადგება. მაგრამ სულ სხვა არის კერდონის მათდამი დამოკიდებულება. ალბათ ხვდება, რომ მათგან ხიერი არ იქნება. პირველ მათგანს გაუკრიტიკებს მის მოძველებულ ფეხსაცმელს, რომელსაც შეუდარებს თავისი მაღალი ხელოვნებით შეკერილ ფეხსაცმელს. მეორეს უბრალოდ მაღალ ფასს ეუბნება და არაფერს უკლებს. ასე რომ, ამჯერად კერდონის ბადეს თევზი არ მოჰყვება. ძალზე მაღალია მისი ფასები! მაგრამ მას უფრო იაფი ფეხსაცმელიც აქვს და მათზე მიუთითებს წასასვლელად გამზადებულ მყიდველებს და სთხოვს, ნუ დაივიწყებენ მისი ფარდულისკენ მომავალ გზას. არ გამოუვიდა დღეს, გამოვა ხვალ, რაც შეეხება მეტროს, მას შეაჩერებს ცოტა ხნით და სთხოვს

გარკვეულ დღეს შემოუაროს. იგი საჩუქრად მიიღებს წაღებს, იმისათვის, რომ ახალ-ახალი კლიენტები მიუყვანოს და მისი რენომე ამით გაზარდოს. გარჩეული მიმის მთელი ინტერესი თვით კერდონის პიროვნებაშია. ისევე, როგორც მე-2 მიმში მოქმედების ცენტრში ბატარი დგას, რომელიც იზიდავს მკითხველის ყურადღებას, ასევე მე-7 მიმშიც იმავე როლს ასრულებს კერდონი. მეტიც, ორივე პერსონაჟს შორის არის ხასიათების გარკვეული მსგავსება: იგივე გაიძვერობა და თავხედობა, იგივე უნარი გარემოებებთან შეგუებისა და ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერისა, მაგრამ სოციალურად კერდონი ბატარზე მაღლა დგას: იგი ყველას თვალში პატივისცემი ხელოსანია და მოქმედებს იმ პრინციპით, რასაც მისი საქმიანობა ითხოვს: “თუ არ მოატყუე, ვერ გაასაღებ”. მის რამდენადმე ბნელ წარსულზე მხოლოდ ერთეულებმა თუ იციან და ვინც იცის, მათ არც აძლევთ ხელს ამის გამჟღავნება. ეს წარსულია, იგი მოკვდა, ახლა კი კერდონი გამდიდრების სწორ და ნაღდ გზაზე დგას. იგი მოგებაზე მუშაობს. მისი სახელიც ამას მიანიშნებს. რაც შეეხება მის პარტნიორს მეტროს, იგი ისეთივე მელაკუდა დარჩა, როგორც ადრე იყო, მაგრამ ახლა ისიც მეტი ანგარიშიანობით და მოქნილად მოქმედებს.

ძნელია თქმა, თუ რამდენად იყო ჰეროდე ამ პიესის შექმნისას ლიტერატურულ წყაროებზე დამოკიდებული. მსგავსი ცეხური ტიპებით დაინტერესებული იყო უმეტესად “საშუალო” კომედია და მის ერთ-ერთ წარმომადგენელს, სახელდობრ ევბულსს, ჰქონდა პიესა “მეწაღე”. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰეროდემ თავისი კერდონისთვის არა მარტო გარემომცველი სინამდვილიდან აიღო მასალები, არამედ ლიტერატურის მიერ მიცემული მაგალითებიდანაც.

ხოლო მის მიერ შექმნილი ტიპი “კერდონისა”, რომ შემდგომი თაობების მწერლებისთვის გახდა უარყოფითი ტიპის მისაბამი ნიმუში, ამაზე მოგვითხრობს კრუზიუსი და ასახელებს ფაქტს მარციალის ერთ-ერთი ეპიგრამიდან.

8.

თუ ყველა ჩვენ მიერ გარჩეულ მიმში ჰეროდე აისახება ლიტერატურული რემინენსცენციების თუნდაც მინარევით, ნამდვილი ყოფითობის აღწერით და ცხოვრებისეული ტიპების მოქმედებებით, მაშინ სრულიად სხვა ხასიათს ატარებს მე-8 მიმოსი “სიზმარი”. იგი ალეგორიული ფორმით შეიცავს თვითონ ავტორის ავტობიოგრაფიის ზოგიერთ მომენტს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ალეგორია ისე მარჯვედ და ფაქიზადაა გამოყენებული, რომ მკითხველი მხოლოდ მიმოსის დასასრულს ხვდება, რომ საქმე ალეგორიასთან აქვს და არა ჩვეულებრივ ყოფით სცენასთან და რომ ყოველი ყოფითი წვრილმანი პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ გადატანითი მნიშვნელობით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენ ვერ ვამჩნევდით და თურმე მასკარადზე ვიმყოფებოდით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ მასკარადის მონაწილეებს ჩამოეხსნათ სამასკარადო ნიღბები, ჩვენთვის ნათელი შეიქნა, რომ მოგვატყუეს და რომ ჩვენ წინაშე თამაშდებოდა უბრალო ფარსი ჩაცმა-გახდისა.

ამ მიმოსის მოქმედება, განსხვავებით ჰეროდეს ყველა სხვა დანარჩენი მიმებისგან, ხდება არა ქალაქში, არამედ სოფელში, პოეტს სოფლურ გარემოში გადაყვავართ, წვრილი მესაკუთრის

ქოხში. კაცისა, რომელიც განთიადის პირველსავე გამონათებაზე, როდესაც ყველას სძინავს, უკვე ფეხზე დგას. ეს მას აღიზიანებს და როგორც მოსალოდნელია, თავს ესხმის ჯერ მოსამსახურე ქალებს - მონებს, ისინი ორნი არიან და არც ერთი არ ასრულებს თავის მოვალეობას, - მხოლოდ ძილი იციან! მაგრამ გვცალია კი ძილისთვის?! შემდეგ ირკვევა, რომ პატრონი ცუდი სიზმრისგან არის ასე გაბრაზებულ ხასიათზე, ისეთი ცუდი სიზმრისგან, რომ მისი შედეგების თავიდან ასაცილებლად მსხვერპლის შეწირვაც კი არის საჭირო. მაგრამ მსხვერპლშეწირვისათვის არტახებია საჭირო, ხოლო სახლში მონების დაუდევრობის გამო ბეწვეულის ბლუჯაც კი არ მოიპოვება! სიზმრისგან მიღებული შთაბეჭდილება ტანჯავს პატრონს. იგი ამოირჩევს შინამოსამსახურეებიდან ერთ-ერთ სანდო პირს და იწყებს მასთან სიზმრის მოყოლას, რომ იქნებ როგორმე გულზე მოეშვას.

მას დაესიზმრა, თითქოს ნორჩი ტყის გავლით თხას მიათრევდა, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაექცა ხელიდან და პირდაპირ ნაკრძალს მიაშურა, სადაც მწყემსები მუზებისა და დიონისეს დღესასწაულისთვის ემზადებიან. ნაკრძალის ღვთიურ ტყეში მოხვედრილი თხა მადიანად შეექცევა ფოთლებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან ღვთის ტყეში შესასვლელ ზღვარს გადააბიჯა, სადაც საქონლის შეყვანა შეუძლებელია, უკვე დანაშაულია და იქ მოხვედრილი ცხოველი სასიკვდილოდაა განწირული. მას იმ ღვთაებას შესწირავენ, რომლის სახელზედაც არის ეს ნაკრძალი გამოყოფილი. შენიშნეს თუ არა თხა, მწყემსებმა სტაცეს ხელი და დაკვლა დაუპირეს. მაგრამ ამასთან ერთად პატრონსაც წაავლეს ხელი და როგორც დამნაშავე, წარადგინეს ერთი ყმაწვილის თვალწინ, რომელიც ისეა აღწერილი, რომ ყველასთვის ცხადია, - იგი დიონისეა. ჭაბუკი ბრძანებს, რომ შეჯიბრება მოაწყონ ჰაერით გაბერილ თხის ტყავზე ხტომაში, ანუ იმ თამაშის გასაჩაღებლად, რომელსაც ხშირად ჰქონდა ადგილი ატიკაში მოწყობილ “სოფლის დიონისებში”.

თხის ტყავისგან კეთდება რუმბი, რომელსაც გაპოხავენ ზეთით, რათა ძნელი იყოს ზედ ფეხის მოკიდება და იწყება შეჯიბრება. გამარჯვებული სიზმრის მომყოლი ხდება: იგი ორჯერ შეხტა რუმბზე და მოახერხა ზედ გაჩერება. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც გამარჯვება და დიდება იქნა მოპოვებული, მოულოდნელად გამოჩნდა მისი მოწინააღმდეგე, კომბლიანი მოხუცი, რომელიც ეცილება მას პირველობას. რა ქნას? დახმარებისთვის ღმერთს უნდა მიმართოს და ასეც იქცევა. ღმერთმა კი ასეთი განაჩენი გამოიტანა: ბორკილები დაადონ ორივეს: ისეთნაირად, რომ ორივე მოდავე ერთადაა, მაგრამ ერთმანეთს ზიანს ვერ მიაყენებენ. ამით მთავრდება სიზმარი, მაგრამ ამით მთავრდება მიმოსის ის ნაწილიც, რომელიც თავისთავად გულუბრყვილო ყოფით სცენას წარმოადგენს და თავის თავში თითქმის არაფერს ალეგორიულს არ შეიცავს. მაგრამ ეს მხოლოდ ჩანს ასე, სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარად არის.

სიზმრის მოყოლისთანავე, პატრონი უბრძანებს მონას ტანსაცმელი მოართვას და უცებ თითქოს ტანსაცმლის გადაცემასთან ერთად, თვითონ მასში ხდება რაღაც ცვლილება, რაღაც გარდასახვა და იწყებს სიზმრის ისე ახსნას, რომელიც სრულიად განსხვავდება სოფლის მცხოვრებთათვის ჩვეული სიზმრის ახსნისგან. თანდათანობით შორს იწევს სოფლური გარემო ვითარება; მის ნაცვლად წინა პლანზე გამოდის სრულიად სხვა რამ: ელინისტური პერიოდის ლიტერატურული საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი კამათებითა და კინკლაობებით და თვითონ ჰეროდო, უკვე არა სოფლის უწყინარი მცხოვრების სახით, არამედ როგორც ლიტერატურული მოღვაწე,

რომელიც იცავს თავის დამსახურებებს, რომელთა აღიარება სხვებს არ უნდათ. ირკვევა, რომ მწყემსებისგან დასაკლავად განწირული თხის როლში უნდა ვიგულისხმოთ თვითონ პოეტის სიმღერები, ხოლო მწყემსებში, - მისი ლიტერატურული მეტოქენი, ანუ როგორც იგი ამბობს, “მუზის მსახურთა ბრბო”. დაბოლოს, ის უნდა აღნიშნავდეს მხოლოდ ერთს, რომ მომავალში უზრუნველყოფილი აქვს მას დიდება იმისდა მიუხედავად, თუ რა საზომებით დაწერს იგი თავის პიესებს, უბრალო იამბებით თუ ჰიპონაქსის შემდეგ მეორე, იგი აირჩევს ამ უკანასკნელის საყვარელ ზომას - ქოლიამბს.

თუკი დღეს ჩვენ მიერ გარჩეულმა, ჩვენამდე ყოვლად დაგლეჯილი და განადგურებული სახით მოღწეულმა მიმმა, შეძლო მიეღო მოხერხებულად წასაკითხი ფორმა და გამოკვლევებისთვის ხელმისაწვდომი შეიქნა, ეს შესაძლებელი გახდა, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, მხოლოდ და მხოლოდ ჩრუიუს-ის, ჰერზოგ-ის და კნობ-ის შრომების შედეგად. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიმოსის ტექსტი მრავალ ადგილას ატარებს ჯერ კიდევ პრობლემატურ ხასიათს და ყველა კითხვაზე, რომელსაც ჰეროდეს ეს სცენა გვისვამს, არ ხერხდება დადებითი პასუხის გაცემა.

უშეცდომოდ, ისე, რომ სრული სიმართლე ვთქვათ, “მწყემსებში” ჰეროდე გულისხმობს პოეტთა იმ “თანამეგობრობას”, რომლებიც ფილატეს ირგვლივ წარმოიშვა კოსაზე და რომელიც თანამეგობრობის ერთ-ერთმა წევრმა თეოკრიტოსმა წარმოგვიდგინა თავის „შემოდგომის დღესასწაულში“, სადაც წრის ყველა წევრი გამოგონილი სახელით და თანაც მწყემსების სახით გამოდის. მხოლოდ ფილატეა გამორჩეული, ის გამოდის საკუთარი სახელით, მხოლოდ მასზე ლაპარაკობენ, როგორც მიუღწეველ პოეტურ სიდიდეზე, რაც გასაგებია: იგი იყო თანამეგობრობის მეთაური. ამ “კოსის თანამეგობრობას”, ამ “თხის მწყემსებს” ჰეროდე უყენებს თავის პრეტენზიებს. მაგრამ ვის გულისხმობს იგი “ბრაზიან მოხუცში”, რომელიც “თხის მწყემსთა” დაჯგუფებიდან გამოვიდა? ამაზე, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავცემთ დადებით პასუხს: ცოტაა ამისათვის მონაცემები, მაგრამ ჰერზოგ-თან ერთად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მოხუცში ფილატე უნდა დავინახოთ. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდეს ტყუილად არ ჰყავს თავის მე-8 მიმოსში, რომელიც პოლემიკურ ხასიათს ატარებს, გამოყვანილი სოფელი და სოფლური ვითარება. მოქმედების განვითარება ხდება ბუნების წიაღში, ბუკოლიკურ მილიეუ. მაშინ, როდესაც ყველა სხვა მიმში ქალაქური ვითარება და ქალაქის მცხოვრებლები ჰყავს გამოყვანილი. ამაში მე ვფიქრობ, წინასწარგანზრხაული და არა შემთხვევითი ნაბიჯი უნდა დავინახოთ. პოეტს თითქოს სურს, დაანახვოს თავის მტრებს, ბუკოლიკ პოეტებს, რომ ის მილიეუ, რომელშიც ისინი ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში, არც მისთვისაა უცხო: რომ მასაც შეუძლია ბუკოლიკური ტონების აღება და შეუძლია მათთან, მათივე იარაღით ბრძოლა! და იგი მართლაც წარმატებულად იბრძვის. ყოველ შემთხვევაში, ძალიან კარგია თავისი თვალსაჩინოებით მოთხრობა თხის თავგადასავალზე, ბრწყინვალეა და აღწერილი თამაშობები და რუმბზე ხტომაში შეჯიბრი, კარგადაა შენარჩუნებული თხრობის მთელი ბუკოლიკური ტონი, - ერთი სიტყვით, ჩვენ წინაა სოფლის ლანდშაფტის ფონზე განვითარებული ლამაზი ჟანრობრივი სურათი, რომელიც სრულ კონტრასტს წარმოადგენს ჰეროდეს ჩვეულებრივ მანერასთან, მანერასთან პოეტისა, რომელიც ქალაქისა და ქალაქური ცხოვრების ყოფის აღმწერია.

6.

ჰეროდეს მიმოსების გარჩევა დამთავრებულია. მათი შინაარსი და თავისებურებები საკმაოდ ხარისხით არის მოყვანილი, ნაჩვენები და გამოვლენილი. ჩვენ ახლა ვიცით, თუ რას წარმოადგენენ თავისთავად ჰეროდეს გმირები და გმირი ქალები. ისინი არ არიან იმ ყველაზე უფრო ჩვეულებრივ, ზოგჯერ ჭუჭყიან და უწმაწურ ადამიანებზე ამაღლებულნი, რომლებთანაც შეხვედრა უწევს თითოეულ ჩვენგანს.

მათი ინტერესები ძალიან უემშაკო და უბრალოა: მათი იდეალები მეტისმეტად მიწიერია. მათი ზრუნვა მხოლოდ დღევანდელიობით ამოიწურება და ამ ზრუნვის გარეშე მათთვის არ არსებობს ნამდვილი ცხოვრება. არაფერს მართალს ისინი არ მიესწრაფვიან და არც შეუძლიათ, რომ ესწრაფოდნენ: ეს მათი თვალსაწიერის მიღმა დევს. მთელი პოეზია მათთვის ყველაზე პრიმიტიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მდგომარეობს და ამას იქით რაიმეს გარჩევა მათ არ შეუძლიათ. შეიწოვა ისინი ცხოვრების ჭაობმა, ისინი მუდმივად ტრიალებენ ამ დამდგარ ჭაობში და ისე გრძნობენ შიგ თავს, როგორც მშობლიურ, ჩვეულ სტიქიაში.

ასეთია ჰეროდეს ყოფით სცენებში გამოყვანილი მოქმედი გმირები. აქედან ნათელია, რომ ამ სცენებში არაა არც ამაღლებულობანი, არც ფანტაზიის ქროლვა, არც აზრთა სიღრმე. მათში არც ის რომანტიზმის ფიფქებია, რაც თეოკრიტესთან შეიმჩნევა: იგი მეტისმეტად ტერრე ა ტერრე. თვით ლექსიც კი და ისიც თეოკრიტეს ჰექსამეტრის საპირისპიროდ, არ შეიცავს თავის თავში არც ჰარმონიას, არც სილამაზეს. მისი მთავარი მიზანია - რაც შეიძლება ზუსტად წარმოგვიდგინოს ჩვეულებრივი სალაპარაკო სიტყვა.

მეორე მხრივ, ჰეროდეს მიმებში არაა მცდელობა იმისა, რომ ჩაულრმავდეს მოცემული პირის ხასიათის აღწერას, არაა სურვილი შეაღწიოს ადამიანის გულის წმიდათაწმიდაში, არც იმის შესაძლებლობა, რომ ყველაფერი იდეურობის ნათლით და ზნეობრიობის იდეალით გააშუქოს. ყველაფერი ეს ჰეროდეს მიმების საზღვარს იქით დევს და მათთვის მიუწვდომელია. მაგრამ სამაგიეროდ, მათში ფრთაგამლილია გარეგნული ხასიათის ფაქიზი დაკვირვებანი და ყოველ ნაბიჯზე გვხვდება თითქოს შემთხვევითი, მაგრამ სინამდვილეში მოცემული პიროვნების დასახასიათებლად აუცილებელი წვრილმანები, რომლებიც თანდათანობით ერთ მთელად გაერთიანებული, ნათლად გვისურათებს სცენაში გამოყვანილ ამა თუ იმ პერსონაჟს. დაბოლოს, ჰეროდეს მიმებში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არ შეიჩნევა არც ფანტასტიკა (მე-8 მიმოსი ამას ვერ უპირისპირდება), არც სწრაფვა იდეალიზაციისაკენ. ავტორი, როგორც რეალიზმის წარმომადგენელი, ამას გაურბის და არც ერთ ცუდ თვისებას თავისი გმირებისას, მათი ყოფის არც ერთ უხემ წვრილმანს არ ჩქმალავს. იგი რასაც ხედავს, იმას გადმოგვცემს, არც ხაზს უსვამს, არც აშარჟებს და შედეგად მას გამოუდის პატარა, მომენტალური ფოტოგრაფიები, რომლებიც წარმოგვისახავენ მის თანამედროვე "საშუალო" და "დაბალი" კლასის ადამიანთა სახეს და ყოფაცხოვრებას. და თუ ჰეროდეს მიმების ზოგადი ხასიათი არ შეიძლება მის პირად გამონაგონად ჩაითვალოს, რადგან იგი აქ ძველ ნიმუშებსა ჰბამავდა, მაინც მისი დაკვირვებულობა, რეალისტურ წვრილმანთა დაჯგუფების და მათში არგათქვეფის უნარი, საინტერესო ტიპებისა და ვითარებების ამორჩევის ხელოვნება - ყველაფერი ეს მისი ტალანტის დამსახურებაა, თუ

აღარაფერს ვიტყვით ანდაზებით, გამონათქვამებით და ფრთიანი სიტყვებით აღსავსე სალაპარაკო ენის ოსტატურ ხმარებაზე.

ასე რომ, ჰეროდეს სახით ჩვენ გვყავს საინტერესო მწერალი - რეალისტი, რომელიც გვაძლევს, შესაძლებელია, მსუბუქ და ზედაპირულ, მაგრამ ამასთან ერთად ცოცხალ ჟანრობრივ სურათებს, რომლებშიც ისე, როგორც შნიცლერის “ფერხულში”, ჩვენ წინ გაივლიან ჯაჭვივით ერთმანეთზე გადაბმული მარად ახალგაზრდა ტიპები, რომლებიც ძველად გვხვდებოდნენ და ახლაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებიან. მხოლოდ გარეგნული საფარველი აქვთ მათ ახლა სხვაგვარი, მაგრამ არა არსი: არსი არის და უცვლელი დარჩება. მხოლოდ ერთში შეიძლება, ჰეროდეს რომ ვუსაყვედუროთ: იგი თითქოს ვერაფერს კარგს ვერ არჩევს სინამდვილეში. სინამდვილე მას ესახება, როგორც განსაკუთრებულად უარყოფით ტიპთა და მოვლენათა შუაგული.

მაგრამ თუ ჩვენ მას ცალმხრიობაში დავადანაშაულებთ, მაშინ იგივე უნდა გავაკეთოთ მთელი დღევანდელი რეალისტური ლიტერატურის მიმართაც, რომელიც ასევე გულგრილობის საკმაოდოზით უვლის გვერდს კარგსა და ნათელს და თავის ყურადღებას უპირატესად ცუდზე აჩერებს.

ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება სრული ქება ვუძღვნათ ძველი მსოფლიოს რეალისტს მისი ფხიზელი მიუკერძოებლობისთვის. ფუნჯის სიმტკიცისთვის და ბოლოს, იმისათვის, რომ მის მიმოსებში თითქმის არაა კვალი ხელოვნურობისა და არაბუნებრიობისა.

მაგრამ ამასთან ერთად, მე ვერ ვუწოდებ ჰეროდეს მხატვარს. უფრო სწორია, მასში დავინახოთ ჭკვიანი, ნიჭიერი და ყურადღებიანი დამკვირვებელი. იგი იმდენად არა ქმნის, რამდენადაც იხატავს ნატურიდან და თავის დაკვირვებებს ლიტერატურული ნიმუშებით ავსებს და აფართოებს. მაგრამ იხატავს მოხერხებულად, რადგან ფლობს ფუნჯს და თავისუფლად ერკვევა მისთვის საჭირო საღებავებში. ამით აიხსნება მისი ტონის სიცივე, ზეაწეულობის არარსებობა და სახეების რამდენადმე უფერულობა: ჰეროდეზე ვერ ვიტყვი, რომ იგი გიზგიზებს - იგი მხოლოდ ჰბჟუტავს. მას არ ყოფნის შთაგონება, - “მუზას მისთვის არ უკოცნია”.

კიდევ ერთ საკითხს უნდა შევეხოთ; რისთვის ჰქონდა ჰეროდეს გამიზნული თავისი მიმოსები: საკითხავად, სცენისათვის თუ დეკლამირებისთვის. მეცნიერებაში ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არსებობს მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება. თუ ერთნი ფიქრობენ, რომ სცენისთვის უნდოდა ეს ყველაფერი, მაშინ მეორენი ასეთივე გარკვეულობით უჭერენ მხარს დეკლამაციას. მნელია თქმა ამ ორიდან რომელი მოსაზრება უფრო სწორია. რაც შემეხება მე, თუმცა კი ვთვლი, რომ ორივე მოსაზრება ერთნაირად მისაღებია, მაინც მეჩვენება, რომ ჰეროდეს სცენებისთვის უფრო მისაღებია დეკლამაციური შესრულება, ვიდრე სცენაზე მათი გათამაშება. განსაკუთრებით, ეს მე-8 მიმოსს შეეხება, ამ თავისებურ “აღსარებას” პოეტისას. ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია მსგავსი სცენის თეატრალურად დადგმა. სამაგიეროდ, დახელოვნებული რეციტატორისთვის მასში ბევრი შესაძლებლობაა დაფარული, რომელთაც დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლიათ მსმენელებზე. ყოველ შემთხვევაში, დავა იმის შესახებ, რომ ჰეროდეს მიმოსები სცენისთვისაა განკუთვნილი თუ დეკლამაციისთვის, გადაჭრილად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ამ საკითხს არ აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა. ჩვენ პირადად, ჰეროდეს მიმოსების აღქმა მხოლოდ კითხვის მეშვეობით თუ

შეგვიძლია, ანუ იმავე გზით, რომლითაც იგი უფრო იყო მიღებული ჰეროდეს თანამედროვე პტოლომეოს ფილადელფოსის პერიოდის ელინისტურ საზოგადოებაში.

თბილისი, 1928 წ

(მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის მუზეუმებში დაცულ პაპირუსთა კოლექციების მიმოხილვა)

საბჭოთა კავშირში პაპიროლოგიის, -მეცნიერების, რომელიც სწავლობს პაპირუსებზე დაწერილი ბერძნული და ლათინური დამწერლობის ძეგლებს, -საფუძვლის ჩამყრელია განსვენებული აკადემიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ვ. კ. ერნშტედტი. რუსეთში პირველად მან გამოსცა 1887 წ. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის პატარა კოლექციიდან ბერძნული პაპირუსი. ეს კოლექცია ჯერ კიდევ 1857 წელს იყო შექმნილი და 1887 წლამდე მას არც ერთი რუსი მკვლევარის ხელი არ შეხებოდა. ამ გამოცემის შემდეგ, 1891 წ. ვ. კ. ერნშტედტმა კიდევ გამოსცა მეორე იმავე კოლექციის, მეცნიერებაში “მაუწყებლის” სახელით ცნობილი პაპირუსი. ეს სახელი ეწოდა მას იმის გამო, რომ იგი შეიცავს ჩვ. წ. აღ. მე-III საუკუნის რომელიღაც მეცნიერის წიგნების კატალოგს, და ამ წიგნებს შორის მოიხსენიება არისტოტელეს “ათენის პოლიტეა”, წიგნი, რომელიც იმ დროს, როდესაც მისი არსებობა ჩვენმა პაპირუსმა გვაუწყა, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მეცნიერების საკუთრებას. ეს პაპირუსი რუსეთში მოხვდა 1856 წელს.

როგორც ყოველთვის, პირველი ბიძგი იყო საჭირო. ვ. კ. ერნშტედტის პუბლიკაციებმა გააღვიძეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს რუსეთში პაპიროლოგიისადმი, ამ ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა სამეცნიერო დისციპლინისადმი, მხურვალე ინტერესი. მეორეს მხრივ, პაპიროლოგიური მუშაობის დაწყებისათვის საბედნიეროდ, ცნობილმა რუსმა ეგვიპტოლოგმა ვ. ს. გოლენიშჩევმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შექმნა თავისი საკუთარი პაპირუსების ეგვიპტური კოლექცია, რომელიც ამჟამად მოსკოვის ნატიფ ხელოვნებათა მუზეუმში ინახება. ეს იყო მის მიერ ეგვიპტეში შექმნილი ბერძნული და ლათინური პაპირუსები, სრულიად ახალი, ხელუხლები, მდიდარი მასალა, რასაც მიაპყრო ვ. კ. ერნშტედტმა თავის მოწაფეთა ყურადღება, ძალა და მისთვის დამახასიათებელი ხელოვნებით ხელმძღვანელობდა მათ პირველ მორიდებულ ნაბიჯებს. ერთი სიტყვით, თანაბრად სხვა სამეცნიერო დისციპლინებისა, პაპიროლოგიამ მიიღო რუსეთის მოქალაქეობის უფლება. ვ. ს. გოლენიშჩევის კოლექცია აღარ იყო ერთადერთი. მას მიემატა კოლექციები: ნ. პ. ლიხაჩოვის; პაპანდოპულო-კერამევის; ბოკის; მ. ი. მაქსიმოვასი და ჩემი, რომელიც ჩვენთვის შეიძინა ეგვიპტეში აკად. ბ. ა. ტურაევმა. საჭირო იყო პაპირუსთა ამ კოლექციების ერთობლივი გამოცემა. დადგა დრო, როცა ცალკეული პაპირუსიდან მიღებული ინფორმაციის მაგიერ, საჭირო გახდა, ხელთ გვექონოდა პაპირუსთა მთელი მასალა –

ჩორპუს პაპირორუმ. მისი გამოცემის სამუშაო მე დავიწყე, მაგრამ იგი მრავალმა გარემოებამ შეაჩერა. მხოლოდ 1925 წელს შევპელი ჩემს მოწაფესთან, განსვენებული აკადემიკოსის ვ. კ. ერნშტედტის ვაჟიშვილთან პ. კ. ერნშტედტთან და ო. ო. კრიუგერთან ერთად შევდგომოდი ამ საქმეს და განმეხორციელებინა ჩვენი ჩანაფიქრი: სსრკ-ში არსებული ყველა ბერძნული და ლათინური პაპირუსის გამოცემა. მაგრამ ამის გაკეთება მოხერხდა არა ლენინგრადში, არამედ თბილისში. აქ მომეცა მე მისი გამოცემის დაწყების საშუალება. თბილისის უნივერსიტეტის ეგიდით გამოვიდა პირველი 4 ტომი, ხოლო ბოლო ორი ტომის გამოცემა საქართველოს მუზეუმმა ითავა და გასულ 1935 წელს გამოვიდა მეხუთე ტომი. მე-6 ტომის გამოცემით, რაც ალბათ აღარ შეფერხდება, დამთავრდება გამოცემა და ამით იქნება ამოწურული ყველა იმ პაპირუსის შესწავლა, რაც სსრკ-ში არსებობს.

ამრიგად, გამოცემულია შესაბამისი შესავლით, განმარტებებით და კომენტარებით 215 ძეგლი, ნაწილობრივ ლიტერატურული, ნაწილობრივ დოკუმენტური ხასიათისა. ამასთან, ყველა ეს ძეგლი, რომელიც მოიცავს ჩვ. წ. აღ-მდე მე-2 საუკუნეს და ჩვ. წ. ა. მე-8 საუკუნეს შორის პერიოდს, იყოფა: ბერძნულ და ლათინურ პაპირუსთა პტოლემეუსების, ადრე-რომის, გვიან-რომის, ბიზანტიისა და არაბულ პერიოდებად. მე აქ არ ვილაპარაკებ დაწვრილებით ამ ძეგლთა მნიშვნელობაზე ბერძნული დამწერლობის ისტორიაში (ამის შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს გრ. წერეთელი წერილში, -“ბერძნული დამწერლობის ისტორიისათვის ეგვიპტეში”, რომელიც აქვე ქვეყნდება. მთარგმ.) მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პაპირუსთა შორის არის მკაცრად დათარიღებული დოკუმენტები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სტილით, ხელწერით და საკმაო რაოდენობის მშვენიერი დამწერლობითი ნიმუშებით, რაც ძვირფასი შენაძენია საერთოდ პალეოგრაფიისათვის და იმსახურებს შედგეს ფოტოსურათების განსაკუთრებული კრებული, რათა როგორც დამატება, თან დაერთოს იმ კრებულებს, რომლებიც ევროპაში ქვეყნდება.

რაკი ჩვენი კოლექციების ეს სუფთა ფორმალური მხარე ძირითადად სპეციალისტი პალეოგრაფებისთვის არის საინტერესო, ამიტომ მათი გვერდის ავლით გადავალ კოლექციაში შემავალი ძეგლების შინაარსის გარჩევასა და შეფასებაზე.

დავიწყებთ ლიტერატურული ძეგლებიდან და მათგან გამოვყოფთ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეთ. რა თქმა უნდა, არაფერი გამოვა ყოველი განათლებული ბერძენის “მუდმივი” თანამგზავრის ჰომეროსის გარეშე. იგი იმდენად “მუდმივია” მათთვის, რომ ხშირად, როგორც მარად განუყრელი, საფლავშიც თან მიჰქონდა მის მფლობელს. “ილიადას” და “ოდისეას” ნაწყვეტებიანი პაპირუსები მრავლადაა ჩვენთან, მაგრამ კრიტიკისთვის მნიშვნელოვანი ტექსტია ერთი, გოლენიშჩევის კოლექციიდან, რომელიც შეიცავს “ილიადას” თითქმის, 17 სიმღერას, რაფსოდიას და ეკუთვნის ჩვ. წ. ა. მე-2 საუკუნეს. შემდეგ, ჩუმად ვერ ავუვლით გვერდს “ანთოლოგიის” პატარა ნაწყვეტს, რომელიც ჩვ. წ. აღ-დე მე-2 საუკუნეს განეკუთვნება და ევრიპიდეს “დანაეს” ნაწყვეტია, ერთი ლექსის გამოტოვებით. ეს უკანასკნელი უფრო ძველ ხელნაწერებშიც გვხვდება და უძველესი, არა ევრიპიდესული ჩანართი არის. ტექსტუალური კრიტიკისათვის ასეთი ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მეორე ჩვენი პაპირუსი ჰეროდოტეს ნაწყვეტებით. მხოლოდ ეს ერთი პაპირუსი

იმღევა ორი ისეთი ადგილის სწორი წაკითხვის საშუალებას, რომლებიც სხვა ხელნაწერებში უკვე აღარ იკითხება.

მაგრამ, გვერდზე მოვიტოვოთ ეს და სხვა ფრაგმენტები ჩვენთვის ადრე ცნობილი ანტიკური ავტორებისა (მაგ. ნაწყვეტი ისოკრატედან) და გადავიდეთ ისეთ ნაწარმოებთა ფრაგმენტებზე, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ჩვენთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გადავდივართ “მკვდრეთიდან აღდგენილ” ძველი მსოფლიოს პოეტებზე, პროზაიკოსებსა და სწავლულებზე.

აქ კი პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ფრაგმენტი მენანდრეს კომედიიდან “მომწამვლელი ქალები”. ჩვენს წინაა ნაშთები პატარა სცენებისა, რომლებიც როგორც ჩანს პიესის დაბოლოება უფროა. ჯერ მიმდინარეობს ორ პირს შორის ერთგვარი იუმორით ცოცხალი, ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ტონით საუბარი. შემდეგ სცენიდან გადის ერთ-ერთი მოქმედი პირი და იწყება სცენაზე დარჩენილი პერსონაჟის მონოლოგი, სადაც იგი ასეთი ფორმით გადმოსცემს თავის ცხოვრებისეულ უპრეტენზიო ფილოსოფიას:

“ტყუილუბრალოდ ვემდუროდი მე ჩემს ბედს ადრე, არ ვიყავ კარგად, ბრიყვულად, რომ წამოვიძახე: “ბრმა არის ბედი”, ის კი თურმე თვალხილულია! ტყუილუბრალოდ არ ვიტანჯე, - ტანჯვით გავჭედე მე ეს ჩემი ბედნიერება, რომელიც არც კი იქნებოდა, რომ წვალება არ ყოფილიყო... არა, არ უნდა ჩამოჰკიდო მწუხარედ თავი, როცა ცხოვრება ძალიან გიჭირს. უბედურება გადიქცევა ბედნიერების საბაბად ზოგჯერ!”*** PAGE 109 ***

ამ ფრაგმენტთან დაკავშირებით ჩვენ ვიმყოფებით ხელოვნების იმ ისტორიკოსის როლში, რომელიც საოცარი სილამაზის ქანდაკების წინა დგას. დამსხვრეულია ეს ქანდაკება, მაგრამ მისმა ნამსხვრევებმა შეინარჩუნეს თავისი დიდი მომხიბლაობა. ჩვენც ასევე, მენანდრეს კომედიის აღქმის დროს, შევიგრძნობთ მის მშვენიერებას, მის მხატვრულ სილამაზეს. ლიტერატურულ პაპირუსთა შორის ისეთებიც არის, რომელთაც მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მხატვრული პრეტენზიები არა აქვთ, მაინც საჭირო და საინტერესო არიან. აი, მაგალითად, ჩვ. წ. ა. მე-3 საუკუნის პაპირუსი, რომელიც შეიცავს დიონისეს საპატივცემულო ჰიმნს. ჰიმნის ავტორი უცნობია ჩვენთვის. არ ვიცით იგი ვინ არის. ჩვენს წინ მხოლოდ მისი შემოქმედებაა და ისიც წინასწარი მონახაზია, როელზედაც პოეტმა უკანასკნელი საჭრეთლის გავლება ვედარ მოასწრო. მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენ გვეძლევა ჰიმნის ახალი, უცნობი ვერსია მითისა, -ღმერთ დიონისეს ბრძოლა თავისი კულტის გავრცელებისათვის თრაკიის მეფე ლიკურგოსის წინააღმდეგ. ბრძოლის ისტორია ორ მომენტად არის გადმოცემული: პირველად ღმერთი მარცხდება. შემდეგ იგი დიდებით და ბრწყინვალეებით მოევლინება. ღმერთი სასწაულებს სჩადის. მის წინააღმდეგ მებრძოლ ლიკურგოსს ეს აფრთხობს. იგი თრთის, მაგრამ შეწყალება უკვე აღარ აქვს და დიონისე დაუნდობელია: იგი სიგიჟეს მოუვლენს ლიკურგოსს. შეშლილობის მოძალებისას თავისი საკუთარი ბავშვები ლიკურგს გველებად მოეჩვენება და ყველას ამოხოცავს. ამის შემდეგ უბრუნდება გონება, შეიცნობს ღმერთს და შეიგნებს თავისი მდგომარეობის საშინელებას. რა იქნება შემდეგ?

შეშლილობა დამთავრდა და ლიკურგოსს გონება დაუბრუნდა, მაგრამ დიონისემ მძვინვარება არ დაიოკა და უძრავად მდგომ, უმძიმესი მწუხარებით შეპყრობილ ლიკურგს ტანზე ვაზი შემოახვია. ნაკვეთები ლერწით მაგრად შეუკრა... ამის შემდეგ ზიდავდა ლიკურგოსი ამ ქვეყნის მცხოვრებთა შორის ყველაზე მწარე ხვედრს: ვაზი კისერს უჭიმავდა და ორივე მხრიდან მარღვებზე უჭერდა. ამჟამად კი იგი უღმერთოთა შორის ასრულებს ყოვლად უმედეგო შრომას: ძირგახვრეტელ კასრში ასხამს წყალს და წყალი ჰადესის სამყაროსკენ მიედინება. ასეთი სასჯელი დაადგინა ღმერთთან მეზრძოლი ხალხისთვის კრონოსის შვილმა, მეხთამტყორცნელმა ზევსმა, რათა ეს სასჯელი თანაბრად შეეხოთ მათ სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდგომაც.

როგორც უკვე ვთქვი, ჰიმნში მთავარია ახალი ვერსია მითისა, რომლის წყალობით ჰიმნის მნიშვნელობა იზრდება ჩვენთვის, ხოლო მეორე მხრივ, იგი საინტერესოა როგორც სამაგალითო ნიმუში ბერძნული პოეზიის ისტორიის იმ პერიოდისა, როცა ამოშრა ბერძნული გენია და ძალა მას უკვე აღარ შესწევდა საშუალოზე მაღლა აწეულიყო.

მაგრამ გვეყოფა პოეზია. ახლა სხვა მხარეს, კერძოდ, პროზას შევხებით, როგორც მხატვრულს, ისე სამეცნიეროს, რომელიც კიდევ უფრო ვრცლად არის ჩვენი პაპირუსების მიერ შემონახულ ძეგლებში წარმოდგენილი. უპირველესად აღვნიშნავთ ბრწყინვალე ნაწყვეტს ფილოსოფოს სეკუნდუსის, “მდუმარეს” ცხოვრებიდან, რომელსაც გადმოგვცემს ჩვ. წ. ა. მე-3 საუკუნის ერთი პაპირუსი. იგი გვიხატავს სურათს, როდესაც თვით სიკვდილის წინაც კი არ ხსნის სეკუნდუსი ბაგეებს და შემდეგ იმპერატორ არიანესთან მიყვანილი, იქაც არ არღვევს თავის აღთქმას, -არ წამოსცდეს არც ერთი სიტყვა. რაც განსაკუთრებით გამოჰყოფს ნაწყვეტს, ესაა დამატყვევებელი უბრალოება, კომპაქტურობა და თხრობის გულუბრყვილობა, -თვისებები, რომლებიც უკვე აღარაა “ცხოვრების” გვიან-ბიზანტიურ გადამუშავებულ ნიმუშებში, რომელიც აჭრელებულია სხვადასხვა დამატებებით და რიტორიკული ხრიკებით. მეორე მაგალითი, ძირითადი, მოკლე ვერსიის შეცვლილი სახით გავრცელებისა გვაქვს ნაწარმოებში “რომანი ეზოპეს შესახებ”, რომელშიაც დახატულია ეზოპეს ცხოვრება, მოგზაურობა და თავგადასავალი. მოყვანილია მისი გონებამახვილური და ბოლოს ტრაგიკული სიკვდილი დელფოს მცხოვრებთა ხელით, რომელთაც შური იძიეს მათ წინააღმდეგ ეზოპეს გესლიანი და შეურაცხყოფელი გამოხდომებისათვის.

მე ვიტყვოდი, რომ პაპირუსი, რომელმაც ეს ნაწყვეტი შემოგვინახა, შეიძლება ჩვენი კოლექციების მშვენივრად ჩაითვალოს. ტყუილად არ მიიპყრო მან დასავლეთ ევროპის სწავლულთა ყურადღება. იტალიაში, საფრანგეთში და ინგლისში არსებულ პარალელურ ნაწყვეტებთან ერთად იგი იქცა ძეიტზ-ის მიერ 1935 წ. გამოცემული კარგი დისერტაციის თემად. ასე რომ, “ცხოვრებისეული” რომანის დარგში ჩვენი პაპირუსები ბევრ ახალ და ნამდვილად საინტერესო მასალას იძლევიან. მაგრამ მხოლოდ ამ დარგში? ისეთი სფეროები, როგორიცაა ასტროლოგია, რელიგია, რიტორიკა და განსაკუთრებით ძველი მედიცინის ისტორია, თავის მხრივ პირველხარისხოვანი ძეგლებით არიან წარმოდგენილი. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

აი, მაგალითად: სრულიად უნიკალური, მაგრამ დროისგან სამწუხაროდ ძლიერ დაზიანებული ასტროლოგიური ტრაქტატის ნაწყვეტი. მასში ლაპარაკია პლანეტათა მიერ დაკავებული მდგომარეობის გავლენით, მათ ურთიერთდამოკიდებულებასა და

ურთიერთშეთანხმებულობაზე და იმ ზეგავლენაზე, რომელსაც ისინი ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე. ისინი თითქოს წინასწარ განსაზღვრავენ თითოეული ადამიანის შესაფერის სპეციალობას იმისდა მიხედვით, თუ ზოდიაქოს რომელ ნიშანზეა იგი დაბადებული, ანუ მისი დაბადებისას ზოდიაქოს რომელ ნიშანზე იმყოფებოდა ესა თუ ის პლანეტა. თხრობა მიმდინარეობს სამეცნიერო ნაწარმოებისთვის სრულიად შესაფერის მკაცრ, მშრალ, დოქტორალურ ტონში, მით უმეტეს, რომ ძველთა შორის სწორედ ასტრონომია იყო ის მეცნიერება, რომელიც ფარდასა ხდიდა მომავალს.

ასევე მკაცრი და თანაც კიდევ უფრო პრეცეზიული (ფრანგ. ზუსტი, -მთარგმნ.) ტონია სამედიცინო ნაწარმოებებში, რომელთაგან შევჩერდები ორზე. ერთია, -ავგუსტინეს თანამედროვე, ცნობილი ფარმაკოლოგის, სეკსტიუს ნიგრუსადმი მიძღვნილი ფარმაკოლოგიური ცნობარის ნაწყვეტები და მეორეა ოფთალმოლოგიური სახელმძღვანელოს ნაწყვეტები. თავის დროზე მათზე მუშაობდა ვ. კ. ერნშტედტის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მოწაფე, ძველი მედიცინის მცოდნეთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო, ძალზე ადრე გარდაცვლილი ა. გ. ბეკუტრემი. მან გაკაფა გზა ჩვენი სამედიცინო პაპირუსების გარჩევისაკენ, რომლისკენაც ახლა მივდივართ.

რაც შეეხება “ფარმაკოლოგიურ ცნობარს”, მასში ჯერ ლაპარაკია ფისის სხვადასხვა სახეობებზე, უმთავრესად ტერპენტიულ ფისებზე, მათი დამზადების მეთოდებზე და მისი, როგორც წამლის ზემოქმედებაზე სხვადასხვა დაავადებათა მიმართ. შემდეგ ავტორი გადადის ბროწეულის ნაყოფზე, განიხილავს ბროწეულის წვენი გამოდენვის სხვადასხვა მეთოდებს, საუბრობს მის სამკურნალო ძალაზე, მის გამოყენებაზე, ხოლო შემდეგ გადადის ლელვის ფოთლებზე და ა. შ. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაა პრაქტიკული სახელმძღვანელო ექიმებისათვის. იგი ჰგავს გალენის თხზულებათა მე-6 და მე-7 წიგნებს “ჩვეულებრივ წამალთა შედგენისა და ძალის შესახებ”. გაწყობილია ალფავიტის მიხედვით და საინტერესოა იმითაც, რომ შეიძლება თვალი მიაღვეწო, როგორი გავლენა ჰქონდა მას დიოსკურიდსა და პლინიუსზე. არანაკლებ საინტერესოა “ოფთალმოლოგიური სახელმძღვანელოც”, რომელსაც “კითხვარის” ფორმა აქვს. მასში, რამდენადაც ის შემონახულია, განხილულია თვალის ოთხი ავადმყოფობა: გლაუკომა, სტაფილომა, პტერიგეა (ფრთისმაგვარი აფსკი) და გიპოპიმა ჩაქცევა, შემდეგი სქემის მიხედვით: 1. ავადმყოფობის განსაზღვრა და მისი აღწერა. 2. ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზები. 3. განმასხვავებელი თავისებურებანი. 4. ქირურგიული ზემოქმედების მეთოდები. გადმოცემულია კომპაქტურად, მოკლედ, ნათლად და ადვილად ასათვისებლად, რაც შეიძლება შემდეგი მაგალითებიდან დავინახოთ:

1. “რა არის პტერიგეა?” -“აკვისებური წანაზარდი თვალის კუთხეში ხორცის წამოზრდის გამო”.
2. “როგორ წარმოიქმნება პტერიგეა?” -“თვალის კუთხის დაბლა წამოიზრდება ხორცი და ძალიან დიდი ხდება. პტერიგეას წარმოქმნა ხდება რქოვანა გარსის ქვეშ”.
3. “რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან პტერიგეები?” -“მათ ერთმანეთისგან ვასხვავებთ სიდიდით, გარეგნობით, ადგილით, ფერით ან ბუნებით.”

4. “რით განსხვავდება გლაუკომა ჩაქცევისგან?” -“გლაუკომა არის თვალის ჩინის შავი ფერის გადასვლა მოთეთრო ფერში, ხოლო ჩაქცევა არის უქმი სითხის შედედება თვალის ჩინის მიდამოში, რომელიც ხელს უშლის ან აძნელებს მხედველობას”.

დაბოლოს, რამდენადაც საქმე რიტორიკას ეხება, ამიტომ ეს განყოფილებაც შეძლებისდაგვარად ილუსტრირებულია ერთი, ჯერ კიდევ გამოუცემელი, სახ. ერმიტაჟის კოლექციის 4/5 საუკუნის პაპირუსით, რომელიც შეიცავს მოზრდილ ნაწყვეტს აფტონიას მსგავსი რიტორიკის სახელმძღვანელოდან. აქ მოყვანილი მასალები საშუალებას მძლევს დავადგინო მათი სტილისა და შინაარსის მსგავსება სწორედ აფტონიასთან: შეიძლება სხვა ვინმე რიტორიკ კი იყოს ავტორი, მაგ. ჰერმოგენესი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პაპირუსი უნდა მივაკუთვნოთ საინტერესო და მნიშვნელოვან ძეგლთა რიცხვს და მასზე შემდგომ მუშაობას შეუძლია მიგვიყვანოს უდავოდ დადებით დასკვნებამდე და კარგ შედეგებამდე.

მთელი ამ პოეტური და პროზაული, როგორც სუფთა ლიტერატურული, ისე სამეცნიერო ხასიათის ძეგლების მიმართ მკვეთრად დისონანსურ დასკვნით აკორდს წარმოადგენს სხვადასხვა სახის შელოცვები და დაფიცებები, -ველური ცრურწმენის გამოვლინებები, რომელთა შორის განსაკუთრებულად საინტერესოა VI საუკუნის ერთი ქრისტიანული შელოცვა. მასში ავტორი დასახმარებლად თავისკენ მოუხმობს არქანგელოზებსა და ანგელოზებს “ცის სარკმელთა ჩამკეტებს” და “მსოფლიოს ოთხივე ბოლოში სინათლის ამომყვანთ”, რათა ისინი მოეხმარონ მას “აკეფალთა ერესის” წარმომადგენლების, ე. წ. “უთავო” მტერთა ძლევაში, რომლებიც არ ცნობენ არც საეკლესიო იერარქიას და არც საიდუმლოებებს. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ეს ერესი მეექვსე საუკუნეში გამოვლინდა, მაშინ ჩვენს პაპირუსში, რომელიც იმავე დროს ეკუთვნის, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ არა უბრალო კურიოზი, არამედ ეკლესიის ისტორიის და საერთოდ რელიგიური ცრურწმენების შესახებ საჭირო და საინტერესო ცნობა, მაგრამ რამდენადაც საჭირო არ უნდა იყოს ლიტერატურული ძეგლები, ისინი მაინც არ წარმოადგენენ კოლექციის მთავარ ბირთვს. მთავარ მასალას ქმნის როგორც ოფიციალური, ისე კერძო ხასიათის დოკუმენტური ძეგლები. რა თქმა უნდა, მთელი ამ დოკუმენტური მასის ამომწურავად განხილვის შესაძლებლობა აქ არ არის და შემოვიფარგლებით რჩეული ნიმუშებით.

დავიწყებ კერძო წერილებიდან. ჯერ კიდევ გოეთემ. თქვა, რომ წერილები საერთოდ განეკუთვნება იმ უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიცხვს, რომელსაც ტოვებენ ადამიანები სიცოცხლის შემდეგ, იგი ამბობს: “ყველაფერი ის, რაც ჩვენ გვწყინს და გვახარებს, გვამძიმებს და გვართობს, როგორც წარუშლელი ნაკვალევი მოცემული არსებობისა, მოცემული მდგომარეობისა, ასეთი ფურცლები მით უფრო მნიშვნელოვანია შთამომავლობისათვის, რაც უფრო დაკავებულია მისი დამწერი მოცემული მომენტით და რაც უფრო ნაკლებადა ფიქრობს მომავალზე”. სწორედ აწმყოზე, მთელ თავის პატარა მწუხარებებზე, სიხარულზე, ინტერესებზე ფიქრობენ და წერენ ჩვენი წერილების ავტორები, მიუხედავად იმისა, რა დროში და რა პოლიტიკურ მდგომარეობაშიც არ უნდა უხდებოდეთ არსებობა. მხოლოდ იშვიათად და ისიც ყრუდ და გაურკვევლად იძლევიან ისინი ინფორმაციას გარემომცველ ვითარებაზე, როგორც ამას აკეთებს მაგალითად ჩვ. წ. ა. მესამე საუკუნეში მცხოვრები ექიმი მარკუსი დედამისის ანტონიასადმი მიწერილ წერილში: “ვერაფრით ვერ მოვიცალე, რომ შენთვის ჩემი პატივისცემა დამედასტურებინა. ომი იყო ნომის ზემო ნაწილში მცხოვრებლებსა და ჯარს შორის.

სინგულიართაგან 15 ჯარისკაცი დაეცა, თუ არ ჩავთვლით ლეგიონერებს, ევოკატებს (ზევადიანები), დაჭრილებს და უკვალოდ დაკარგულებს”. მაგრამ როდის და ზუსტად სად იყო ეს ბრძოლა, აქ შეუძლებელია ამის განსაზღვრა. მხოლოდ იმავე ანტონიასადმი ახლა მეორე შვილისგან ე სირენიუსისგან გაგზავნილი წერილიდან ვგებულობთ, რომ ექიმი მარკუსი და თვითონ მისი ძმა სირენიუსიც, ასევე ექიმი, ძალიან დაკავებულნი არიან საავადმყოფოსა და ავადმყოფებზე ზრუნვით. “არ შეიძლება წამოსვლა, ბუზლუნს დაიწყებენ და მთავრობის წარმომადგენლებს ხუმრობა არ უყვართ”. გვინდა ამ ისტორიული შემთხვევის სიღრმეში ჩაწვდომა, მაგრამ ეს არ ხერხდება. სამაგიეროდ, ორივე ძმის წერილიდან, უფრო სირენიუსის წერილებიდან, ნათლად იხატება შვილებსა და დედას შორის მჭიდრო კავშირი, მათი ნაზი სიყვარული დედისადმი, მთელი მათი ოჯახური ურთიერთობა და სიამაყის განცდა სირენიუსისა თავისი ძმით; როდესაც იგი თავის თავზე ცოტას ლაპარაკობს, ჩანს, რომ ჩვენს წინაშე საქმიანი ხალხია, ექიმები არიან, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებიან და თითქოს ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. მხოლოდ ერთი აწუხებთ ძმებს: დედის არყოფნა მათთან. დედა რომ გადმოვიდეს მათთან საცხოვრებლად, არაფერს არ მოაკლებდნენ: სიყვარული, კარგი პირობები, პატივისცემა, - ყველაფერი ექნებოდა. მაგრამ იშვიათია ასეთი გულითადი წერილები. წერილთა მასაში, რომელსაც პაპირუსები იძლევიან, მათი შინაარსი უმეტესად საქმიანია, ხან სუფთა სამეურნეო სახის განკარგულებებია, ან სავაჭრო ოპერაციებზე ლაპარაკი. **En** გრანდ აუცილებელ საყიდლებზე, ამა თუ იმ მოთხოვნილების მქონე ან ძვირფას საქონელზე. ამ მხრივ განსაკუთრებულად საინტერესოა ერთი პაპირუსი, -წერილი “ატმების” შესახებ. ვინმე ამონიუსი ავალებს თავის ძმას აპიონს შეისყიდოს ბაზარში არსებული ყველა ატამი და ამ საქმეში დაიხმაროს ყრუ დიონისიოსი. ერთი სიტყვით, ყოველნაირად უნდა ეცადოს, რომ ატმები ხელიდან არ წაუვიდეს ამონიუსს. აპიონმა ამას უნდა მოახმაროს თავისი ენერჯია. წერილი აჭრელებულია სიტყვებით: “არ დაიზარო!” “ნუ ამთქნარებ!” “მთელი ძალები დაძაბე!” ისეთი სურათია, თითქოს ატმის გარეშე იღუპება ყველაფერი და რიჩარდის მსგავსად: “ცხენი, ცხენი, მთელ სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!”, თითქოს ესეც გაიძახის: “ატმები, ატმები, - ყველაფერი ატმებისათვის!” რით აიხსნება მსგავსი დაჟინებულობა? როგორც ყოველთვის, საიდუმლო უბრალოდ იხსნება: ატმები იშვიათობა იყო ეგვიპტის ბაზრებში და პირველად იგი აქ გამოჩნდა როგორც უცხოური საქონელი, -არა უადრეს მესამე საუკუნისა ჩვ. წ. ა. და მასზე შესაძლებელი იყო გამდიდრება. ამიტომაა ალბათ ამონიუსი, ხილის ვაჭარი, გამუდმებულად რომ სთხოვს ატმების შესყიდვას აპიონს.

აი, მეორე, არანაკლებ საყურადღებო წერილი, რომელიც მეექვსე საუკუნეს ეკუთვნის. აქ ვაჟიშვილი სქოლასტიკოსი წერილს სწერს დედამისს ფილისტორგიას და აღმფოთებულია ახლობელთა ხანგრძლივი დუმილით. მოვიყვან მას **IN** ეხტენსო: “მე ვფიქრობ, რომ თუ ღმერთი არ მიშველის, მაშინ თქვენს გამო ამიხდება ანდაზა, “ თუ თვალი თვალს მოსცილდება, გულიც გადასხვაფერდება”. დავიღალე წერილებში სულ იმის შეკითხვით, რომ ყურადღებით გეკიდებათ თუ არა ზოგიერთი ჩვენი ნაცნობი და ასრულებენ თუ არა თქვენს მიმართ თავიანთ მოავლეობას. თქვენ კი რაღაც გაურკვეველსა მწერთ, რასაც არც თავი აქვს და არც ბოლო. ამას გარდა, თქვენთან და არსინოიტის ნომში გამოვავზავნე მსახური კოლლუფა, მოგწერეთ, გთხოვეთ, რომ მისთვის გამოგეტნიათ შალის ჯემპრი და სხვა ნივთები, მაგრამ მერე რა? ღვთის წყალობით, თქვენთან დაჰყო მან სამთვე-ნახევარი და ხელგარიელი დაბრუნდა. წერილიც კი არ მოუტანია თქვენგან.

რაკი ასეა საქმე, საჭიროა ცოტა ტვინი მეც გავანძრიო თავში და მეტს აღარ მოგწერთ. რაც მოგწერთ, ისიც მეყოფა!”

სტილითა და შინაარსით შესანიშნავი ეს წერილი, რომ იტყვიან, გულიდან მომდინარეობს და პირველად იძლევა რუსული ანდაზის პროტოტიპს “თუ თვალი თვალს მოსცილდება, გულიც გადასხვაფერდება”. ამ წერილმა ცნობილი გახადა ბერძნული ნიმუში, რომლიდანაც თარგმნილი არის მისი რუსული ფორმულირება.

ასე რომ, ოჯახური ხასიათის, სხვადასხვა ტონისა და შინაარსის, მაგრამ მაინც ერთგვაროვანი მიღეუ-ს მქონე წერილებთან გვექონდა საქმე. მაგრამ აი, ჩვენს წინაშე სხვა წერილია მეოთხე საუკუნისა, რომელსაც ოჯახური ურთიერთობიდან გადავყავართ სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. ესაა სოფ. ევგემერიის მცხოვრებთა წერილი მათი პატრონის ნექოსისადმი, მსხვილი მემამულისადმი, რომელიც ცდილობს მის მფარველობასა და პატრონირებაში მყოფი გლეხების პიროვნების ხელყოფას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ საქმე გვაქვს ძველისძველ მაგალითთან იმისა, თუ პატრონი, რომლის დაცვის ქვეშ ნებაყოფლობით ექცეოდნენ გლეხები, რათა მისი სახით ჰყოლოდათ დასაყრდენი ვინმე ფისკის წინააღმდეგ, რომელთანაც თვითონ პატრონს ჰქონდა საქმე და ხარკს უხდიდა იმ გადასახადიდან, რომელსაც გლეხები თვითონ ნექოსს უხდიდნენ პატრონობისათვის, -როგორ ცდილობს ამ გლეხების ყმებად გადაქცევას, მიუხედავად იმისა, რომ გლეხები კარგად იქცევიან. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ეს წერილი მეტად ძვირფასია აგრარულ ურთიერთობათა ისტორიისათვის. ჩვენ აქ ვხედავთ, თუ როგორ ცდილობენ გლეხები, რათა მეპატრონის ხელი მფარველობისა და დაცვის მაგიერ, მათთვის კისერზე დადებულ მძიმე უღლად არ გადაიქცეს. ისინი წერენ: “ჩვენ გვინდა, რომ შენ იცოდე, ჩვენო ბატონო ნექოს, რომ არც მამაშენის პატრონობის დროს და არც შენს დროს არ გადმოგვიცია თქვენთვის ჩვენი სხეულები. უფრო მეტიც: რადგან წლიდან წლამდე შემოგვაქვს ჩვენი შენატანები, ჩვენ ამით თავს არ ვიყენებთ ვინმეს დაქვემდებარებაში, მაგრამ თუ ბატონის ოჯახს რაიმე დანაკლისი აქვს, მაშინ, ჩვენო ახალგაზრდა პატრონო, კამათს ჩვენ არ დავიწყებთ: თუ ხარკის დადებას ფიქრობ, დაგვადევინა მაშინ ხარკი”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გლეხები მზად არიან თავი ფულით გამოისყიდონ, ოღონდ პირადი თავისუფლება არ დაკარგონ.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ შედარებით მალე, 415 წ. იმ მსხვილი საკუთრებების მეპატრონენი, რომლებსაც მთავრობა ვერ მართავდა, მთავრობისვე თანხმობით, ჩაგრულთა მფარველებიდან იქცნენ პოსესორებად, ე. ი. ბატონებად, ხოლო მათი მფარველობის ქვეშ მყოფი წვრილი მესაკუთრენი იქცნენ “მიწერილებად”, ანუ ყმებად. ამრიგად, ჩვენი წერილი გვიჩვენებს, რომ თუ 415 წელს ამ ახალმა წესრიგმა მოქმედება დაიწყო დე იურე, პრაქტიკულად, დე ფაქტო იგი უკვე მეოთხე საუკუნეში მოქმედებდა, რათა მეექვსე საუკუნეში მას მიეღო აყვავებული ფეოდალიზმის ფორმა. ხოლო იმის შესახებ, თუ რა ფუფუნებით ცხოვრობდნენ ფეოდალები, ამის მოწმენი ისევ პაპირუსებია, რომლებიც სხვადასხვა მაგნატებზე მოგვითხრობენ, მსგავსად სტრატოლატისა და პაგარქის ფეოდორაკისა, რომელიც ფლობდა არსინოეს, ჰქონდა თავისი ფოსტა, ჰყავდა თავისი მოხელეები და თამაშობდა გრანდ შეიგრეურა-ს როლს. ხელთ ეჭირა მთელი ის ოლქი, რომლის პაგარქსაც იგი წარმოადგენდა.*** PAGE 117 ***

ასევე ყურადსაღებია სკოლებთან დაკავშირებული ძეგლები. მე მხედველობაში მაქვს ის პაპირუსები, ცვილით დაფარული და ცვილით დაუფარავი დაფები, რომლებიც შეიცავენ წერით სავარჯიშოებს მოწაფეებისთვის. ერთ დაფაზე მოცემულია მოწაფის გამოუცდელი ხელით მრავალჯერ განმეორებული ბერძნული ალფაბეტი. მეორე დაფაზეა მასწავლებლის ნაწერი, რომელსაც მოწაფე მრავალჯერ იმეორებს, ჯერ გულმოდგინედ, შემდეგ უფრო და უფრო უპასუხისმგებლოდ. ეტყობა ან გაუწაფავი ხელი დაეღალა, ან მობეზრდა მოსაწყენი საქმე და ყურადღება მოუდუნდა. რა თქმა უნდა, ასეთი სავარჯიშოები აჭრელებულია ორთოგრაფიული შენიშვნებით და ყოველგვარი ლაპსუს-ებით, მაგრამ მეორე მხრივ საინტერესოა თვალის მიდევნება იმაზე, თუ როგორ თანდათან მტკიცდება მოწაფის ხელი, როგორ გადადის იგი თანდათანობით წერითი სავარჯიშოდან დამოუკიდებელ წერილამდე და ბოლოს შეჰბედავს თვით ჰომეროსსაც.

არანაკლებ საინტერესოა სხვა სავარჯიშოებიც, უკვე არა წერაში, -მას უკვე საკმაოდ ფლობს წერილის დამწერი, -არამედ კანცელარიული სტილის ათვისებასა და გამომუშავებაში. ტექსტში შეაქვს სხვადასხვა ცვლილებები, ვარჯიშობს დოკუმენტის ფორმულირებაში. სახ. ერმიტაჟის პაპირუსთა კოლექციაში არის კანცელარისტის ასეთი ვარჯიშის დიდებული ნიმუში, -ორივე მხრიდან ნაწერით დაფარული ხის დაფა, რომლის ტექსტი ეკუთვნის 449 ან 464 წლებს. ეს ტექსტი სხვადასხვა ვარიაციებით 5-ჯერ იმეორებს ერთსა და იმავეს, -უმალესი თანამდებობის პირის ფიქტიურ განკარგულებას, -თავისი ტრაგიკული სიკვდილით შემდგომში ცნობილი ფლავიუს ანტიოქოსი დამონიკის სახელზე, რომელიც 468 წელს დაიღუპა ვანდალებთან ბიზანტიელთათვის საუბედურო საზღვაო ბრძოლაში. ეს საერთოდ საინტერესო ძეგლი, ჩვენთვის კიდევ იმითაცაა საინტერესო, რომ იგი თვალსაჩინოა ხდის, თუ რა შრომითა და მუყაითობით იყო მიღწეული ის ოფიციალურ-კანცელარიული ბიზანტიური სტილი, რომელიც ასე გვაოცებს თავისი ხელრთვითა და დახვეწილობით.

ყოველივე ამასა და უამრავ სხვა რამეზე მოგვითხრობენ პაპირუსები თავიანთი კერძო წერილებით თუ სავარჯიშოებით წერასა და სტილში, კერძო და ოფიციალური ხასიათის სამართლებრივი დოკუმენტებით და სხვ. ეგვიპტის მთელი ცხოვრება, როგორც ბერძნულ-რომაული, ისე ბიზანტიური და არაბული პერიოდებისა, სახელებისა და მოვლენების ჭრელ ცვალებადობაში გაივლის ჩვენს თვალწინ. ჩვენ ვხედავთ თუ ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით, როგორ იცვლება ქვეყნის სახე, მართვის მეთოდები და ორგანოები, ცხოვრების წესები, სოციალური პირობები, მცხოვრებთა სულიერი განვითარება. იცვლება თვით დოკუმენტთა და აქტთა სტილი, რომელიც გადადის ადრინდელი პრეციზიულობიდან ბიზანტიურ მრავალსიტყვაობასა და ბუნდოვანებაში. ბოლოს კი ვხედავთ იმასაც, თუ ბერძნული ენა თანდათანობით, სულ უფრო და უფრო, რა ბარბაროსული ხდება. როგორ იწოვს და იზიდავს სხვაენოვან ელემენტებს, უფრო კი კოპტურ ენას.

მაგრამ, ამ აღნიშნული ძეგლების გარდა, როგორია იმ დანარჩენ ძეგლთა შინაარსი, რომლებიც პაპირუსებმა შემოგვინახეს? რა დარგებს განეკუთვნებიან ისინი? დარგი ორია: ოფიციალური დოკუმენტები და კერძო დოკუმენტები. მაგრამ თავის მხრივ თითოეული ეს დარგი იყოფა მთელ რიგ წვრილ დარგებად იმისდა მიხედვით, თუ საიდან გამოვიდა ეს დოკუმენტი და როგორია მისი მიზანი და დანიშნულება.

ოფიციალური დოკუმენტებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს უპირველეს ყოვლისა ის პაპირუსი, რომელიც ეხება ღმერთ აპისის კულტს და ემთხვევა ჩვ. წ. ა. 209 წ. ესაა ორი ხელწერილი, რომელიც ნაწილია ხელნაწერთა მთელი კრებულისა და გაცემულია ღმერთის ტაძრის მსახურთა მიერ დასტურად იმისა, რომ სახელმწიფო ბანკის დირექტორებისგან მათ მიიღეს ფული, რომელიც ამ და ამ წლის განმავლობაში ეკუთვნოდათ როგორც საღვთო ხარჯების, ისე საკუთარი ხარჯებისთვის ჯილდოდ. ტაძრის აქტების დოკუმენტებიდან ამ დოკუმენტის გამორჩეული მნიშვნელობა ისაა, რომ აქედან პირველად გახდა ცნობილი ღმერთ აპისის მსახურთა შემადგენლობა, რომლებიც ატარებენ შემდეგ სახასიათო სახელებს: “წმინდა-მარჩენალი”, “წმინდა-მზარეული”, “წმინდა-ექიმი”. არანაკლებ უნიკალურია სხვა დოკუმენტი მეოთხე საუკუნისა, უკვე არარელიგიური სფეროდან. მასში მოცემულია ნაშთები, როგორც ჩანს, რომელიც სამხედრო ან სასურსათო უწყების “დიდი გასავლის წიგნისა”. ეს უწყება ვალდებული იყო ეზრუნა ეგვიპტეში მყოფი სამხედრო ნაწილების ჩაცმულობასა და სურსათით მომარაგებაზე. აქ არის გრძელი სია ნივთებისა: ქლამიდები, ლაბადები, მოსასხამები და ა.შ. მოყვანილია ფასები, ჩამოთვლილია მომწოდებლები, ნახსენებია გადაზიდვის საშუალებები, მქსოველთა და მთელავთა გილდიები და ა.შ. ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ და ვის მიერ მიეწოდება უწყებას და როგორ შედის წიგნში მრავალრიცხოვან ჩინოვნიკთა მიერ ყველაფერი, გადასახადი თანხის ჩვენებით. ყველაფერი ეს ძალიან საჭიროა და მით უფრო საყურადღებოა, რომ ასეთი “გასავლის წიგნი” და თანაც სამხედრო უწყებისა, პაპირუსებში ჩვენ სხვაგან არ შეგვხვედრია.

ასე მიდის ერთმანეთის მიყოლებით სხვადასხვა მოცულობის ოფიციალური ხასიათის პაპირუსები, თანამდებობის პირთა საქმიანი ჟურნალებით, ადმინისტრაციულ ორგანოთა ბრძანებებით და განკარგულებებით, ხელისუფლების ანგარიშებით, ყოველგვარი სახის ხელწერილებით უთვალავი რაოდენობის გადასახადებისა და ბეგარების შეტანის შესახებ, რომლებიც გვამცნობენ საგადასახადო სისტემის რთულ ისტორიას და ა. შ. ეს ყველაფერი უმდიდრესი მასალაა უმთავრესად რომაული და ბიზანტიური პერიოდების ეგვიპტის შიგა ისტორიის შესასწავლად. ოფიციალური ხასიათის საქმიან დოკუმენტებს უწყვეტ ლენტად მისდევს კერძო ხასიათის საქმიანი დოკუმენტები, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან: დოკუმენტები, რომლებიც აშუქებენ თანამდებობის პირებთან კერძო პირთა ურთიერთობას და დოკუმენტები, რომლებიც კერძო პირებს შორის გარიგებებს შეიცავენ. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა სახის თხოვნებსა და ჩივილებთან, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის სერიოზულ და არასერიოზულ მიზეზებთან, დაკავშირებულია მიწასა და სააუქციონო სიებთან, მესაკუთრეთა დეკლარაციებთან თავიანთი ქონების შესახებ და საშემოსავლო გადასახადებთან. გვხვდება კრებითი დეკლარაციები, რომელთაც კავშირი აქვთ ყოველ 14 წელიწადში მიმდინარე მოსახლეობის აღრიცხვასთან და ა. შ. ამასვე შეიძლება მივაკუთვნოთ სავალდებულო მოხსენებები ოჯახის ამა თუ იმ წევრის დაბადების თუ გარდაცვალების შესახებ. რაც შეეხება კერძო პირთა მიერ ურთიერთშორის დადებულ ხელშეკრულებებს, ესენი ხომ კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. მაგალითად: მსყიდველობითი და საარენდო სესხის წერილები და ხელშეკრულებები, შუამდგომლობები და ანდერძები, დაბოლოს, საქორწინო კონტრაქტები. რაც ამ უკანასკნელს შეეხება, ჩვენ გვაქვს თავისთავად უნიკალური და ერთადერთი, იმპ. კონსტანციას დროინდელი

კონტრაქტი, რომლის თანახმად, არაფრის მქონე სასიძო შედის სიმამრის ბინაში, როგორც გამოკვებაზე მორიგებული მდგმური, მთელი რიგი ვალდებულებებით ხელფეხშეკრული.

ჩვენ აღვნიშნეთ ზოგადი სახით ჩვენი კოლექციების პაპირუსების შინაარსი და მნიშვნელობა და თუკი რამეზე კიდევ მინდოდა ორიოდ სიტყვა მეთქვა, ესაა არაბების მიერ ეგვიპტის ოკუპაციის საწყისი პერიოდის დოკუმენტები, როდესაც შეწყვიტა ეგვიპტემ ბიზანტიის პროვინციად ყოფნა და ჯერ კიდევ არა აქვს დაკარგული თავისი ბერძნული სახე და კულტურა.

ამ ეპოქის პაპირუსებით განსაკუთრებით მდიდარია ნ. პ. ლიხაჩოვის ყოფილი კოლექცია, რომელიც სადღაც ავსებს და სადღაც კი აგრძელებს ბრიტანული მუზეუმის შესაბამის კოლექციას და თავის დათარიღებულ ნაწილში მოიცავს 709-712 წ.წ. ქორი ბენ შარიქის გუბერნატორობის პერიოდს.

აქ შემავალი დოკუმენტები შესრულებულია ჯერ კიდევ ბიზანტიურ კანცელარისტულ სტილში და იყოფა, ერთი მხრივ, გუბერნატორის ბრძანებულებებად და განკარგულებებად და მეორე მხრივ, სიებად და ანგარიშებად. ბრძანების გამცემი პირია, ძირითადად, აფროდიტოპოლისის პაგარქის დიოკეტი, ბერძენი ბასილი. ბრძანებულებათა შინაარსი ძალიან მრავალფეროვანია, მაგრამ ტონი ყველგან ერთნაირია, -მკაცრი, შეუვალი, მუქარასთან შერეული, რომ ბრძანების ზუსტი სახით შეუსრულებლობის შემთხვევაში დაისჯებიან ყველაზე მკაცრად. ამ ბრძანებულებებიდან განსაკუთრებით ორი არის მნიშვნელოვანი. ისინი ნათელს ჰფენენ მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას, რომელიც უმეტესწილად “გაქცევაში” იმყოფება. და აი, პაგარქისა და მის ქვეშევრდომთა ვალდებულებაა ამ “გაქცეულების” დაჭერა და ეტაპით ძველ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება. ქორა ბრძანებს: “... და თუ ერთი გაქცეული მაინც მოინახება შენს ოლქში, მაშინ ყველაფერს აანაზღაურებ შენი ქონებით”. იმის შესახებ, რომ დადანაშაულებულ მოსახლეობასთან ბევრ ცერემონიას ადგილი არ ჰქონდა, არამედ ხშირად მათ ყველაზე მკაცრად აწამებდნენ, გვიამბობს იმავე ქორას მეორე ბრძანებულება, რომლითაც უქმდება წამების ისეთი სახე, როგორიცაა პირსა და ცხვირში ძმრით განზავებული კირის ხსნარის ჩასხმა. უქმდება იმ მოტივით, რომ ამ წამებით დასჯილები კარგავენ შრომისუნარიანობას და სახელმწიფოსთვის გამოუსადეგარნი ხდებიან, რომელსაც აკლდება მისთვის საჭირო მუშახელი. *** PAGE 121 ***

წამების სისასტიკეზე მოგვითხრობს ერთი წერილი, რომელსაც ერთი მსახური უგზავნის ბატონს და ემთხვევა ეგვიპტეში სასანიდების თავდასხმის პერიოდს, ე. ი. 619-629 წ.წ. “ჩემმა კეთილმა ბატონმა იცის ჩემი დიდი ტანჯვის ამბავი”, -ამბობს წერილის ავტორი და აგრძელებს: -“მოვიდნენ სპარსელები და ფოსატაში წამათრიეს. მტანჯეს იქ ძმრისა და კირის ხსნარის ჩასხმით ცხვირ-პირში. მოკვდი, ისე როგორც კუბოში მწოლიარე. სპარსელებმა ლეტოპოლის ჩრდილოეთით დამაგდეს და მკვდარი მიმატოვეს. სუნთქვა სამი საათის შემდეგ დამიბრუნდა. ამრიგად დავაღწიე მათ თავი და არსინოემდე მივაღწიე. იქ კი ავად გავხდი და უგონოდ ვეგდე. ჩემი ბავშვები ამ დროს ტყვედ წაუყვანიათ სპარსელებს. და აი, ახლა ტიტველი და მარტოხელა დავბრუნდი თქვენთან”.

დაე, ეს წერილი გახდეს ამ ლექციის დასკვნითი სიტყვა.... თუმცა კი ჩვენს კოლექციებში წარმოდგენილი ეს უზარმაზარი მასალა ამომწურავად ვერ განვიხილეთ, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ თითოეულისათვის ნათელი გახდა, რა უამრავ სიახლეს შეიცავენ პაპირუსები როგორც ფილოლოგების, ისე ისტორიკოსების და იურისტებისათვის. საჭირო არის პაპირუსთა ჩვენი კოლექციების კიდევ უფრო გაფართოება და პაპიროლოგიის გადაქცევა იმ საგნად, რომელიც გადაიცემა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ისტორიულ - ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე, რადგან მას ძალზე მდიდარი მომავალი აქვს.

თბილისი

1936 წ.

შესავალი აპოლონიოს როდოსელის

“არგონავტიკის” რუსული თარგმანისათვის

1.

ცნობილი ეპიკური პოემის “არგონავტიკის” ავტორი აპოლონიოს როდოსელი დაყენებული უნდა იქნას ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის ელინისტური პოეზიის სამი უმთავრესი წარმომადგენლის: არატის, კალიმახის და თეოკრიტეს გვერდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე მოაღწია ორმა ბიოგრაფიამ და მცირე შენიშვნამ სვიდას ლექსიკონში, მისი ცხოვრების გარემოებათა შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. ეგვიპტის უძველესი ქალაქიდან ნავკრატისიდან წარმოშობილი სილვას ვაჟიშვილი, აპოლონიოსი დაიბადა პტოლემეოსთა სამეფო ქალაქ ალექსანდრიაში, სადაც გაატარა ბავშვობა და შემდგომი ცხოვრების დიდი ნაწილი. ერთ-ერთი ბიოგრაფიის მონაცემებს თუ ვენდობით, იგი შედარებით გვიან შეუდგა პოეტურ შემოქმედებას. ამას როგორც ჩანს, წინ უსწრებდა და შემდეგში მასთან ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობდა სამეცნიერო მოღვაწეობა, რაც მიმართული იყო ბერძნული პოეზიის კლასიკური პერიოდის შესწავლისაკენ და ამასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ ძიებებთან. ცნობილია მაგალითად, რომ იგი ჰესიოდეს და არქილოქეს შესახებ წერდა. საგანგებო შრომა მიუძღვნა ანტიმაქე კოლოფენელის შემოქმედების გარჩევასა და შეფასებას. ავტორი იყო თხზულებისა “ზენოდოტის საწინააღმდეგოდ”. ცნობილია, რომ მაშინდელი პოეზიის მეთაურის კალიმახის თანამედროვე, იგი ამავე დროს მისი მოწაფეც იყო და მისი სკოლა გამოიარა. დაბოლოს, ისიც ცნობილია, რომ “არგონავტიკის” გარდა აპოლონიოსი წერდა მთელ რიგ პატარა ეპოსებს, _ “ეპილიებს”, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. მათში იგი განიხილავდა ნავკრატისის, ალექსანდრიის და სხვა ქალაქთა დაარსების შესახებ არსებულ საგებს. ერთი სიტყვით, აპოლონიოსის სახით ჩვენ გვყავს მეცნიერიცა და პოეტიც ერთდროულად, ანუ უფრო სწორად, მეცნიერი-პოეტი, რაც ასე დამახასიათებელია ელინისტური პერიოდის პოეზიისათვის.

მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება აპოლონიოსის მოღვაწეობა, ანუ უმთავრესად ის ნაწილი მისი მოღვაწეობისა, რომელიც მისი ცხოვრების პირველ ნახევარზე მოდის. იმის შესახებ, რომ აპოლონიოსი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, ჩვენ ადრეც ვიცოდით სვიდას

ლექსიკონიდან. მაგრამ ახლახანს, ოქსირინქის ერთ-ერთი პაპირუსის წყალობით ცნობილი გახდა, რომ შეიძლება შესწორება შევიტანოთ სვიდას ლექსიკონის მიერ მითითებულ ამ ქრონოლოგიურ აღრეულობაში. პაპირუსიდან გაირკვა, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე აპოლონიოსი მემკვიდრე კი არ იყო ერასტოფენისა, როგორც სვიდა მიუთითებს, არამედ პირიქით, მისი წინამორბედაა. იგი ზენოდოტის, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის პირველი დირექტორის უშუალო შემცვლელია, მისი მემკვიდრეა. პაპირუსიდან ისიც გახდა ცნობილი, რომ აპოლონიოსი არის ტახტის მემკვიდრის, მომავალი მეფე პტოლემეი მესამე ევერგეტის აღმზრდელი. მაგრამ რაკი ეს ასეა, მაშინ ისიც ნათელია, რომ იგი ბევრად უფროსია, ვიდრე ამას სვიდას ლექსიკონი ვარაუდობდა და მხოლოდ ოდნავ უმცროსია კალიმახზე, რომლის მოწაფედაც განიხილავენ მას ანტიკური სიძველენი. ამ უკანასკნელი ფაქტის არაპირდაპირი დადასტურებაა ის, რომ კალიმახის გავლენა შეიმჩნევა აპოლონიოსის “არგონავტიკის” ენაზე, მეტრზე და მთელ რიგ ცალკეულ ნაწილებზე. ყოველივე ამას, რაც აპოლონიოსს ეხება, უნდა დავეუმატოთ კიდევ ერთი საჭირო წვრილმანი, სახელდობრ, კალიმახთან მისი ჩხუბის ისტორია, რომელმაც აიძულა იგი ალექსანდრია დაეტოვებინა და კუნძულ როდოსზე დამკვიდრებულიყო, სადაც მან თავისი სიცოცხლის დანარჩენი ნაწილი გაატარა და ამიტომ იწოდა კიდევ “როდოსელად”.

ისმის კითხვა, თუ რა იყო ამ უთანხმოების მიზეზი და ნუთუ მხოლოდ ამან აქცია აპოლონიოსი მთელი სიცოცხლის მანძილზე განდევნილად? სიძველეებს თუ დავუჯერებთ, უთანხმოების ძირითადი მიზეზი იყო მოწაფე-მასწავლებლის განსხვავებული შეხედულებები იმაზე, რომ შესაძლებელია თუ არა ჰომეროსის ან კიკლიკებისნაირი დიდი გმირული პოემის კიდევ შექმნა. უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ ალექსანდრიის პოეტურ წრეებში ეს ერთ-ერთი უმწვავესი საკითხი იყო. რაც შეეხება კალიმახს და მის წრეს, მათში გამეფებული შეხედულებით “ეპიკურ პოემათა საუკუნე წავიდა” და პოეზიამ ახლა სხვა გზაზე უნდა გადაუხვიოს, მაგრამ რა გზაზე? კალიმახის აზრით, საჭირო იყო ამ გათელილი გზის მიტოვება და ახლა ხელი უნდა მოეკიდათ ძირითადად ნაკლებად ცნობილი თქმულებების, ლეგენდების და საგების გადამუშავებისათვის ისე, რომ გადმოეცათ ისინი მხოლოდ მცირე მოცულობის ლექსების სახით და თხრობისათვის მიეცათ შემდგომადგვარად დასრულებული ფორმა, _ საფუძვლიანად დახვეწილი წვრილმანებით და უნაკლოდ ჩამოქნილი ლექსით, რაც ერთად აღებული, ლექსს მიანიჭებდა მაღალმხატვრულობის ბეჭედს. ეს პროგრამა კალიმახმა განსაკუთრებული გამომსახველობით გაატარა თავის პოემაში “მიზეზები”, რაც თხრობითი ხასიათის ელეგიების კრებულს წარმოადგენს. ასევე მოიქცა იგი თავის პატარა ეპიკურ პოემაშიც “გეკალა”, სადაც არცთუ ტყუილუბრალოდ აქებს არატს დიდაქტიკური პოემისათვის “ფენომენები”. აქებს იმისათვის, რომ მან არ წაბაძა “უდიდეს პოეტს”. ე.ი. ჰომეროსს ანუ სხვაგვარად, აქებს იმისათვის, რომ არატმა არ დაწერა ჰომეროსისნაირი სულისკვეთების მქონე გმირული პოემა.

აპოლონიოსის პოემა კალიმახისეული პროგრამის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენდა. იგი თავისთავად მაინც წარუმატებელი ცდა იყო ჰომეროსისეური ეპოსის შექმნისა, რადგან ჰომეროსისეურ ეპოსს აქ დაემატა მთელი რიგი ამ სტილისა და სულისკვეთებისათვის უცხო და პირიქით, აპოლონიოსის დროის საზოგადოებისათვის ახლობელი და სასურველი. კრუაზეს მოხერხებული გამოთქმით, თავისეური ნახევრადრევოლუციაა _ “არგონავტიკა”. ამ თავისი

პოემით აპოლონიოსი გამოჩნდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის 60-იან წლებში, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთელი ამ პოემის გამოქვეყნებას წინ უძღოდა მასთან საზოგადოების წინასწარი გაცნობა, როდესაც პოეტთა საჯარო შეჯიბრებებზე გამოსვლისას აპოლონიოსი კითხულობდა პოემის ცალკეულ ნაწილებს. ასეა თუ ისე, კალიმახი და მისი წრე, დიდი არაკეთილმოსურნეობით შეხვდა პოემას და ამ ნიადაგზე მასწავლებელსა და განდგომილ მოწაფეს შორის გაჩაღდა მტრობა, რომელიც თანდათან მწვავედებოდა. ამ მტრობის გამომახილია აპოლონიოსის მიმართ გამოხდომები, რომლებიც შემონახულია და რომლებსაც შეიძლება თვალი გავადევნოთ როგორც თვითონ კალიმახის, ისე მისი ლიტერატურული მოკავშირის თეოკრიტეს ლექსებში. მაგრამ შეუძლებელია, რომ მხოლოდ ლიტერატურულ შეხედულებებში არსებული მტრობა ყოფილიყო მიზეზი აპოლონიოსისათვის იმ საბედისწერო შედეგებისა, რომლებიც შემდეგ მას თავს დაატყდა. ძნელია ვივარაუდოთ, რომ კალიმახის წრიდან მტრულმა დამოკიდებულებამ და იმ წარუმატებლობებმა, რომლებიც პოემას ჰქონდა საზოგადოებაში, თუკი ამ წარუმატებლობებს მართლაც ჰქონდა ადგილი (პოემის შემდგომი წარმატებები თითქოს საწინააღმდეგოს მეტყველებენ!) აიძულეს აპოლონიოსი დაეტოვებინა ალექსანდრიის მთავარი ბიბლიოთეკარის თანამდებობა და მაშინ წასულიყო ალექსანდრიიდან, როდესაც მისი აღზრდილი, პტოლემეი ევერგეტი, _ 259 წლიდან _ ხდება ტახტის მემკვიდრე. უფრო სწორი იქნება თუ ვიფიქრებთ, როგორც ამას აკეთებს ვილიამოვიცი, აპოლონიოსის ბედზე სასახლის კარის რაღაც ინტრიგამ იქონია გავლენა, რის შედეგადაც მისდამი უსიამოდ განიმსჯალა თვითონ პტოლემეი _ ფილადელფი, რაზედაც თავისი ხელის ანაბეჭდი დაამჩნია ტახტთან ახლო მყოფმა კალიმახმაც, რომელმაც ამ გზით თავიდან ჩამოიცილა არასასურველი ლიტერატურული მოწინააღმდეგე. მთელს ამ ინტრიგაში კალიმახის მონაწილეობაზე ხომ არ მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აპოლონიოსის შემდეგ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად ინიშნება ერასტოფენი, _ კალიმახის მეგობარი და თანამემამულე კირენეიდან? *** PAGE 125 ***

აპოლონიოსსა და კალიმახს შორის მტრობა თანდათან გრძელდება და განდევნის შემდგომ იგი უფრო სასტიკ ფორმებს ღებულობს. თუკი ადრე აპოლონიოსი კინკლაობის წამომწყები არ იყო, იგი ახლა ამ მხრივაც აღარა რჩება ვალში კალიმახს. ჩვენამდე მოაღწია მაგალითად ერთმა ეპიგრამამ, რომელშიდაც აპოლონიოსი ძალიან უხემ ფორმებში დასცინის კალიმახის “მიზეზებს”. საერთოდ კი ვიცით, რომ მხოლოდ ეს ეპიგრამა არაა მისგან მტრისკენ გასროლილი ერთადერთი ისარი. კალიმახიც თავის მხრივ, მთელი რიგი ხშირ-ხშირი და წვრილმანი გამოხდომების გარდა, თავს ესხმის აპოლონიოსს ჩვენამდე მოუღწეველი პატარა პოემით “იბისი”. ამას გარდა, აპოლონიოსისადმი თავისი ჰიმნის დასასრულ, იგი ქარაგმულად და გადაკრულად, ღმერთის პირით აღავლენს აპოლონიოსის პოემისადმი მიწასთან გამასწორებელ განაჩენს. მეტიც, იგი ისე ხატავს, რომ ღმერთი პანლურის კვრით აძევებს შურს, რომელიც აპოლონიოსს განასახიერებს და ამ გზით განაგდებს მას მასთან ურთიერთობისაგან, რაც ნათელი მინიშნებაა ალექსანდრიის პოეტთა წრიდან აპოლონიოსის გაძევებაზე.

განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ აპოლონიოსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდოსზე განმარტოვდა, მიიღო მოქალაქეობის უფლება და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა იქ, სადაც დამსახურებული პატივით სარგებლობდა. მან სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი მის უარმყოფელ

ალექსანდრიასთან. მართალია, ერთ-ერთ ბიოგრაფიაში არის ლაპარაკი, თითქოს ცხოვრების მიწურულს იგი დაბრუნდა სამშობლოში, აღსდგა ბიბლიოთეკის გამგებლობაში და გარდაცვლილი კალიმახის გვერდით დაიკრძალა. მაგრამ როგორც ზემოთ აღნიშნული ოქსირინქის პაპირუსი მეტყველებს, ეს ცნობები მართალი არაა: ისინი ერთმანეთში ურევენ აპოლონიოს როდოსელს “არგონავტიკის” ავტორს და უფრო ახალგაზრდასა და უფრო ადრე დავიწყებულ აპოლონიოს იდიოგრაფს, _ რომელიც დროის მიხედვით, მეორე მემკვიდრე იყო ერასტოფენისა.

რაც შეეხება აპოლონიოსის პოემას, მართალია იგი გადაჭრილად უარჰყო კალიმახმა, მაგრამ მისი განაჩენი მთლად მომაკვდინებელი არ აღმოჩნდა. კალიმახისა და მისი წრისათვის არასასურველი ეს პოემა, სრულიად მისაღები აღმოჩნდა მკითხველი საზოგადოების სულისა და გულისათვის და თავის მხრივ მთელი რიგი მიზაძვებიც კი გამოიწვია. ამათ რიცხვში შეიძლება მივუთითოთ რიანის პოემაზე “მესენია”, რომელიც უმღერის მესენიის მე-3 ომის გმირს არისტომენს (ჩვ. წ. ა-მდე 490წ.).

2

აპოლონიოსის პოემა მოცულობის მიხედვით თითქმის თანაბარ ოთხ ნაწილად იყოფა (მხოლოდ ბოლო ორი ნაწილია დანარჩენებზე მნიშვნელოვნად გრძელი). ეს დაყოფა თვითონ ავტორისგან მომდინარეობს და არა ალექსანდრიელი სწავლულებისაგან. ძნელია იმის თქმა, რომ მთელი პოემა ალექსანდრიაში ყოფნისას დაწერა ავტორმა. ვერც იმას ვიტყვით გარკვეულად, რომ პირველი ორი ნაწილი მაინც დაწერილიყოს იქ და უკანასკნელი ორი ნაწილი კი, რომელთაც თან საგანგებო შესავალი ახლავს, პოეტს როდოსზე ყოფნის დროს დაეწეროს. ამასთან დაკავშირებით გადასაწყვეტია მეორე საკითხიც. პოემა დასრულებული სახით პირველად ალექსანდრიაში გამოქვეყნდა თუ, მაშინ გამოქვეყნდა იგი პირველად, როდესაც მისმა ავტორმა დატოვა პტოლემოსთა დედაქალაქი. ბიოგრაფიისა და სქოლიოთა მონაცემები ძალზე გაურკვეველნი არიან ამ ორივე კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემისათვის და თუკი ამ მონაცემების მიხედვით ბევრ სწავლულს შესაძლებლად მიაჩნია ვიფიქროთ, რომ აპოლონიოსმა თავისი პოემა როდოსზე დაასრულა, იქ გამოაქვეყნა მან პირველად და თანამიმდევრულად შემდგომი ორი გამოცემაც, მაშინ არანაკლები უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ პოემის პირველი გამოცემა ალექსანდრიაში განხორციელდა და მისი ავტორის როდოსზე გადასახლების შემდეგ კი პოეტმა ხელახლა გადახედა “არგონავტიკას”, “გაამალაშინა” _ გაასწორა ბევრი რამ და გამოაქვეყნა პოემის მეორე გამოცემა, ისე რომ სრულიად შესაძლებელია მხედველობაში მიიღო კრიტიკოსთა ზოგიერთი მითითებანიც.

იყოფა რა ოთხ ნაწილად, პოემა თავის მხრივ ორ თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი, ორი სიმღერით თითოეულ ნაწილში. ამასთან თითოეულ ნაწილს თავისი განსაკუთრებული შესავალი (პროოემიუმ) გააჩნია. აქედან პირველი ნაწილის შესავალი უფრო ზოგადი ხასიათისა არის, ხოლო მეორე ნაწილისა კი შედარებით კერძო ხასიათს ატარებს. ასეთი დაყოფა სრულიად გასაგებია. პოეტმა რაკი თავის მიზნად დაისახა ოქროს საწმისის მოსაპოებლად არგონავტების ლაშქრობის მთელი ისტორია გადმოეცა, ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო ამ ისტორიის ორ

ნახევრად დაყოფა, _ გმირთა მოგზაურობა კოლხიდისაკენ და იქედან ნადავლით სამშობლოში უკან დაბრუნება. სხვა სიტყვებით რომ ვქთვათ, პოეტის მიერ დასახული ამოცანა მსგავსი იყო იმისა, რასაც გმირული ეპოსი ისახავდა ჰომეროსისა და კიკლიკების სახით. პოეტს სურდა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადმოეცა ლაშქრობასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა და შეექმნა ერთ მთლიანობაში შეკრული ოდისეას და ილიადას მსგავსი რაღაც პარალელი.

რაც შეეხება პირველ ნახევარს, ე.ი. პირველ ორ სიმღერას, იგი საკმაოდ უფერული შესავალით იხსნება, რომელიც აპოლონისადმი ტრადიციული ხოტბის აღვლინება და ნაწარმოების მოკლე შინაარსის გადმოცემაა, რომლის საწყისი წერტილია პელიას მიერ დავალების მიცემა იაზონისათვის, რომ მან ოქროს საწმისი მოიპოვოს. ამ შესავალს უშუალოდ თანასდევს არგონავტთა დაწვრილებითი, მშრალი, კატალოგისებური ჩამოთვლა და ჩვენთვის იმ 55 გმირის წარმოდგენა, რომლებიც მთავარი მონაწილენი არიან ამ ლაშქრობისა. ეს კატალოგი, რომ “ილიადას” მე-2 სიმღერაში არსებული “ხომალდების კატალოგის” მონაბერია, თავისთავად გასაგებია, მაგრამ აზრი რომ პოემა დაწყებული იქნას კატალოგით, არ შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს: ეს ისე გამოდის, როგორც არის ჩვეულებრივ, პიესის თავში მოქმედ პირთა ჩამონათვალი, რომელიც წინ უსწრებს მოქმედების დაწყებას. გმირთა დეფილირებისთანავე (მათი კატალოგისებური საზეიმო ჩამოთვლა _ წარმოდგენა მთარგმნ.) იწყება მოქმედება, _ გადმოცემულია ის შთაბეჭდილება, რასაც ისინი ახდენენ ბრბოზე. წარმოდგენილია და სენტიმენტალურადაა აღწერილი გმირების დახვეწილი სილამაზე (მოტივი, რომელიც ხშირად მეორდება პოემაში!). დეტალურადაა აღწერილი ყველაფერი, რაც წინ უსწრებს გამგზავრებას და ბოლოს, თვითონ მგზავრობა, რომელსაც თან მოჰყვება გემის მიერ განვლილი ყოველი ადგილის ზუსტი გეოგრაფიული აღწერა თითქმის მანამდე, სანამ ჩვენი გმირები კუნძულ ლემნოსს არ მიაღწევენ და იქ არ დაბინავდებიან. ესაა პოემის მონოტონური თხრობიდან პირველი დიდი დიგრესია (გადახრა. მთარგმნ). მაგრამ არც ეს ახდენს დიდ შთაბეჭდილებას. მკრთალად და გულგრილად არის გადმოცემული არგონავტთა ცხოვრების რომანტიკული, “უქმრო” ქალებით დასახლებულ კუნძულზე მათი ყოფნის ეპიზოდები, იაზონისა და კუნძულის დედოფლის ჰიპსილას სიყვარული, აქედან გმირთა გამგზავრება და მთელი რიგი მათი თავგადასავლები ჰელესპონტსა და პროპონტიდას მიდამოებში. არც ეს თავგადასავლები აღვიძებენ ინტერესს მკითხველში. მხოლოდ ერთი თხრობა, _ ჰერაკლეს საყვარელი ყმაწვილის, გილის სიკვდილის შესახებ, რომელსაც წყლის ნიმფა იტაცებს, იპყრობს ყურადღებას. ეს მითი საკმაოდ მხატვრულადაა გადმოცემული, მაგრამ ზოგად შთაბეჭდილებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ნათელია: გილის ეპიზოდი მხოლოდ იმისათვის კი არ სჭირდება ავტორს, რომ ჰერაკლეს მიერ არგონავტთა მიტოვება საყვარელი ბიჭის დაკარგვის მოტივით ახსნას, არამედ იმისთვისაც, რათა ამით წმინდა კალიმახურ სტილში დაასაბუთოს მისი იში გილის კულტის წარმოშობის მიზეზები.

შესრულების ეს უთანაბრობანი მთელი მეორე სიმღერის მანძილზე გრძელდება. იგი გადატვირთულია გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ეთიოლოგიური ხასიათის წვრილმანებით და ამავე დროს პოეტური თვალსაზრისით ნამდვილად ღირსეულ ადგილებსაც შეიცავს. განსაკუთრებით ორი ეპიზოდი გამოირჩევა: გმირ პოლიდეკეს ბრძოლა ბებრიკების მეფე ამიკთან და არგონავტების შეხვედრა ბრმა წინასწარმეტყველ ფინეასთან. ფინეას ისინი ჰარპიასაგან ანთავისუფლებენ და ისიც მადლიერების ნიშნად გადაუშლის მათ იმ მთავარს, რაც

მათ კოლხიდისკენ მიმავალ გზაზე ელოდებათ. ორივე ეს ეპიზოდი, განსაკუთრებით უკანასკნელი, დიდი გულმოდგინებითაა დამუშავებული, მაგრამ იმის თქმა, რომ დიდი მშვენიერებით არის გადატვირთული, არ შეიძლება და ეს განსაკუთრებით ფინეას წინასწარმეტყველებებს ეხება. მშრალად და მოსაწყენადაა აქ ჩამოთვლილი ყველა ის ქვეყნები და ტომები, რომელთა გავლით მოუწევთ ცურვა არგონავტებს. ესაა თავისებური გეოგრაფიული კატალოგი, რომელშიდაც შიგადაშიგ ჩართულია ეთნოგრაფიული და ეთიოლოგიური წვრილმანები. ყოველივე ეს თავისთავად ამჟღავნებს აპოლონიოსის დიდ ნაკითხაობას.

სამაგიეროდ, ნამდვილად დიდებულია სურათი, რომელიც ბოსფორის სრუტეში კიანის კლდეებს შორის გავლისას ზღვის სტიქიასთან არგონავტთა ბრძოლას გვიხატავს. აქ ყველაფერი უნაკლოა, დაწყებული ლექსის ოსტატური ჩამოქნილობიდან, მაგრამ სამაგიეროდ შემდეგ, ყველაფერი ის რაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ არგონავტთა წინსვლაზე მოგვითხრობს, მანამდე, სანამ კოლხიდას არ მიაღწევენ, მოსაწყენი და უსიცოცხლოა მიუხედავად იმისა, რომ თხრობის ერთფეროვნების დასარღვევად შიგ მთელი რიგი ეპიზოდებია ჩართული. ასეთია პოემის პირველი ორი სიმღერა, სადაც საერთო ტონის უფერულობისა, ჭეშმარიტი ამბავებისა და უშუალო შთაგონებულობის არქონის ფონზე იშვიათი გამონათებების სახით გამოვლინდება ხოლმე აპოლონიოსის პოეტური ტალანტი.

შთაბეჭდილება მაშინვე იცვლება, როგორც კი პოემის მეორე ნაწილზე, ე.ი. დანარჩენ ორ სიმღერაზე გადავალთ. განსაკუთრებული შესავალით იწყებიან ისინი. ეს შესავალი მოკლედ გადმოგვცემს მათ შინაარსს და მხოლოდ მათთან არის დაკავშირებული. უკვე ერთი მოწოდებაა კი მუზა ერატოსადმი, რომელიც ეროსის სახელს ეხმინება, უკვე მნიშვნელოვანია. პოეტი თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ახალი მოტივის შემოტანა უნდა და როგორც შემდეგ ირკვევა, ეს მოტივი მედეას სიყვარულია, რომლის მეშვეობითაც ჩამოაქვს იაზონს ოქროს საწმისი იოლკში.

მთელი მესამე სიმღერა ეძღვნება მედეას სიყვარულის ისტორიას და აქედან გამომდინარე, იმ შედეგებს, რომლებიც ხელს უწყობენ იაზონის გმირობას. აქ მჟღავნდება აპოლონიოსის ტალანტის მთელი ბრწყინვალეობა, სულ სხვა ხდება გადმოცემის ტონი. უკანა პლანზე ინაცვლებს მოსაწყენი მეცნიერულობა. პოეტი თითქოს თავისუფლად გრძნობს თავს და სწრაფად იზიდავს მკითხველს. მის მიერ შემოტანილი “სიყვარულის მოტივის” მნიშვნელობას, თანახმად ა. კერტეს გონებამახვილური შენიშვნისა, იგი ხაზს უსვამს იმით, რომ უკვე მსვლელობას აძლევს აქამდე ჯერ კიდევ ძუნწად ნახმარ, მაგრამ ეპოსისათვის ასე ჩვეულებრივ “ღმერთების აპარატს”. ჰერასა და ათინას გავლენით სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტა, თავისი შვილის ეროტის მეშვეობით, აიძულებს მედეას შეიყვაროს იაზონი.

ამის შემდეგ მედეას ეკუთვნის მთავარი როლი. იგი არის ის ბერკეტი, რომლითაც მოძრაობაში მოდის ყველაფერი. მაგრამ ეს არაა ყველაზე მნიშვნელოვანი. აქ მთავარია ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი ყოველივე იმისა, რაც მედეას სულში ხდება, _ ესაა მოძალებული სიყვარულის გრძნობასთან ქალიშვილის ხანგრძლივი ბრძოლის გამოვლინება, ერთი განწყობილებიდან მეორეში ყოველნაირი გადასვლები და ბოლოს იმ ყოვლისშემძლე ალტკინებისადმი დამორჩილება, რომელიც ართმევს მას გონიერებას და ნებისყოფას და აიძულებს დახმარება იაზონს გაუწიოს. მითის თანახმად, ამ ფიგურის გარშემო იყრიან თავს სულ სხვადასხვა მოქმედი

პირები, ერთიმეორის მიყოლებით გადაიშლება არსებითი და მეორეხარისხოვანი ეპიზოდები, ხან აქ, ხან იქ არის ჩართული ფანტასტიკა და ყველაფერი იაზონის ზეიმის დიდებული სურათით მთავრდება. მან მედეასგან ნაბოძები სასწაულმოქმედი საშუალებებით მიაღწია გამარჯვებას და გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებანი, რაც მას აიეტმა, კოლხეთის ძლევა მოსილმა მეფემ შეუქმნა.

მედეა როლს მეოთხე სიმღერაშიც თამაშობს, მაგრამ აქ უკვე მთელი ყურადღება გადატანილია არგონავტების თავზე დატეხილ თავგადასავლებსა და ტანჯვა-წვალებაზე, რომლებიც მათ ხვდებათ უკან დასაბრუნებელ გზაზე, კოლხეთიდან გამოსვლის შემდეგ. ამასთან ერთად, მედეას ხატებაც სხვაგვარი ხდება. სიმღერის დასაწყისში იმაზეა მოთხრობილი, თუ მამის, კოლხთა მეფის აიეტის შიშით ატანილი, როგორ გარბის იგი არგონავტებთან, რადგან იცის, რომ დიდხანს არ დარჩება გაუმჟღავნებელი ის დახმარებები, რაც მან იაზონს გაუწია. ოქროს საწმისის მოტაცებაშიც ეხმარება მედეა იაზონს და მასთან ერთად მიცურავს გემით. აქ პოეტი გვაგრძნობინებს, რომ მის ამ გადაწყვეტილებას უკვე სიყვარული კი აღარ განსაზღვრავს, არამედ შიში ერთის მხრივ და მეორეს მხრივ – ჩადენილ ქმედებათაგან გამოსავალი გზის არარსებობა. სიყვარულზე უკვე აღარაა ლაპარაკი. სიყვარული თავის გადარჩენის სურვილით შეეცვალა მედეას და თანაც უნდა ისე მოაწყოს მომავალი ცხოვრება, რომ იაზონის ცოლი გახდეს. ყველაფერზე მიდის მედეა ამ მიზნის მისაღწევად. თვით აპსირტის, საკუთარი ძმის, რომელიც აიეტმა გამოაგზავნა არგონავტების მდევრად, მოკვლისგანაც არ იხევს უკან, ასე რომ, მეოთხე სიმღერაში არსებულ მედეას ცოტა რამა აქვს საერთო მესამე სიმღერაში არსებულ მედეასთან. ადრინდელი მედეასაგან მხოლოდ ვნებიანობაა დადარჩენილი და პირიქით, ახლა წინა პლანზე გამოდის მისი ბუნების ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც ადრე მიძინებული იყო.

აპოლონიოსი, როგორც ნამდვილი სწავლული პოეტი, მის მიერ პოეტებთან და პროზაიკოსებთან შეკრებილ ცნობებზე დაყრდნობით, ყურადღებას ამახვილებს არგონავტთა უკან დასაბრუნებელ გზაზე და აიძულებს მათ გრძელი მოულოდნელობებით აღსავსე ზიგზაგისებური გზებით, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს მოულოდნელი გადახვევებით იარონ. იმის მაგიერ, რომ ძველი გზით დაბრუნდნენ უკან, ჰერას ნებით არგონავტები სხვა გზას ირჩევენ. შედიან მდინარე ისტრაში (დუნაი) და მისი ერთ-ერთი, უძველეს დროში ნავარაუდები განშტოებით, ადრიატიკის ზღვაში ხვდებიან. გზაში მოულოდნელად შეეჩეხებიან მათ მდევრად გამოგზავნილ კოლხთა რაზმს, მაგრამ თავს დააღწევენ მათ იმით, რომ იაზონი მედეას დახმარებით კლავს კოლხთა წინამძღოლს, მედეას ძმას აპსირტს, რის გამოც არგონავტებს თავს დაატყდებათ ზევსის რისხვა. ატყდება ქარიშხალი, არგონავტები ასცდებიან მიმართულებას და რაც მეტ მანძილს გადიან, მით მეტად რთულდება და იხლართება გზა. მხოლოდ ჰერას დახმარება იხსნის მათ სიკვდილისაგან, მაგრამ უგზო-უკვლოდ ხეტიალი გრძელდება და ყველა იმ ადგილის და ხიფათის გავლა მოუწევთ, რომლებიც ოდისევსის საგასთან არის დაკავშირებული. კირკესთან მოხვედრილი იაზონი და მედეა განიწმინდებიან აპსირტის მკვლელობის ცოდვისაგან. დაბოლოს ისინი ფეაკებთან, მეფე ალკინოესთან მოხვდებიან. აქ მოულოდნელად კოლხთა მეორე ჯგუფს შეხვდებიან და ისინი მედეას გადაცემას მოითხოვენ. მეფე ალკინოე გადაწყვეტს, რომ თუ მედეა დაქორწინდება იაზონზე და მისი ცოლი გახდება, არ გადასცეს კოლხებს მედეა და ხელი შეუწყოს მათ ელადაში დაბრუნებას.

ამას ალიკინოეს სთხოვს მისი ცოლი არეტა. არგონავტები საჩქაროდ მალულად იხდიან ქორწილს და ამის შემდეგ წყნარად აგრძელებენ გზას. ისინი უკვე პელეპონესთან არიან, როდესაც ქარიშხალი წამოეწევა და აფრიკაში სირტის მიადგებიან. უკვე გარდუვალი სიკვდილი ელით უწყლო და უადამიანო ქვეყანაში მოხვედრილებს, მაგრამ სასწაულებრივი შეხვედრა ლიბიის გმირებთან გადაარჩენს მათ. არგონავტები თავიანთი მხრებით ზიდავენ გემს ტრიტონის ტბამდე. აქ თვითონ ღმერთი ტრიტონი გაუწვდით დახმარების ხელს და ელადისკენ მიმავალ გზაზე გაიყვანს მათ. ისევ მოდის შემდეგ ჯაჭვი მსხვილმანი და წვრილმანი თავგადასავლებისა, რომელთაგან ერთ-ერთში კვლავ მედეა გამოდის წინ, როდესაც თავისი მშვენიერობითა ჰკლავს რკინის გოლიათს თალოსს. ასე თანდათანობით მიიწევენ წინ გმირები და კუნძულ ეგინამდე მიადწევენ. აქ წყვეტს თხრობას ავტორი და პოემას ამთავრებს მშრალი და სიტყვამუნწი დასკვნით: ხალხის გონებაში მრავალი წლით დარჩენას უსურვებს იგი თავის “არგონავტიკას”.

3.

პოემის შინაარსის გადმოცემის შემდეგ შევეხებით მის კომპოზიციას. რამდენადაც პოემა არგონავტთა ლაშქრობის ამბავს მოგვითხრობს, ზღვაში გმირთა გასვლის მომენტიდან დაწყებული და მათი უკან დაბრუნებით დამთავრებული, იგი ერთ მთლიან ამბავს წარმოადგენს, მაგრამ ეს ერთიანობა მხოლოდ გარეგნულ ქრონოლოგიურ ხასიათს ატარებს. მოვლენები უბრალოდ მისდევენ ერთიმეორეს, მაგრამ ერთმანეთიდან არ გამომდინარეობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოემაში არ არის შინაგანი ერთიანობა. პოეტის მიერ შეგროვილი უზარმაზარი მასალა ერთ მტკიცე მთლიანობაში არ არის ჩამოსხმული. აპოლონიოსმა ამას ვერ მიაღწია. პოემა შედგება შემთხვევით დაკავშირებული ნაწილებისაგან და მხოლოდ ზოგჯერ თუ ახერხებს პოეტი ერთი საერთო მოტივით რაღაც უფრო გაერთიანებულ მთელად მათ შეკვრას, შევადაროთ მაგალითად მესამე სიმღერა ან ფინეას ეპიზოდი მეორე სიმღერაში. უმეტეს შემთხვევაში ეს არის ცალკეული ეპიზოდური ჩანართები და ისე სუსტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ სრულიად უმტკივნეულოდ შეიძლება მათი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე ისე, რომ საერთო მთლიანობას არავითარი ზიანი არ მიადგება.

შემდეგ, პოემაში არაა მთავარი გმირი, რომელიც მთელ ყურადღებას თავისთავზე მიიპყრობდა. ყურადღება დაქუცმაცებულია და მთელი რიგი სახეებისაკენ მიპყრობილი, ღმერთებია ეს, ჰერას, ზევსის და აპოლონის სახით, თუ ცალკეული არგონავტებია, რომელთა შორის ტელამონი განსაკუთრებულად გამოირჩევა. თვითონ იაზონი თავის თავში არ განასახიერებს არავითარს გმირულს. ექსპედიციის სათავეში იგი შემთხვევით მოხვდა. შემთხვევით მოიპოვა მედეას სიყვარულიც, რამაც გზა გაუხსნა ყველა მისი გმირობისაკენ. მოსალოდნელ ბრძოლებს იგი ისე კი არ უყურებს, როგორც სასურველ გმირობათა ასპარეზს, არამედ როგორც მძიმე გარდუვალობას. მასში არაა ჰომეროსის გმირების სიმამაცენი, სამაგიეროდ არის ის თვისებები, რომლებიც მას აახლოებს ევრიპიდეს „მედეაში“ არსებულ იაზონთან. რაც შეხება ლაშქრობის დანარჩენ მონაწილეებს, არც ისინი წარმოადგენენ აშკარად გამოკვეთილ ხასიათებს და ვერ იჭრებიან ისე მეხსიერებაში, როგორც ჰომეროსის გმირები. მედეას გარდა, ყველანი მკრთალი აჩრდილებია.

დაბოლოს (და ეს, შეიძლება უმთავრესია კომპოზიციურობასთან დაკავშირებით), აპოლონიოსი დაუძლეველ ამოცანას ისახავს მიზნად: მას უნდა ჰომეროსის მსგავსი პოეტი იყოს და

ჰომეროსისეული ეპოსი ააღორძინოს. ამასთან, მისთვის საძულველი კალიმახის მსგავსად გადავარდნილია მეცნიერულ-გეოგრაფიულ პერიეგიზებში, ალექსანდრიელი პოეტებისათვის ასე საყვარელ პოეტურ ეთიოლოგიურ ექსკურსებში და მისი თანადროული ცხოვრების ამსახველი სცენების ჩართვაში. თავის ეპიკურ პოემაში შემოჰყავს ეპოსისათვის მანამდე უცხო სასიყვარულო მოტივი, რომელიც დამუშავებული აქვს არაჩვეულებრივი ძალით და სიღრმით. ერთი სიტყვით, აპოლონიოსი შეეცადა ერთ მთლიანობაში მოექცია ერთმანეთისათვის თითქოსდა შეუფერებელი ელემენტები.

როგორც სწორად აღნიშნავს თავის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში“ ა. კრაუზე, აპოლონიოსის პოემაში შეიძლება ერთმანეთისაგან გამოვარჩიოთ კომპოზიციურად ცოცხალი და მკვდარი ადგილები. მკვდარ ნაწილებს განეკუთვნება უპირველესად ის, რაც ჰომეროსის დროიდან მოყოლებული ეპოსის საკუთრებად ითვლებოდა და განმტკიცებული იყო ტრადიციებში. ასევე, ყოველივე ის, რაც სუნთქავდა ალექსანდრიული მეცნიერულობით, რითაც ეს არ უნდა ყოფილიყო გამოხატული: ზუსტი გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, თუ არქეოლოგიური წვრილმანებით, გადმოცემის კატალოგიზირებული საშუალებებით, იმ ტენდენციებით, რომ გადმოეცა რაც შეიძლება მეტი არაჩვეულებრივი და მაშინდელი მეცნიერებისათვის ნაკლებად ცნობილი, ანდა სულაც ახლად აღმოჩენილი. ასეთი მკვდარი ნაწილებისაგან გადატვირთულია პოემა და სხვა მხრივ საინტერესო ეს ადგილები, სრულიადაც არ უწყობენ ხელს პოემის პოეტურობის გაძლიერებას.

მაგრამ პოემაში არის სხვა რამეც, რის გამოც მას გამოჩენილი და საპატიო ადგილი უჭირავს ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. ესაა მისი ცოცხალი ნაწილები. აქ, უპირველეს ყოვლისა, შედის ის ნატიფი მონახაზების მქონე, ლამაზად შესრულებული და ელინისტური პოეზიისათვის ასე დამახასიათებელი სურათები და ხასიათები, რომლებიც საკმაოდ მაღალ დონეზე ასახავენ მხატვრის დროინდელი რეალური ცხოვრების ზოგიერთ მხარეს. შეად. მაგალითად, ჰერასა და ათინას მიერ აფროდიტეს მონახულება და აფროდიტეს საუბარი მის პატარა ვაჟიშვილთან. სხვა საქმეა, თუ რამდენად შეესაბამებიან ეს სურათები ბერძნული ეპოსის ტრადიციებს, მაგრამ ისინი დიდი ოსტატის ქმნილებებს კი წარმოადგენენ. ასევეა შედარებები, რომელთაგან საუკეთესოა არა ის, რომლებიც ჰომეროსისებურ მოტივებს იმეორებენ, არამედ ისინი, სადაც აპოლონიოსი თავისი ფანტაზიის ძალით იღებს მასალას ადამიანთა ცხოვრებისეული გამოვლინებებიდან, ე ღარბთა კლასისადმი აშკარა თანაგრძნობით. დაბოლოს, არ შეიძლება დუმილით იმ ადგილების გვერდის ავლა, სადაც ბუნების სურათებია გადმოცემული, მათში არის სილამაზით დამატყვევებელი ადგილები. მაგალითად, ღამის აღწერა მესამე სიმღერაში. ანდა განთიადის დადგომის სურათი. ასეთი სურათები ცოტა არ არის, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ის ნაპერწკლებია, რომელთაც სინათლე და ბრწყინვალება შემოაქვთ „არგონავტიკის“ ირგვლივ გამეფებულ სიბნელეში.

მთავარი, რაც სინათლესა და სიცოცხლეს სძენს პოემას, ესაა იშვიათი სიღრმითა და სისავსით განვითარებული სასიყვარულო მოტივი, ე მედეასა და იაზონის სიყვარულის ისტორია. მართალია, ეს მოტივი თავისთავად ახალი არაა და იგი ტრაგედიაში ევრიპიდემ, ხოლო კომედიაში მენანდრემ დაამუშავა. არაერთხელ მოჰკვიდეს მას ხელი ელინისტმა პოეტებმა ფილიტამ და გერმესიანაქტმა, კალიმახმა და ფეოკრიტემ, მაგრამ არც ერთხელ არ შესულა იგი ეპოსში და თანაც სიყვარულის გრძნობა როგორც ასეთი, არც ერთხელ არ გამხდარა ყოველმხრივი

ფსიქლოგიური ანალიზის საგანი. აქ უკვე მთელი პრიორიტეტი აპოლონიოსს ეკუთვნის. მან გადმოსცა პირველმა მედეას სულში მიმდინარე ბრძოლის ამომწურავი სურათი, დაწყებული ვნებების წარმოშობიდან და იმ მომენტიტ დამთავრებული, როდესაც დიდი ხნის მტანჯველი და ამოო ცდების შემდეგ მედეა ვეღარ ერევა თავის გრძნობებს, იძულებული ხდება მათ დაემორჩილოს და საყვარელი ადამიანის ხელში ჩააგდოს საკუთარი თავი.

მხოლოდ ერთი რამ არ გამოუვიდა აპოლონიოსს. მან ვერ მოახერხა მედეას ხასიათის თანმიმდევრული განვითარება. შეყვარებული, ნაზი, გრძნობებთან მებრძოლი ქალიშვილის ხატება რაღაც არ შეესაბამება მკვეთრი და ცივი, მკაცრი და ანგარიშიანი ალქაჯის სახეს, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ასე გაორებულადაა მონიშნული მედეას სახე ჯერ კიდევ მითში და უარყოფით მხარეთა ასეთი სიჭარბით მოჩანს იგი აპოლონიოსამდელ ბერძნულ პოეზიაში, აპოლონიოსმა ვერ შეძლო მისი უკვე ჩამოყალიბებული სახის შეცვლა და მხოლოდ ის მოახერხა, რომ განსაკუთრებული ძალით გადმოსცა მედეას ქალური მხარეები და არაპირდაპირი გზით შეგვაგნებინა, რომ მანამდე თვლემდა მასში ბოროტი და დემონური, ვიდრე იგი სიყვარულის ძალების ზეგავლენაში იმყოფებოდა. როგორც კი გული გაუტყდა და სიყვარულის ძალთა ზეგავლენა შესუსტდა, მაშინვე ეს დემონური და ბოროტი გამოვიდა წინ.

როგორც არ უნდა იყოს, აპოლონიოსის მიერ შექმნილი მედეას ხატი გვიჩვენებს, რომ აპოლონიოსი არ განიცდიდა შემოქმედებითი ფანტაზიის ნაკლებობას, რაც საკმაო ძალით ვლინდება იქ, სადაც სწავლული ბიბლიოთეკარის ნაკითხობა უკან იხევს და ასპარეზს უთმობს პოეტურ შთაგონებას, რომლის მეშვეობითაც ჰქმნის იგი სწორედ ისეთ სახეებს და სურათებს, რომლებიც უფრო შეესატყვისებთან აპოლონიოსის დროის გემოვნებებსა და კალიმახის სკოლის წესებს, ვიდრე ჰომეროსის ეპოსის კანონებს, რომელთა აღდგინებაც ჰქონდა მას მიზნად დასახული.

ასე რომ, თუკი რაიმე მიზეზის გამო უნდა შეექცია აპოლონიოსისათვის ზურგი კალიმახს და იძულებული გამხდარიყო, რომ დაეგმო ეს პოემა, რა თქმა უნდა, არა იმის გამო, რომ მასში ხშირად გვხვდება კალიმახის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, არამედ იმისათვის, რომ მან აქ ბევრი რამ ისეთი დაინახა, რაც ამ პოემას აახლოებდა მისთვის საძულველ კიკლიკურ ეპოსთან და შეამჩნია რა შიგ „მრავალი შლამი და მრავალგვარი ნამსხვრევები“, ამავე დროს ვერსად დაინახა შინაგანი ერთიანობა, ორგანული დასრულებულობა და ვერც ის, რასაც ეპიკური პოემისათვის აუცილებლობად მიიჩნევდა არისტოტელე, ე „ადვილად აღსაქმელობა“.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომავალმა თაობებმა არ გაიზიარეს კალიმახის შეხედულებები „არგონავტიკაზე“ და აპოლონიოსი მართლაც თავისებურ ჰომეროსად იქცა მკითხველი საზოგადოებისათვის თავისი საგათი „არგონავტები“, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში კითხულობდნენ და სწავლობდნენ. მისი პოემის ნაწყვეტების შემცველმა მრავალმა პაპირუსმა მოაღწია ჩვენამდე და მათ მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იგი ჩვენი წელთაღრიცხვის თითქმის მე-7 საუკუნემდე იყო ეგვიპტელი ბერძნების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პოეტი. არც შემდეგ საუკუნეებში დავიწყნიათ იგი, რასაც ადასტურებს საშუალო საუკუნეების უამრავი ხელნაწერი, რომლებმაც სრული სახით შემოგვინახეს ეს პოემა

თავისი დიდებული სქოლიოებით, რაც შედეგია მასზე ძველი მსოფლიოს მეცნიერთა ინტენსიური მუშაობისა.

განსაკუთრებით გაუმართლა აპოლონიოსს რომაელებთან. ჩვენს წ.აღ.-მდე პირველ საუკუნეში ლათინურ ენაზე მისი პოემა თარგმნა ტერენცი ვარონ ატაცინმა, ხოლო ფლავისუთა ეპოქაში იგი ხელმეორედ, თავისუფლად გადამუშავებული სახით გამოსცა ვალერიუს ფლავმა. ვარონის თარგმანის მიერ რომაელებზე მოხდენილ შთაბეჭდილებაზე შეგვიძლია ოვიდიუსის შემდეგი სიტყვების მიხედვით ვიმსჯელოთ, რომლებიც უკვდავებას აღუთქვამენ ვარონს:

პირველქმნილ ნავზე სიმღერისა და

ოქროს საწმისისათვის, რომელიც

ბელად იაზონის მიზანი იყო,

ვინ დაივიწყებს ვარონს?

თუმცა, თვითონ ოვიდიუსიც არაერთხელ დაესესხა აპოლონიოსს იმ „კანვას“, რომელზედაც შემდეგ თავისი ნაქარგები გამოჰყავდა. მაგრამ, კიდევ უფრო მეტადაა აპოლონიოსის გავლენაში მოქცეული ვირგილიუსი. რომაელი პოეტის წაბადვაზე ბერძენი პოეტისადმი, რომ აღარ ვილაპარაკოთ, იმის უარყოფა მაინც არ შეიძლება, რომ დიდონას სახე მედეას ხატებით არის ნაკარნახევი, ხოლო კართაგენის დედოფლის სასიყვარულო თავგადასავლები ძალიან წააგავს კოლხიდის მეფის ასულის განცდებს იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ აპოლონიოსი არამცთუ შეუმჩნევლად წავიდა, არამედ საკმაოდ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა. მიუხედავად იმის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, იგი მაინც ორიგინალური ტალანტია, ხოლო როდესაც საქმე ეხება მესამე სიმღერაში მოცემულ მედეას სახეს და აპოლონიოსის მიერ ეპოსში ასეთი ძალით პირველად განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ანალიზს, აქ იგი ნამდვილ ნოვატორად გვევლინება და „სვამს“ ეკალიმახის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, „აუმღვრეველი წყაროს თვალიდან“.

თბილისი, 1937 წ.

გენი, მამული, ენა და სარწმუნოება ანუ

გენეტიკური თავისთავადობის უზენაესობის შესახებ

დიდი მეცნიერის ნააზრევიდან

1.

სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნისას, ლიტერატურული ძეგლების გარდა, ბუნებრივია, რომ ძალაუნებურად ახლოს ვეცნობოდი თვითონ ქვეყანას, ხალხს, ტრადიციებს, ეთნიკურ თავისებურებებს და ა.შ. თვრამეტი წელია გულდასმით ვაკვირდები რთული რელიეფით, ძირითადად ვერტიკალურ სიბრტყეში განფენილი საქართველოს ბუნების მრავალფეროვან ზეიმს, მისი ხეობების, ტყეების, ველთა და მდელოთა სიცოცხლის ათასნაირ გამოვლინებას. საქართველოს ბუნების თავისთავადობის არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება სარკესავით ირეკლება ქართველი კაცის ხასიათში, მის კოლხურ-იბერიულ ეთნიკურ ჰარმონიაში იმ ზომამდე, რომ ვერსად იპოვით ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებებით ერთმანეთთან მასობრივად ადაპტირებულ ტიპებს, რაც ასე გცემთ თვალში სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთსა და ევროპაში ყოფნის დროს.

ქართული ბუნების ეს უნიკუმი: მკვეთრად გამოხატულ საერთო-ეროვნულ ნიშან-თვისებათა ფონზე არსებული მრავალფეროვანი თავისთავადობა, თავისებურებების არაჩვეულებრივი სიუხვე, რაც ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, ამ მიუვალ მთებსა და ხეობებში, ასეულობით საუკუნეთა მანძილზე ქართველურ ტომთათვის მკვიდრად ტრადიციულ ურთიერთშეჯვარებათა შედეგად, ორიგინალურ გენოტიპად ჩამოყალიბდა ქართული ჯიშის, ქართველი კაცის სახით. ამიტომ ქართველი ერის ახლოს გაცნობისას ლოგიკურად გეუფლება აზრი, რომ აუცილებელია ამ თავისებური ეთნოგენოტიპის, როგორც სახეობის დაცვა და ისე გამრავლება, რომ შენარჩუნებული იქნას ათასწლობით ნაწარმოები მისი ორიგინალური ჯიში, რადგან ამ მიმართულებით მცირეოდენი გადახრაც კი საფუძვლიანად არღვევს საუკუნეთა მანძილზე დახვეწილი გენოტიპის ბუნებრივ ჰარმონიას და მისი თვითმყოფადობის აღდგენა შემდეგ შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელი ხდება.

ამ მსჯელობაში არ არის ეროვნული ფეტიშიზმისა და, მით უმეტეს, სხვა ერებისადმი ოდნავ მაინც ანტაგონიზმის რამე ნატამალი. იგი გამომდინარეობს შთამომავლობით კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერებების მიერ დადგენილი და საყოველთაოდ ცნობილი კლასიკური კანონებიდან, რომელთა ცხოვრებისეული კლასიკური მაგალითია ძველი ბერძნების ეროვნული გენის ტრაგიკული ისტორია: ძველმა ბერძენმა, მცირერიცხოვნობის, ათასგვარ კუნძულებზე გაფანტული საცხოვრებლისა და გაუთავებელი, გამანადგურებელი ომების მიუხედავად, თავისი ჯიშის, მიწის, ენისა და სარწმუნოების თავისთავადობისადმი მუდმივი სწრაფვით შთაგონებულმა, მკაცრი შიდაეროვნული შეჯვარების მიმდევარმა, შექქმნა იმდენად თავისთავადი ერი, რომ ერთიანად დაიპყრო ადამიანურ შესაძლებლობათა მწვერვალები, მაგრამ საკმარისი გახდა სხვა ეთნოსთა მასობრივი შერევა და მყისვე დაჰკარგა ეროვნული გენეტიკური თავისთავადობით განპირობებული გენიალური გამოვლინებანი და ათასწლობით ნაწარმოები დიდებული ისტორიული სახე. *** PAGE 138 ***

დღევანდელი ქართული გენოტიპი ბევრი რამით ჰგავს ადამიანური მოდგმის ამ ფენომენს _ ძველ ბერძენ გენოტიპს. ჰგავს ამოუწურავი ინდივიდუალური მრავალფეროვნებით, უსაზღვრო შემოქმედებითი შესაძლებლობებით, არაჩვეულებრივი თავისთავადობით და იმ უნარით,

რომლითაც შექმნა ქართველმა ხალხმა საკუთარი კულტურა და ზნეობა, ჰუმანური აზრით და ცხოვრებისეული სიბრძნით დატვირთული ეროვნული ჩვევები და ტრადიციები, უნიკალური ენა და დამწერლობა, ლიტერატურა და ხელოვნება, უმდიდრესი ისტორია და, რაც მთავარია, მიზეზი ყოველივე ამ სიკეთისა, ათასწლობით დახვეწილი, დაცული და დღემდე შემონახული საკუთარი გენეტიკური შედეგრი, სუფთა ჯიში მშვენიერი ქართველი კაცისა .

2

დღეს საქართველო ფართო, მრავალპლანიან და ახლო ინტერნაციონალურ ურთიერთობებში ჩაება სხვადასხვა ხალხთან. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენაა, მაგრამ სირთულე ის არის, რომ დღევანდელი მთავრობა, საკაცობრიო იდეებით გამართლებული ტოტალური ინტერნაციონალიზმით და აქედან გამომდინარე, ყოველივე ეროვნულისადმი კოსმოპოლიტური ანტაგონიზმით, ყოველმხრივ უწყობს ხელს მცირერიცხოვანი ერისათვის დამღუპველი ეთნიკური ასიმილირების პროცესების გააქტივებას და ამით გენეტიკური თავისთავადობის დაკარგვისაკენ მიერეკება ბუნებით ისედაც ინტერნაციონალურ, ისედაც უცხოთმოყვარე, ისედაც მიმნდობ და ისედაც ჰუმანური ხასიათის ქართველ კაცს.

უნებლიედ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ ერის უმთავრესი სიმდიდრე _ გენეტიკური თავისთავადობა დამოკიდებული არ იყოს ამა თუ იმ მთავრობაზე და ხელისუფლების არაეროვნული ორიენტაციის შემთხვევაში ერი თვითონ გახდეს თავისი ჯიშისა და მოდგმის პატრონი, საიმედო დამცველი, შემნახველი და გადამრჩენელი?

ამ კითხვაზე მეტად დამაჯერებელ პასუხს იძლევა ებრაელი ხალხის საყოველთაოდ ცნობილი, ისტორიულად უნიკალური გენეტიკური გმირობის მაგალითი: თითქმის ოცდაათი საუკუნის წინათ მამულიდან აყრილმა და უმისამართოდ განდევნილმა ებრაელმა ერმა თავის გადარჩენისათვის უზენაეს მოვალეობად ცნო საკუთარი ჯიშის სიწმინდის შენარჩუნება. იმისათვის, რომ ებრაელ მამაკაცთან ერთად ქალსაც აელო ხელში ეს პასუხისმგებლობა, შვილი მხოლოდ ებრაელი მამაკაცისაგან გაეჩინა და ერი გარდაუვალი გადაგვარებისაგან ამით გადაერჩინა, ებრაელმა, იმის მიუხედავად, რომ ამ დროს უკვე ბატონობდა აზრი შთამომავლობაში მამაკაცის განმსაზღვრელი და წამყვანი როლის შესახებ, რომ მამაკაცი არის თესლის, მარცვლის ანალოგი, ხოლო ქალი ნიადაგია, გარემოა, სადაც თესლი უნდა გალივდეს, შთამომავლობაში მაინც ქალის დომინანტი დააკანონა. ამით მან უზენაესობად აღიარა გენეტიკური თავისთავადობის ანუ საკუთარი მოდგომის, საკუთარი ჯიშის სიწმინდის დაცვა როგორც მამაკაცის, ისე ქალის მხრიდან და ამ რწმენით ღრმად შთაგონებულმა, რამდენიმე ათასი წლის მანძილზე ღვთის ანაბარად დედამიწაზე მიმოვანტულმა, ნატანჯმა და მიწასთან ათასგზის გასწორებულმა ხალხმა მოაღწია თავისი უცვლელი, ბიბლიური სახით და დღეს იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გენეტიკური თავისთავადობის მქონე ერია. ამ თავისთავადობის შენარჩუნება არის დღესაც მისი არსებობის მთავარი აზრი, რადგან იცის, რომ ამით იგი ადრე თუ გვიან დაიბრუნებს ყოველივე დაკარგულს და შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს. ეს არის იმის კლასიკური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება საყოველთაო დევნისა და მორჩილების პირობებში მყოფმა ერმა, მშვიდობიანი და შთაგონებული ზრუნვით, სამუდამოდ შეინარჩუნოს საკუთარი

ეროვნული სახე, საკუთარი მოდემის სიწმინდე, თავისთავადობა და ამით ყველაფერი დანარჩენი.

საქართველოში დღეს სრულიად საპირისპირო რამ ხდება: საკუთარი მამულის, ენისა და სარწმუნოების პირობებში მყოფი, მაგრამ ჰიპერბოლიზებული ინტერნაციონალიზმით (რომელსაც საერთო არაფერი აქვს ქართველთათვის ბუნებრივად დამახასიათებელ ჯანსაღ კაცთმოყვარეობასთან) გაბრუებული ქართველი ხალხი, საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ჯიშის გადარჩენის აუცილებლობის შეგნებადაქვეითებული, სრულიად შეუგნებლად მიექანება გენეტიკური გადაგვარებისაკენ. არ მცილდება აზრი: თავისთავადობისათვის ბრძოლაში ამოდენა ჭირგამოვლილი, მოწამეობრივი ისტორიის მქონე, გამჭრიახი, მოხერხებული და შეუპოვარი ქართველი კაცი ნუთუ ალღოს ვერ აუღებს უკანმოუხედავი ინტერნაციონალიზმის ამ პრიმიტიულად გაუთავებელ ბღავილს და ამით მცირერიცხოვან ერთა გენეტიკური რღვევის პოლიტიკას? ნუთუ ასე დარჩება იგი მხოლოდ მამულისა და ენის მოჩვენებითი ხელშეუხებლობის გულუბრყვილო შემყურე და თვალებს დახუჭავს იმ უმთავრესის დაკარგვაზე, რომლის გარეშე აზრი აღარ აქვს არც მამულის, არც ენის და არც სარწმუნოებისათვის თავგამოდებას? თვალებს დახუჭავს საკუთარი ჯიშის, საკუთარი მოდემის თავისთავადობის დაცვის აუცილებლობაზე მაშინ, როდესაც ამისათვის მხოლოდ ერთი და ისიც მისი სულისათვის სრულიად ბუნებრივი რამ სჭირდება: სხვა ერებთან ტრადიციულად ჰუმანური დამოკიდებულების ფონზე შეურევლად გამრავლების აუცილებლობის ღრმა ეროვნული თვითშთაგონება.

3

მე მაქვს ამის მცირე იმედი, მაგრამ ეჭვის დიდი დოზით განზავებული, რადგან ძნელია დღეს ქართველი ხალხის გენეტიკური აზროვნების მობილიზება ეროვნული შთაგონების დონეზე. ძნელია, რადგან განადგურებულია ეროვნული სულით და ფიქრით გამსჭვალული მისი ტრადიციული არისტოკრატია, ეკლესია და ფართო ასპარეზია გადაშლილი უმდაბლესი ფენებიდან გამოსული, ყოველივე ძველისადმი ავი და ნიჰილისტური სულისკვეთებით შთაგონებული ახალი ტიპის ინტელიგენციის ისე გამოსაზრდელად, რომ იგი გონებრივად, ქონებრივად და ზნეობრივად მთლიანად დამოკიდებული იყოს კოსმოპოლიტურად მოაზროვნე პარტოკრატიაზე. ერს ეზრდება საკაცობრიო იდეებით ყალბად შეიარაღებული, სინამდვილეში კი ყოველდღიურ პირად კეთილდღეობაზე გადარეული და საკუთარი ერის გენეტიკური თავისთავადობის უარყოფით ღრმად გამსჭვალული ნიჰილისტური საზოგადოება, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში საუკუნეები დაჭირდება ტრადიციული ქართული, ჰუმანური არისტოკრატის ეროვნული აზროვნების დონეზე ასასვლელად. ამასობაში იგი მთლიანად დაარღვევს და მშვიდობიანად მოძალებულ უცხოტომელთა ზღვაში შეუმჩნეველად გაადნობს თავისი მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტად თავისებური, სწორედ საკაცობრიო მნიშვნელობით საინტერესო და სასარგებლო ერის არსებობის საყრდენს – ქართველი ხალხის გენეტიკურ ხელშეუხებლობას და გადააქცევს მას სახელწოდებით ქართულ, მაგრამ არსით, სისხლით, გენით, ჯიშით, თვისებებით და მისწრაფებებით კოსმოპოლიტურ კონგლომერატად, ანუ ყოველგვარი

ეროვნული თავისთავადობისა და პიროვნული ინდივიდუალობისაგან განძარცვულ, მორჩილ მასად, რომლის მთელი ენერგია, აქტივობა და აგრესია მიმართული იქნება უპირველეს ყოვლისა ეროვნული თავისთავადობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, - საერთო-საკაცობრიო ჰუმანიზმის მომიზეზებით. *** PAGE 141 ***

არსებობს გზა ხსნისა: ყოველი ქართველი პიროვნულად, ნებისმიერი მთავრობის ხელში და ნებისმიერ სიტუაციაში ღრმად უნდა განიმსჭვალოს საკუთარი ჯიშის, საკუთარი გენეტიკური თავისთავადობის მშვიდობიანი, ჰუმანური გზით შენარჩუნების შესაძლებლობის და აუცილებლობის რწმენით. იწამოს, რომ ეროვნული თვითმყოფადობისადმი ნიჰილიზმი ისეთივე დამღუპველია ნებისმიერი ერისათვის, როგორც აგრესიული, უკიდურესი ეროვნული ფეტიშიზმი. შთააგონოს საკუთარი თავი შეურევლად გამრავლების მოვალეობის ღრმა შეგნებით.

4

არიან ხალხები, ასიმილაციის მახვილისადმი შედარებით გამძლენი, რომლებიც სხვა ერებთან შეჯვარების მიუხედავად, ასე თუ ისე, მთელ რიგ თაობებში ინარჩუნებენ საკუთარ გენეტიკურ თავისებურებებს, მაგრამ ქართველებზე, ისევე როგორც ევროპელ ხალხთა უმრავლესობაზე, როგორც ძველ ბერძნებზე და ძველ ებრაელებზე, ასიმილაცია მომაკვდინებელ ზეგავლენას ახდენს და მისი შედეგები შთამომავლობაში გამოუსწორებელი ან უკიდურესად ძნელი გამოსასწორებელი ხდება. გენეტიკურ მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილი ამ ფაქტის გათვალისწინება აუცილებელია ქართული ეროვნული, ნამდვილად კეთილშობილი სულისკვეთებისათვის, რომელიც თავისთავში არ ატარებს სხვა ხალხებისადმი არავითარ ანტაგონიზმს, არამედ პირიქით, მაგრამ არც თვითშენახვის უზენაეს პრინციპს უგულვებელყოფს.

ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წრეგადასული ქადაგების დღევანდელ პირობებში ბუნებრივად ჩნდება სრულიად მარტივი კითხვა: როგორ შეიძლება ერმა არ იზრუნოს საკუთარი მოდემის სიწმინდის შენარჩუნებაზე მაშინ, როდესაც მილიარდები იხარჯება ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და მცენარეთა გენეტიკურად დახვეწილი, წმინდა ჯიშის ეგზემპლარების გამონახვაზე, მოვლაზე, შენახვაზე და ამ სახით მათ გამრავლებაზე? ეს პროცესები ათასჯერ უფრო გარდაუვალი, აუცილებელი და საჭიროა ადამიანთა საზოგადოებისათვის, ბუნებრივი და სასარგებლო საზოგადო პროგრესისათვის. დადგება დრო, როდესაც ყოველგვარი აგრესიის გარეშე, მშვიდობიანად და ბუნებრივად, ყოველი ერის გენოტიპი დაექვემდებარება გარკვეულ დაცვას, ასიმილირებისაგან გარკვეულ გაფრთხილებასა და ისე გამრავლებას, რადგან სწორედ ეროვნული გენეტიკური თავისთავადობის საფუძველზე დამყარებული ეროვნებათა ჰარმონიული თანაარსებობა არის საყოველთაო სიკეთის მომტანი, ხოლო მათ განუკითხავ ურთიერთაღრევას და ეროვნული თვითმყოფადობისადმი უპატივცემულობას მხოლოდ გაურკვევლობა და ნიჰილიზმი, სიძულვილი და უბედურება მოაქვს ყველასათვის. მეტიც, ქვეყანა, სადაც გენეტიკას, როგორც შთამომავლობით კანონზომიერებათა შემსწავლელ დიდებულ მეცნიერებას, და გენეტიკოსს, როგორც ეროვნულ

მოღვაწეს, არ სცემენ პატივს და არაფერს ეკითხებიან, ისევე არანორმალურია, როგორც მხოლოდ საკუთარი ერის ფეტიშიზმით გადარეული ქვეყანა.

ყოველი მოწინავე ერი, თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში ესა თუ ის უღირსი მთავრობა არ მოახვევს თავზე კაცთმომღელე პოლიტიკას, ზრუნავს სხვა ხალხებთან ჰუმანური და მშვიდობიანი ურთიერთობის საფუძველზე საკუთარი ჯიშის გარკვეულად დაცვასა და ისე გამრავლებაზე. ეს სულისკვეთება ძალზე ბუნებრივია ერთაშორისი ურთიერთობებისათვის არაჩვეულებრივად გახსნილი და კაცთმოყვარე ქართველი კაცისათვის. მსოფლიო კულტურის გადარჩენა ეროვნულ გენთა თავისთავადობის შენარჩუნებაზეა მთლიანად დამოკიდებული.

ისმის კითხვა: რა გადაარჩენს შექმნილ რთულსა და ასიმლირებისათვის ხანგრძლივად და ინტენსიურად მიმდინარე დღევანდელ სიტუაციაში ამ ინტელექტუალურ, მაგრამ ძალზე დაუდევარ, უდარდელ, მაგრამ ძალზე ჰეროიკულ და ხალისიან, ბრძენსა და კაცთმოყვარე, უადრესად ფართო შესაძლებლობების მქონე ამ დამოუკიდებელ გენოტიპს, მისთვის დამღუპველ ასიმლირებას? მე შემიძლია ვუპასუხო დამაჯერებლად და მოკლედ: ქართველთათვის ბუნებისაგან მონიჭებული არაჩვეულებრივი კაცთმოყვარეობისა და ჰუმანურობის ფონზე, ეროვნული გენის თავისთავადობის შენარჩუნებისათვის მშვიდობიანი და შთაგონებული ზრუნვა!

5

ყველგან და ყველაფერში მშვენიერების ძებნის ჩემმა უცნაურმა ჩვეულებამ არაერთგზის დამარწმუნა სილამაზის თავისთავადობასა და მრავალფეროვნებაში. ერთფეროვნება, თუნდაც ულამაზესი, მშვენიერებად ვეღარ აღიქმება. სილამაზის თავისთავადობა და მრავალფეროვნება ბუნების კანონია. ამ კანონს ეწინააღმდეგება მხოლოდ მრავალრიცხოვან ერთა გამრავლებისა და ამის გამო მცირერიცხოვან ერთა განწირულების აზრი. პირიქით, სწორედ ერთა ნაირგვარობასა და თვითმყოფადობის ნაირფეროვნებაშია სიცოცხლის აზრი და სილამაზე. მხოლოდ ის ერია განვითარების პოტენციისა და სიცოცხლის უნარის მქონე, რომელმაც კაცთმოყვარე სულისკვეთებასთან ერთად შეინარჩუნა საკუთარი გენეტიკური, ზნეობრივ-კულტურული, ტერიტორიული და ენობრივ-სარწმუნოებრივი თავისთავადობა. თვითმყოფადობა საერთოდ და ამ შემთხვევაში ქართული თვითმყოფადობა, მთელი თავისებურებების სიუხვით, საკუთარი გენის, საკუთარი მამულის, საკუთარი ენის და სარწმუნოების თავისთავადობით არის ის ჭეშმარიტი მშვენიერება, რომელიც მუდმივად თანმდევს საქართველოში დაბრუნების პირველი დღეებიდანვე, ჩუმად მიზიდავს თავისაკენ და ვეღარ ვთავისუფლდები მისი ფარული, ბედნიერი ტყვეობისაგან. სწორედ ამიტომ, ჩემთვის თეზისი _ გენი, მამული, ენა და სარწმუნოება დადადებს უზენაეს ჭეშმარიტებას: არაფერი ისე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის დილემასთან, როგორც ჯიში და ასიმილაცია. არაფერს ისე გაფრთხილება არ სჭირდება, როგორც საკუთარ ჯიშს. ჯიში ყველაფერია! მხოლოდ იგი განაპირობებს ქართველის სწრაფვას ყველაფერში ქართველად დარჩენისათვის! და ეს კი, მთავარი რამ არის.

გრიგოლ წერეთელი.

თბილისი, ორთაჭალის ციხე. 1939 წ.

სულის დიდი არისტოკრატი

უნივერსიტეტის მშენებელთა შორის ყველა არ აღმოჩნდა სვებედნიერი. იყო ერთი განუმეორებელი და შეუდარებელი, რომლის ბედის გახსენება შანთივით დადავს გონებას. იგი უდიდესი ელინისტი იყო, სულის დიდი არისტოკრატი, ნამდვილი სიამაყე ჩვენი უნივერსიტეტისა. ასეთად თვლიდა მას თვითონ ივანე ჯავახიშვილი.

იგი ძველი იონელის დიალექტზე წარმოსთქვამდა ხოლმე “ილიადას” იმ სიმღერას, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მისდევს აქილევსი ალაცაფრაკეტილი ქალაქის კედლის გასწვრივ ტროელთა მხედართმთავარ ჰექტორს, რომელმაც ზურგი არ უჩვენა მტერს და შუბით განგმირული დაეცა.

გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს ჰექტორის ხვედრი არგუნა ბედმა. არც ის აღმოჩნდა მხდალი. ასეთი გმირი მოღვაწეობდა ჩვენს უნივერსიტეტში.

ჩვენი უნივერსიტეტის ფრიზებს შორის ერთი გიგანტის დამსხვრეული ბარელიეფი არის შერჩენილი ...

მე ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, როცა ამ უმაღლესი ეროვნული დაწესებულების საქართველოში დამაარსებელი და მისი რექტორი, ჩვენი ხალხის საამაყო შვილი ივანე ჯავახიშვილი და მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი სამსახურიდან დაითხოვეს. მათ აუკრძალეს ლექციების კითხვა და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის ნება დართეს: ორივენი ისხდნენ შენობის პირველი სართულის ნახევრად სარდაფის მსგავს დიდ კაბინეტში, რომლის ფანჯრების მხოლოდ ზემოთა, მცირე ნაწილი იყო მიქცეული რუსთველის პროსპექტისაკენ (როგორც ამჟამად). კაბინეტის ერთი კუთხის ბოლოს იჯდა ივანე ჯავახიშვილი, შესავალი კარის მარცხნივ კი, აგრეთვე კაბინეტის ბოლოს, გრიგოლ წერეთელი. მე არაერთხელ ვყოფილვარ მათთან, უფრო ხშირად გრიგოლ წერეთელთან; 1933 წელს თბილისში ჩამოსული იური ტინიანოვი მე მივიყვანე მასთან ირაკლი ანდრონიკოვთან ერთად. ამაზე ვწერ მოგონებაში გრ. წერეთელზე და აგრეთვე მოკლედ მოგონებაში იური ტინიანოვზე (იხ. “შეხვედრები იური ტინიანოვთან”).

რეპრესიების წლებში ივანე ჯავახიშვილი დაპატიმრებას გადაურჩა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართული კულტურის დეკადის დღეებში სტალინმა იკითხა (როცა ქართველ მწერალთა სიაში მიხ. ჯავახიშვილის გვარს მოჰკრა თვალი) _ ეს ის დიდი ისტორიკოსი ჯავახიშვილი ხომ არ არის, მე რომ მისი შრომები მაგიდაზე მიწყვიაო (ამის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი “დააწინაურეს” კიდევ: შრომის წითელი დროშის ორდენი უბოძეს, აღმასკომის დეკრეტატადაც იყო ერთხანს არჩეული). გრიგოლ წერეთელი კი ვერაფერმა იხსნა: ქალაქში ცნობილი იყო, რომ იგი ჯვარს ატარებდა მკერდზე, ხმამაღლა და უშიშრად კიცხავდა მთავრობას, იმასაც ამბობდნენ, რომ

კათოლიკობის აღიარებას და რომში პაპთან საბოლოოდ გამგზავრებას აპირებსო. ასე იყო თუ ისე, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი ქობულოვებმა ჩაიბარეს. როცა იგი სამხედრო ტრიბუნალს გაუსამართლებია (ყოფ. ათარბეგოვის ქუჩაზე), წინასწარ ურჩევიათ: სასამართლოზე განაცხადე, რომ ბევრი რამ გაქვს გაკეთებული საბჭოთა კულტურისათვის და სასჯელსაც შეგიმსუბუქებთო. “დამნაშავეს” მათთვის უპასუხნია: არასოდეს არაფერი გამიკეთებია ჯალათებისათვისო. დამკითხველთა რჩევები და “დამნაშავეს” პასუხი, ალბათ, ზუსტად არის ფიქსირებული “საქმეში” (თუ ბერიასთვის წარსადგენად შეადგინეს იგი ან თუ საერთოდ ასეთი საქმე “დაცულია”). ამის შემდეგ მისი ბედი გადაწყვეტილი აღმოჩნდა, - საპატიმროდან გაუყვანიათ და ბერიას აგენტებს (ბახჩო ქობულოვის ჯგუფს!) გრ. წერეთლისათვის კეფაში ლურსმანი ჩაურჭვიათ! ყველა ეს ცნობა ზუსტია!

აი, რა დაიმსახურა გრიგოლ წერეთლის ოლიმპიური თავის კეფამ მის მშობლიურ საქართველოში, სადაც იგი პეტერბურგიდან ივანე ჯავახიშვილის თხოვნით ჩამოვიდა და აქ, უნივერსიტეტში, კლასიკური ფილოლოგიის დარგი დააფუძნა!!!

საიდან ვიცი ეს იჭვმიუტანელი ფაქტი, რომლის აღნიშვნისას, წერის პროცესში, ვთრთი და ვღელავ?

უნივერსიტეტში გრ. წერეთელის ლექციებს განსაკუთრებული გულდასმით ვისმენდით მე და ვარდიკო ხომტარია (კომერსანტ აკაკი ხომტარიას ძმისწული), რომელიც ახლო მეგობრობდა კონსტანტინე (კოტიკო) სოკოლოვების ოჯახს (მეცხრამეტე საუკუნეში ქართლში დასახლებული სოკოლოვების ჩამომავლებს). კონსტანტინე სოკოლოვი ერთხანს საპატიმროში იჯდა (მგონი არა პოლიტიკური მიზეზის გამო) და სწორედ იმ კამერაში, სადაც გრიგოლ წერეთელი ჰყოლიათ დამწყვდეული. იგი ხშირად გვიამბობდა სატუსალოში გაცნობილი გენიალური პიროვნების შესახებ, არც ის დავიწყნია ეთქვა, რომ ბოლოს, ცემის შედეგად, მას გონება შერყევია. “გამარჯვებულნი მტარვალნი” ამით არ დაკმაყოფილებულან, გაუყვანიათ კამერიდან და სადისტურად მოუკლავთ. მთელი ეს სცენა კამერის დარაჯ ჩეკისტებს შემდეგ დაწვრილებით უამბნიათ დანარჩენი პატიმრებისათვის “ჭკუის სასწავლებლად”. კონსტანტინე სოკოლოვს კარგად ახსოვდა მთელი ეს შემადრწუნებელი ეპიზოდი.

გრიგოლ წერეთლის სიკვდილი ამ სცენის მოყოლამდე გავიგე (ვ. სოკოლოვი მერმე გაათავისუფლეს). არ დამიყოვნებია და მისი მეუღლე სოფიო ვინახულე მეტეხში. იგი იუმის ფილოსოფიური ნაწერების მთარგმნელი იყო.

გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის პორტრეტი ჩემს კაბინეტში ჰკიდია. შევეყურებ მას, ვიგონებ მის მიმართ ჩადენილ უსამართლობებს და ჩემი უკუდმართი ბედ-იღბლის გახსენებისას ცოტათი ვმშვიდდები². 1964 წელს საქართველოს სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის მიერ უბრწყინვალესად თარგმნილი “არგონავტიკა” აპოლონიოს როდოსელისა. წიგნის ბოლოსიტყვაობაში აკად. ფ.ა. პეტროვსკი სხვათა შორის წერს:

”Г.Ф. Церетели был не только первоклассным ученым, но и высокоодаренным художником античного мира, великим его поэтом. Как счастливы те, кому привелось знать этого поэта, слушать

его, беседовать с ним и наслаждаться его гением, не только по его произведениям, но и общаясь с ним лично” (337).

ამ ბედნიერთა რიცხვს ჩვენც ვეკუთვნით.

უნივერსიტეტის აუდიტორიაში მისი პირველი გამოჩენის მომენტიდან (1928წ.) აქამდე ერთი დღეც არ მახსოვს მასზე, რომ არ მეფიქროს.

ლიტერატურის შესახებ ჩემს სმენას არაფერი გაუგონია უფრო შთამბეჭდავი, შთამაგონებელი, ვიდრე მისი ზეპირი ანალიზი ჰორაციუსის ოდეზისა და ეპოდებისა.

ანტიკური ლექსთწყობის დიდი მცოდნე მეხმარებოდა ჩემს მუშაობაში სტუდენტობის წლებშივე. არა ერთხელ შემიღია მისი ბინის კარი...

... დასნეულებული ვარ მისდამი უსაზღვრო სიყვარულით. ყელამდე აღსავსე ვარ მისი ხსოვნისადმი უსაზღვრო ერთგულებით.

და სამგლოვიარო კორტეჟი, რომლითაც მისი ცხედარი არ გაუცილებიათ, მუდმივად იძვრის ჩემს გულში.

და ჩემი გული კვალდაკვალ მიაცილებს ოდესღაც ოლიმპიელის კვერთხით აღჭურვილის კატაფალკს.

როგორც ერთგული ვასალი მიაცილებს ამაყი, მაგრამ კეთილშობილი სენიორის კუბოს.

ხელმწიფევ ჩემო!

ცა ჩამომექცეს: დავკარგო ყველაფერი რაც მზადაა: გადავიყვარო ყველა, მათხოვრად ვიწაწალო კარიდან კარზე, ვზიდო ჩემი ჯვარი გოლგოთამდე, განვიცადო იმედგაცრუების ყველა საშინელება, თვალთაგან მიმეფაროს საყვარელი ვაჟის ორი გიშერი, დავკარგო რწმენა საკუთარი თავისადმი, გამოვეთხოვო ტკბილ ქართულს და კალამი გადამიტყდეს, კეთრი შემეყაროს და უდანაშაულო ქვით ჩამქოლონ მზაკვართა და უღირსთა, _ არ ვინაღვლებდი, ოღონდ შეგეძლოს იქიდან გადმოხედვა ერთი წამით და დანახვა _ თუ რაოდენ შეძრულია შეგირდის გული შენს გამო.

ვაგლახ, რომ ამ სასწაულისა არა მჯერა!

მოდღვარო ჩემო!

სიჭაბუკის დილაგ და ხანდაზმულობის მწუხრო ჩემო!

სიმღერავ და ზარის თქმავ ჩემო!..

" ბედნიერთა ყველა, ვინც ამ გენიას პირადად იცნობდაო".

ამ სიტყვებში კვალიც არაა გადაჭარბებისა.

... საჯაროდ და კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ: ჩვენი ჰუმანიტარული ცოდნის არცერთ დარგს, ივანე ჯავახიშვილის გარდა, არ ჰყოლია ისეთი დიდი პიროვნება და შემოქმედი, როგორც გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი იყო. ნილს ბორები თუ ვერნერ ჰაიზენბერგები მეოცე საუკუნის ქართული კულტურის სხვა დარგებში არ მოიძებნებიან. გრ. წერეთლის შემოქმედებას კი მარადისობის ბეჭედი აზის, იგი უჭკნობ ელვარებას გამოსცემს. *** PAGE 147 ***

თვით მისი სიარული ქუჩაში ქოლგა-ხელჯოხითა და პორტფელით ძალიან მიაგავდა ოლიმპოდან მიწაზე ჩამოსული ღმერთკაცის სიარულს, იგი თითქოს ამართლებდა ადამიანის ჯიშის მოვლინებას ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე.

გრ. წერეთელს ძალიან უნდოდა “ვეფხისტყაოსნის” თარგმნა რუსულად, მაგრამ შესაფერი ბჭკარედი ვერ მოუძაადეს.

და ასეთი ადამიანის მემორიალი არსად ჩანს, არ ვიცით _ არსებობს თუ არა უნივერსიტეტში მისი სახელობის სტიპენდია; არსად დგას ამ ოლიმპიელის პატარა ან დიდი ქანდაკება; არავინ ფიქრობს მის მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულ პუბლიკაციაზე.

ასეთი უგულველყოფა გრიგოლ წერეთლის სახელისა სამარცხვინო ფაქტია!

გრიგოლ წერეთელს არ დარჩენია შთამომავლობა. მაგრამ ვინც ივანე ჯავახიშვილს პატივს სცემს, მათ უნდა იზრუნონ მისი მეგობრის, საფლავდაკარგული ღმერთკაცის ქანდაკების აღსამართავად უნივერსიტეტის ეზოში. ეს მით უფრო საშური საქმეა, რომ სწორედ ახლა, ამჟამად: ამ გაზაფხულზე 120 წელი შესრულდა გრიგოლ წერეთლის დაბადებიდან.. ამ ქანდაკების ქვეშ მისი ცხედარი საძებარი არ იქნება, მაგრამ ასეთი გამონაკლისი დასაშვებია იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მთელ ქართულ კულტურაში წარმოადგენდა სრულიად იშვიათ გამონაკლისს.

ფელიქს დანელია

საქართველოს სახელმწიფო საარქივო

დეპარტამენტის დოკუმენტების დაცვის,

ინფორმაციისა და საერთაშორისო

ურთიერთობების განყოფილების უფროსი.

გრიგოლ წერეთელი - პაპიროლოგი,

არქივთმცოდნე და არქეოგრაფი.

არქივთმცოდნეობისა და არქეოგრაფიის განვითარებას განსაკუთრებული ამაგი დასდო დიდმა ქართველმა მეცნიერმა - ელინისტმა, პაპიროლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა გრიგოლ წერეთელმა (1870-1939).

გრიგოლ წერეთელი დაიბადა 1870 წლის 12 მარტს პეტერბურგში. ბავშვობა თბილისსა და ვარშავაში გაატარა. გრიგოლის მამა - ფილიმონი, ამბროლაურის რაიონის სოფელ ზნაკვის მკვიდრი, პეტერბურგის ოლქის მოსამართლედ მსახურობდა. ამასთან, იგი ტვერის გუბერნიის დიდ მემამულედ ითვლებოდა და პეტერბურგის ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახის პატრონი იყო.

მისმა ვაჟიშვილმა გრიგოლმა 1893 წელს წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. განვლო მეტად წარმატებული და სახელოვანი სამეცნიერო გზა და 1914 წ. არჩეული იქნა პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორად და კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგედ. 1920 წლამდე იგი პეტროგრადის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. 1917 წელს აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად კლასიკური ფილოლოგიისა და არქეოლოგიის განხრით.

1919 წლის 18 ივნისს თბილისის უნივერსიტეტის საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გრ. წერეთლის მოწვევა თბილისის უნივერსიტეტში ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე.

თბილისში იმხანად უაღრესად მძიმე მატერიალური ვითარება იყო. საქართველოს სიყვარულით და ქართული უნივერსიტეტისაკენ სწრაფვით აღტკინებულმა დიდმა მეცნიერმა დატოვა პეტროგრადი იქაური უკეთესი პირობებით და 1920 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა. პროფესორი გრ. წერეთელი სათავეში ჩაუდგა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. მისმა „ჩამოსვლამ დაამშვენა ქართული უნივერსიტეტი. თავის მხრივ თბილისმა ახალი შემოქმედებითი ძალა შემატა მეცნიერს“

პროფესორ გრიგოლ წერეთლის სახით თბილისის უნივერსიტეტს უდიდესი ძალა შეემატა. გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობისა კლასიკური ფილოლოგიის დარგში, გრ. წერეთელმა თბილისის უნივერსიტეტს დიდი ამაგი დასდო მისი ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობით 1923-1931 წლებში. ამ საპატიო თანამდებობაზე გრ. წერეთელი უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით დაინიშნა. მეცნიერის მაღალი ინტელექტი, მრავალი ენის ცოდნა, პეტერბურგისა და ტარტუს უნივერსიტეტებში, არქივებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობის დიდი გამოცდილება, ამასთან, მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი მკვლევარისა - პირობა გახდა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მაღალნაყოფიერი მუშაობისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დიდი სამსახური გაუწია პროფესორ გრ. წერეთლის მაღალგანათლებულმა მეუღლემ სოფიო ივანეს ასულმა მაქსიმოვამ, რომელიც ხსენებული ბიბლიოთეკის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი იყო. იგი ბრწყინვალედ ფლობდა ყველა ევროპულ ენას და პარალელურად თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრაზე მუშაობდა. ს. მაქსიმოვა ავტორია რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა.*** PAGE 149 ***

ივ. ჯავახიშვილი დიდად აფასებდა გრ. წერეთლის ტალანტს, მის უმაღლეს მეცნიერულ პოტენციალს. მეტად საყურადღებო და მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ 1926 წელს გამოცემულ თავის ფუნდამენტურ ნაშრომს „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ წარუძმდვარა: „პროფ. გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს ღრმა პატივისცემით და სიყვარულით ვუძღვნი ამ ჩემ წიგნს“, ხოლო წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ამ ქართულს პალეოგრაფიის შესახებ ჩემ შრომას ვუძღვნი ცნობილ ქართველ ელინისტსა და განთქმულ პალეოგრაფს პროფ. გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს ამშვენებს და ჩვენი მეცნიერების აღორძინების მონაწილეა“.

გრ. წერეთლის მეტად მრავალფეროვანი სამეცნიერო, მთარგმნელობითი, ორგანიზაციული, ლიტერატურული, პუბლიცისტური მოღვაწეობიდან უმთავრესი მაინც მისი პაპიროლოგიური კვლევა-ძიებაა, რამაც ქართველ მეცნიერს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. თავისი პაპიროლოგიური მოღვაწეობა მან დააგვირგვინა საქართველოში, სადაც გაატარა ბავშვობა, ხოლო 1920 წლიდან პეტროგრადიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ მას განსაკუთრებული პირობები შეუქმნა ივ. ჯავახიშვილმა, რათა გამოეცა თავისი პაპიროლოგიური ნაშრომები და მსოფლიო სამსჯავროზე წარედგინა.

ივ. ჯავახიშვილს არა მარტო უყვარდა, აფასებდა და ამაყოფიდა გრ. წერეთლით, არამედ ამასთან მან კარგად იცოდა მისი მეცნიერული ძალა. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით გრ. წერეთელი 1938 წლის მარტში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ირსტიტუტის პროფესორად და სამეცნიერო საბჭოს წევრად დაამტკიცეს. ივ. ჯავახიშვილი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა ამის გამო ენიმკის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1938 წლის 10 აპრილს.²

განსაკუთრებულია მისი ღვაწლი არქივთმცოდნეობისა და არქეოგრაფიის განვითარებაში. მისი უკლებლივ ყველა გამოკვლევა დამყარებულია უძველეს ხელნაწერებზე, საარქივო და სამუზეუმო მასალებზე. ივ. ჯავახიშვილთან, კ. კეკელიძესთან, ს. ჯანაშიასთან, მ. პოლიევკტოვთან, ავ. შანიძესთან, ვუკ. ბერიძესთან, ს. ყაუხჩიშვილთან და სხვებთან ერთად 1927 წლის 28 თებერვალს გრ. წერეთელი აირჩიეს საქართველოს ცენტრარქივის სამეცნიერო საბჭოს წევრად³, ხოლო იმავე წლის 7 მარტს ხსენებული მეცნიერები შევიდნენ სამეცნიერო საბჭოსთან არსებულ ძველ საბუთთა კომისიაში⁴. გრ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა ცენტრარქივის სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობაში.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გრ. წერეთელი სამართლიანად ითვლებოდა არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიის, მთლიანად არქივთმცოდნეობის თვალსაჩინო სპეციალისტად არა მარტო მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

გრ. წერეთელმა დიდი წვლილი შეიტანა ასურეთ-ბაბილონის, ძველი ეგვიპტის, ძველი საბერძნეთისა და რომის არქივების მეცნიერულად შესწავლის საქმეში. მისი გამოკვლევა „კლასიკური დროის არქივები“, რომელიც 1920 წელს დაისტამბა პეტროგრადში გამოცემულ კრებულში „საარქივო საქმის ისტორია კლასიკური დროის დასავლეთ ევროპასა და

მუსულმანურ აღმოსავლეთში“, მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად ზემოხსენებული ქვეყნების საარქივო საქმის შესახებ.

ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული ის გარემოება, რომ საარქივო საქმის ისტორიის შესწავლა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ხალხებისა და სახელმწიფოების ისტორიის შესახებ დოკუმენტური წყაროების დაგროვების პროცესს, გავიაზროთ არა მარტო დოკუმენტების დაკარგვისა და გადაადგილების მიზეზები, არამედ თვით „კაცობრიობის საარქივო მემკვიდრეობის“ ჩამოყალიბების პროცესი, მისი შემადგენლობა, განლაგება და ორგანიზაცია.

დაკვირვებული მკვლევარი ახასიათებს ხსენებული ქვეყნების სხვადასხვა ტიპის არქივების ჩამოყალიბებისა და ევოლუციის ძირითად ნიშნებს. თავდაპირველად არქივები წარმოადგენდნენ დოკუმენტების საცავებს, შემდგომ კი სპეციალურ დაწესებულებებს. ნაშრომში გაშუქებულია ძველ დროში საარქივო მასალების შენახვის, კლასიფიკაციისა და აღწერის ხერხები, მიმოხილულია ამ არქივების შესახებ არსებული ლიტერატურა.

განსაკუთრებით საყურადღებოა მეცნიერის მსჯელობა ძველი ეგვიპტისა და საბერძნეთის არქივების თავისებურებებზე, საარქივო ტერმინოლოგიაზე და ა. შ. 307 წლამდე ჩვენ წელთაღრიცხვამდე არქივის აღსანიშნავად, გრ. წერეთლის აზრით, ძველ ეგვიპტეში ნახმარია სიტყვა „ბიბლიოთეკა“, როცა საუბარი იყო დღევანდელი გაგებით „სახელმწიფო არქივზე“, სიტყვა „ბიბლიოთეკას“ მიემატებოდა ხოლმე ზედსართავი სახელი „სახელმწიფო“, ხოლო ზედსართავი „კერძო“ მიემატებოდა არსებით სახელს „ბიბლიოთეკა“ კერძო არქივის აღსანიშნავად.

როგორც პირველი, ისე მეორე ტიპის არქივები მოწყობილი იყო ნომის მთავარ ქალაქში. ამასთან თითოეულ ქალაქში მხოლოდ ერთი სახელმწიფო და ერთი კერძო არქივი იყო. თითოეული ამ არქივის სათავეში იდგა გამგე, რომელსაც ბიბლიოთეკის, ე. ი. წიგნის მცველის ტიტული ჰქონდა მიკუთვნებული. ორივე არქივი არსებითად ერთსა და იმავე წესს ემორჩილებოდა და ორივე სახელმწიფო დაწესებულება იყო. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ ერთში სახელმწიფოს უფლებრივი საბუთები და აქტები ინახებოდა, ხოლო მეორეში - კერძო საბუთები. ამ მხრივ ერთი ნომის ორივე არქივი ფაქტობრივად ერთი დაწესებულების ორ განყოფილებას წარმოადგენდა.

ბიბლიოფილაკები სავსებით დამოკიდებული იყვნენ იმ ნომის „სტრატეგოსზე“ - მმართველზე, სადაც არქივი იმყოფებოდა. ამ „სტრატეგოსისათვის“ უნდა მიემართათ ბიბლიოფილაკებს ყოველ საჭირო შემთხვევაში, როდესაც საქმე სერიოზულ საკითხს ეხებოდა. ასე მაგალითად, არქივში საბუთების დასათვალიერებლად ან პირის გადასაღებად ვინმე კერძო პირი რომ შეეშვათ, საჭირო იყო მმართველის წინასწარი ნებართვა. როგორც პროფესორი გრ. წერეთელი ვარაუდობს, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ პროვინციის არქივებში დაცული საბუთები ხშირად კერძო პირთა საიდუმლოებას შეიცავდა და, რაკი სახელმწიფო შესანახად ჩაიბარებდა, ამით ვალდებულიც იყო ეს საიდუმლოება დადგენილ ვადამდე არ გამოექვეყნებინა და იგი იმ კერძო პირთათვის არ გაემჟღავნებინა, რომელთაც ამ საბუთთან კავშირი არ ჰქონდათ. ამგვარი სიფრთხილის ზომა განსაკუთრებით საჭირო იყო კერძო არქივების მიმართ, სადაც კერძო - უფლებრივი საბუთები ინახებოდა.⁹

მეცნიერების მიერ გაზიარებულია გრ. წერეთლის აზრი იმის შესახებ, რომ მაგალითად, ძველი ეგვიპტისათვის დამახასიათებელი იყო კერძო-სამართლებრივი აქტების შენახვის თავისებური ორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში წარმოიშვა. ყოველ ნომში იყო ერთგვარი სპეციალური ნოტარიალური საცავი, რომელშიც მოთავსებული იყო კერძომესაკუთრული აქტები და სადაც ამოწმებდნენ ნამდვილობას.

გრ. წერეთელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნოტარიუსები ვალდებულნი იყვნენ არქივისათვის წარედგინათ მათ მიერ შედგენილი ხელშეკრულებებისა და პირობების ანგარიშები, დოკუმენტების ასლები და ა. შ. ერთი სიტყვით, როგორც სამართლიანად მიუთითებს გრ. წერეთელი, ბიბლიოფილაკები ასრულებდნენ ნოტარიატების საკონტროლო ორგანოს ფუნქციებს და ამ მხრივ მათ კიდევაც ემორჩილებოდნენ ნოტარიატები.

მეცნიერებაში მიღებული იყო ის მოსაზრება, რომ ძველი საბერძნეთის არქივში ინახებოდა ქვაზე ან ლითონზე ამოჭრილი ან კიდევ ხის ფიცრებზე დახაზული ნაწერები. პროფესორი გრ. წერეთელი არ ეთანხმება ამ აზრს, ის ვარაუდობს, რომ ასეთ ფაქტებს შესაძლებელი იყო ადგილი ჰქონოდა მხოლოდ გამონაკლისის სახით. ასეთ გამონაკლისად მიაჩნდა მას, მაგალითად, ის ფაქტი, რომ დელფოს ტაძრის არქივში ფიცრებზე დაწერილი მისწების სიტყვები (წინასწარმეტყველება) ინახებოდა.

გრ. წერეთლის ფუძემდებლურ ნაშრომთა შორის უნდა მოვიხსენიოთ მისი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ სამ ტომად, რომელთაგან ორი ტომი დაიბეჭდა ქართულად 1927 და 1935 წლებში.

გრ. წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ პირველი ორიგინალური წიგნი იყო საბჭოთა კავშირში.

სამწუხაროდ, ეს დიდი მეცნიერი, პოეტი და მთარგმნელი 37-38 წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა... მის პირად არქივში დარჩა მრავალი გამოუქვეყნებელი ნაშრომი თუ თარგმანი ანტიკური პოეზიის ნიმუშებისა. მათ შორის ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის ცნობილი ბერძენი პოეტისა და მეცნიერის აპოლონიოს როდოსელის მონუმენტური ეპიკური პოემის „არგონავტიკის“ რუსულ ენაზე გრ. წერეთლისეული თარგმანი. გრ. წერეთელი ვერ მოესწრო თავისი ერთ-ერთი მთავარი ქმნილების - „არგონავტიკის“ თარგმანის გამოქვეყნებას. 1964 წელს თბილისში გამოიცა გრ. წერეთლის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი „არგონავტიკა“, რომელიც სპეციალისტების აზრით, „არგონავტიკის“ სხვა ენაზე თარგმნის საუკეთესო ნიმუში, ცოდნისა და ნიჭის თვალსაჩინო ნაყოფია, რაშიაც ჩანს მეცნიერისა და პოეტის გემოვნება.

ჩვენი წერილი გვსურს დავასრულოთ ცნობილი რუსი მეცნიერის, ანტიკური ლიტერატურის თვალსაჩინო სპეციალისტის პროფესორ ფ. ა. პეტროვსკის სიტყვებით: „როგორც უდიდესი მეცნიერი, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი ცნობილია მთელი მსოფლიოს კლასიკოს-ფილოლოგებისათვის. მისი ნაშრომები პალეოგრაფია-პაპიროლოგიისა და მენანდრეს შემოქმედების ანალიზის საქმეში ისევე, როგორც მისი დანარჩენი ნაშრომები, არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას ანტიკური სამყაროს შემეცნების საქმეში, რომლის შესწავლასაც გრ. წერეთელმა მთელი თავისი ნაყოფიერი ცხოვრება შესწირა. ეს ანტიკური სამყარო მან არა მარტო

შეისწავლა და იცოდა, როგორც სპეციალისტმა-ფილოლოგმა, არამედ უყვარდა და განიცდიდა მას ისე, რომ შეეძლო გაეცოცხლებინა და ეჩვენებინა ჩვენთვის, როგორც მარად ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე. გრიგოლ ფილიმონის ძე დაჯილდოებული იყო საოცარი ნიჭით, იგი არა მარტო გვაცნობდა ანტიკური სამყაროს საიდუმლოებას, როგორც მეცნიერი, არამედ საშუალებას გვაძლევდა შეგვეცნო იგი მთელი თავისი მრავალფეროვნებით, თავისი უჭკნობი სურათებითა და სახეებით, ვინაიდან გრიგოლ წერეთელი იყო არა მარტო პირველხარისხოვანი მეცნიერი, არამედ მაღალნიჭიერი ხელოვანიც: ანტიკური სამყაროს ჭეშმარიტი გამაცოცხლებელი და მისი უდიდესი პოეტი. ბედნიერია, ვინც მას პირადად იცნობდა, შეეძლო ამ პოეტის მოსმენა, მისი გენიით დატკბობა“.

ელიტარული ადამიანური ფენომენი

(გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი და მისი წერილები)

ი.ა. ჯავახიშვილისადმი და თავისი მეუღლისა და მეგობრის ს.ი. წერეთლისადმი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის მიერ მიწერილი წერილები ეს არის დიდი სწავლულის ყოველმხრივი ტალანტის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინება. ეს წერილობითი ციკლი (და ეს დასკვნა თავისთავად იბადება) უფლებას გვაძლევს, რომ მათი ავტორი მივაკუთვნოთ დამწერლობის ამ უძველესი ჟანრის (ბოლოს და ბოლოს მოციქულთა გზავნილები ქრისტიანული ეკლესიის შვილებისადმი, სხვა არაფერია, თუ არა წერილები) ოსტატთა რიგებს. ზოგიერთ ისტორიულ ეპოქაში, - ანტიკურ დროში, აღორძინების ხანაში, განმანათლებლობის ჟამს, კლასიციზმის პერიოდში, ეპისტოლური ჟანრი - როგორც მხატვრული ლიტერატურის სისხლსავსე, დიდი მხატვრული შესაძლებლობების მქონე ჟანრი, - განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. ამჟამად იგი მთლად დავიწყებული არ არის, მაგრამ მაინც, მხოლოდ დროდადრო თუ გვხვსენებს თავის არსებობას და ისიც სადღაც, ასე ვთქვათ, გზის ნაპირებიდან. მოცემულ შემთხვევაში, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის კალმის ძალით გამოვლენილი ეპისტოლური ხელოვნება, გამოვლინდა საუკეთესო მხრივ და, რა თქმა უნდა, გარკვეულ ჩარჩოებში. გრიგოლ ფილიმონის მის მაღალ ეპისტოლურ კულტურაზე საუბრის დროს თავს ვერ დააღწევ იმ აზრს, რომ ეს მაღალი კულტურა მას პირდაპირ “სისხლში აქვს გამჯდარი” და ბევრით არის დავალებული იმ ეპოქისაგან, რომლის მიმდევარი და რომლის პოეტი იგი იყო. ცნობილია, რა განვითარება ჰპოვა ანტიკურ პერიოდში ეპისტოლურმა ხელოვნებამ. “ღია წერილებს” მიმართავდნენ ჰორაციუსი, ციცერონი, პლინიუსი და იმ დროის სხვა ავტორები.

თუმცა, ის წერილები, რომლებზედაც ახლა ვსაუბრობთ, მხატვრული ნაწარმოებები არ არის, ამ სიტყვით ჩვეული გაგებით. იგი არც წერილობითი რომანია და არც შოტერლო დე ლაკლოს “სახიფათო ტიპის” წერილობითი მოთხრობები. არც თ. დოსტოევსკის “უბედური ადამიანების” მსგავსია, არც ნ. კარამზინის “რუსი მოგზაურის წერილების” და სენტიმენტალური მუხის სხვა წარმომადგენელთა ქმნილებებს არა ჰგავს. წერეთლის წერილები, - ესაა ჩვეულებრივი კერძო წერილები, ზოგჯერ მეტად თუ ნაკლებად ვრცელი გზავნილის, ზოგჯერ კი ჩვეულებრივი

საფოსტო ღია ბარათის სახით, ხოლო ზოგჯერ, სულაც რამდენიმე სიტყვაა მხოლოდ და მაინც, გრიგოლ ფილიმონის ძის წერილები აღიქმება როგორც მხატვრული ქმნილება. დაიწყებთ რა კითხვას ამ ერთი შეხედვით უპრეტენზიო, სხვადასხვა საქმეებზე შექმნილი წინადადებებისას, რომლებიც ყოფითობის ჩარჩოებს თითქმის არ ცილდება, თანდათან და შეუმჩნევლად ემორჩილები მიზიდულობის უხილავ ძალას და ჩათრეული აქამდე გაუცნობიერებელ რეალობაში, “უბრალო მკითხველიდან” იქცევი მონათხრობ ამბავთა მონაწილედ და მეტიც, მღელვარე გულშემატკივრად. ეს ხდება იმის გამო, რომ გრიგოლ ფილიმონის ძის წერილთა მკითხველი ადვილად ექცევა ხელოვნების იმ მაგიური ძალის ზემოქმედების ქვეშ, რომლის მეშვეობითაც ლ. ტოლსტოის აზრით, თავის განცდებს “რადაც ნიშნებით” გადასცემს ერთი ადამიანი, - მხატვარი, - სხვა ადამიანებს. პროფ. წერეთლის წერილთა მიმზიდველობა განპირობებულია მათი შინაარსის სიმდიდრით, არაორდინარულობით, ჭკუისმასწავლებლობით და ბევრად კიდევ: სუფთა მხატვრული ღირსებებით, ემოციური გამომხატველობით, სტილისტური მოქნილობით, გადმოცემის დახვეწილობით და სინატიფით და, რა თქმა უნდა, ენის სრულყოფილებით. რიგ შემთხვევებში მკითხველის თვალწინ წარმოიქმნება მხატვრული პროზის ნამდვილი, მცირე ზომის, თითქოს უნებლიედ და ერთი ხელის გაკვრით გაკეთებული ჩანახატები, ესკიზები, ეტიუდები, ხოლო ზოგჯერ თვით (პირობითად, რომ ვთქვათ) “ლექსები პროზად”. მრავალი წერილის მიხედვით (და ეს იმ ტონალობის ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითია, რომლითაც ისინი არიან დაწერილი, თანაც ეს ეხება ძალზე საქმიან, “პროზაულ” წერილებს) შეიძლება ადვილად იმსჯელოთ მათში პოეტური საწყისის არსებობაზე. იგი მჟღავნდება, რა თქმა უნდა, გალექსილ ციტატებშიდაც, მაგრამ მთავარი ეს არაა. პოეზია, როგორც იგი თავს იჩენს გრიგოლ ფილიმონის ძის წერილებში, თვითგამომხატვის ფორმა კი არ არის, არც ლექსებია როგორც ასეთი (არც არის ყველა ლექსი პოეზია), არამედ უფრო ყოვლისმომცველი და ფართო რამაა, ესაა - მსოფლადქმის სუბსტანციონალური კატეგორია და მისი ანარეკლი ღრმად პირადულ, სუბიექტურ სახეებში, სურათებში, მედიტაციებში, განწყობილებებში და ა.შ.

ამბობენ, რომ ყოველი ადამიანის სულში, როგორც არ უნდა იყოს იგი, მთელი სამყაროა ჩაქსოვილი. შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, - ნუთუ ყველა ადამიანში ასეა? მაგრამ როგორ შევიცნოთ იგი (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს ასეა და ღირსია გაცნობისა)? იმასაც ხომ ამბობენ, რომ სხვისი სული ბნელია. როგორ შევალწიოთ ამ მიკროკოსმოსში? ბევრ შემთხვევაში ეს ხერხდება წერილების, მიმოწერების, დღიურების და სხვა ანალოგიური, ასე ვთქვათ, ინტიმიზირებული საშუალებების მეშვეობით. წერილის ბუნებაში ჩადებულია გნოსეოლოგიური ფუნქცია. განსაკუთრებულად პირად, კერძო ხასიათის წერილებში, რადგან წერილებს, რომლებიც თავიდანვე არ არიან განზრახული გამოსაქვეყნებლად, უფრო მეტად, ვიდრე იმ წერილებს, რომლებიც გამოსაქვეყნებლად იწერებიან, შეუძლიათ ჩვენი შეყვანა ადამიანური ფსიქიკის სიღრმეებში და ლაბირინთებში. მათ შეუძლიათ ნათელი მოჭფინონ ისეთ რამეს, რაც ერთი შეხედვით შეუმჩნეველია და ეს მოიმოქმედონ (რაც ძალზე მნიშვნელოვანია) გარედან რაიმე ზეგავლენის გარეშე. ეს ძველი ჭეშმარიტებაა. ჯერ კიდევ არისტოტელე ამტკიცებდა, რომ წერილები აძლევენ ავტორს “თავის თავთან დარჩენის” საშუალებას.

ოც და ოცდაათიან წლებში დაწერილ გრიგოლ ფილიმონის ძის წერილებში გვატყვევებს მთელ ამ ძნელ წლებში გამოტარებული ერთი კონსტანტა, - მათი ავტორის ცხოვრებისეული მიზანსწრაფულობა, სულიერ-ინტელექტუალური ძალების მუდმივი დაძაბულობა და კონცენტრაცია, მიმართული მისი ცხოვრების მთავარი მიზნის აღსასრულებლად. გრიგოლ ფილიმონის ძისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ იყო. ყველაზე ნაკლებად ჰგავდა იგი (არავითარი საერთო არ ჰქონდა) ასკეტს და მით უმეტეს არაამქვეყნიურ, უცნაური და უმწეო სწავლულის ტრადიციულად ნაკარნახევ სახეს. მისი წერილებიდან ირკვევა, რომ ამ მრავალმხრივი ინტერესების კაცში არა ჰქრებოდა სიცოცხლის ინტერესი თავისი იმ მრავალმხრივი გამოვლინებებით, რომლებიც ძალიან ხშირად არ შედიოდა მისი სამეცნიერო სამუშაო დღეებისა და დღესასწაულების წრეში. მაგრამ მისივე წერილებიდან ცხადი ხდება, რომ ინტერესთა მრავალმხრივობისა და სიფართოვის მიუხედავად, რითაც არ უნდა ყოფილიყო დაკავებული მოცემულ მომენტში, საბოლოო ჯამში მისი ყურადღების სფეროში უცვლელად რჩებოდა ერთად ერთი ღვთაება - მეცნიერება. ჰყვებოდა რა იმ ქალაქებზე, რომლებშიდაც ყოფილა, გიზიარებდა რა თავის შთაბეჭდილებებს იმ უნივერსიტეტზე, რომელშიდაც მან სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო თავისი ბრწყინვალე სამეცნიერო გზა თუ თავის კოლეგებზე საუბრობდა, იგონებდა მეგობრებსა თუ არაკეთილმოსურნეებს (ხოლო ისეთი კალიბრის კაცს, როგორც გრიგოლ ფილიმონის ძე იყო, არაკეთილმოსურნენი ყველგან და ყოველთვის მოეძებნებოდა), ანდა იმ ხალხს, რომლებთანაც ბედმა დროებით თუ ხანგრძლივად შეახვედრა, მაინც და ყოველთვის, ყოველივე მომხდარის აზრი, მეცნიერებასთან მისი შესაბამისობიდან და შესატყვისობიდან გამომდინარეობდა. მიეცემოდა თუ არა ფიქრებს, ღელავდა თუ ხარობდა თბილისის უნივერსიტეტის გამო, რომელიც დაარსებიდან ფენომენალურად მოკლე დროში გადაიქცა მძლავრ სამეცნიერო ცენტრად და რომლის შექმნაში მას განეკუთვნებოდა ერთ-ერთი უმთავრესი როლი, გიზიარებდა რა შთაბეჭდილებებს წიგნის სამყაროს სიახლეებზე, წერდა რა ლექსებს და გატაცებით თარგმნიდა ანტიკურ ავტორებს ან თავის საყვარელ ჰაინეს, აღტაცებაში მოდიოდა რა შემოდგომის მომაჯადოებელი ფერებით, მაინც ყოველთვის და ყველაფერში, მთელი მისი “ცეცხლი სულისა და სიცივე გონებისა” უცვლელად, როგორც კომპასის ისარი ჩრდილოეთისაკენ, მიმართული იყო მეცნიერებისაკენ, რომელსაც იგი ემსახურა ჭეშმარიტად რაინდულად: ერთგულებით და უანგაროდ.

დიახ, დიახ, - და უანგაროდ! გრიგოლ ფილიმონის ძის წერილები განეკუთვნება იმ დროს, როცა მსოფლიო მეცნიერების წინაშე მისი დამსახურებები საყოველთაოდ იქნა აღიარებული. თითქოს უკვე შეიძლებოდა ამდენი წლების შეუსვენებელი შრომის შემდეგ შემოქმედებითი ტემპის ოდნავ დაწევა და ნარზე წამოწოლაც, როგორც ეს ხშირად გვხვდება სამეცნიერო და არა მარტო სამეცნიერო სამყაროში, როცა ვინმე სახელოვანი მიაღწევს რა მნიშვნელოვან შედეგებს, “ინსტანციებისგან” ნაალერსევი და მრავალფეროვან ჯილდოებით მკერდდამშვენებული, ჯერდება მიღწეულს და “ბედისგან ნაბომებ დღეებს” ძველი წარმატებების ანგარიშზე, დაწყნარებული სინდისით, მშვიდადა ხარჯავს უდარდელი ატრაქსიის მდგომარეობაში. ჭეშმარიტი ინტელიგენტის საქციელის ამ მოხდენილ, შნოიან და ლამაზ კაცში, რომელიც მთელი თავისი გარეგნობით თითქოს ცხოვრებისეულ დალხინებას და სრულ სულიერ სიმშვიდეს გამოხატავდა (არც ერთის და არც მეორის ხსენებაც კი არ ჰქონია გრიგოლ ფილიმონის ძეს!) ცოცხლობდა ღვთიკურთხეული მეცნიერი, შეუსვენებელი მკვლევარი და დაუღალავი

მადიებელი, რომლის ცხოვრება სულის მუდმივ მოძრაობაში გადიოდა, მისმა აზრმა შესვენება და შეჩერება არ იცოდა არასოდეს, - არც ახალგაზრდობაში, - მეცნიერების მწვერვალთა ტრავერსების ჟამს, არც მოგვიანებით, როცა ყველა მოსააზრებელი სიმაღლე იქნა დაპყრობილი. არასოდეს, აჩრდილიც კი თვითდაწყნარებისა და პატივმოყვარული თვითკმაყოფილებისა არ გაელვებულა მასში. აზრის მუდმივი წინსწრაფვა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა გამოწვეული იყო უკვე გაკეთებულისადმი შემოქმედებითი უკმარისობის გრძნობით, უფრო და უფრო სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვით და ასე უსასრულოდ... რა არის ეს, - სციენტშიმი? ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის, რომელიც ამოვარდნილია როგორც სიტყვა და როგორც მოვლენა თანამედროვეობიდან. ეს დავიწყებული ტერმინი აღნიშნავს - მეცნიერების აბსოლუტიზაციას. უსაზღვრო რწმენას მეცნიერების ძალებში. მეცნიერების ინტერესებისადმი უანგარო სამსახურს.

იძულებითი უმოქმედობა, - აი, რა იყო ყველაზე შემაწუხებელი გრიგოლ ფილიმონის ძისათვის. შეუსვენებლად შრომობდა ყოველდღიურად. იმ არაადამიანურმა პირობებმაც კი, რომელშიდაც დასრულდა ამ კაცის ცხოვრება, ვერ შეძლეს მისი აზრის მუშაობის შეწყვეტა. ის დღე, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო გრიგოლ ფილიმონის ძე ცუდად მუშაობდა ან საერთოდ ვერ მუშაობდა, - ამოვარდნილი იყო მისი ცხოვრებიდან, ე.ი. დაკარგული იყო მეცნიერებისათვის და პირიქით, შთაგონებული შრომა იყო მისთვის უმაღლესი სიხარულისა და შეუდარებელი ტკბობის საათები, როდესაც ყოველდღიური ყოფითობისაგან განმდგარი, მარტოდმარტო რჩებოდა ნახევრადდამდნარ, ძლივსგასარჩევი ხელნაწერებით აჭრელებულ გრაგნილებთან. ვინ დაწერა? როდის? რა დაწერა? კითხვები... გამოცანები... ყურადღება იძაბება, მზერა საუკუნეთა სიღრმეებში მიიკვლევს გზას. რა შეედრება იმ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელშიდაც მეცნიერი იმყოფება უმაღლესი შთაგონებისას? რა სიტყვებით გამოხატავ ინტელექტის, ტალანტის, ერუდიციის, გამოცდილების, წარმოსახვის და ფანტაზიის კონცენტრაციის იმ არაჩვეულებრივ გადაძაბვას, რომელსაც სწავლული განიცდის შემოქმედებითი ზემთაგონების ჟამს? რა ჰქვია მას? წმინდა საიდუმლო? ღვთისმსახურება? ლიტურგია? თუმცა საქმე სიტყვებში არაა და აი, ათასწლეულთა მდუმარებაში მივიწყებული და დაკარგული ცივილიზაციის ნამსხვრევები თანდათანობით ცოცხლდება და ზანტადა ხსნის საბურველს თავის საიდუმლოებებს, თითქოს უეცრად იბრუნებს საუბრის უნარს და შორეულ შთამომავალთა წინაშე წარმოსდგება მოულოდნელი, მეცნიერებისათვის ხშირად არც თუ ისე ფასეული ფაქტებით: რაიმე უბრალო ტექსტის ნაწყვეტით, ან ორი, სამი ათასი წლის წინათ დადებული სავაჭრო ხელშეკრულებით, ან სულაც ძველბერძენი მწერლის (და აი, მეცნიერების ზეიმი...) დრამატურგის ან კომედიოგრაფის უცნობი ქმნილებით. მაგრამ საქმე მარტო ამაში არაა. საქმე იმაშია, რომ ეს არის კაცობრიობის მიერ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საკუთარი თავის შეცნობის გზაზე.

გრიგოლ ფილიმონის ძის წერილებიდან შემოგვყურებს სხვადასხვა ადამიანთა გრძელი მწკრივი, რომლებიც რაღაც გარკვეულ დროს, - ზოგი მომენტალურად, ზოგი ხანგრძლივად და ზოგიც მთელი ცხოვრების მანძილზე, - დიდი მეცნიერის ცხოვრების თანამგზავრები გახდნენ. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთაა მხოლოდ გრიგოლ ფილიმონის ძის წერილები, რაც ერთის შეხედვით ამ ადამიანებს აყენებს "მხოლოდ ადრესატის" პასიურ როლში. მაგრამ საქმე იმაშია, და ეს არის მიმოწერის ერთ-ერთი თავისებურება, რომ ეს პასიურობა, ადრესატის მხრიდან პასუხის

იძულებითი გაუცემლობა მხოლოდ მოჩვენებითია, მაინც ადრესატის პიროვნება განსაზღვრავს ძირითადად შინაარსს და სტილსაც კი, მისი მისამართით გაგზავნილი კორესპონდენციისას. ბრწყინვალე, ფაქიზი ფსიქოლოგია გრიგოლ ფილიმონის ძე თავის წერილებში, ხასიათთა მცოდნეა, ადამიანური ურთიერთობის ლაბირინთებში დიდებულად ორიენტირებული პიროვნებაა. ადამიანთა მისეული დახასიათებები, მათი აზრებისა და საქციელის შეფასებები თუნდაც იგი თვალის ერთი გადავლებით, გზადაგზა და ნაუცბათევად იყოს გაკეთებული, ზუსტია და გამომსახველი. ამიტომ იძლევა მისი წერილები უტყუარ და მდიდარ მასალას იმ ადამიანებზე აზრისა და შეხედულების ჩამოსაყალიბებლად, რომლებთანაც უხდებოდა მას შეხვედრა თავისი რთული ცხოვრების არც თუ ყოველთვის სწორ გზებსა და გზაჯვარედინებზე.

გარკვეულად მინდა ვთქვა: უკვდავმა ღმერთებმა, რომლებიც მაინცდამაინც დიდად არ წყალობენ ადამიანებს, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის მიმართ იშვიათი კეთილგანწყობა გამოამჟღავნეს: მასზე მოავლინეს თავიანთი ცხოველმყოფელი მადლი და გულუხვად დააჯილდოვეს იგი მრავალნაირი დიდებული ტალანტით, რომელთა ჰარმონიულმა შეხამებამ მოგვცა მისი სახით სულიერი ძალითა და სილამაზით განუმეორებელი ელიტარული ადამიანური ფენომენი.

წინასიტყვაობა გრიგოლ წერეთლის ეპისტოლური მემკვიდრეობისათვის

გამოჩენილი მეცნიერი, ანტიკური ლიტერატურის დიდი მცოდნე და დაუღალავი მკვლევარი, მსოფლიოში სახელგანთქმული პაპიროლოგი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მთლიანად შესწირეს თავი მაღალ მორალურ იდეალებს და მისაბამ მაგალითს წარმოადგენენ თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის.

გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი დაიბადა 1870 წელს, 12 (25) მარტს პეტერბურგში, იურისტ ფილიმონ გრიგოლის ძე წერეთლის ოჯახში. გრიგოლის დედა, ანა ივანეს ასული ლუჩაკი ტვერის გუბერნიის თავადაზნაურთა წრეს განეკუთვნებოდა. გრიგოლ ფილიმონის ძემ ბავშვობა თბილისსა და ვარშავაში გაატარა, სადაც მამამისი მსახურობდა ჯერ წევრად, ხოლო შემდეგ სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად, ანუ მოადგილედ. 1881 წელს ოჯახი მუდმივ საცხოვრებლად პეტერბურგში გადავიდა იმ ვარაუდით, რომ ბავშვებისათვის განათლების მიღების საუკეთესო პირობები შეექმნათ. ხუთი ბავშვი ჰყავდათ: გრიგოლი, ივანე, პეტრე, ზინოპი (ზენია) და ელენე (ლელია). გრიგოლის ძემ შემდგომში სამხედრო მოსამსახურენი, პოდპოლკოვნიკები გახდნენ. ლელია, აკადემიკოს ბ.ა. ტურაევის მეუღლე, ქმრის გარდაცვალების შემდეგ (1920წ.) მონაზვნად აღიკვეცა.

პირველდაწყებითი განათლება გრიგოლ წერეთელმა სახლში მიიღო დედის, მამის და დეიდის - ზინაიდა ლუჩაკის ხელმძღვანელობით. შემდეგ იგი სწავლობდა პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ კლასიკურ გიმნაზიაში. 1888 წელს გრიგოლ

ფილიმონის ძე შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც ოქროს მედლით ამთავრებს 1893 წელს. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მას იქვე ტოვებენ საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1897 წელს გ.ფ. წერეთელს სამეცნიერო მუშაობისათვის სამი წლით აგზავნიან საზღვარგარეთ. ბერლინში იგი გამოჩენილი კლასიკოსი ფილოლოგების უ. ვილამოვიცისა და ჰ. დილსის სემინარებში მეცადინეობს. ბერლინშივე მუშაობს ულრიხ ვილკენთან ბერძნულ პალეოგრაფიასა და პაპიროლოგიაში. ასევე ნაყოფიერად შრომობდა იგი ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ვენაში, მიუნხენში, პარიზში, ლონდონში, ოქსფორდში, რომში, ფლორენციაში, ვენეციაში, ნეაპოლში, ათენში, ათონის მონასტერთა წიგნსაცავებში. 1902 წელს გ.ფ. წერეთელი ბრუნდება პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე იწყებს მუშაობას. 1905წ. იცავს სამაგისტრო დისერტაციას თემაზე “შემოკლებები ბერძნულ ხელნაწერებში უპირატესად სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის დათარიღებული ხელნაწერების მიხედვით”. ამის შემდეგ გადადის იურიევში (ტარტუ), სადაც არჩეული იქნა იურიევის უნივერსიტეტის ექსტრაორდინარულ პროფესორად. იურიევში ცხოვრებისა და მუშაობის წლებში (1905-1914წწ.), ზაფხულის არდადეგების პერიოდში იგი სამეცნიერო მივლინებით აუცილებლად მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ. იურიევში გ.ფ. წერეთელმა დაწერა სადოქტორო დისერტაცია “მენანდრას ახალი კომედიები”. პაპირუსთა ცალკეული ნაკუწების მიხედვით, რომლებსაც 1905 წელს მიაგნეს არქეოლოგებმა ეგვიპტეში წარმოებულ გათხრებში, გ.ფ. წერეთელმა აღადგინა ძველი ბერძენი კომედიოგრაფის მენანდრას კომედიები. 1914 წელს მას მიანიჭეს ბერძნული სიტყვიერების დოქტორის წოდება. იმავე წელს მას იწვევენ პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე, სადაც იგი 1920 წლამდე მუშაობდა. “როგორც დიდი სწავლული, გ.ფ. წერეთელი ცნობილი არის მთელი მსოფლიოს ფილოლოგი კლასიკოსებისათვის, - წერს ანტიკურობის ცნობილი მკვლევარი, პოეტი და მთარგმნელი ფ.ა. პეტროვსკი, - მისი შრომები პალეოგრაფიასა და მენანდრას შემოქმედების ანალიზში, ისევე როგორც მისი დანარჩენი შრომები, არასოდეს დაკარგავენ თავის მნიშვნელობას ანტიკური სამყაროს შეცნობის საქმეში, რომლის შესწავლასაც მიუძღვნა გრიგოლ ფილიმონის ძემ მთელი თავისი ნაყოფიერი ცხოვრება. გრიგოლ ფილიმონის ძე ჰფლობდა საკვირველ ნიჭს: იგი არა მარტო ხსნიდა ანტიკური სამყაროს საიდუმლოებებს როგორც მეცნიერი, არამედ საშუალებას გვაძლევდა შეგვეცნო ამ სამყაროს მარად გაუხუნარი სურათები და სახეები მთელი თავისი მრავალფეროვნებით, იმიტომ, რომ გრიგოლ ფილიმონის ძე იყო არა მარტო პირველხარისხოვანი მეცნიერი, არამედ მაღალნიჭიერი მხატვარიც; იგი იყო ანტიკური სამყაროს ჭეშმარიტი განმაცოცხლებელი, მისი უდიდესი პოეტი”.

1917წ. გრიგოლ ფილიმონის ძეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ, 1920 წელს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მოწვევით, რომელსაც ი.ა. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა, გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი ჩამოდის თბილისში, უნივერსიტეტის ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის თანამდებობაზე, სადაც მან 1938 წლის მასამდე იმუშავა. 1923-1931წწ. იგი პარალელურად ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის ფორმირებას, იყო მისი დირექტორი და უზარმაზარი ღვაწლი მიუძღვის მისი ფონდების ორგანიზებასა და

დაკომპლექტებაში. როგორც არავინ, ისე იცოდა მან ფასი წიგნებისა და ხელნაწერებისა. ამისათვის მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანაც კმარა: გ.ფ. წერეთლის ინიციატივით და ამ პროცესში პირადი მონაწილეობით, თბილისის უნივერსიტეტს გადმოეცა აკად. ბ.ა. ტურაევის ძვირფასი ბიბლიოთეკის ნაწილი ლენინგრადის უნივერსიტეტიდან. 1924 წელს გ.ფ. წერეთელი მონაწილეობს ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ზეიმის მონაწილეებზე როგორც მეცნიერი და როგორც პიროვნება. 1925 წელს თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა გ.ფ. წერეთელი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 30 წელთან დაკავშირებით საპატიო პროფესორად აირჩია. 1931-1938წწ. გ.ფ. წერეთელი საქართველოს სახ. მუზეუმის სამეცნიერო კონსულტანტია და მისი ხელნაწერების განყოფილების თანამშრომელია, სადაც იგი უპირატესად ბერძნულ ხელნაწერებზე მუშაობდა. იმავე წელს გ. წერეთელი ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით აირჩიეს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმკვი) ინსტიტუტის პროფესორად და სამეცნიერო საბჭოს წევრად. ამავე დროს იგი არის ბერლინისა და ბრიუსელის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი.

1920-იან წლებში პეტერბურგის სამეცნიერო წრეებში დადგა საკითხი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში გ.ფ. წერეთლის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. მაგრამ ამ განზრახვას აღსრულება არ ეწერა: მაშინდელი ინსტრუქციების თანახმად, მეცნიერებათა აკადემიის ახლად არჩეულ წევრს უნდა ეცხოვრა იმ ადგილას, სადაც მას აირჩევდნენ. გრიგოლ წერეთელმა უარი განაცხადა საცხოვრებლად პეტროგრადში გადასვლაზე, რადგან თბილისისა და თბილისის უნივერსიტეტის გარეშე თავისი მომავალი მას უკვე ვეღარ წარმოედგინა: “დაე ამირჩიონ აკადემიკოსად, მაგრამ საცხოვრებლად მე თბილისში დავრჩები, - წერს იგი ცოლს პეტროგრადიდან 1923 წლის 12 აგვისტოს, - მძიმე იქნება ჩემთვის ივანე ალექსანდრეს ძის, გიორგი ალექსანდრის ძის, ბიბლიოთეკის, უნივერსიტეტის და საერთოდ, მთელი თბილისური ანტურაჟის გარეშე”. ამასთან ერთად, წმინდა ორგანიზაციული საკითხების გარდა, ამოტივტივდა აგრეთვე რაღაც-რაღაც “დელიკატური” საკითხები: ვიღაც იყო სასურველი კანდიდატი ვიღაცისთვის, ვიღაც კი არა. თუმცა გ.ფ. წერეთელი ყველასათვის სასურველი კანდიდატი იყო, მაგრამ მან მაინც არჩია გვერდზე დარჩენილიყო და საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ მიეღო.

1929 წელს ვ.პ. ბუზესკულის (ანტიკურობის ისტორიკოსის) წინადადებით გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი წარდგენილი იქნა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მაგრამ მისი კანდიდატურა უარყვეს. გაზეთ “ხარკოვის პროლეტარში”, 1929 წ. 1 ივნისს გამოქვეყნდა სტატია ასეთი სათაურით “უკრაინის მეცნიერებათა აკადემიას, საუკეთესო მეცნიერი მარქსისტები”. წერილში მოყვანილია უკრაინის მეცნი. აკადემიაში არჩეულ და არა არჩეულ პირთა სია. არარჩეულთა სიაშია მოხსენებული გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. ბუნებრივია, რომ გ.ფ. წერეთელს არანაირი ფორმით არ შეეძლო მოხვედრილიყო მეცნიერ-მარქსისტთა რიცხვში და უკანასკნელი ცდაც: 1937 წელს ივანე ჯავახიშვილი ბევრს ეცადა, დაწერა და წარადგინა გ.ფ. წერეთლის დახასიათება, რათა აერჩიათ იგი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილიალიდან. სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის გარჯა უშედეგო აღმოჩნდა. გ.ფ. წერეთელი, მსოფლიო სახელის მქონე დიდი

მეცნიერი, მეტად ფართო საერთაშორისო ავტორიტეტის მიუხედავად, ამ ცხოვრებიდან ისე წავიდა, რომ არ მიუღია საბჭოთა “აკადემიკოსის” წოდება.

1895 წელს 25 წლის გ.ფ. წერეთელი დაქორწინდა სოფია ივანეს ასულ მაქსიმოვაზე (1871-1943წწ.), რომელიც ამ ცხოვრებაში ყოველთვის მისი ერთგული მეგობარი და ღირსეული თანამგზავრი იყო. დიდი ერუდიტი, როგორც მას ს.გ. ყაუხჩიშვილი ახასიათებს, ევროპული ენების ბრწყინვალე მცოდნე, ინგლისური ფილოსოფიის სპეციალისტი, თბილისში ჩამოსვლამდე პეტროგრადის პირველ უმაღლეს პედაგოგიურ ინსტიტუტში მასწავლებლობდა. ს.ი. წერეთელმა ინგლისურიდან რუსულად თარგმნა მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსის დავით იუმის “ტრაქტატი ადამიანის ბუნებაზე”, რომელიც დერპტში დაიბეჭდა 1906-1909წწ. ინგლისელი ფილოსოფოსის თომას რიდის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამოკვლევას მიუძღვნა ს.ი. წერეთელმა ნაშრომი “თომას რიდი - მეთვრამეტე საუკუნის რეალისტი და ინტუიტივისტი”. თბილისში გადმოსვლის შემდგომ ს.ი. წერეთელი ასისტენტად მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე, სადაც იგი პროფესორმა შალვა ნუცუბიძემ მიიწვია. პარალელურად, შეთავსებით მუშაობდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მთავარ მეცნიერ კონსულტანტად. სოფიო ივანეს ასული “მარჯვენა ხელი” იყო თავისი სახელოვანი მეუღლისა ყველა მის საკვლავადმიეხო სამუშაოსა და საბიბლიოთეკო საქმეში. იგი თარგმნიდა მის სამეცნიერო შრომებს, რეზიუმეებს, საზღვარგარეთ გასაგზავნ წერილებს გერმანულად, ფრანგულად, მიუხედავად თვითონ გრიგოლ ფილიმონის ძისგან ამ ენების ცოდნისა.

1931 წელს გ.ფ. წერეთელი გადააყენეს თბილისის უნივერსიტეტში მუშაობისაგან და შემდეგ დააპატიმრეს კიდეც. მას “კონდრატოვშიჩინაში” და “მავნებლობაში” ადანაშაულებენ. ამ მიზეზის გამო 1931 წლის აგვისტოს სოფიო ივანეს ასული წერეთელი სტალინის სახელზე წერს განცხადებას. *** PAGE 164 ***

სკპ(ბ) გენერალურ მდივანს ამხ. სტალინს

დამსახურებული პროფესორის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის მეუღლის სოფიო ივანეს ასულ წერეთლის

განცხადება

ჩემი მეუღლე, ყოფ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის, ახლა პედინსტიტუტის დამსახურებული პროფესორი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს საქართველოს “გპუ” განკარგულებით და აქამდე არ გაუნთავისუფლებიათ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება დიდი ხანია უარყოფილია და განთავისუფლება ფერხდება მხოლოდ და მხოლოდ მაღალ ინსტანციებთან შეუთანხმებლობის გამო.

ამასობაში ჩემი მეუღლე, პედინსტიტუტის პროფესორთა ჯგუფთან ერთად, ჩამოაცილეს სამსახურს როგორც “კონდრატოვშიჩინასა” და მავნებლობაში ბრალდებული. ამასთან ერთად

საქართველოს სსრ-ში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში ე.ი. 1920 წლიდან, ჩემს მეუღლეს არაფრით არ დაურღვევია საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავისი ლოიალობა და მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა მხოლოდ და მხოლოდ წმინდა მეცნიერულ მოღვაწეობას - ერთის მხრით და მეორეს მხრივ - პედაგოგობას ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შემდეგ პედაგოგიკურ ინსტიტუტში.

სახელი მისი, როგორც მეცნიერისა, კლასიკური ფილოლოგიისა და ძველბერძნული და რომის ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტისა კარგადაა ცნობილი როგორც სსრკ-ში, ისე ევროპაში. იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, ასევე ბერლინის არქეოლოგიური საზოგადოების და ბრიუსელის პაპიროლოგიისა და არქეოლოგიის შემსწავლელი საზოგადოების წევრ-კორესპონდენტია. ნახევარწლიანმა პატიმრობამ შეწყვიტა მისი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა და ხელი შეუშალა დაემთავრებინა დიდი შრომა: პაპირუსთა რუსული და ქართული კოლექციების” გამოცემა. ჯერჯერობით ამ შრომის ოთხი ტომია გამოცემული და დიდი მოთხოვნილებაა მასზე საზღვარგარეთ: მაგ.: თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საზღვარგარეთული ლიტერატურის შექმნაზე არსებული მთელი ვალი 1929 წელს დაიფარა მხოლოდ და მხოლოდ ამ გამოცემის საზღვარგარეთ გაყიდვით. უკანასკნელი, მეხუთე ტომის დამუშავება გაჩერებულია ჩემი მეუღლის დაპატიმრების გამო. იგივე მიზეზით გაჩერდა მისი “ძველბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის გამოქვეყნება. იგი ამ საგანში პირველი ქართულ ენაზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოა სტუდენტებისათვის.

თავისი გულწრფელი სურვილი, რომ ემსახუროს საქართველოს სსრ და სარგებლობა მოუტანოს საქართველოს ახალგაზრდობას როგორც უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგმა, ჩემმა მეუღლემ დაამტკიცა სხვათაშორის, იმითაც, რომ გამუდმებულად უარს ამბობდა არაერთგზის შემოთავაზებულ წინადადებებზე დაბრუნებულიყო უკან, ლენინგრადის უნივერსიტეტში, სადაც იგი 1920 წლამდე ორდინარული პროფესორი იყო, ხოლო 1924 წელს სახ. უნივერსიტეტისა და განათლების სახალხო კომისარიატის მიერ საზღვარგარეთ, კერძოდ, ნეაპოლის უნივერსიტეტის იუბილეზე მივლინებულმა, უარი თქვა წინადადებაზე, რომლითაც მას როგორც ცნობილ პაპიროლოგს, ადგილი შესთავაზეს ბერლინის ერთ-ერთ მუზეუმში. მან არჩია ლოიალურად დაბრუნებულიყო საქართველოს სსრ-ში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გთხოვთ:

1. ხელი შეუწყოთ ჩემი მეუღლის სასწრაფო განთავისუფლებას, მით უმეტეს, რომ ნახევარწლიანი პატიმრობა უკვე მომაკვდინებელ ზეგავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე და ა.წ. 4 აგვისტოდან ძველი ავადმყოფობის, კუჭის წყლულის მწვავე შეტევის გამო იგი ციხის საავადმყოფოშია გადაყვანილი. პატიმრობაში შემდგომმა ყოფნამ შეიძლება ამ ასაკში (61 წლისა) მისი ჯანმრთელობის სრული დაკარგვა გამოიწვიოს, მაშინ როდესაც ნორმალურ პირობებში მას შეუძლია კიდევ დიდხანს და ნაყოფიერად იმუშაოს საქართველოს სსრ სასარგებლოდ.

2. გასცეთ განკარგულება იმის გამოსადიებლად, თუ რა მასალებზე დაყრდნობით და როგორც შეიძლებოდა დაედანაშაულებინათ ჩემი მეუღლე “კონტრატოვშჩინისა” და მავნებლობაში და ყალბი ბრალდების აღმოჩენის შემთხვევაში თქვენი შეხედულებების მიხედვით განახორციელოთ სათანადო ღონისძიებები.

სოფიო წერეთელი, 1931წ., თბილისი.

ამჯერად გრიგოლ ფილიმონის ძე გაანთავისუფლეს, მაგრამ... დადგა 1937 წელი, გაუგონარი ცინიზმის დრო, სრულიად უდანაშაულო ადამიანთა გაქელებისა და მათ მიმართ მოგონილ, არარსებულ ბრალდებათა მეშვეობით მასიური რეპრესიების განხორციელების ხანა. გ.ფ. წერეთელი 1938 წლის 24 მაისს დააპატიმრეს. 1939 წლის 31 მარტს სამხედრო ტრიბუნალმა მას 10 წლით ციხეში ყოფნა მიუსაჯა. ს.ი. წერეთელი სხვადასხვა ინსტანციებში წერს განცხადებებს. მან ამჯერადაც მიწერა წერილი სტალინს თავის მეუღლეზე. თავის განცხადებაზე მან პასუხი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურისაგან მიიღო 1939 წლის 21 ნოემბერს

“ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი 1.

“მეტეხის” მუზეუმი

მოქალაქე სოფიო ივანეს ასულ წერეთელს

ამხ. სტალინისადმი თქვენგან გაგზავნილ წერილთან დაკავშირებით, ჩვენ განვიხილეთ თქვენი მეუღლის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის საქმე და აღმოჩნდა, რომ იგი გასამართლებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სტატიით 58-1ა; 58-7; 58-10 და 58-11, რომლის შედეგადაც თქვენი განცხადება დარჩენილია დაკმაყოფილების გარეშე.

ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის მოადგილე ბერაძე

21.ნოემბერი.39წელი.”

მოგვიანებით ს.ი. წერეთელი წერს ვრცელ განცხადებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს

“ განცხადება

გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა ვადაზე ადრე იქნას განთავისუფლებული ჩემი მეუღლე გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, რომელიც ნკვდ-ს განკარგულებით დააპატიმრეს 1938 წლის 24 მაისს, ხოლო 1939 წლის 31 მარტს ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა ათი წლით ციხეში პატიმრობა. მოტივები, რომელთაც მაიძულეს თქვენთვის მომემართა, შემდეგია:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ ყველა წაყენებული ბრალდების პასუხად ჩემმა მეუღლემ გადაჭრით უარი განაცხადა თავი დამნაშავედ ეცნო და არც შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო: 45-წლიანი, სრული ნდობით აღსავსე ერთობლივი ცხოვრების მანძილზე, მე სუფთა სინდისით შემიძლია ვამტკიცო, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სტატია 58-1ა; 58-7; 58-10 და 58-11, რომელთა საფუძველზედაც იქნა გასამართლებული ჩემი ქმარი (ამის შესახებ ოფიციალურად მაცნობა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურამ 1939 წლის 21 ნოემბერს, ცნობა ნომერი 82-39) მას იმდენად არ მიესადაგება, რომ არ შემიძლია არ გამოვთქვა:

მთელი ეს პროცესი ან გაუგებრობით ან ჩემი ქმრისადმი უარყოფითად განწყობილი პირების მიერ მოწოდებული არასწორი ინფორმაციით არის გამოწვეული. არც იმ აზრის დაშვება მინდა, რომ მას დანაშაულად ჩაუთვალოს უცხოელ მეცნიერებთან კორესპონდენციები, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო-საქმიან ხასიათს ატარებდა. ეს შემთხვევა დავამტკიცო, რადგან ახალი ენები პრაქტიკულად ჩემს ქმარზე უკეთ ვიცოდი და ამ მხრივ მე მისი მდივანი ვიყავი. მთელი მისი საზღვარგარეთული წერილები ან ითარგმნებოდა, ან რედაქტირდებოდა ჩემს მიერ. დაბოლოს, თუ ჩემს ქმარს, როგორც ამტკიცებენ, ბრალად ედება მკვეთრი ტონი და ზოგიერთი უხეირო გამოხატვაში, რომელიც მან მისი საქმიანების გარჩევის დროს დაუშვა და მსჯავრდებულისათვის არაკორექტულად ითვლება, მაშინ მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელი იყო მხედველობაში მიგველო ნერვიული აღზნება, რომელიც ეუფლება ადამიანს, როდესაც გაუმართლებელ ბრალდებებს ისმენს. მხოლოდ იგივე ნერვიული აღზნებით და ბუნებრივი განაწყენებით შემთხვევაში მე ავხსნა ის ფაქტი, რომ ჩემმა ქმარმა უარი თქვა საკასაციო საჩივრის შეტანაზე, რის შედეგადაც განაჩენი იმ წუთსავე შევიდა ძალაში.

2. იძულებული ვარ გთხვოთ ჩემი ქმრის ვადაზე ადრე განთავისუფლება მისი გარდამტეხი ასაკისა (1940 წლის 25 მარტს მას 70 წელი შეუსრულდა) და სუსტი ჯანმრთელობის გამო (კუჭის ქრონიკული წყლული და ამაღლებული მგრძნობელობა, რაც ხშირად ძლიერ ნერვიულ აღზნებაში გადადის). ასეთ პირობებში ხანგრძლივ პატიმრობას შეუძლია მიგვიყვანოს მისი ფიზიკური ჯანმრთელობისა და ნერვიული მდგომარეობის სრულ დარღვევამდე, რაც მას სრულიად გამოუსადეგარს გახდის მომავალი მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

3. ამასთან ერთად, გრიგოლ ფილიმონის მე წერეთლის სამეცნიერო დამსახურებები კარგად არის ცნობილი როგორც საქართველოს სსრ-ში, ასევე მთელ საბჭოთა კავშირში. ისინი არამც თუ მხოლოდ ცნობილია, არამედ ღირსეულადაც არის შეფასებული. ეს მტკიცდება იმ ფაქტით, რომ თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ოცი წლისთავზე ჩემი ქმარი, პროფ. ი. ჯავახიშვილის და პროფ. ი. ბერიტაშვილის დარად წარადგინეს ჯილდოზე, რაზედაც მას ეცნობა 1938წ. 23 მაისს, ე.ი. დაპატიმრების წინა დღეს. ამაზე ცოტა ხნით ადრე, სხვა მეცნიერთა დარად, იგი წარდგენილი იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატურაზე (წევრ-კორესპონდენტად იგი უკვე მთელი რიგი წლებია, რაც იმყოფება), ამასთან მისი კანდიდატურა მოიწონა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (ბოლშევიკების) და ამხანაგმა ლ.პ. ბერიაძემ.

და მართლაც, მთელი 18 წლის განმავლობაში თბილისში ყოფნის მანძილზე, ჩემი ქმარი ერთის მხრივ მთელი რიგი წარმტაცი მეცნიერულად დასაბუთებული ლექციებით და სემინარებში მეცადინეობების გზით, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებს აცნობდა საბერძნეთისა და რომის ლიტერატურის ისტორიას, მეორეს მხრივ კი - მან გამოსცა “ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის” 2 ტომი ქართულ ენაზე, რომელიც დღესაც შეუცვლელი სახელმძღვანელოა ამ საგნის შემსწავლელთათვის. წმინდა მეცნიერული სამუშაოებიდან მას შემდეგ, რაც იგი საქართველოში იმყოფება, უნდა მოვიხსენიოთ: 1. შრომა - “კორინთის ოთხთავის ბერძნული მინაწერები”. 2. დამუშავებულია და დასაბუთდად გამზადებულია, მაგრამ დაპატიმრების გამო აღარ გამოქვეყნებულა იტალიელი მისიონერის კასტელის ალბომი, რომელმაც მჩვიდმეტე საუკუნეში ეწვია საქართველოს და შეადგინა მაშინდელ ქართული

ტიპების, აგრეთვე მათი ყოფისა და ხასიათების ალბომი. 3. ბიზანტიელი მწერლისა და მეცნიერის იოანე იტალის ცალკეულ ნაწარმოებთა გამოცემა და ამ მიმართულებით გამოკვლევის გამოქვეყნება. 4. ქართული და რუსული კოლექციებიდან პაპირუსების 5 ტომეულის გამოქვეყნება. მეექვსე ტომი უკვე დასაბეჭდად მზადდებოდა, მაგრამ დაპატიმრების გამო დაუმთავრებელი დარჩა. ამ სამუშაომ, ისევე როგორც მისმა ადრინდელმა ნამუშევრებმა პაპიროლოგიაში, ისეთი დიდი სახელი მოუტანეს მას როგორც პაპიროლოგს, რომ მის სახელზე მოსულ ერთ-ერთ ამონაბეჭდზე (იგი ჩემს ხელთ იმყოფება) ამონაბეჭდის ავტორი მას უწოდებს “ყველა პაპიროლოგთა დიდ მასწავლებელს”. ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე, რუსეთში პროფესორად ყოფნისას, პირველად იურიევში, შემდეგ ლენინგრადში, ჩემმა ქმარმა გამოსცა მთელი რიგი ძვირფასი სამეცნიერო შრომებისა, რომელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ მისი ორი დისერტაცია: სამაგისტრო (“შემოკლებები ბერძნულ ხელნაწერებში”) და სადოქტორო (“მენანდრე და მისი დრო”), რომელთაც ჯერ კიდევ მაშინ მოუტანეს მას დიდი მეცნიერის სახელი, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი სპეციალობის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებულ უამრავ სტატიაზე, რომელთა გადათვლა საკმაოდ დიდ დროს დაიკავებდა. 6. გთხოვთ ჩემი მეუღლის ვადაზე ადრე განთავისუფლება, მაიძულებს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად თავისი ასაკისა, მან უკიდურეს შემთხვევაში დაპატიმრებამდე მაინც, მთელი სისავსით შეინარჩუნა როგორც ინტერესი პედაგოგიური საქმიანობისადმი, ასეთე უნარი თითქმის მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებელი მუშაობისა. უკანასკნელ დრომდე იგი ჯერ ისევ მუშაობდა მოსკოვის სახპოლიტგამომცემლობის დაკვეთით მთელ რიგ ძველბერძენ პოეტთა ლექსების თარგმანზე, აცნობდა რა ამით მკითხველთა ფართო წრეებს ამ ავტორთა ნაწარმოებებს. დაპატიმრებიდან ორი დღის შემდეგ მის სახელზე მოვიდა წინადადება, რათა მონაწილეობა მიეღო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ “ზოგადი ლიტერატურის” გამოცემაში და თავის თავზე აეღო ბერძნული და რომაული ლიტერატურის ისტორიის განყოფილების შედგენა. მაგრამ ეს სამუშაო, რომელიც წერილის ავტორის სიტყვებით, გრიგოლ ფილიმონის ძეს შეეძლო შეესრულებინა ყველაზე საუკეთესოდ და ყველაზე სწრაფად, ჩაიშალა მისი დაპატიმრების გამო.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად გვიჩვენებს, რომ დაპატიმრებამ და ხანგრძლივმა პატიმრობამ შეწყვიტეს ჩემი მეუღლის ნაყოფიერი სამეცნიერო-პოპულარული და პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც სხვაგვარად მთელი რიგი მის წილად დარჩენილი წლების (ალბათ უკვე მცირე რაოდენობით) განმავლობაში შეიძლებოდა გამოეყენებინა სახელმწიფოს როგორც დიდი მეცნიერი და გაამდიდრებდა კიდევ იგი როგორც საქართველოს სსრ და მთელ სსრკ-ს მთელი რიგი სასარგებლო და საჭირო გამოკვლევებით, მაშინ როდესაც, მოცემულ პირობებში იგი უთუოდ ჰკარგავს დროს იძულებით უმოქმედობაში და იმყოფება ფიზიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური წონასწორობის დარღვევის საშიშროების ქვეშ. ყველა ამ მოსაზრებამ მაიძულა თქვენთვის მომემართა თხოვნით, ჩემი მეუღლის ვადაზე ადრე განთავისუფლებისა და რეაბილიტაციის შესახებ და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ უარს არ იტყვით და ყველაფერს გააკეთებთ ჩემი თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სოფიო ივანეს ასული წერეთელი. 29. აგვისტო .1940წელი.

თბილისი, მეტეხის აღმართი, 1, მუზეუმი “მეტეხი”.

სოფიო ივანეს ასულის წერილებში მოცემულია საუკეთესო და ამასთან, ზედმიწევნით ობიექტური შეფასება გრიგოლ ფილიმონის ძისა, როგორც მეცნიერისა და როგორც ადამიანისა.
*** PAGE 170 ***

ამაო იყო გულუბრყვილო სოფიო ივანოვნას ყველა მცდელობა. სიმართლეს მან ვერა და ვერ მიაღწია. გ.ფ. წერეთელმა გაიზიარა იმ პერიოდში ტრაგიკულად დაღუპულ ადამიანთა ბედი .

ახლა, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავეცნოთ ზოგიერთ ცნობას, რომელიც დაკავშირებულია გ.ფ. წერეთლის დაპატიმრებასთან და ციხეში მის ყოფნასთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე იგონებს: 1938 წლის ერთ ცივსა და ქარიან დღეს მას, რუსთაველის პროსპექტზე მიმავალს კავშირგაბმულობის სახლთან უეცრად გზა გადაუჭრა ზემო ქუჩიდან, სადაც ნკვდ იმყოფებოდა, ჩამომავალმა სატვირთოთი ავტომობილმა, რომლის ღია მარაზე მან დაინახა იატაკზე მჯდარი ერთადერთი მობუზული მამაკაცი, რომელიც ორივე ხელით ჩასჭიდებოდა თავზე დახურულ ფართოფარფლებიან შლიაპას, რომ ქარს არ მოეტაცნა. ეს იყო გრიგოლ წერეთელი, რომელსაც თავზე ედგა ყარაული ვინტოვკით ხელში.

ქვემოთ მოგვყავს ვრცელი ამონაბეჭდი კინოსტუდია “ქართული ფილმის” თანამშრომლის ალექსანდრე მახარაძის მოგონებიდან, რომელიც რეპრესირებული იყო იმ წლებში და გრიგოლ წერეთელთან და სხვა მრავალ პატიმართან ერთად ერთ თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა საპატიმროში. კამერაში ოთხმოც კაცზე მეტი შეყრილიყო - წერს ა. მახარაძე. კამერაში საკმაოდ ჭრელი საზოგადოება აღმოჩნდა. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, სრულებით რომ არ ჰგვანდნენ პოლიტიკურ პატიმრებს. ერთ-ერთ პირველსავე დღეს რკინის კარებმა გაიჭრიალა და კამერაში მორიგი პატიმარი შემოიყვანეს. შემოსულს ხალხი ჩვეულებისამებრ შემოეხვია და გამოკითხვა დაუწყეს. მე ვერ შევძელი ახლოს მისვლა და მხოლოდ სუსტი ხმით ნათქვამი შემომესმა: - მე პროფესორი წერეთელი ვარო. მალე ყველა მიმოიფანტა და ხანშიშესული პატიმარი მარტო დარჩა. მთელი მისი ფიგურა დაბნეულობას და განწირულებას გამოხატავდა. მე მივეახლე ახლად შემოსულს და მაშინვე ვიცანი დიდი ქართველი მეცნიერი გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. ვერ ვიტყვი, რომ მეცნიერის პიროვნებამ დიდი ინტერესი გამოიწვია პატიმართა შორის. ინტელექტისა და პროფესიონალური ორიენტაციის მიხედვით აქ სულ სხვა ადამიანები ჭარბობდნენ. მაგრამ მორიდება და ანგარიშის გაწევა მას არავისგან დაჰკლებია. *** PAGE 171 ***

შემდეგ ალექსანდრე მახარაძე ძალიან კარგად ახასიათებს არაჩვეულებრივ მეცნიერს: “ჩემი დიდი ინტერესი გამოიწვია თვითონ მეცნიერის პიროვნებამ. პატივყარილი და დამცირებული, გულუბრყვილობამდე გაუთვითცნობიერებელი და გაურკვეველი მაშინდელ ურთულეს ვითარებაში, იგი რაინდული სტოიციზმით უმკლავდებოდა ბედის უკუღმართობას. მის გარეგნობასა და საქციელში ნათლად იხატებოდა ფიქრთა მპყრობელის უმაღლესი ღირსება - სულის არისტოკრატიზმი. სწორედ მაღალი ადამიანური ღირსება წარმოადგენდა მისი პიროვნების არსს. იგი ცოცხლად ხატავდა საუბრებში მეცნიერად მისი ჩამოყალიბების პეტერბურგის პერიოდს და აშკარა სიამოვნებით ჰყვებოდა ქართულ უნივერსიტეტში თავისი

თვრამეტწლიანი მოღვაწეობის შესახებ. დიდ შემფოთებას გამოხატავდა მეცნიერი მისდამი წაყენებული ცრუ ბრალდებების გამო შპიონაჟსა და დივერსიულ მოღვაწეობაში. - დამიჯერეთ, ამტკიცებდა იგი, - თუმცა მე არ ვყოფილვარ სოციალიზმის მიმდევარი, მაგრამ პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობას, პოლიტიკურ ბრძოლებში არ ვმონაწილეობდი, მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ხოლო შპიონაჟში ჩემი ბრალდება ხომ სრულიად აუტანელია ჩემთვისო. რა თქმა უნდა, საუბრები ხშირად საზოგადოების მდგომარეობასაც შეეხებოდა. მეცნიერი მტკიცე მორალურ პრინციპებს იზიარებდა და მისთვის სამუდგო და გაუგებარი იყო ყოველგვარი პოლიტიკური დემაგოგია, ყოველგვარი სიყალბე და ძალადობა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. მას უდიდეს ტრაგედიად მიაჩნდა მტერთა ხელოვნური ფაბრიკაცია და დამსჯელი ორგანოების მიერ ძალადობით თავსმოხვეული და შეთითხნილი ცრუ ბრალდებების ჩვეულება, რომელთა მსხვერპლად იქცა თვითონაც. ფაქიზი სულიერი წყობის ჰუმანისტი ადამიანი ვერაფრით ვერ ურიგდებოდა მტანჯველ ატმოსფეროს გრიგოლ წერეთელთან პირველივე საუბრიდან ცხადი გახდა, რომ მისი უახლოესი მეგობარი და ძვირფასი ადამიანი იყო ივანე ჯავახიშვილი. მისი ხსენებით იწყებოდა და მთავრდებოდა ჩვენი საუბრის ყოველი დღე”.

გ.ფ. წერეთელმა მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც მკითხველის უეჭველ დაინტერესებას გამოიწვევს. მეცნიერის წერილთა უმრავლესობა ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, გრიგოლ წერეთლისა და ივანე ჯავახიშვილის არქივში, რომელთანაც მას მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა და სხვ.

დამკვიდრდა რა საბოლოოდ თბილისში გრიგოლ წერეთელს შესაძლებლობა მიეცა, რომ ყოველწლიურად რამდენიმე თვით ევლო ლენინგრადში და იქ პაპირუსთა კოლექციებზე ემუშავნა. იქ იგი როგორც თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის გამგე, პეტერბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და საჯარო ბიბლიოთეკაში ამუშავებდა ორგანიზაციულ და პრაქტიკულ საკითხებს და გულდასმით შრომობდა საბიბლიოთეკო საქმეებზეც. იქიდან წერს იგი მეუღლეს და ი. ჯავახიშვილს, რეგულარულად უზიარებს მათ თავისი “შრომისა და დღეების” ამბებს. უამრავ სხვადასხვა საკითხზეა საუბარი ამ წერილებში: იოანე იტალის ნაშრომთა გამოცემაზე, ბერძნულ პაპირუსებზე, უძველეს ეკონომიურ პირობებზე, საზოგადოდ ლენინგრადზე, როგორც პატივისაცემ, ისე ნაკლებად საპატივცემულო მეცნიერთადმი მის დამოკიდებულებაზე, ზოგიერთი მეცნიერული და პირადი ხასიათის პრინციპიალური საკითხებისადმი მის შთაბეჭდილებასა და მიდგომაზე, თბილისის უნივერსიტეტზე, მისი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის ფონდის შესავსებად წიგნების შეძენაზე და ა.შ. გ. წერეთლის წერილთა განსაკუთრებული ღირსებაა ის, რომ უაღრესად სანდოა მათში აღწერილი ფაქტები, რომლებიც ყოველთვის ცინცხლად და უშუალოდ, უაღრესი გულწრფელობითაა აღწერილი. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს წერილების ძალზე მიმზიდველი სტილი. კითხულობ რა მათ თანამიმდევრობით, გრჩება შთაბეჭდილება, თითქოს იგი დღიურთა ჩანაწერებია, ისე თანამიმდევრულად და ნათლად გადმოგვცემს უმდიდრესი სულიერი სამყაროს მქონე სწავლულის სურათს, სახეს კაცისას, რომელსაც გააჩნია უმაღლესი მორალური თვისებები, კრიტერიუმები და პრინციპები და მთლიანად ამაზეა დამყარებული მთელი მისი მაღალი შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრება.

ამ წერილებით არა მარტო გრიგოლ ფილიმონის ძის არაჩვეულებრივ პიროვნებას ვეცნობით, არამედ სხვა უამრავ დიდებულ ადამიანსაც, რომელთა შორის განსაკუთრებულად გამოირჩევა ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, ძველი ენების: ბერძნულის, კოპტურის, ხეთურის და სხვ. სპეციალისტი, დაუღალავი, უანგარო, ერთგული მოწაფე და უმცროსი მეგობარი გრ. წერეთლისა პეტრე ვიქტორის ძე ერნშტედტი (1890-1966). გრიგოლ ფილიმონის ძის ხელმძღვანელის, გამოჩენილი ფილოლოგის და პალეოგრაფის, ბერძნული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნის, როგორც გ.ფ. წერეთელი მოიხსენიებდა, უიშვიათესი მხატვრული გემოვნების მქონე აკადემიკოსს, ვიქტორ კარლოს ძე ერნშტედტის (1854-1902) ვაჟიშვილი.

ლენინგრადში გრიგოლ წერეთელი ჩერდებოდა ცოლის ნათესავებთან, მაქსიმოვების ოჯახურ წრეში, სადაც ცხოვრობდა როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობა და ბავშვები, სრულ ურთიერთგაგებაში, სიყვარულით და პატივისცემით ერთმანეთისა და გრიგოლ ფილიმონის ძის მიმართ. ზოგჯერ იგი თავის დასთან, მაღალგანათლებულ და ღრმადმორწმუნე ლელისთანაც პოულობდა თავშესაფარს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელენე ფილიმონის ასული, აკადემიკოს ბორის ტურაევის ქვრივი, ქმრის გარდაცვალების შემდეგ (1920წ.) მონასტერში წავიდა. გრიგოლ ფილიმონის ძე ცდილობდა დახმარებოდა ეკონომიურად მძიმე პირობებში ჩავარდნილ საკუთარ დას და მაქსიმოვებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ თვითონაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეხმარებოდა თბილისში მასთან ლენინგრადიდან საცხოვრებლად ჩამოსულ ძმისშვილს იურას, რომელიც სწავლობს თბილისის უნივერსიტეტის მექანიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე და მიუხედავად ბუნებისგან ნაბოძები დიდი ნიჭისა, ხანდახან ზარმაცობს, რჩება ხოლმე ჩაუბარებელი საგნები, რაზედაც მეტად აღშფოთებულ რეაქციას გამოხატავს უკიდურესად მოწესრიგებული, პასუხისმგებლობის უსაზღვრო გრძნობით გამსჭვალული ბიძა. საბოლოოდ იურამ თბილისში მიიღო გზისა და ხიდების მშენებლობის ინჟინრის უმაღლესი განათლება, ერთი პერიოდი უზბეკისტანში იმუშავა ნამანგანზე, სადაც როგორც სპეციალისტი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

გრიგოლ წერეთლის ოჯახს თბილისში მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდა და ბინის მიღების მოლოდინში დროებით ხან ჟორესის (ახლა მარჯანიშვილის) ზნ-ში ცხოვრობდნენ, ხან ძველ თბილისში, ხელოვნების მუზეუმ “მეტეხში”.

ყოველივე ზემოთქმულზე და ბევრ სხვაზეც, უშუალოდ ან არაპირდაპირ შეიძლება შეიტყოს გ. წერეთლის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, რომელიც უეჭველად დიდი მეცნიერის ცხოვრების ნამდვილ მატთანეს წარმოადგენს.

გ.ფ. წერეთელი არისტოკრატი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ადამიანურ ურთიერთობაში ძალზე თავაზიანი ადამიანი იყო. ამ მხრივ ელემენტარული ეთიკური ნორმების მცირედი დარღვევებიც კი განსაკუთრებით “ამა ქვეყნისა ძლიერთაგან” მშვიერი, უქონელი, დაუცველი (წერილებში ამის მრავალი მაგალითია) ადამიანების მიმართ მასში მყისვე იწვევდა აღშფოთებას და შესაბამის რეაქციას. ეს გარკვეულად მჭიდროდ უკავშირდება იმას, რომ გრიგოლ ფილიმონის ძე ღრმადმორწმუნე კაცი იყო, აქედან გამომდინარე ყველა გარემოებებითა და ვითარებებით. “დიახ, მე არ მახსოვს რომელი თვის ფული გადაიხადე ეკლესიაში, - წერს ს.ი. წერეთელი ქმარს

თბილისიდან ლენინგრადში 1929 წლის 12 აგვისტოს, - საერთოდ მოიწერე, რამდენი გადავდო ხოლმე ამისთვის და რომ ჩამოხვალ, უკეთესი იქნება, შენ თვითონ თუ შეიტან." აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი, რომელიც გრიგოლ წერეთლის ლექციებს ისმენდა იგონებს: "კათედრაზე დგას პროფესორი სმოკინგში, მაღალი შუბლით, დიდი ნაცრისფერი თვალებით, კეხიანი ცხვირით და უცებ კათედრიდან მოისმის ლამაზი ბარიტონით ნათქვამი: რა ვქნათ, მე არა ვმაღავ, რომ ღმერთი მწამს! ხოლო რაც შეეხება საღმრთო რჯულს, ყოველ დროს თავისი რჯული და კანონები გააჩნდა. ჩემს დროს ეს იყო საღმრთო რჯული, ახლა კი ეს არის "პოლიტგანათლება". დასასრულ, მოვიყვანთ მცირე ნაწყვეტს გ.გ. წერეთლის ერთ-ერთი მოწაფის, მწერლისა და ლიტერატურის მცოდნის აკაკი გაწერელიას ესსეიდან, რომელიც ნათლად გვიხატავს ცოლ-ქმარ წერეთლების პორტრეტს:

"გრიგოლ წერეთელი სულ ფეხით დადიოდა. მარცხენა ხელზე დასაკეცი ქოლგა ჰქონდა ჩამოკიდებული. უნივერსიტეტის ვესტიბიულში მას ყველა მოწიწებით ესალმებოდა. ჩემი სტუდენტობის წლებში იგი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას განაგებდა და პარალელურად ბერძნული და რომაული ლიტერატურის ისტორიის კურსს გვიკითხავდა. წიგნთსაცავი მაშინ უნივერსიტეტის ქვედა სართულში იმყოფებოდა, სტუდენტთა და ლექტორთა სამკითხველო დარბაზი პირდაპირ წიგნის თაროებს ებჯინებოდა. დარბაზისგან თაროები გრძელი მოაჯირით იყო განცალკევებული. აქედან შედიოდნენ გამგესთან, რომელიც თაროებს მიღმა, სიღრმეში იჯდა მაგიდის კუთხესთან. აქ ხშირად სიმონ ყაუხჩიშვილსა ვხვდავდი. ვფიქრობ, რომ იგი ყველაზე ხშირად შედიოდა ამ წიგნთსაცავში გრიგოლ წერეთელთან. მაღალი, გამხდარი, ცისფერთვალება, მკრთალი სახის ფერით და პატარა, მეჩხერი ულვაშებით, გრიგოლ წერეთელი თავაწეული შემოდოდა სამკითხველო დარბაზში და მიეფარებოდა წიგნების კატაკომბებს. პირველსავე შეხედვაზე ყველას ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს ადამიანური ჯიშში ამ მეცნიერის სკულპტურულ გარეგნობაში ზეიმობდა თავის სრულყოფილებას. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბალი ტანის, მთლად ჭადარა, ფუსფუსელა და თვალბმობოქუტული, პატარა ნაბიჯებით მოსიარულე ქალი ჩუმად შემოსრილდებოდა ბიბლიოთეკის გამგის ფეხდაფეხ. ამ მოფუსფუსე ქალს მუდამ მოწნული ჩანთა ეკავა ხელში. ეს იყო სოფიო, გრიგოლ წერეთლის მეუღლე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი. ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ეს უბრალო, პატარა ქალი იყო იუმის ფილოსოფიის უბადლო მცოდნე და სპეციალური სტატიაც ჰქონდა ინგლისელ მოაზროვნეზე უნივერსიტეტის "შრომებში" გამოქვეყნებული. ამის შემდეგ მე უკვე აღარ მინახავს მაღალი, გამხდარი მამაკაცი ხელზე ჩამოკიდებული დასაკეცი ქოლგით, იგი რომელსაც მე ვთვლიდი ამქვეყნიური სრულყოფილების განსახიერებად.

რამდენიმე სიტყვა გრიგოლ წერეთლის პოეტურ მემკვიდრეობაზე, რომელიც კ.ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება. ლექსებს იგი ბავშვობიდან წერდა. მისი პირველი პოეტური ნაწარმოებების მომთხოვნი კრიტიკოსი იყო დეიდა, ზინაიდა ლუჩაკი. იგი კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს ახალგაზრდა პოეტის რამდენიმე ლექსის გარჩევისას: "სამი ლექსიდან მე განსაკუთრებულად ლექსი "დილა" მომეწონა, - წერს ზინაიდა ლუჩაკი, - თუმცა მოტივი ახალი არაა, მაგრამ იგი თანამედროვედ და თვითმყოფადად არის გადმოცემული, - ყოველგვარი მტირალობის გარეშე, ლამაზი პოეტური გამომსახველობით, მაგრამ ჩემის აზრით ორი სიტყვა არის შესაცვლელი: მოკანკალე ნაკადის ნაცვლად უნდა იყოს მთრთოლვარე ნაკადი,

რადგან ბგერა ჰაერში კი არ კანკალებს, არამედ თრთის და წკრიალებს. თუმცა ეს არც იმდენად მნიშვნელოვანია და ყველას თავისი გემოვნება აქვს ამ მხრივ მაგრამ აი “მიიმალა იგი ღრუბლების მოღუშული კედლის მიღმა”, ამაზე უკეთესი ნათელი და ბუნებრივი იქნება თუ ვიტყვით: “შემოდგომის მოღუშული ღრუბლის ქულების მიღმა”. მეორე ლექსსაც არა უშავს, მაგრამ მე-3, „ტაძარი“ ყველა ნაკერებში ირღვევა ისე სუსტია. უკვე პირველივე შედარება ტაძრისა ქანდაკებასთან ყალბია: ეს იგივეა ჰერკულესი, რომ პიგმეებს შეადარო, - სასაცილო გამოვა. ეს იქნება წიგნიერი, მაგრამ ყალბი შედარება. ქვეყნად მხოლოდ ერთი წარმართული ტაძარი არსებობს, რომელიც იმსახურებს ადამიანებისგან მაღლიერების შთამაგონებელ ჰიმნს, ესაა პარფენონი, ათენის აკროპოლში. თუ შენ პარფენონს მიუძღვენი შენი ლექსი, მაშინ მისი ფორმა და შინაარსი ამ დიდებული ნიმუშის შესაფერისი უნდა იყოს“.

გ.ფ. წერეთელი ამბობდა: “ლექსი გულისხმობს სიმეტრიას. იგი მოგვაგონებს, რომ თვით უმაღლესი პოეტური აღმაფრენაც კი გარკვეულ წესსა და დისციპლინას ემორჩილება” და მართლაც, ყველა მისი ლექსი ამ კანონებს ემორჩილება. გ.ფ. წერეთელი ბუნების აპოლოგეტია. თავის ლექსებში იგი უმღერის აკაციებს, იასამნებს, ცაცხვებს, ღიღილოებს, ვარსკვლავებს და ა.შ. უყვარს ზაფხულის ბაღებში სიარული. “თუ სამუშაო არ აეწყო ზაფხულის ბაღში წავალ და ცაცხვებს მოვუსმენ, მათ ძალზე ლამაზი შრიალი იციან” - წერს იგი. მეორეგან წყენით წერს, რომ ზაფხულის ბაში იყო, მაგრამ ქარი არ ქროდა და ცაცხვის ფოთლები არ შრიალებდნენ. ლექსების თხზვა გრიგოლ ფილიმონის ძისთვის არ იყო მარტო ყმაწვილური გატაცება. ეს მისი ნაღდი პოეტური სულის ძახილი იყო, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე თან ახლდა. “... ამ წერილს დავიწყებ ლექსით, რომელიც მომბერა იმ ტბამ, რომელზედაც ამასწინათ ვსეირნობდი, პეტრას აგარაკზე ყოფნის დროს:

Еду по озеру, - ходко,

Словно у ней два крыла

Двигается легкая лодка

Следуя взмахам весла.

В зеркале вод отражаясь

Лес опрокинутый спит;

Белая чайка, снижаясь,

Влагу крылом бороздит.

Чутко чему-то внимают

У берегов камыши,

И, словно путы, спадают

Скорбные думы с души.

ამ ლექსით მინდოდა გამომეხატა ნავის თანაბარი სვლა, რისთვისაც ზომათაგან გამოვიყენე მდორე დაქტილები და სწრაფი ტროქეები”.

როგორც გრიგოლ ფილიმონის ძე აღნიშნავს, მან გადახედა და გადაიკითხა 1929-1939 წლებში შექმნილი ყველა ლექსი და ზოგი მათგანი მოეწონა კიდეც. მან ისინი ქრონოლოგიურად განალაგა და თითქოს ყველანი ალაპარაკდნენ იმის შესახებ, თუ როდის გაჩნდნენ, რა ხდებოდა მაშინ და ა.შ.

გ.ფ. წერეთლის პოეტურ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია გერმანულიდან ნათარგმნ ლექსებს; განსაკუთრებული გატაცებით თარგმნიდა იგი ჰაინრიხ ჰაინეს და ნიმბში ფონ შტრელენაუს, რომელიც ცნობილია ნიკოლაუს ლენაუს სახელით. “სასოწარკვეთილებით დავიწყებ და ღმერთთა სახელით, ე.ი. ლექსებით ვილაპარაკებ და აი, მთლად “გავჰეინვედი”. ხსნას მხოლოდ ჰეინეში ვნახულობ”.

ცოტას ვმუშაობ. ერთადერთი რაც გამომდის, ეს ჰაინეს ლექსთა თარგმანია. გუშინაც და დღესაც რაღაც-რაღაცეები ვთარგმნე და მეჩვენება, რომ (რა დიდი შეხედულებაა საკუთარ თავზე!) ზუსტად ვიჭერ დედანის ტონს და მისეულ დახვეწილობასაც კი ვაღწევ ზოგჯერ. სახეები, ბგერები და სიტყვის - მოქნილობა ესთეტიკურ გრძნობებს აღვიძებენ, განსაკუთრებული განწყობა იზადება, რაღაც აღმავლობას და გარკვეული დროით კმაყოფილებას განვიცდი, თითქოსდა ვგრძნობ, რომ “საპირისწამლეში თოფის წამალი ჯერ კიდეც არ გამომლევიან”. ვტკბები ლენაუთი. ცოტამ თუ იცის იგი ჩვენთან და ჯერ თითქმის არავის არ უთარგმნია. ის კი ძალზე კარგი რამ არის, ფაქიზი და ღრმაა. ეს დიდი ლირიკოსი პოეტი და თან რა უბედური კაცი იყო, რომელმაც სიცოცხლე შეშლილობაში დაამთავრა. იგი ახლა სწორედ იმისათვის ავიღე, რომ ნაღვლიანია და ჩემს დღევანდელ განწყობილებას ესადაგება, რომელიც ასევე ღრუბლიანი და მოწყენილია და რაკი სიმილია სიმილიბუს ცურანტურ, - მსგავსს მსგავსი განკურნავს ხოლმე, მეც ლენაუს მივმართე განსაკურნავად და ჩემს საყვარელ ჰაინეს დროებით “პატიება” ვთხოვე, ღმერთმა ჰქნას, რომ არ გამინაწყენდეს!” მუსიკოსი, რომ ამოწმებს ხოლმე ყოველდღიურად თავისი თითების მოქნილობას, ლენაუს თარგმნის დროს თითქოს მეც ვამოწმებ ჩემს შესაძლებლობებს ლექსთა თხზვის საქმეში და ტვინის მოქმედების მოქნილობასაც ვაკვირდები: ჰაინესაგან განსხვავებით ლენაუ ძალზე რთულია, მაგრამ როგორ ტკბობას განიცდი, როდესაც გრძნობ, რომ ზუსტად დაიჭირე ტონი და დეტალებიც წვრილმანებამდე ზუსტადა გაქვს გადმოცემული”.

გ.ფ. წერეთლის ლექსებსა და წერილებს, რომ ეცნობი, მკითხველის წინაშე წარმოსდგება მაღალი ზნეობის, პრინციპული და სტოიკური ხასიათის ადამიანი და მოქალაქე, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, მგრძნობიარე და ფაქიზი პოეტი და ლირიკოსი. დაბოლოს, უდიდესი მეცნიერი, რომელსაც სრული საფუძველი ჰქონდა, რომ ეთქვა:

Но лишь одним душа довольна,

Но лишь одним она горда,

От правды, вольно иль невольно

Не отступал я никогда” *** PAGE 178 ***

გრიგოლ წერეთლის ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე მუშაობა დავიწყეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე.პ. მეტრეველის იდეით და მის შეუნელებელ ყურადღებას ვგრძნობდით ამ სამუშაოს შესრულების მთელი პროცესის განმავლობაში.

ამ ნაშრომს რედაქტორობა გაუწია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ.ს. ყაუხჩიშვილმა.

ფილიმონ გრიგოლის ძე წერეთელი

(1827 - 1920)

პოლკოვნიკი, სანკტ-პეტერბურგის საოლქო სასამართლოს წევრი. სტატსკი სოვეტნიკი. მოგვიანებით - ტვერის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი.

სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები და იქ წარმატებით მოღვაწე ცნობილი ქართველი იურისტი, შემდგომში - ტვერის გუბერნიის გუბერნატორი და დიდი მემამულე, ფილიმონ გრიგოლის ძე წერეთელი ბრწყინვალე განათლებას აძლევს თავის ხუთივე შვილს, რომელთაგან უფროსი - გრიგოლი მსოფლიო სახელის მქონე ელინისტია; ერთადერთი ქალიშვილი - მშვენიერი ელენე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნეა, ხოლო სამი ვაჟი მეფის გვარდიის მაღალი რანგის ოფიცრები და გიორგის ჯვრის არაერთგზის კავალრები არიან. სიძე, ელენეს მეუღლე, ასევე მსოფლიოში სახელგანთქმული ეგვიპტოლოგი, ბორის ტურაევი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა აკადემიკოსია. ფილიმონის მეუღლე და მეუღლის და ცნობილი ფილოლოგები არიან. ცოლისდა - ზინაიდა ლუჩაკი - პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ბიზანტინოლოგია. გრიგოლის მეუღლე - სოფიო წერეთელი - ევროპული ენების სპეციალისტი და ფილოსოფიურად განსწავლული პიროვნებაა, ხოლო მისი და მარია მაქსიმოვა, ერმიტაჟის ხელოვნებამცოდნე, პროფესორია და ა. შ.

ყველანი სანკტ-პეტერბურგის მაღალგანათლებული საზოგადოების წარმომადგენლები არიან და წარმატებით იღწვიან თავიანთ ასპარეზზე, ვიდრე არ გადაუვლით 1917 წლის გამანადგურებელი გრიგალი.

მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ ადრეა და ამჟამად, 1853 წელს, იურიდიული აკადემიის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა ფილიმონს სანკტ-პეტერბურგიდან წასვლა აღარ უნდა, აქ დარჩენა და მოღვაწეობა სწყურია, მაგრამ მძიმე სულიერი და მატერიალური დაბრკოლებები აქვს გადასალახავი, რასაც იგი გულწრფელად აგვიწერს თავის ამ დღიურებში. ეს ჩანაწერები ცხადყოფს შემდგომში ფილიმონისადმი თითოეული შვილის ღრმა სიყვარულისა და სულიერი სიახლოვის მიზეზებს, რასაც უკვდავყოფს კიდევ მომავალში გრიგოლ წერეთელი, როდესაც უძღვნის მამის ხსოვნას თავის საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომებსა და ლექსებს. დღიურების ყოველი სტრიქონიდან გამოსჭვივის ფილიმონ წერეთლის სპეტაკი და კეთილშობილი სული, რომელზედაც მომავალში ნაყოფიერად ამოიზარდა სულით და ხორციით არისტოკრატი, მაღალგანათლებული შთამომავლობა, საგანგებოდ და დაუნდობლად განადგურებული პროლეტარული დიქტატურის პირველსავე წლებში.

შემდგენელ-გამომცემელი

ფილიმონ წერეთელი

დღიურები სანკტ-პეტერბურგიდან

1853 - 1858 წ.წ.

31. დეკემბერი. 1853 წ. ღამის 10 სთ.

მალე ახალი წელი დადგება. ერთი საათიც და 1854 წელს შევხვდებით. როგორი მხიარულებით ელის მას ყველა, მე კი, თავის გასატანად სხვათა კარზე მოსიარულე, თვალცრემლიანი ვიგონებ ძალზე მოხუცებულ მამაჩემს, რომელიც ვინ იცის, ახლა ჩემზედა ჰფიქრობს შინაურთაგან განაწყენებული. მე კი მძიმე გულითა და ცხარე ცრემლებით, შორეული ექოსავით ვეხმაურები მის ძახილს. მაგრამ ამაოდ, შორსა ვარ მისგან, ძალიან შორს.

მართლაც რატომაა, რომ დიდი დღესასწაულების დადგომისთანავე და მათ განმავლობაში სულ გული მეწურება და თვალეზე ცრემლები მადგება? ჩემსა და მამაჩემს შორის არსებული

მშობლიური სიმპატიების გამო არის ასე? როგორადაც არ უნდა იყოს, მე ვარ მოწყენილი, ტირილი მინდა და არ ვიცი, რად. ღმერთო, დამიფარე ექსტაზისაგან!

უკვე ოთხი თვე არის, რაც კურსი დავამთავრე და ყოველგვარი თანამდებობის გარეშე დავხეტიალობ. თითქმის წინასწარვე გადამეწურა რაიმე ადგილის მიღების იმედი და სახლში დაბრუნება კი არ მინდა. რაღაც ჩემთვის შეუცნობელი, საიდუმლო გრძნობა მაკავებს პეტერბურგში. ღმერთო დიდებულო, შენ მიხელმძღვანელო ყოველგვარ საქმეში და მაიძულე ვიაროვნო და ვიმოქმედო შენი ნება-სურვილის მიხედვით.

11 იანვარი, 1854 წ.

დიდი ხანია დადგა 1854 წელი. დღეს უკვე იანვრის მეთერთმეტე დღე არის. მე კი კვლავინდებურად მოწყენილი და დაღვრემილი ვარ. როდესაც სხვები ილხენენ და მხიარულობენ, მე მაშინა ვარ გაუსაძლისად მოწყენილი. მამაკაცები აუტანელნი, ხოლო ქალები ამრეზილი და სასაცილონი მეჩვენებიან. ერთი სიტყვით, უკმაყოფილო ვარ ყველაფრით. მაღიზიანებს სხვათაგან თქმული ერთი გაუფრთხილებელი სიტყვაც კი. მშურს ახლობელთა რაიმე წარმატება და ბედნიერება და როდესაც სხვები მიცქერიან, მეჩვენება, რომ დასცინიან ჩემს უმოქმედობას და მრცხენია, ვწითლდები, გაფურბივარ საზოგადოებას. როგორია ახლა ჩემი მდგომარეობა? მდგომარეობა შემაწუხებელია, მორალურად და ფიზიკურად დამტანჯველია! თანამდებობა კი ისევ არა მაქვს და არა. დღეს საღამოთი წავალ პრასკოვია ივანოვნასთან და რას მეტყვის იგი თავისი შეპირებული ადგილის შესახებ? ხვალ დეპარტამენტში წავალ კეთილ იაკობსონთან და იგი ნეტა რას მომილოცავს?!

პირდაპირ გაოცებული ვარ ჩემი უცნაური გარდაქმნით. მე ხომ ბავშვური ნაზის სიყვარულით მიყვარს მამაჩემი და ჩემი ახლობლები. მიუხედავად ამისა, იშვიათად ვფიქრობ მათზე და არა, - ფიქრით ხშირად ვფიქრობ, მაგრამ ამ ტკბილ აზრზე ვერა ვჩერდები დიდხანს. პირიქით, ვცდილობ ეს ფიქრები თავიდან მოვიშორო და რატომ ვაკეთებ ამას კი ვეღარ ვხვდები. მაგალითად, ახლა მამაჩემს ვიგონებ. გული ტკივილისაგან მეწურება, იქნებ რაიმეში ვჭირდები, მაგრამ რომ მითხრან, წადი ახლა და ამით მამაშენს დააწყნარებო, ამ უმნიშვნელო, ბუნებისაგან ვალად დადებულ მსხვერპლს ძნელად თუ გავიღებ. აი, აქ უკვე აღარ მესმის საკუთარი თავისა. ვეცდები, როდესმე ჩავხვდე ყველაფერს. ძალზე შორს ხომ არ გამიყოლიეს ოცნებებმა? ალბათ, კი. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

2 მარტი, 1854 წ. დეპარტამენტის აუდიტორია

ვცდილობ, შევიცნო თავი, მაგრამ ტყუილად, აქამდე კარგად ვერ შემიცვნია. ჩემი მდგომარეობა არაფრით არ შეიცვალა. ვერაფერი გააკეთა ჩემთვის პრასკოვია ივანოვნამ. კეთილმა იაკობსონმა

ნება დამართო დეპარტამენტის აუდიტორიაში სიარულისა და მეც დავდივარ უკვე მესამე კვირაა. შესადგენად მომცეს დეპარტამენტის ამონაწერები, რომლებიც წუხელ წარვადგინე განყოფილების გამგესთან განსახილველად. ნეტა რას იტყვის, რომ ნახავს ჩემს შრომას? მცნობს უნარიანად, რომ ამაზე ვიმუშაო დეპარტამენტში? არ ვიცი, მაგრამ მე მგონია, რომ აღიარებს ჩემს შესაძლებლობებს. დაბოლოება არის საქმის გვირგვინი. აი, მოვიდა განყოფილების გამგე.

ჩემს მუდმივ საწუხარს სხვა საწუხარიც ზედ დაემატა. საცოდავი გრიგოლი სახიფათოდ არის ავად. ყველა უიმედოდ არის მის გამოჯანმრთელებაზე. წევს ქირურგიულ კლინიკაში და უკვე კვირაზე მეტია მას არა ვცილდები. ღამის უმეტეს ნაწილს ფხიზლად ვატარებ ავადმყოფის საწოლთან. დამაღონებელი და მძიმეა მისი ყურება, რომელსაც არა ჰყავს აქ არავინ ჩემს გარდა მასზე მზრუნველი, ჩვენ ხომ ყველგან და ყველასთან ძმებს გვეძახიან. გულწრფელად მიყვარს იგი, როგორც ძმა და როგორც ძმაზე ისე ვზრუნავ მე მასზე, ღმერთმა ჰქნას, რომ ცოტა მაინც გამოჯანმრთელდეს.

28 თებერვლიდან 1 მარტამდე იყო საშინელი ღამე, მტანჯველი. ღამეს უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია გრიგოლის ავადმყოფობამ, მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს, ყვიროდა, თმებს იგლეჯდა, კედლებს მუშტებს ახეთქებდა და მწარედ მოსთქვამდა თავის უბედობას. მოსთქვამდა ჯუნკოვსკის სიმდაბლესა და უმადურობას, რომლის გამოც წვალობს ახლა გრიგოლი. მთელი ეს საშინელი დრო სულ მის თავთან ვიჯექი და სულს მიწეწავდა მისი სიტყვები. განსაკუთრებით მისი მზერა, რომელსაც თითქოს გამოსათხოვრად მესროდა და მეუბნებოდა, რომ ცოცხალი ვეღარ გადარჩება. გადმომცა, რომ 20 მანეთი ვერცხლით დავხარჯო მის გასვენებაზე და დანარჩენი 83 მანეთი ვერცხლით (სუფთა ვერცხლის ფულზე ხელწერილთან ერთად, რომელიც მე მივეცი ჩემი სახელით) და ტანსაცმელი, რომელიც დარჩება მისი სიკვდილის შემდეგ, გადავუგზავნო მამამისს.

ხშირად მეკითხება, რატომ ვიწუხებ ასე თავს მისი გულისთვის, რას ველი მისგან? საცოდავი! იგი ფიქრობს, რომ მისკენ მეწევა რაღაც ანგარებიანი მიზანი. არა საყვარელო გრიგოლ, მე შორსა ვარ ამ მდაბალი აზრისაგან. შენსკენ მე მეწევა მხოლოდ თანაგრძნობა, რადგან შენ აქ უნათესავო, უმეგობრო და მარტოხელა ხარ. შენსკენ მეწევა მე შენი გულკეთილობა, შენი ხასიათის კეთილშობილება. ბოლოსდაბოლოს შენსკენ მე ის მეწევა, რომ ჩემი კუთხიდანა ხარ და შენი ბიძის ნათესავი ვარ. შეწყვიტე ასე შეურაცხმყოფელი ფიქრები ჩემზე. შენი გამოჯანმრთელების გარდა, მე არაფერი არ მინდა!

ღმერთო, მიეცი მონასა შენსა გრიგოლს განკურნება სხეულისა, სულისა განსაკურნავად. ნუ დაანებებ მას სიკვდილს თავისიანებისაგან დაშორებით. ნუ დააღონებ მამამისის მოხუცებულობას, რომლის დასაყრდენი და იმედი იგი უნდა იყოს! ყველაფერი იყოს ნება შენი!

5 მარტი, 1854 წ. ქირურგიული კლინიკა

მე ახლა საცოდავი გრიგოლის სასთუმალთანა ვზივარ. ყოველდღიურად უფრო ცუდადაა და თვითონაც გრძნობს ამას, თუმცა კი ვცდილობ საწინააღმდეგოში დავარწმუნო. წვალობდა, მთელ ღამეს არ ეძინა. წუხელ ღამით მნიშვნელოვან გაბედულებაზე წავედი. გრიგოლი ძალიან ცუდად იყო, თავბრუ ეხვეოდა. ამიტომ გავბედე და წმინდა ნაწილები, რომელთაც მუდმივად გულზე ვატარებ, განვბანე და აღვმართე ეს ნაწილები გრიგოლზე, მივეცი ისინი საამბორებლად. რა ნეტარებით მიიღვა მან ისინი ტუჩებზე, თვალებზე, შუბლზე და ნიკაპზე და როგორ კოცნიდა, თვალცრემლიანი ევედრებოდა საცოდავი წმინდანებს, რომელთა ნაწილებსაც კოცნიდა და შესთხოვდა ღვთის წინაშე გამოქომაგებას. ნუთუ არ გაიგონებს ღმერთი მის წმინდა ლოცვას? არა, მე მაქვს იმედი მისი გულმოდგინებისა და განკურნავს იგი ჩემს გრიგოლს.

მე მხოლოდ ასე მელაპარაკება: „ძმაო ფილიმონ“ და ამ ორ სიტყვაში აქსოვს ყველაფერს, რასაც განიცდის: მის სახიფათო ავადმყოფობას, ეჭვს თავის გამოჯანმრთელებაში, ვედრებას, სიყვარულს და თხოვნას. ძალზე მწარეა ჩემთვის ამ ორი სიტყვის გაგონება: სულს მიწეწავს, ხშირად ამბობს, რომ ალბათ ვეღარ გამოჯანმრთელდება. უკიდურესად გაღიზიანებულია. უმცირესი ფაჩუნიც კი ამძვინვარებს, უმცირესი უკმაყოფილება უკიდურესად აბრაზებს. მაგალითად, მე ახლა წერას მიკრძალავს, იმ მიზეზით, რომ აწუხებს კალმის წრიპინი. არა ვარ ჩვეული მსგავს ახირებათა დამორჩილებას, მაგრამ უნდა ავიტანო. უკვე აღარსად აღარ მიშვებს, აუცილებელი გავხდი უკვე მისთვის. უჩემოდ წუხს და მეც, რაც შემძლია, არა ვცილდები. ამასთან მისი შველაც არ შემძლია, თუმცა კი ყველაფერს ვაკეთებ, რაც ჩემზეა დამოკიდებული. ახ, რად არ შემძლია მისი განკურნება? ღმერთო, ნუ მოუშლი შენს წყალობას! საცოდავი გრიგოლი, მონა შენი, მეტად ავადა: ხან თაკარებაში ვარდება, ხან სიცივისაგან აკანკალებს. არაფერს არ იღებს, არა სვამს. ექიმები ვერა მკურნალობენ, უძლურნი არიან და ნუთუ მოკვდება? ღმერთო უშველე! ადამიანთა ღალატს ნუ გადააყოლებ მას. ღმერთო, შენზე მაქვს მთელი იმედი.

გრიგოლის სასთუმალთან მჯდომი ხშირად ვიგონებ ჩემს ბედს და იღბალს. მხოლოდღა ერთმა ღმერთმა თუ იცის, რა მეშველება. მრჩეველი და ხელმძღვანელი აქ მე არავინ მყავს. არ ვიცი, რა გზას დავადგე. ამჟამად ორი ადგილი მაქვს მხედველობაში: სამხედრო სამინისტროს ინსპექციის დეპარტამენტი და აუდიტორიატი. პირველი ადგილი უკეთესია და ხელფასიც მეტია, სამაგიეროდ კანდიდატებიც ამჟამად 6 კაცია. მე მეშვიდე ვარ. მაგრამ მალე ველირსები ვაკანსიას? აი, კითხვა, რომელზედაც პასუხს ვერა ვცემ, შეკითხვით კი ვერავის შევკითხვივარ. მეორე ადგილს რაც შეეხება, იგი უარესია, სამაგიეროდ იქედან მალე მომცემენ ხელფასს თვეში 15 მანეთს და ეს ჩემთვის უკეთესი იქნება, ვიდრე მუდმივი დაუკმაყოფილებლობა. როგორ ჯობს ამ გარემოებაში მოქცევა? არავინა მყავს რჩევის მომცემი, ღმერთია მხოლოდ ჩემი იმედი და იგი მიჩვენებს გზას თუ საით წავიდე და კაცს, რომელსაც უნდა მივმართო.

7 მარტი, 1854 წ. კლინიკა

გუშინ საღამოთი, მოვიარე რა ჩემი ნაცნობები, ვბრუნდებოდი ჩემს გრიგოლთან, რომელიც მოუთმენლად მელოდებოდა. როგორ მეცოდება საცოდავი გრიგოლი! მაგრამ ვერაფრით ვერ ვეხმარები. 6 საათი ილეოდა, როცა ვბრუნდებოდი, ფეხით მოვდიოდი გაყინულ ნევაზე. უცებ შევჩერდი. არაჩვეულებრივმა ხმაურმა დამატყვევა, თითქოსდა რამოდენიმე კაცის ლაპარაკი შემომესმა. ეს სხვა არაფერი იყო თუ არა ზარების რეკვა. რა სასიამოვნოდ, რა მხიარულად გადაეცემოდა ეს უსიტყვო სიმღერის ბგერები ჩემს გულს! ამ უსულო იარაღთა მხიარულებამ დამატყვევა, რადგან ღმერთის წმინდა სახელის განდიდებისაკენ მოუწოდებდა იგი ქრისტეს მოყვარულთა არმიას. ჩემს წარმოსახვას მოეჩვენა, რომ ზარების ხმა მცირედია, შემდეგ მომეჩვენა, რომ ეს ხმაური ქრისტიანის შინაგან ლოცვასა ჰგავს, დიდად თუ მცირედად მლოცველისას. ის ვინც მეტად ღვთისმოსავი და ღვთის მოყვარულია, იგი უფრო მაღლა აღავლენს თავის შინაგან ხმას და მისი ხმები ატყვევებენ უმაღლეს ტახტზე მჯდომარეს. ნაკლებად მორწმუნე კაციც აღიდეbs უფალს, მაგრამ მისი ხმა შორს არ აღწევს.

იმ დროს, როდესაც ზარები რეკდნენ და გუგუნებდნენ, ბოგორინსკის ნავსადგურში არღანი უკრავდა. ო, რა ღარიბი, უფერული და საცოდავი მომეჩვენა მე მისი სიმღერა, ზარების დიდებულ გუგუნთან შედარებით.

ღვთის წმინდა საიდუმლოებებს ეზიარა დღეს გრიგოლი და სისხლს უფლისას, შეიძლება საიდუმლო ცეცხლმა გასწმინდოს იგი სულიერი ცოდვებისაგან და გამოაჯანმრთელოს მისი სხეული ავადმყოფობისაგან, გააკეთოს ის, რაც არ შეუძლიათ მიწიერ ექიმებს და რასაც ღმერთისაგან უნდა ველოდოთ.

8 მარტი, 1854 წ. კლინიკა ±

საკმაოდ კარგად ეძინა ამ ღამეს გრიგოლს. დღეს უკეთესია მისი ჯანმრთელობა. იქნება ღმერთმა უშველოს და გამოაჯანმრთელოს.*** PAGE 184 ***

9 მარტი, 1854 წ. კლინიკა

გრიგოლი უარესადაა. თვალი არ მოუხუჭავს მთელ ღამეს და აშკარად ბოდავდა. ცეცხლი სწავს შიგნიდან. საფრთხეშია მისი ჯანმრთელობა. ავადმყოფობა, ჩანს, ხურვებად გადაიქცა და თუ მხოლოდ ესაა, ამას კიდევ არა უშავს, მაგრამ ღმერთმა დაიფაროს თუ ეს ხურვება შედეგია მთელ სხეულში ჩირქის გაფანტვისა, მით უმეტეს თუ თავშიდაც აუვიდა. მაშინ კი მშვიდობით ჩემო საყვარელო გრიგოლ! ამბობენ, ასეთ შემთხვევებში გამოაჯანმრთელების არავითარი საშუალება აღარ არსებობსო. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო.

ღმერთმა დაგვიფაროს და უკიდურეს შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, რომ გრიგოლის სიკვდილის შემთხვევაში მისი ფული არ შერჩეს ნაძირალა ჯუნკოვსკის. დღეს წავალ მასთან და ვნახოთ, რას იტყვის. გაიღებს ფულს? თუ ვექსელს მაინც, უკიდურეს შემთხვევაში? დღეს, დილის 9 საათზე გრიგოლის უჩუმრად წავედი, რომ სადმე ტყემლის ტყლაპი მეშოვნა. ეგონა, რომ მივატოვე. ღმერთო! ნუთუ აღარ გამოჯანმრთელდება ჩემი გრიგოლი!

10 მარტი, 1854 წ. კლინიკა

მშვიდობით ჩემო საცოდავო, როგორც მე მუდამ მეძახდი, ძმაო გრიგოლ! მთელი შენი ცხოვრება ბევრსა წვალობდი, განსაკუთრებით რუსეთში ყოფნის პერიოდში. ბევრი ტანჯვა და წვალება გადაიტანე, არქონება, ამ ბოლო ოთხ წელიწადში! ხოლო მას შემდეგ, რაც პეტერბურგში ჩამოხვედი, ყველა უბედურებამ შენთვის მოიცალა. ჯუნკოვსკისთან ადგილი დაჰკარგე. თვით ჯუნკოვსკი უნამუსოდ გართმევდა შენს უკანასკნელ სიმდიდრეს როგორც სისხლის მწოველი, რომელსაც ვერაფრით ჩამოიცილებ. მათმა ოფიცრებმაც მწარედ და სასტიკად გაწყენინეს და ყველა ამ უბედურებასთან ზედ დაერთო ავადმყოფობაც. რაღა არ გადაგხდა შენ პეტერბურგში? აი, უკვე 1853 წლის აგვისტოდან ხარ დღემდე ავად, თანდათანობით გაძლიერდა შენი ავადმყოფობა და საბოლოოდ საშინელ ზომებში გადაიზარდა.

როგორც ადამიანი, შენ ცოდვილი ხარ. ამიტომ ყოვლად ბრძენმა და ყოვლად მოწყალე ღმერთმა იწვინა როგორც ქურაში, შენში გამომწვარიყო ყოველგვარი სიბინძურე სხეულისა და შემდეგ წაეყვანე თავისთან, უბიწოთა სამფლობელოში. იქ მხოლოდ წმინდა სულებს შეუძლიათ უბიწოთა შორის ყოფნა და ცხოვრება. დიად, ვიტყვი ღვთის სრული რწმენით, რომ ნეტარებისთვისა ხარ განკუთვნილი, რადგან, როგორი ცოდვილიც არ უნდა იყო, შენ უკვე ყველაფერი მოინანიე. ვნახე მე შენი ურვანი ცოდვებზე. გამუდმებით იყო შენს ბაგეებზე სიტყვები მონანიებისა, ვედრება ღვთის მშობლისა და წმინდა გიორგი ძღვევამოსილისადმი, მათს თანადგომაზე ღვთის უმაღლესი ტახტის წინაშე. მტკიცედ ვიმედოვნებ, რომ ღმერთმა დიდი ხანია მიიღო სიკვდილის მდომი ცოდვილის გულითადი მონანიება და გრიგოლი უბიწოთა სამყაროში იცხოვრებს.

მე კი რაღა ვუთხრა შენს მშობლებს, გრიგოლ? შეეძლოთ მათ ამ უბედურების გათვალისწინება? ისინი ალბათ ფიქრობდნენ, რომ შენ ახალგაზრდა, დაუხუჭავ თვალებს მათ, მოხუცებულთ და დაუძღოებულთ. მაგრამ ამ ათასობით კილომეტრს გადაღმა შენს სიკვდილს ისინი ვერ იფიქრებდნენ და ვერ ივარაუდებდნენ. ვერ დაგიხურავენ თვალებს შენი საყვარელი მშობლები, არამედ მათთვის უცნობი ადამიანი, რომელსაც შენ, სხვათა შორის, მშობლიური სიყვარულით უყვარხარ. დაე დაწყნარდნენ შენი კეთილი მოხუცები. გეტყვი სინდისისა და ღმერთის წინაშე, რომ მე შენთვის გავაკეთე ყველაფერი, რაც კი შეიძლება გააკეთოს პატიოსანი ნათესავის მზრუნველობამ და მფარველობამ. ვერცერთი ნათესავი ვერ შესძლებდა მეტს და დაე შენი მშობლები მშვიდად იყვნენ იმ მხრივ, რომ შენ თანამემამულეთა გარეშე არ მოკვდები უცხოთა ხელებში, არამედ განისვენებ შენი მოყვარული და შენზე საკუთარი თავივით მზრუნველი მეგობრის ხელებზე. მწარეა ჩემთვის შენთან განშორება, ჩემო კეთილო გრიგოლ, მაგრამ ღმერთს

ასე სურდა ნამდვილად და მე ვერ გავხედავ მასზე საყვედურებს. შენ მთლად მისი ხარ, როგორც ინებებს, ისე მოგექცევა, შეუცნობელია მისი სამართალი. მან უკეთ იცის, რას აკეთებს.

ასეთია ჩემი ფიქრები, როცა შენ გიმზერ გრიგოლ, სრულიად გამოფიტულს, თვალეზამქრალს, სახეზე სიცოცხლეგამოლეულს, გონება დაბინდულს, - ერთი სიტყვით, როცა ვხედავ, რომ შენში ნიშანიც აღარაა გამოჯანმრთელებისა. შენი საათი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ როდესაც დადგება, წინასწარ ვშიშობ შენზე, - არც ისე გულადი ვარ.

აი, ძინავს ახლა მას. უფრო სწორად, მიწყნარებულია. წელან კი გამადვიმა, მომიხმო და ახლოს, თავისთან დამსვა, დამიწყო ლაპარაკი, რომ ეჩვენება, თითქოს უამრავი ადამიანი შემოვიდა ოთახში. ყველა თავმომწონეა და მედიდური. ზოგიერთნი ამხედრებულნი დააჭენებენ ცხენებს და საკვირველია, რომ მას არ ეხებიან და სიწყნარეა. მთხოვს, არ მივატოვო, რადგან სტუმრებთან ლაპარაკი მოეწყინა და თანაც მათი ეშინია.

მეცოდებიან შენი მშობლები, გრიგოლ.

იმედს ვერა ვხედავ გრიგოლის გამოჯანმრთელებისა და საჭიროა კეთილგონიერება, რომ მისი ფულები არ დაიკარგოს ჯუნკოვსკისთან. რაღაცას ნიშნავს მისი საცოდავი მშობლებისათვის 600 მან. ვერცხლით, ან რაღაც ამის ფარგლებში.

17 მარტი, 1854 წ. კლინიკა

ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ ჩემი საცოდავი გრიგოლი აღარ გამოკეთდება. წუხელ თითქმის იგივე თქვა პიროგოვმა. ავადმყოფობებში არაფერი მესმის და ამის შესახებ ვერაფერს დაწერ, ამიტომ, უკანასკნელ წუთებამდე დაველოდები ღმერთის შეწყალების იმედს. გრიგოლიც მაგდებს დასადინებლად და წერას არ მანებებს, მაგრამ წერა კი შემოდის?

18 მარტი, 1854 წ. კლინიკა

საშინელი იყო ჩემთვის ეს ღამე, მაგრამ დილა კიდეც უფრო საშინელი.

თავიდან კარგად ეძინა გრიგოლს, სულ ოფლიანობდა. ღამის 4 საათზე გაიღვიძა და ისე ასტკივდა მუცელი, რომ შემეშინდა, ვეღარ გადარჩებოდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, გოფმანის წვეთებისა და კლესტერის მეშვეობით, დაუცხრა ტკივილი, სამაგიეროდ დილით სხვა საქმე იყო: მწარე ცრემლებით ვტიროდი ძლივსდა მსუნთქავი გრიგოლის შემხედვარე. ვფიქრობდი, რომ სიკვდილ-სიცოცხლის შუა მყოფს სული მიწიდან ზეცისკენ გაუფრინდებოდა. მაგრამ, ჩანს, მისი საათი ჯერ კიდეც არ მოსულა. მძიმე სუნთქვით კიდეც სუნთქავს. ორგანოები მთლად მოუდუნდა ისე, რომ სულ ცოტა ორი მოსამსახურე ჭირდება მის წამოწევას. მუდმივად ბოდავს.

დღეს ჯარისკაცთა ოთახში გადაიყვანეს და აქ უფრო სიწყნარეა, ვიდრე საოფიცროში. რას მეტყვი შენ, ახალო საცხოვრებელი, მომიტან თუ არ მე და ჩემს საყვარელ გრიგოლს სიწყნარეს და ბედნიერებას, დაუბრუნებ თუ არა ძველებურ, აყვავებულ ჯანმრთელობას? თუ შენც ყოველ ახალ უცნობ ადგილს ჰგავხარ, რომელიც ყველას უღიმის უცხოს, მაგრამ ვინც არ მოეწონება, მისთვის ის სიკვდილის ნესტარს ინახავს? ო, შემიცოდე მე და საცოდავი გრიგოლის მშობლები, იმ აზრით რომ სულდგმულობენ, რომ იგი იქნება მათი სიბერის საიმედო საყრდენი. გაუღიმე მას სიყვარულისა და არა ფარისევლობის ღიმილით.

ო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ყველგან და ყველაფერში გამიცრუვდება იმედი?! იყოს ნება ღვთისა!

19 მარტი, 1854 წ. კლინიკა დილის 7 საათი*** PAGE 187 ***

დამთავრდა ყველაფერი. აღარ მეყოლება მეტად ჩემი გრიგოლი. ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ, დღეს დილის 6 საათზე გარდაიცვალა.

სევდა და სინამდვილე

2 ნოემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

ვწუხვარ მე ბედკრული ამ ქვეყნად ცხოვრებას! მამისგან, ჩემი საყვარელი მამისგან მოშორებული მივართევ სიცოცხლეს. მე ჩამოვშორდი მამაჩემს იმ დროს, რდესაც ის ჩემს თავს საჭიროებდა ისე, როგორც არასდროს და ნუთუ ღმერთი ამის შემდეგ დალოცავს გზას ჩემის ცხოვრებისას? მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის მომავალი, მაგრამ ჯერჯერობით მე ყოველად უმიზნოდა ვცოცხლობ და ვმსახურობ.

ხშირად ვიქექები ჩემს თავში და ჩემს თავსვე ვეკითხები: რამ მაიძულა და მაიძულებს მე პეტერბურგში სამსახურში დარჩენას? რომელიმე მნიშვნელოვანი ადგილის დამსახურება და მიღწევა თუ ქორწინებაზე ოცნება? ისიც და ისიც და არც ის და არც ის. მაინც აბა, რა? მე თვითონაც არ ვიცი, რა... ვფიქრობ ყველაფერზე და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ვცოცხლობ უმიზნოდ და უმიზნოდა ვმსახურობ. ამავე დროს იმ მიზნის განსაზღვრაც არ შემიძლია, რომლის მიღწევასაც უნდა ვესწრაფვოდე. ვაგრძელებ უმიზნოდ ცხოვრებას და აქედან

გამომდინარე უანგარიშოდ სამსახურს. მაქვს ეს შეგნებული, მაგრამ ბოროტების გამოსწორებას ვერ ვახერხებ.

ქრისტიანობის მთავარი მიზანი მომავალი ცხოვრებისათვის მზადებაა, მაგრამ რაღაც მძიმე არის ამ მიზნის მიღწევა. რამდენჯერ მივეცი თავს სიტყვა, ალექსანდრე, რომ არ დავყოლოდი ვნებათა ნებას, მაგრამ ამით რა? ძალიან ხშირად დანაშაულში თუ არა, შეცდომებში მაინც ვვარდებოდი, შემდეგ მსურდა მათი გამოსწორება, მაგრამ ვიმეორებდი ისევ და ისევ იგივე შეცდომებს. ძნელი არის სიკეთეზე დამკვიდრება! სუსტი ვარ მორალურად და სულიერად. არის წუთები, როდესაც მე ვარ უმაღლეს დონეზე ღვთისმოსავი, ცრემლებით მლოცველი და ღვთის მადიდებელი. ორი ან სამი წუთის შემდეგ კი სრულიად სხვა ადამიანად ვიქცევი ხოლმე, იმ ადამიანად, რომელიც მზადაა, თუნდაც მხოლოდ აზრობრივად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის.

ჩემი ყველა აზრი და სურვილი მხოლოდ ერთი დანაშაულის: მეშვიდე ალექსის (არა იმრუშო) საწინააღმდეგოდ ტრიალებს. ამიტომ, ხშირად მიფიქრია: უფრო ღვთისმოსავი და მიზანდასახული ხომ არ ვიქნები, რომ დავქორწინდე? ვფიქრობ, ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ მომავალი მეუღლეც ღვთისმოსავი, კეთილი, წყნარი, თვინიერი და ამავე დროს შეძლებული იქნება. მაგრამ ადვილია ასეთი ქალის მოძებნა? განსაკუთრებით ძნელია ღვთიური გრძნობის, სიკეთის და სიწყნარის მატარებელი ადამიანის პოვნა.

მე რაღაც ნაკლებადა მწამს აქაური ქალებისა და საერთოდ მშვენიერი სქესისა, რადგან ბევრი რამა მაქვს გაგონილი მათს ღირსებებზე. ამასთან, ვისზე დავქორწინდე, რუსზე თუ ქართველზე? რუს ქალზე დაქორწინებული ყოველი ქართველი ტირის თავის უბედობას და მე ერთი როგორღა ვიქნები ბედნიერი? ქართველ ქალზე კი ვერა ვბედავ დაქორწინებას, რადგან ისინი ჯერ კიდევ ნახევრად განათლებულნი და საზოგადოებაში ნაკლებად გამოსულნი არიან, ხოლო როდესაც ქვეყანას ფართოდ ეცნობიან, იხიბლებიან და ძნელი ხდება გატაცებულთა სათანადო ჩარჩოებში მოქცევა. მაგრამ შეიძლება ვცდები და კარგად არ ვიცნობ ქართველ ქალს და რუსსაც.

ახლა, რაც შეეხება ქონებრივ მდგომარეობას, აქ კი აუცილებელია, რომ ჰქონდეს მას ეს მდგომარეობა, თორემ საწინააღმდეგო შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ნორმალური ცხოვრება და წილადა მხვდება იმ უამრავ საცოდავ, დაცოლშვილებულ ჩინოვნიკთა ხვედრი, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილნი ცოლებს თუ არ აქირავებენ, ყოველ შემთხვევაში ამას თვალზე აფარებული თითებიდან უცქერიან, - რასაც მე ჩემს დღეში ვერასოდეს შევეგუები. აი, ამიტომ მიჯობს უმიზნოდ ვიცხოვრო და ვიმუშაო, ვიდრე ისეთ ამორალობაში ჩავდგა ფეხი, რაც იმ ქვეყნად ჰლუპავს და ამ ქვეყნად თავს ლაფს ასხამს მრავალს, ნეტარებისათვის შობილსა და შექმნილ სულიერს.

ღვთის ნება იყოს ყველგან და ყველაფერში!

4 ნოემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

უცნაური და ცვალებადი ცხოველია ადამიანი! დიდი ხანი ხომ არ არის მას შემდეგ, მე რომ დეპარტამენტში მიღება ბედნიერებად მიმაჩნდა და ხელფასზე სრულიად არ ვფიქრობდი? მიმიღეს თანამდებობრივად განსაზღვრულ ხელფასზე, დამინიშნეს 15 მან. 75 კაპ. თვეში და შემდეგ კი ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, დამიწყეს 7 მან. და 15 კაპ. ყოველთვიური საბინაო ფულის მოცემა. მე მგონია, პირველ ხანებში ეს საკმარისი იყო, მით უმეტეს, რომ ახლად მიღებულთაგან ცოტა თუ ღებულობს ამაზე მეტს. მაგრამ ამით რა? გულს კიდევ უფრო მეტი უნდა და შეწუხებულიაო თითქოს. მაგალითად, მე-2 განყოფილებაში მაგიდის უფროსს დახმარება გაუწიეს, მე კი არა. მაგრამ აქ მე ორმაგად მტყუანი გამოვდივარ, რადგან ის ჩინოვნიკი ჯერ ერთი, რომ ჩინოსანი მრჩეველია და მეორეც, 6 წელი მსახურობდა სხვა უწყებაში. მე კი ჩინის გარეშე ვარ, ხარისხი არა მაქვს დამტკიცებული და თანაც ადრე არსად მიმსახურია. მართალია, მოკვდავი ადამიანი არასოდეს არაა რაიმეთი კმაყოფილი, მაგრამ განა ყველა ასე უკმაყოფილოა, როგორც მე? არ ვიცი. მე ისე ცოტა რამ ვიცი ადამიანთა შესახებ! ხოლო იმას კი ვიტყვი, რომ ძნელი იქნება ჩემთვის ამ ქვეყნად ცხოვრება ანუ სამსახური თუ მხარდაჭერა და წახალისება არ მექნა ხელმძღვანელობისაგან.

ღმერთმა მომცეს ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე, რათა წინა აღვუდგე ჩემი ბედის ყოველგვარ შემოტევას, თვით საკუთარ თავს და ჩემს წვრილმან ვნებებს, შურსა და სხვას. ჩემი პირველი მტერი, ჩემი შემტყმელი, ჩემშივე ცოცხლობს და უპირველეს ყოვლისა ეს მტერი უნდა გავანადგურო, რათა წყნარად ვიყო. ძნელი არის გულის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ გონება იმორჩილებს მას და განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც თავისი მოთხოვნები გონებას სამართლიანად მიაჩნია და რელიგიაზეა დამყარებული. თუ გული რბილია და არა ბოროტი, მით უფრო ადვილდება ეს საქმე. მე კი ბოროტი და მკაცრი გული მაქვს. მართალია, შური ხშირად ამანთებს ხოლმე და გულზე გადამივლის, მაგრამ ამას ხანმოკლე ხასიათი აქვს და ახალ წამონთებამდე მალე მიყუჩდება ხოლმე. ამ ბოროტების ძირის წაშლა და აღმოფხვრა მიხდა. ამისათვის მივმართავ რელიგიას, გავაძლიერებ გულითად ლოცვას და ღმერთსა ვთხოვ, რომ მან სიწყნარე, თვინიერება და მისი ნებისადმი ერთგულება ჩამიდოს

გულში.

დიახ! მე უბედური ვარ! ვღადადებ მხოლოდ იმას, რაც საჭიროა და საქმით კი სიტყვებს არ ვადასტურებ. მხოლოდღა ბაგეებითა ვცემ პატივს ღმერთს, გული ჩემი კი გამოდის, რომ შორსაა მისგან.

მეყოფა ამჯერად!

17 ნოემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

ამ ბოლო ხანებში რაღაც გულზე მომეშვა. ალბათ იმის გამო, რომ ატესტატის მიღების იმედი მაქვს, აქედან გამომდინარე კი ჩინისა და სამტატო ადგილისაც. ამის საფუძვლად ის მიმაჩნია, რომ განყოფილების გამგე შემეკითხა, როდის მიიღებ ხარისხში დამტკიცებასო და როდესაც

ვუპასუხე, რომ იმედი მაქვს შობის დღეებისათვის თქო, მას ეს დრო გრძლად მოეჩვენა. ღვთის ნება იყოს ყველაფერში! თუ ღმერთი დამლოცავს, მაშინ სულ ერთია, როცა არ უნდა მივიღო ატესტატი, მაგრამ პრაქტიკულად გულისწყრომა მიპყრობს ხოლმე და ვწყველი ყველას და ყველაფერს, ვისზედაც არის დამოკიდებული ხარისხში დამტკიცება. შემდეგ ხშირად ღვთის ნებას დავყვები და ვიჯერებ, რომ ასე ჯობს ალბათ, რადგან ასე უნდა!

აი, მეორე შემთხვევა: წუხელ მე თავად თ-თან ვიყავი და სახლში არ დამხვდა. დავიწყე ჩვეულებრივი ლაყბობა ჩემს თანამემამულესთან, აკადემიიდან ჩემს ამხანაგთან და ალექსანდრესთან. ვთქვით ესა, ისა და რაც მთავარია, ქალებზე ვისაუბრეთ. მათ თქვეს, რომ მე, ხარისხის მიღებისა და საშტატო ადგილის დამტკიცებისთანავე კარგი იქნება თუ დავუახლოვდები ვინმე კოჩკინებს, სადაც ორი გასათხოვარი და არის, მშვენიერი, განათლებულნი, ჭკვიანები და რაც მთავარია, ღვთისმოსავნი. სიმდიდრეს ხომ თქმა აღარ უნდა - ძალიან მდიდრები არიან. მეც ხმამაღლა დავიწყე ოცნება: აი, გავეცნობი მათ და ერთ-ერთი დის ხელს მოვითხოვ მეთქი, ვამბობ; თუმცა მდიდარი არა ვარ, მაგრამ სამაგიეროდ პატიოსანი კაცი ვარ, მე მგონია, არა ვარ ბოროტი და არც კიდევ განებივრებული, ამიტომ მომავალმა სიდედრ-სიმამრმა იმედი უნდა იქონიონ, რომ ცოლის ქონებას თუ არაფერს მივუმატებ, არაფერი დააკლდება და არ გავანიავებ. რითი არა ვარ მე კარგი საქმრო?! მით უმეტეს, რომ თავადთა წრის წარმომადგენელი ვარ, კეთილშობილი სისხლი მიდუღს. აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია, მაქვს მიდრეკილება ყოველივე მშვენიერისადმი, კეთილშობილისადმი და მოხდენილისადმი. ამ თვალსაზრისზე დავრჩით და დავამთავრე კოჩკინებზე ლაპარაკი. გადავედით სხვა ქალიშვილზე, რომელიღაც პოდუშკინაზე, რომელიც კორობოვსკის სახლში ცხოვრობს დედასთან ერთად. ალექსანდრე ამბობს, რომ მას ჰყვას სამასი სული ყმა დაუხსნელი. საჭიროა პროცესის წარმართვა პოდუშკინებისათვის მათ დასაბრუნებლად, რადგან ის გლეხები დაგირავებულნი იყვნენ და ახლა პროცესი წარმოებს, მაგრამ საქმე სახელდობრ რაში მდგომარეობს, მე არ ვიცი. ის გოგო კი მინახავს და კარგი გოგოა. ამბობენ, რომ განათლებულია. დარწმუნებული ვარ და რაღაც იდუმალი გრძნობა მეუბნება, რომ იგი უკეთესი ცოლი იქნება, ვიდრე კოჩკინები. საფუძველი არა მაქვს ასე ვიფიქრო, მაგრამ ასე კი ვფიქრობ. გული ასე მკარნახობს.

მოკლედ, გადავედი ოცნებებში და ლაყბობაში, ბავშვი კი კარგა ხანია აღარა ვარ. მალე 27 წლისა გავხდები. ოცნებებო, მშვიდობით!

22 ნოემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

ანაობაა დღეს. ჩემთვის წმინდა დღე. ანგელოზის დღე. ღმერთმა ინება და კეთილად შემახვედრა დღევანდელ დღეს, ჩემი მკრეხელობების გამო არ დამლუპა და მონანიების დრო მომცა. მადლობა შენ, ენით გამოუთქმელი წყალობისათვის ღმერთო და იყოს ნება შენი! მაზიარე მეც შენს კეთილშობილებას და გამისწორე გზა შენსკენ სავალი. დაუბრკოლებლად განგადიდებ შენ, ღმერთო!

კარგად დავიწყე დღევანდელი დღე. დილის წირვაზე ვიყავი და წმინდა მოციქულ ფილიმონისადმი მიძღვნილი ლოცვა მოვისმინე, ჩემი თანამოსახელისადმი. ღმერთმა ასე გამატარებინოს მთელი წელიწადი.

30 ნოემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

დავიწყებ იქიდან, რომ წუხელ, ალბათ იმ დროს, როცა ჯიბიდან ფულს ვიღებდი, რათა მეეტლისათვის გადამეხადა, ამომივარდა 3 მან. ვერცხლით და დავკარგე. სამწუხაროა, მაგრამ რა ვქნათ? გზაც იქით ჰქონია!

დღეს რაღაც მაწუხებს და სულიერად წყნარად ვერა ვარ. ეს მოდის, ეტყობა, ნაწილობრივ წუხანდელი შთაბეჭდილებებისაგან და ნაწილობრივ დღევანდელი მდგომარეობიდან. წუხელ ვიყავი ეკატერინა პეტროვნას დაბადების დღეზე, როგორც ბალზე არის ხოლმე, ისეთი ჩვეულებრივი მხიარულება იყო. ბევრი კარგი და სინტერესო ქალიშვილი იყო და ბევრიც იცეკვეს, მაგრამ მე ვერ მივიღე მონაწილეობა, რადგან ცეკვა არ ვიცი. შეწუხებულმა იმისგან, რომ როცა მე მოწყენილი ვარ სხვისი მხიარულების გადატანა არ შემიძლია, ავდექი და წამოვედი.

დღეს მოხსენებას აკეთებდნენ ჩვენს განყოფილებაზე. განყოფილების გამგე დაიღალა მოხსენებისაგან და ძებნა დაუწყო ვინმეს, ვინც შეძლებდა და გააკეთებდა მოხსენებას. ვერ მონახა ვერავინ (მე კი იქვე ვიდექი) და მწერალსა ჰკითხა, იგი კარგად ჰკითხულობს თუ არა. მე არა მწყენია, რადგან ვიცი, რომ კარგად ვერა ვკითხულობ, მაგრამ გულში კი გამკრა რაღაც. აღელვებული ვარ, მეცადინეობა არ შემიძლია. ეს ხომ ყველაფერი წვრილმანია და არა ღირს ამაზე ყურადღების მიქცევა. აქედან იმის დასკვნა შეიძლება, რომ მე ვარ უმაღლეს ხარისხში თავმოყვარე, წვრილმანი, შურიანი და, ერთი სიტყვით, კაცი, რომელიც ძნელად თუ დაამთავრებს თავის სიცოცხლეს წყნარად და მშვიდობიანად. სამაგიეროდ, კუბო დამაწყნარებს ისე, როგორც დააწყნარა მან ბევრი მოუსვენარი ადამიანი. ო, ღმერთო ჩემო! როგორ ხშირად შევიგრძნობ ხოლმე ჩემს მარტოხელობას, სულიერ სიცარიელეს, სიმძიმეს! რითი ავივსო სული? უბედური ვარ, არაფერი არ მომწონს, ან და ყველაფერი მომწონს. დღეს ერთი ოცნებითა ვარ გატაცებული, ხვალ მეორეთი და ა. შ. არ არის ჩემში მდგრადობა და მუდმივობა, არავითარი რწმენა; ვარ ცარიელი ადამიანი, მეოცნებე! მწუხარე ვარ და ნაღვლიანი! დაე, ნაღვლიანი დავრჩე, მაგრამ რისთვის ვსწავლობდი ამდენი წლები? ნუთუ იმისთვის, რომ მუდმივ მოვიწყინო, ვინაღვლო, ვიოცნებო და ვიყო ყველაფრით უკმაყოფილო?

გეყოფა ფილიმონუკა, ჭკუას მოუხმე. დროა, გონს მოხვიდე, ცოტა იოცნებო, საქმეს მოჰკიდო სერიოზულად ხელი, ცხოვრებას პირდაპირ შეხედო და არა პრიზმიდან. ცხოვრება ისეთი უნდა გაიგო, როგორც არის იგი სინამდვილეში. არაფერმა არ უნდა გაგიტაცოს, არაფერი არ უნდა შეიძულო და ყველაფერს ისე უნდა უყურო, როგორც სინამდვილეშია. განისაზღვრე შენი ცხოვრების მიზანი და ისწრაფვე მისკენ მთელი ცხოვრება. იყავი ნამდვილი კაცი, სასარგებლო საზოგადოებისათვის, შენი სამშობლოსათვის, რათა სიცოცხლის ბოლოს გაბედულად შეგეძლოს

თქვა, რომ ტყუილუბრალოდ არ გიცხოვრია, ღვთისგან გაჩენილის სახელს ატარებდი სამართლიანად, სახელს სახელმწიფოსი და საზოგადოების წევრისას და საბოლოოდ კი ოჯახის შვილის სახელს.

შენი აღსასრული იქნება წყნარი, ჩუმი, ქრისტიანული და უკვე იქ, იმ ქვეყანაში, სრულიად დაწყნარდები ყოველგვარი მღელვარებისაგან და ცხოვრებისეული ფაციფუცისაგან. ოხ, როგორ დავიღალე ლაპარაკით. ნუთუ ამას მეოცნებე ფილიმონი ჰქადაგებს? აი და ყოჩაღ! მხოლოდ სიტყვები. საქმეში კი შენ სულ სხვა ხარ. არა ძმაო, თუ არ გამოსწორდი, არ ივარგებ! რაც კი შენშია და რაც გაგაჩნია, ყველაფერი დაიკარგება: ცოდნა, დადებითი თვისებები, მგრძნობიარობა. გადაიქცევი მეოცნებედ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ან და ყველა უარყოფითი თვისებები: შური, პატივმოყვარეობა, თავმოყვარეობა, სიამაყე, შემოვლენ, დაგეუფლებიან და დაიპყრობენ მთელს შენს არსებას.

ის მგრძნობიარობა, რომელიც ადვილად მისაწვდომსა გქმნის შენ კეთილთა საქმისათვის, გახდება მაშინ უადვილესი გზა უარყოფითი თვისებებისათვის და მაშინ კი, შენი სუსტი და გაუბედავი ხასიათის გამო, იმათგან თავის დაღწევის ნაპერწკალიც კი აღარ დაგრჩება და დამთავრდება სუყველაფერი. სადღა უნდა წავიდეს მაშინ მცდელობანი ღრმად მოხუცებული მამაშენისა, კაცისა, რომელმაც შენი გულისათვის ყველაფერი დაიკლო, რათა ხალხში გამოეყვანე? რა პასუხს გასცემ შენ მას ამ ქვეყნად, თუკი ისეთი შენი ცხოვრებით, რომელიც ყოვლად მიუღებელი და შეუფერებელია მისი მოწადინებისათვის, დაალაქავენ და შეურაცხყოფ მის მშვენიერ, შეუდარებელ ჭაღარას? თუკი ვერ მიაგებ შესაფერის პატივს მის სურვილებს? უნდა გამოვსწორდე როგორმე, თუნდაც მარტო ამისათვის.

7 დეკემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

4 დეკემბერს თავადის ასულ ვ-სთან ვიყავი დაბადების დღის მისალოცად. ამ დღეს გარეშეს არავის არ ღებულობდნენ. საკმაოდ ცივად მიმიღეს, ჩემზე ყველა გაბუტულია, რატომღაც რაღაცას მსაყვედურობენ და რაღაცით უკმაყოფილონი არიან. ნამდვილად არ ვიცი, რა დავაშავე. მე ბევრითა ვარ თავადის სახლისაგან და თვით თავადის ასულისაგან დავალებული, ამიტომ ყველას მათ პატივს ვცემ, მუდამ ვიქნები მათი მადლობელი, მაგრამ მათი სიყვარული კი არ შემიძლია. არ ეკარებიან ისინი ჩემს სულს. მხოლოდ რომან პეტროვიჩი მიყვარს და პატივსა ვცემ. რა საქმე მაქვს თავადის ასულის ღრენასთან და რაღაცით უკმაყოფილებასთან. სინდისი მე სუფთა მაქვს და არ მინდა არაფრის გაგება.

თავადი კი სულ სხვა საქმეა. იგი კეთილშობილი, კეთილი და, რაც მთავარია, რელიგიური კაცია. იგი მე პასუხსა მცემს, განწყობილია ჩემდამი, ვერცერთ ცუდ სიტყვას მისგან ვერ გაიგონებ, ვერცერთ ჭორს. მისგან მხოლოდ კეთილსინდისიერების, თავმდაბლობის, თავშეკავებულობის გაკვეთილების მიღება არის შესაძლებელი. მთელი სულითა ვცემ მე მას პატივს და იგი იმდენად მიყვარს, რამდენადაც შეიძლება 45 წლის კაცი გიყვარდეს. სხვათა შორის, მე მგონია, ცუდსა

ვშვრები, მასთან ხშირად სახლში ყოფნით რომ ვკარგავ დროს, უკეთესი იქნებოდა სახლში მესწავლა ფრანგული ენა და ცეკვები. ესენი აუცილებელია ცხოვრებაში და მე ეს ჯერ ძალიან ცოტა რამ თუ ვიცი. დროა მე მგონი, რომ ვიცოდე რაიმე კარგად.

8 დეკემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

რადაც დარდიანი და მოწყენილი ვარ. არაფრის გაკეთება არ მინდა. სულში და გულში სიცარიელე მაქვს. ღმერთო ჩემო! რა გავაკეთო? უქმად ყოფნის, გულგატეხილობის, პატივმოყვარეობის და ფუჭსიტყვაობის სულისკვეთება არა მტოვებს! არაფერზე ფიქრი არ მინდა. როდისღა განვიკურნები ამ მტანჯველი ნაღველისაგან? რა დამაწყნარებს? ერთი მხოლოდ საფლავი. ნათესავთა გვერდით მაინც მომიწევდეს ძვლების ჩაყრა, დედაჩემის გვერდით!

14 დეკემბერი, 1854 წ. აუდიტ დეპარტამენტი

აღარ ვიცი, ჩემში რა ხდება. სრულიად გამოვშტერდი. ისე ვრცელდება ნერვიული დამაბულობა ჩემში, რომ ქალების გახსენებაზე სულ მთლად ვცახცახებ. ზოგჯერ, დროდადრო, რადაც სულიერ გახევებაში ვვარდები და უგრძნობელი ვხდები. ნუთუ ქალთან დაკავშირება გადავწყვიტო? მაგრამ სადღაა რელიგია? სადღაა ჩემი ალთქმა? ღმერთო, დამიფარე სატანისებრი ცდუნებისაგან! ჩააქრე ჩემი ვნებების ალი! ჰხედავ შენ, რომ სუსტი ვარ სულით და არ შემიძლია ჩემში მდულარე ვნებების დამარცხება! არადა, როგორი გიჟი ვარ და სულიერად გარყვნილი! წუხელი ღამით რაღაზე აღარ ვიყავი მზად, რა დანაშაულზე აღარ ვიყავი მზად? ვფიქრობდი შემეცდინა ისიც, ისიც, ისიც და ვინ არიან ეს „ისინი“? ცოლები ჩვენი თავმდაბალი მოსამსახურე პირებისა. ღმერთო ჩემო! ესაა ჩემი განათლება, ასეთია ჩემი ზნეობრივი სიწმინდე? არა, უმჯობესია გავურიგდე გარყვნილ გოგოებს, ვიდრე ვინმეს ოჯახში შევიტანო უბედურება.

მიშველე, ღმერთო!

3 იანვარი, 1855 წ. აუდიტ დეპარტამენტი

მიიწურა ქრისტეს შობისა და ახალი წლის დღესასწაულები. მივულოცე ჩემს ნაცნობებს ერთი წლით დაბერება. კარგია ეს მილოცვა, განსაკუთრებით გაუთხოვრად დარჩენილი ქალებისათვის.

დამდეგი დღესასწაული მომილოცა შობის წინ თავადმა თარხანოვმა და გადმომცა ევანგელიე ფრანგულ ენაზე. მასთან შევხვდი ახალ წელსაც. დავწევი ღამის ათ საათზე და ავდექი 1 იანვრის

დილის 8 საათზე. არ დამიკარგავს ამით მე, სხვათა შორის, არაფერი, რადგან არავითარი სურვილი არა მქონდა, რომ ახალ წელს ჩვეულებრივ თავადის ასულთან შევხვედროდი. თუმცა კი იქ სტუმართან შეხვედრა შამპანიურის თანმხლები ხმაურითა ხდება.

თავად თარხანოვთან ჩემი ამ დღეებში ყოფნა იმით აღინიშნა, რომ თანახმად თავადის რელიგიური წესისა და სულისკვეთებისა, ორჯერ წავიკითხე მასთან ლოცვები. მე ვფიქრობ, რომ აწი აღარ დავემორჩილები ჩემს დამტანჯველ და დამჩაგრავ სხეულისმიერ ვნებებს. აღარ დავარღვევ ღვთისმშობლისადმი მიცემულ აღთქმას. გაამაგრებს ღმერთი ჩემს ნებისყოფას ამ სურვილებზე., მომეშველებიან ჩემი სულის მფარველი ანგელოზი, წმინდანი ქალწული და ჩემი თანამოსახელე აპოსტოლი.

როგორი უბედურება შემემთხვა! ჩემი სულიერი მამა, კეთილი და წმინდა მოხუცი, მაღალი სამღვდელო, იერო-მონაზი, პაისია გარდაიცვალა. მისცეს ღმერთმა მას ციური ნეტარება! მე მასთან განსაკუთრებულად ვიყავი მიჩვეული. წმიდათა წმიდა იყო ჩემთვის მისი ყოველი სიტყვა. მე მას ვუყურებდი არა როგორც უბრალო მღვდელს, არამედ როგორც კაცს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა სულიერი შვილის სულის მწუხარებებსა და ტანჯვაში. კეთილი მოხუცი! როდესაც მე იგი უკანასკნელად მოვინახულე, წიგნი მაჩუქა, მაგრამ ღირსი კი ალბათ არ ვიყავი, რომ ასეთი წმინდა ადამიანისაგან მქონოდა სამახსოვრო. იქვე დამრჩა და შემდეგ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, უფრო სწორად, უდარდებლობისა და სიზარმაცის გამო მასთან აღარა ვყოფილვარ.

ასე დავკარგე კეთილი მოხუცი, შემწყნარებელი მეგობარი. ახლა უკვე აღარ ვიცი, ვის ჩავაბარო თავი. ვინ ავირჩიო ისეთი მამად და მეგობრად, რომ ჩემი კეთილი პაისია შეცვალოს. მღვდლები არ მინდა მყავდეს სულიერ მამებად, ბერებს კი ცოტას თუ ვიცნობ. თავად თარხანოვის სულიერი მამა, მამა იანიკი, ეტყობა კარგი კაცია, მაგრამ მე რატომღაც მისი ნდობა არა მაქვს, გულითადად არა ვარ განწყობილი. ამასთან, იგი მალე წავა აქედან, მე კი სულიერ მამათა ხშირი გამოცვლა არ მინდა. რა ვქნა, არ ვიცი. გაურკვევლობაში ვარ. დიდ მარხვამდე დრო არის. მოვითმენ. ღვთის ნება იყოს ყველაფერში.

17 იანვარი, 1855 წ. აუდიტ დეპარტამენტი

ტყუილად ვფიქრობდი, რომ სხეულისმიერი ვნებების დაუოკებელი სწრაფვის საწინააღმდეგო აზრზე მტკიცედა ვდგევარ. ვნება აქამდე არ მაძლევს მოსვენებას. ყველაფერი დულს ჩემში. ეს დამღუპველი ვნება ნუთუ მთლად გამანადგურებს? თითქოს წინასწარგანზრახულადა მხვდება ისეთი ხალხი, რომლებიც თავიანთი უწმინდური და უსირცხვილო სიტყვებით ცეცხლს უკიდებენ ჩემს პირუტყვულ გრძნობებს. უცნაურია, რომ მეც იდუმალი კმაყოფილებით ვუსმენ მათ სიტყვებს. განა ეს ჩემი გულის ღრმა გარყვნილება არაა? კმარა, უნდა მივხედო თავს!

თავად თარხანოვთან ვიყავი წუხელ და იქ გავათიე ღამე. დღეს დილით კი მან რაღაც ანდერძი გადმომცა და მთხოვა აღვწერო მისი მაგიდები, კარადები და ა. შ. ხოლო მისი სამსახურში

შესვლის შემთხვევაში, ეს ყველაფერი გადავიტანო ჩემს ბინაში და შევუნახო სანამ არ დაბრუნდება და არ მოითხოვს, ხოლო მისი სიკვდილის შემთხვევაში ეს ყველაფერი მისი ხსოვნის ნიშნად ჩემთან დავიტოვო. მძიმედ და მწუხარედ მოქმედებენ ჩემზე მსგავსი ანდერძები. მახსოვს, ერთხელ, თავისი ავადმყოფობის დროს, მამაჩემმა ანდერძი გაგვიკეთა ყველას ბავშვებს და რა მძიმე მოსასმენი იყო მაშინ მისი გულის ამონაფრქვევი, აქამდე არ დამვიწყებია. დიახ, დიდი ხანია, არ მიმიღია წერილი მამაჩემისგან. არავითარი ცნობა. არ ვიცი, რა დაემართა. ღმერთო ჩემო, იქნება რა ჭირდება, რაიმე უბედურებას იტანს და არავინა ჰყავს ნუგეშის მცემელი! საცოდავი ჩემი მხცოვანი, ძვირფასი მოხუცი, ჭალარითა და ღვთისმოსავობით დამშვენებული! ვიცი, რომ შენი სული ვერა ჰპოვებს სიმშვიდეს, რადგან უმადურად ჩამოგშორდა საყვარელი შვილი ფილიმონი და შენს ტანჯვასთან, შენს ნუგეშის ცემასთან აღარაფერი ესაქმება. ო, ჩემო ძვირფასო მამა! ნუთუ შენს შვილს აპატიებ უმადურობას, უგნურებას და თახედობას? ვიცი, რომ აპატიებ, მაგრამ ღმერთი იმდენად შემნდობი არის, რამდენადაც სამართლიანი და დამსჯელია მისთა აღთქმათა დამრღვევისა. ო, მამა! სთხოვე, შემინდოს უფალმა.

15 თებერვალი, 1855 წ. აუდიტ დეპარტამენტი

ღმერთმა ინება, რომ ამ თვის 15 რიცხვში მიმელო ქრისტეს საშინელი და წმინდა საიდუმლო. ჩემი ურიცხვი ცოდვების გამოსარჩლება იკისრა მამა იოანიკიმ, ნაცვლად განსვენებული იერომონახის, ჩემი ყოფილი სულიერი მამისა პაისიასი. მე მგონია, მშვენიერი მღვდელია და საერთოდ კი, მე მგონია, რომ საკუთარი საქციელისადმი უფრო დაკვირვებული უნდა იყოს ადამიანი, ვიდრე სულიერი მამებისადმი. თუკი ჩვენ ვასრულებთ ღვთის აღთქმას, ისინი როგორებიც არ უნდა იყვნენ, ჩვენთვის სულერთია.

არ ვიცი, რას მივაწერო, რომ მამაჩემისაგან ასე დიდხანს აღარო მოდის წერილი. რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა? დაგვიფაროს ღმერთმა, გაფიქრებისაც კი მეშინია. რადა ვფიქრობ ასე ხშირად სიკვდილზე, არ ვიცი. რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ სიკვდილზე ფიქრი და მისი შეცნობა მხოლოდ მაშინაა კარგი, როდესაც მის მისაღებად ვემზადებით. ამ დროს გვინდა ცოდვებისა და უპატიოსნო საქციელისაგან გავნთავისუფლდეთ. მე კი, სიკვდილზე რომა ვფიქრობ განა იმისათვის ვემზადები?

27 ივნისი, 1858 წ.

რა დიდი დრო გავიდა, რაც ჩემს თავს აღარ ჩავლრმავებოვარ. აღარც კი მახსოვს, რამდენი თვეა, თვე კი არა, რამდენი წელია მას შემდეგ გასული, რაც ჩანაწერების გაკეთებას თავი მივანებე (გავიდა 3 წელი და 4 თვეზე მეტი. - მთარგ.). ამბობენ, რომ ბედნიერება კაცს თავს ავიწყებინებსო, რადგან სიამოვნებებში ერთობაო და ეს ნაღდი სიმართლე ყოფილა! ჩემისთანა ჩვეულებრივი

მოკვდავი განა ფუფუნებაში თავს არ დაჰკარგავს? კონკრეტულად რაში მდგომარეობს ჩემი ბედნიერება მე არ ვიცი და ვერა ვხვდები.

დამაკმაყოფილეს რა შედარებით, ასე ვთქვათ, კარგი სამსახურებრივი ადგილით და დავეწყნარდი რა სხვა მოთხოვნისგან დაკმაყოფილებითაც, მაშინვე თავი გადამავიწყდა. დავივიწყე კრისტალურ ზნეობრიობაზე დამყარებული ჩემი წესი და ჩვეულებანი, დავივიწყე ღმერთი იმ წუთებიდანვე, როგორც კი თავი მივეცი ჩემს დაუოკებელ, დანაშაულებრივ ვნებათა ღელვას. ჩემში მოხდა საშინელი გარდაქმნა. მე აღარ ვარ ღვთისმოსავი. სრულიად წამერთვა ლოცვის სულისკვეთება. ჩამომცილდა, როგორც ჩანს, ღვთის ხელი. თუმცა ზოგჯერ ადრეც ვეძლეოდი ხოლმე ასეთ დანაშაულს, მაგრამ შემდეგ მგზნებარე ლოცვებითა და მონანიებით მივმართავდი ჩემს მშველელ იესოს, ვთხოვდი შეწყალებას, თითქოს სინდისი მეწმინდებოდა. ამ ლოცვების შემდეგ გული, მართალია, ისევ მევესებოდა სწრაფად ბინძური ვნებებით, მზაკვარი სული თავისკენ მიმიტყუებდა და მიტაცებდა, მაგრამ მონანიების განახლებით ვმშველოდი თავს. ახლა ო, ღმერთო ჩემო! ღრმად განვიცდი საკუთარ სიკვდილს. იმ უბედური დროიდან ჩემი გული მთლად სხეულებრივი სურვილებით არის აღსავსე. მე გადავიქეცი ტაძარში უღიმღამოდ მოსიარულედ. მე უკვე აღარც ღამით, დაწოლის წინ, აღარც დილით, ადგომის დროს აღარ ვილოცები. წამოდგომის დროს თითქოს ბოროტი გენია ერეკება ჩემგან ყოველგვარ წმინდას, ყოველგვარ ღვთიურს. მე უკვე აღარ ვკითხულობ დილით და საღამოთი ღვთისმშობლის ლოცვას იესო ქრისტესადმი. ისეა ჩემი სული შებოჭილი, თითქოს იგი ღვთის ქმნილება აღარ იყოს და თავის შემქმნელს არ ეკუთვნოდეს. ღმერთო, დამაყენე სიმართლის გზაზე და გინდა თუ არ გინდა, მიშველე.*** PAGE 198 ***

სადღაც აღწერილია ვიღაც ქალი, რომელიც მდიდარი და ცნობილი კაცის საყვარელი იყო. სიკვდილის წინ მძიმე ავადმყოფი, საყვარლისაგან მიტოვებული, აღსარებას ამბობდა მღვდელთან და უყვებოდა მას თავის ვნებიან, მღელვარე ცხოვრებას. იმას, თუ რა საშინლად ექვიანობდა მისი საყვარელი და როგორ უდრტვინველად იტანდა იგი ამ საშინელ ტანჯვას. მღვდელმა მოისმინა ეს, მძიმედ ამოიოხრა და თქვა: „დიახ, თქვენ უბედური იყავით!“ „ახ, არა, მამაო!“ - იუარა ქალმა - „მართალია, მე უბედური ვიყავი, მაგრამ ეს იყო ყველაზე ბედნიერი დრო ჩემს ცხოვრებაში!“ ვიხსენებ რა ამ სიტყვებს, უნებურად ვჩერდები ხოლმე.

მართალია, მე დარწმუნებული ვარ, რომ მე მას ვუყვარვარ და ჩემდამი, როგორც შვილისადმი, უფრო სწორად, როგორც ნამდვილი ქმარისადმი არის განწყობილი, მაგრამ სინდისის ქვეშ თუ ვიტყვი, მეც იგივე მონეტით ვუხდი. არავინ არა მყვარებია ცხოვრებაში ასე. არავის ისე პატივს არ ვცემ, როგორც მას. თავისუფალ დროს რამდენსა ვკარგავ მისი გულისათვის, ამას აღარ ვამბობ. თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი იმისათვის ჩამოვიცილე, რომ იგი დაწყნარდეს, მაგრამ არა: თითქმის მუდმივად, ყოველდღიურად მსაყვედურობს, რომ თითქოს მე მისდამი ისე ერთგული არა ვარ, როგორც იმსახურებს, რომ სხვებზე მაქვს თვალი, ხან ერთს, ხან მეორეს ვუყურებ, რომ ამ ქალზე ან იმ გოგოზე ვფიქრობ და მას კი ვატყუებ და ა. შ. ათასობით საყვედური. რისთვის? იმისთვის, რომ მისი ერთგული ვარ. თავს არ ვაძლევ სხვაზე ფიქრის უფლებას და ვფიქრობ

მხოლოდ მასზე. ღვთის წინაშე ვამბობ, რომ იმდენად მის წინაშე არა ვარ დამნაშავე, რამდენადაც საშინლად ცოდვილი ვარ ჩემი იესოს წინაშე.

მე საუბედუროდ იმ ადამიანთა რიცხვს არ ვეკუთვნი, რომელნიც საყვედურებს იმსახურებენ. ჩემთვის საყვედური, და მით უმეტეს, დაუმსახურებელი და უსამართლო, აუტანელი რამ არის. არაფრით არ შემიძლია მათი გულგრილად მიღება. მთელი ჩემი სიამაყე ეძლევა აღშფოთებას. ქუჩის ყოველი გომბიოს გამო როგორ შეიძლება რომ ჩემზე იეჭვიანოს? აფსუს! მას თვალწინა ჰყავს ისეთი მამაკაცი, რომელსაც მართლაც რომ ყველა გოგოს დანახვაზე ცეცხლი ეკიდება, მაგრამ ასეთად რომ ჩამთვალოს, ამის მიზეზი კი არ მიმიცია და ამ დონეზე ჩემი დაყენების უფლება არა აქვს. ვინც კი მიცნობს, არავინ ამას არ იტყვის ჩემზე.*** PAGE 199 ***

სხვათა შორის, მე თავად თარხანოვის ანდაზაზე ვდგავარ: „ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდის!“ ვფიქრობ, რომ ამ ქალის დაკარგვა მე გულწრფელ განწყობილებას, ჩემს სიცოცხლეში უმაგალითოს და შეიძლება უკანასკნელსაც, დამაკარგვინებს. მოიღრუბლება ჩემი სიცოცხლის ჰორიზონტი და აღარ დადგება ჩემთვის ნათელი დღეები. გავხდები იძულებული, კვლავ ძველებურად ვათრიო მარტოხელა, უფერული არსებობა. ყოველ შემთხვევაში, პეტერბურგში ნამდვილად აღარ მეყოლება ჩემთვის ახლობლურად განწყობილი ადამიანი, რომელთანაც გულითადად გავატარებ დროს. ერთი ცივი რამ მომავალი მელოდება.

დიახ, დაწყნარდი ჩემო შეყვარებულო და დამერწმუნე, რომ აინაზღაურებ შენ ყველაფერს. მხოლოდ ერთი იმედილა მასულდგმულებს: რომ ამ მშვენიერ და სასიამოვნო დღეთა დასასრულს, მე კვლავ დავუბრუნდები ჩემს უფალს და კვლავ მესტუმრება ლოცვის სულისკვეთება. კვლავ მიშუამდგომლებს ყოვლად წმინდა დედა ღვთის მშობელი თავის ვაჟიშვილთან, რათა შემაყენოს მან ჭეშმარიტების გზაზე. ვინ იცის, შეიძლება დათვლილია ჩემი საათები და ღმერთს არ უნდოდა, რომ ცოდვილი მოვმკვდარიყავი. ღმერთო, იყოს შენი ნება! მიიღე ჩემგან საქმეთა მაგიერ მონანიება და გულწრფელი რწმენა შენს სიკეთეში. ღირს მყავი შენი საუფლოთი და ჩემს სატრფოსაც შეუნიდე მისი ცოდვები, რადგან შენ იცი თუ ის როგორი სუსტი, მაგრამ რა კეთილი ზრახვების მატარებელი ცოდვილია, რა კეთილი ადამიანია. შეაყენე იგი ჭეშმარიტების გზაზე! ამინ!

ელენე ფილიმონის ასული წერეთელი

(1875 - 1935)

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის

პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე

სანკტ-პეტერბურგში დაბადებული და მუდმივად იქ მცხოვრები მშვენიერი ქართველი ქალი ელენე ფილიმონის ასული წერეთელი საქართველოსთან ნათესაური, იშვიათი მიწერმოწერითა და იყო დაკავშირებული. ყოველდღიური ცხოვრებით და საქმიანობით იგი უკვე პეტერბურგის მაღალგანათლებულ საზოგადოებას ეკუთვნოდა, მისი ინტერესებით იღვწოდა და გამუდმებით მასში ტრიალებდა გენიალური ძმის გრიგოლის და არანაკლებ გენიალური მეუღლის, აკადემიკოს ბორის ტურაევის გვერდით. ელენე ხშირად აქვეყნებდა წერილებს, საიდანაც მოჩანს მისი უნარიანი მოღვაწეობა რუსეთის მეცნიერებისა და განათლების ასპარეზზე.*** PAGE 200 ***

მაგრამ მალე პეტერბურგში პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდა. ამას ორი ძმის, შემდეგ მეუღლის და მამის გარდაცვალება მოჰყვა. გრიგოლ ფილიმონის ძემაც დატოვა პეტერბურგი, თბილისს მოაშურა და ქართული უნივერსიტეტისათვის თავდადებულთა რიგებში ჩადგა. თავისი წრის, ოჯახისა და პრინციპების ერთგულმა, მარტოდ დარჩენილმა ელენემ, პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილი რეჟიმისა და დიქტატურისადმი პროტესტის ნიშნად, გამძვინვარებული ათეიზმის, ეკლესიათა ნგრევის და ღვთისადმი რწმენის განტევების ჟამს, თავგანწირული ნაბიჯი გადადგა, დატოვა უნივერსიტეტი, პროფესორის წოდება და მონასტერში მონაზვნად აღიკვეცა (აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში თითქმის ანალოგიურად იქცევა თბილისში გრიგოლ წერეთელიც, რომელიც დადის ეკლესიებში, შედის საეკლესიო საბჭოს შემადგენლობაში, ატარებს ჯვარს, აშკარად გამოთქვამს საპროტესტო განწყობილებებს, ამეგებენ ბინიდან, იდევენება უნივერსიტეტიდან და მუზეუმში თავშეფარებული ცხოვრობს და ა. შ.). ახალგაზრდამ და მშვენიერმა, მაგრამ დევნილმა და ტანჯულმა ელენემ მონასტერში დაასრულა სიცოცხლე.

ელენე წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალებში და მის პუბლიცისტურ წერილებში ცხადად გამოსჭვივის ქართველი ქალის ყველა თავისებურება: გარშემომყოფთადმი ერთგულება და თავდადება, ზნეობრივი პრინციპებისადმი უკომპრომისობა, პატიოსანი, შემოქმედებითი ადამიანებისადმი გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა. იგი ძალიანა ჰგავს თავის დროის იმ ნიჭიერ და პატიოსან გმირებსაც, რომელთა მოღვაწეობას ასე საინტერესოდ აღწერს თავის გულთბილ წერილებში. ამ წერილთა კითხვისას, მთავარ გმირებთან ერთად, თვალწინ გაიელვებს თვითონ ელენე წერეთლის, სამშობლოდან შორს, უცხოთა სამსახურში დამაშვრალი

ნიჭიერი ქართველი ქალის კეთილშობილი სულიერი პორტრეტი, მისი მიმზიდველი, მაგრამ ეროვნულად ტრაგიკული სახე. გავეცნოთ ნიმუშად, მის ერთ-ერთ წერილს.

შემდგენელ-გამომცემელი

ვასილი პეტრეს ძე კულინი

1900 წლის 19 თებერვალს სანკტ-პეტერბურგში მიიცვალა ქალთა უმაღლესი კურსების ყოფილი დირექტორი, უპირატესად ჩრდილო-დასავლეთის მხარის სახალხო განათლების საქმეში დამაშვრალი და ნამოღვაწარი ადამიანი, ვასილი პეტრეს ძე კულინი. გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. მან ჯერ კიდევ 1894 წელს დატოვა სამსახური და ამ დროიდან მიწერილი იყო განათლების სამინისტროზე, მაგრამ რუსული ცხოვრებისადმი ცხოველი ინტერესი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ დაუკარგავს. მეტად საინტერესო და სასარგებლო არის განსვენებულის ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის ისტორია, რომელიც მიმდინარეობდა რუსეთში საგანმანათლებლო საქმიანობის ყველაზე ძნელ და საპასუხისმგებლო პერიოდში. ვასილი პეტროვიჩი იყო შესანიშნავი, როგორც თავისებური პიროვნება და ადამიანი, ნათელი, მტკიცედ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით, ღრმად შესისხლორცებული რწმენით, მხურვალე სულიერი ძალმოსილებით, რომელიც არა ტოვებდა მას არც სამსახურებრივ მძიმე წუთებში და არც უმძიმესი ავადმყოფობის პერიოდში.

ვასილი პეტროვიჩი სანკტ-პეტერბურგში დაიბადა 1822 წელს. განათლება მთავარ პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო. მშობლები 30-იან წლებშივე დაეხოცა და ინსტიტუტი სრულიად მარტოხელამ, 20 წლის ყმაწვილმა დაამთავრა 1842 წელს. სამსახურმა ჩრდილო-დასავლეთის მხარეში, ქ. ტელშის 5 კლასიან სათავადაზნაურო სასწავლებელში მოუწია, სადაც ისტორიასა და გეოგრაფიას ასწავლიდა. ძალზე ღარიბული სახსრებით დაიწყო განსვენებულმა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა და ამასთან, ძნელად თუ ჰპოვებდა მორალურ მხარდაჭერას პროვინციულ სიყრუეში, უცხო საზოგადოებაში, სასწავლო დაწესებულებაში, სადაც იგი ერთადერთი რუსი ადამიანი იყო. რუსულ ენასა და სიტყვიერებას აქ ბერი ბერნარდინი ასწავლიდა, რომლის მთავარ გატაცებას ნადირობა უფრო წარმოადგენდა. ბიბლიოთეკა არ იყო. ქალაქში მხოლოდ ორი ჟურნალი გამოდიოდა, წიგნები არ იშოვებოდა და რაც გამოჩნდებოდა, მისი ყიდვა არ შეეძლო ახალგაზრდა მასწავლებელს. იტანჯებოდა ვასილი პეტროვიჩი სულიერი შიმშილისაგან, როგორც ამას სიბერეში იხსენებდა. ახალგაზრდობაში ნაწვნივმა სულიერმა მიუსაფრობამ მოხუცებულობაში, სიკვდილის წინ გაუჩინა სურვილი, რათა მისი ბიბლიოთეკის ნაწილი სწორედ ქალაქ ტელშისათვის გადაეცა.

ამ წლებში დაინტერესდა იგი უძველესი ძეგლების შესწავლით და ყურადღება მიაპყრო ქალაქში არსებულ ბერნარდულ მონასტერს, მაგრამ იქ ვერ მიაკვლია ძველ წიგნებსა და ხელნაწერებს. ტელშედან ვასილი პეტროვიჩი გადაიყვანეს ქ. გროდნოში რუსული სიტყვიერების

მასწავლებლად. ორივე თანამდებობაზე 18 წელიწადი დაჰყო. ამ წლებში ჩამოყალიბდა განსვენებულისათვის დამახასიათებელი პედაგოგიური ჩვევები, ტაქტი და შეხედულებები. ამ წლებში ჩაუკვირდა იგი საზოგადოების ცხოვრებას, ამ მხარის ხალხის ჭირ-ვარამს და აქ რუსული საქმის მიმდინარეობას. როგორც ტელში, ასევე გროდნოში იგი საუკეთესო ურთიერთობაში იმყოფებოდა პოლონელ საზოგადოებასთან და ყოველთვის მიუთითებდა იმ დროს პოლონელთა და რუსთა შორის ანტაგონიზმის არარსებობაზე.

გროდნოში იგი გლახთა განთავისუფლების რეფორმისათვის ადგილობრივი თავადაზნაურობის შეხედულებებისა და პროექტების შემუშავებაში მონაწილეობდა. გროდნოში გაეცნო იგი პოეტ სიროკომლის და ექსპრომტად იხსენებდა ხოლმე იმ ლექსებს, რომლებითაც პაექრობდა პოეტთან. შეიძლება მასთან მიწერმოწერაც შემორჩა მის ქალაქებში. ვასილი პეტროვიჩს აქ ჩამოუყალიბდა საკუთარი გამოცდილებით შეხედულება, რომ სრულიადაც არაა ძნელი, კარგი ურთიერთობა იქონიო ჩრდილო-დასავლეთის მხარის პოლონელებთან. ამისათვის მხოლოდ ისაა საჭირო, რომ მათ შენში დაინახონ მაღალზნებრივი და გონივრული თვისებები, ნამდვილი რუსული ადამიანობა. ნათლად უნდა გქონდეს გაცნობიერებული თუ რას ისახავ მიზნად და რა სიკეთეს გამოიღებს შენი მოღვაწეობა. „სულით მაღალი იყავი და გულით წმინდა, ამაზე მეტი ქვეყანაზე სხვა ნურა გინდა“, ეს მისი ხელნაწერებიდან ამოღებული სიტყვებია. იქიდანვეა ეს სიტყვებიც: „შეიგნებენ თუ არა როდესმე ჩვენი მმრათველები, მაზრის უფროსები და ა. შ. რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი უნდა იყოს, რუსი რუსს უნდა ჰგავდეს და რუსეთი რუსეთს და მეტი არაფერი“.

1860 წელს ვასილი პეტროვიჩს ყურადღება მიაქცია მზრუნველმა ვრანგელმა და მისმა მოადგილემ, თავადმა შირინსკი-შახმატოვმა. იგი ვილნოში გადაიყვანეს გიმნაზიის მასწავლებლად, შემდეგ ამ გიმნაზიის ინსპექტორად და მზრუნველთა სამჭოს მდივნადაც დანიშნეს. განსვენებულის ცხოვრებაში ეს წლები არის ყველაზე ძნელი, მაგრამ პედაგოგიური საქმიანობით ყველაზე შესანიშნავი. მდივნის მოვალეობამ მას უამრავი მოვალეობა დააკისრა, რადგან ამ დროს მიმდინარეობდა საშუალო სასწავლებელთა ფორმირებები. მეორეს მხრივ, მხარეში დაიწყო პოლიტიკური მანიფესტაციები, რაც პოლონეთის აჯანყების წინამორბედი იყო. მანიფესტაციის დღეებში შეიმჩნეოდა მოსწავლე პოლონელების გაღიზიანება, დამაბულობა და აღგზნებულობა, მაგრამ გიმნაზიაში რევოლუციური ჰიმნების სიმღერამდე საქმე არ მისულა. ვასილი პეტროვიჩი ისევ და ისევ ერთადერთი რუსი კაცი იყო თითქმის მთელს გიმნაზიაში (იყო აქ აგრეთვე კანონთა მასწავლებელიც). მანიფესტაციების დღეებში დირექტორი ავადა ხდებოდა ხოლმე და ერთი შეხედვით აუღელვებელი ინსპექტორი მარტოდ მარტო ასრულებდა თავის მოვალეობებს. წელიწადნახევარი ყოველდღიურად განიცდიდა ვასილი პეტროვიჩი გაუთავებელ მღელვარებას. დირექტორი ეტყოდა: „შედიტ კლასში, იქ რაღაცა უბედურება ხდება!“ შევიდოდა ვასილი პეტროვიჩი და ნახავდა დაფაზე დახატულ რაღაც საშინელ სურათს, ინსპექტორზე მიპყრობილ ცნობისმოყვარე, უკიდურესად აღგზნებულ მოსწავლეთა თვალებს. „მე მას არ შევხედავ, ვინც დაწერა, მანვე წაშალოს!“ - იტყოდა ვასილი პეტროვიჩი, მივიდოდა ფანჯარასთან და როცა შემოტრიალდებოდა, დაფა სუფთა იყო, ხოლო აღგზნებული ბიჭები ყურს უგდებდნენ ინსპექტორის მხურვალე სიტყვებს... მსგავსი გამოხდომები კი აღარ მეორდებოდა. მგზნებარე მოსწავლეთა ღილკილოებში გამოჩნდებოდა ხოლმე რევოლუციური სამკერდე ნიშნები - თეთრი

არწივები. ვასილი პეტროვიჩი ეტყოდა - „როცა კურსს დაამთავრებთ, მე თქვენ მას დაგიბრუნებთ“ - და ჩამოართმევდა სამკერდე ნიშნებს. „არავინ არ მოსულა კურსის დამთავრების შემდეგ მათ წასაღებად“ - სიცილით გვიამბობდა იგი ბოლოს.

ვილნოს სამოსწავლო ოლქში განმანათლებლური საქმიანობა ვითარდებოდა აჯანყების გაღვივების პარალელურად. თავადმა შირნსკი-შახმატოვმა, რომელიც დაინტერესებული იყო ამ ოლქში სახალხო-განმანათლებლური მოღვაწეობის განვითარებით, 1862 წელს დაავალა ვასილი პეტროვიჩს ვილნოს, გროდნოს, მინსკის გუბერნიების შემოვლა და პირადად განსაზღვრა, სად შეიძლებოდა გახსნილიყო რუსული დაწყებითი სკოლები, გამოემებნა ამის სახსრები და საშუალებები, პედაგოგები და სხვ. ამ პერიოდში კი აჯანყებულთა შეკრებები მიმდინარეობდა. ვასილი პეტროვიჩმა მაინც მოიარა მხარე და ჩამოაყალიბა პირველი რუსული საშუალო სკოლები, რომელთა რიცხვმა წლის ბოლომდე 101 შეადგინა. 1863 წელს, შეიარაღებული აჯანყების პერიოდში, მზრუნველის დავალებით, ვასილი პეტროვიჩმა თავის მეუღლესთან ერთად სახიფათო მოგზაურობით დაიარა და შეამოწმა მის მიერვე დაარსებული სკოლები. ხშირად გახურებული სროლის ქვეშ გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე. ასე ასრულებდა იგი თავის მოვალეობებს.

1864 წელს ვასილი პეტროვიჩი საოლქო ინსპექტორის თანამდებობაზე დაინიშნა და აქ დაჰყო 1872 წლამდე. მზრუნველები იყვნენ თავ. შირნსკი-შახმატოვი, პ. პ. კორნილოვი, პ. ნ. ბატიუშკოვი, გ. გ. სერგიევსკი. პირველი სამი მას ისე ეპყრობოდა, როგორც უახლოეს, თავდადებულ და განუყრელ თანამშრომელს. ვილნოს სასწავლო ოლქში საჭირო გახდა მცირე სახსრებით განვითარებულიყო სახალხო განათლება. ადვილი მისახვედრია, რა მრავალფეროვანი, რა ძნელი და რამდენი საქმე იყო შესასრულებელი. უნდა გამონახულიყო სახსრები, გახსნილიყო სასწავლებლები, დაკომპლექტებულიყო განათლებული რუსული კადრებით, შედგენილიყო და დასტამბულიყო დროსთან, პირობებთან და ადგილთან შეხამებული სახელმძღვანელოები, გატარებულიყო იაფი და უბრალო ორგანიზაცია. ეს საქმე ევალებოდა ვასილი პეტროვიჩს და ვილნოს ოლქის კანცელარიები დოკუმენტურად ასაბუთებენ მის ინიციატორობას მთელ რიგ პროექტთა შემუშავებაში: 1. რუსეთის იმპერიაში არ არსებობდა და დღესაც მოქმედებს მის მიერ დაარსებული მასწავლებელთა დირექცია. 2. მან დაარსა რუსეთში პირველი სამასწავლებლო სემინარია. 3. შეადგინა სასწავლებელთა წესდებები და მასწავლებელთა ინსტრუქციები. 4. მან პირველმა შემოიღო ოლქში სასწავლებლებთან წიგნების საწყობები. რამდენიმე თანამშრომელთან ერთად შეადგინა საკითხავი წიგნები თავისი პროგრამით, რომლებმაც ბევრ გამოცემას გაუძლეს. ვასილი პეტროვიჩი იყო ვილნოს სტატისტიკური კომიტეტის წევრი, წევრ-თანამშრომელი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა (საიმპერიო გეოგრაფიული საზოგადოება). მზრუნველის ავადმყოფობის დროს იგი იყო ოლქის საქმეთა მომხსენებელი მხარის მმართველ მ. ნ. მურავიოვთან 1863 წელს. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ ასრულებდა მზრუნველის მოვალეობას. იყო წევრი პოლონურ და ლიტვურ ენებზე გამოსული წიგნების განმხილველი კომიტეტისა, ვილნოს პირველი რუსული კალენდრის შემდენელი კომიტეტისა. აქტიურად მონაწილეობდა ოლქის საგამომცემლო საქმიანობაში და 1869 წ. რედაქცია გაუწია და პირველმა გამოსცა „რუსულ სიძველეთა ძეგლები ჩრდილო-დასავლეთის გუბერნიებში“.

ვასილი პეტროვიჩს ჰქონდა მიდრეკილება და სიყვარული ლიტერატურული მუშაობისადმი. ემსახურებოდა რა საყვარელ იდეას, ჩაიფიქრა გამოეცა ვილნოს კრებული, რომლის შესავალში იგი ამბობს: „ახლა ყველასათვის ნათელია, რომ დასავლეთის გუბერნიების შეერთება იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან არის არა მატერიალური, არამედ რუსეთის ზნეობრივი, ცივილიზირებული ძალების საქმე. ჩვენ გვსურს შევეწიოთ ამ საქმეს და რუსულ საზოგადოებაში გავავრცელოთ სასარგებლო ცნობები ჩრდილო-დასავლეთის გუბერნიების შესახებ...“ წიგნის შინაარსი ადასტურებს მის სიტყვებს: აქ ვხვდებით რუსი ჩინოვნიკის, დობრინინის ჩანაწერებს. იგი ჩრდილო-დასავლეთის მხარეში მსახურობდა მე-18 საუკუნის დასარულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში; ჩანაწერებს ე. კობრინის მართლმადიდებლურ ეკლესიებზე; სოფელ სპროვოზე; მე-19 საუკუნის დასაწყისის ვილნოზე; ნარკვევებს დასავლეთ რუსეთის გლეხობის ყოფაცხოვრებაზე; სოფლის მღვდლის მოგონებებს პოლონელთა უკანასკნელ აჯანყებაზე და ა. შ. ცენზურული ხასიათის დაბრკოლებებმა აიძულეს ვასილი პეტროვიჩი შეეწყვიტა გამოცემები. იგი გაიტაცა განმანათლებლური საზოგადოების შექმნის აზრმა. ამის შესახებ მისი პროექტი გადაკეთდა და შეიქმნა წმინდა სულიერი ძმობის საზოგადოება, რომლის მდივნადაც იგი იყო რამდენიმე ხანს. მისი იდეა ძმობის ამოცანებზე გამოხატული არის მოწოდებაში, სადაც ნათქვამია: „დადგა დრო, რომ დასავლეთ რუსეთის საზოგადოებამ ხმამაღლა განაცხადოს და აშკარად გამოაღოს რუსი ხალხის დროშა და როგორც შეუძლია, ისე შეეწიოს მისი განათლების საქმეს: სკოლების მოწყობით, სახელმძღვანელოებით, ბიბლიოთეკებისა და წიგნების საწყობების დაარსებით და სხვ.“

1870 წლიდან ვასილი პეტროვიჩს გაუჭირდა მხარეში მუშაობა და 1872 წლიდან გადადგა. „30 წელი იმსახურო და გადადგე ჯანმრთელი, სუფთა სინდისით, სრულ გონებაზე მყოფი, ლუკმა-პურით უზრუნველყოფილი... ამ სიკეთისათვის ღმერთს მადლობა როგორ არ უნდა შევწირო?“ (განსვენებულის ხელნაწერები, 1872 წ.). „დასავლეთ რუსეთის მხარე ყველაზე კეთილშობილ, რუსი კაცის სამსახურისათვის დამაჯილდოებელ ნიადაგს წარმოადგენს. აქ ბრძოლაა გაჩაღებული ეროვნული, მშობლიური სტიქიისათვის“ (განსვენებულის ხელნაწერები, 1868 წ.).

მაგრამ სამი თვეც არ გასულა და ოლქის მზრუნველმა თავ. შირინსკი-შახმატოვმა მიიწვია იგი თავის ოლქში, ოლქის ინსპექტორის თანამდებობაზე, რომელიც ეჭირა ვასილი პეტროვიჩს ჯერ კიდევ თავ. მემჩერსკის მზრუნველობის პერიოდში.

ვასილი პეტროვიჩს სურდა ახლოს ყოფილიყო სოფლის მასწავლებელთა მომზადების საქმესთან და ამ სურვილმა ათხოვნინა სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის დაბალი თანამდებობა ალფეროვოში (სმოლენსკის გუბერნია). აქ იგი ხელმძღვანელობდა სოფლის სასულიერო მოღვაწეთა და გლეხთა ბავშვების სახალხო მასწავლებლებად 8 გამოშვებას. მისმა ზოგიერთმა მოსწავლემ მიიღო მღვდლად კურთხევის უფლება. ერთმა გახსნა 9, მეორემ 12 საგანმანათლებლო სკოლა. ალფეროვოში ვასილი პეტროვიჩი მოწაფეების ცხოვრებითა ცხოვრობდა. მისი კაბინეტის კარები არასოდეს იკეტებოდა. ნებისმიერ დროს შეეძლო აღსაზრდელს შესულიყო დირექტორთან საქმეზე, ცნობაზე, წიგნზე, ან ისე უბრალოდ, საუბრისათვის.

1883 წელს, 40 წლიანი სამსახურის შემდეგ გადადგა ვასილი პეტროვიჩი და უნდოდა განმარტოებით ეცხოვრა, დაკავებულიყო ლიტერატურული საქმიანობით, ოცნებობდა სოფლურ

ცხოვრებაზე. ამ დროს დაიწყო მან „სლავურ-რუსული დამწერლობის“ შედგენა განმარტებებით. მისი აზრით, წერა-კითხვის შესწავლა უფრო მოსახერხებელია დასაწყისში დამწერლობის საეკლესიო ნიმუშებით. მან ეს პრაკტიკულად გამოსცა ალფეროვოს სამასწავლებლო სემინარიაში. ეს იდეა მას მოსწონდა იმისათვის, რომ იგი მისი აზრით შეესაბამებოდა საეკლესიო სლავური ენის მნიშვნელობას და სახალხო სკოლას ანიჭებდა საეკლესიო ხასიათს. თავისი ანბანის შესახებ ვასილი პეტროვიჩი მიმოწერას აწარმოებდა რაჩინსკისთან, რომელიც თავის წერილებში იზიარებს ვასილი პეტროვიჩის აზრს სლავიანურ დამწერლობაზე და პირადად გაეცნო მის მეთოდს ალფეროვოს სემინარიის ერთ-ერთი მოსწავლის მაგალითზე.

1884 წ. პ. ნ. ბატიუშკოვმა შესთავაზა ვასილი პეტროვიჩს გამოეცა „დასავლეთ გუბერნიის რუსული სიძველენი“. საქმე ეხებოდა ხოლმის რუსებს. პირველად იუარა, რადგან ძნელი ეჩვენა საგანი, მაგრამ შემდეგ აიღო ეს შრომა თავის თავზე და შეეცადა თანამშრომელთა შემოკრებას საკითხთა დასამუშავებლად. გაემგზავრა დაკვირვებების ჩასატარებლად ქალაქ ხოლმში. მოინახულა ლიუბლინო, ვილნო, ვარშავა, სადაც კრებდა მასალებს და აღწერდა ადგილობრივ მართლმადიდებლურ სიწმინდეებს. გამოცემა გამოვიდა ორ ტომად, მშვენიერი ნახატებიანი ორი ალბომით. ვასილი პეტროვიჩს შეეძლო დამშვიდებული სინდისით ეთქვა, რომ მან გასწია მნიშვნელოვანი შრომა. ამისათვის შემდგომ იგი დააჯილოდოვებს წმინდა ანას I ხარისხის ორდენით და წარუდგინეს თვით ხელმწიფე იმპერატორს გატჩინოს სასახლეში 1886 წ. 12 მარტს.

1886 წ. ვასილი პეტროვიჩი ისევ შედის სამსახურში და მუშაობას იწყებს სახალხო განათლების სამინისტროში. 1887 წ. მართლმადიდებელთა პალესტინის საზოგადოებამ დაავალა დაეთვალაიერებინა მართლმადიდებლური და სხვა სარწმუნოებრივი სასწავლებლები და საქველმოქმედო დაწესებულებები სირიასა და პალესტინაში. ამ მოგზაურობაში მან მოინახულა 60-ზე მეტი სხვადასხვა სკოლა და დაწესებულება: რუსული, ბერძნული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ამერიკული. თავისი წინასწარი მოღვაწეობით იგი მომზადებული იყო იმისათვის, რომ შეემჩნია და შეეფასებინა დასავლეთის პროპაგანდის ძალისხმევა და ბერძენი სასულიერო მოღვაწეების უმადურობა და უთაურობა. ჩამოტანილი ცნობები გამოქვეყნდა პალესტინის საზოგადოების გამოცემებში.

1888-1889 წლებში ვასილი პეტროვიჩს დაევალა ყუბანის ოლქის სასწავლო სემინარიებისა და სტანიცების სასწავლებელთა რევიზია. სამასწავლებლო ინსტიტუტების, სემინარიებისა და სახალხო სასწავლებელთა დათვალაიერება ნოვგოროდის, იაროსლავლის, მოსკოვის, კურსკის, ხარკოვის და ბესარაბიის გუბერნიებში.

მთელი ცხოვრება ემსახურა ვასილი პეტროვიჩი სახალხო განათლების საქმეს და თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა დაასრულა ქალთა უმაღლესი განათლების საქმეში მუშაობით.

1889 წელს, დროებითი შესვენების შემდეგ, განახლდა მიღება ქალთა უმაღლეს კურსებზე. ვასილი პეტროვიჩი დაინიშნა დირექტორად. ახალი საქმის მნიშვნელობის მისეული შეგნებითა და დამახასიათებელი გატაცებით შეუდგა იგი დირექტორობას. არ დაუზოგავს თავისი ძალღონე, დასაწყისში ყოველგვარ საკანცელარიო საქმეებსაც თვითონ ასრულებდა. არსებობის პირველ წლებზე იყო დამოკიდებული კურსების მომავალი და აუცილებელი იყო აქ ვასილი პეტროვიჩის

პედაგოგიური გამოცდილება, ტაქტი, სიფრთხილე. მან შეძლო სასწავლებლის მდგომარეობის განმტკიცება და დაერთო ნება ყოველწლიურად გაეზარდა ახლადმიღებულთა რიცხვი. გულისხმიერი, ახალგაზრდობისადმი თანაგრძნობით განმსჭვალული ვასილი პეტროვიჩი სრულ ნდობას აღვიძებდა თავისი პიროვნებისადმი როგორც ადამიანი და როგორც სასწავლებლის ბედით სისხლხორცეულად დაინტერესებული მოღვაწე. იგი ამბობდა, რომ კურსებზე ყოფნა არის ბედნიერება, რომელიც წილად ჰხვდა რუსეთის ქალთა მხოლოდ მცირე ნაწილს და მათ გაძლიერებული შრომით, მონდომებით და მეცადინეობით უნდა გაამართლონ ეს ნდობა. შემდგომში, ყოფილ მსმენელებთან შეხვედრისას ყოველთვის კითხულობდა: „რა გააკეთეთ? რას აკეთებთ?“ ამით იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ მიღებულმა განათლებამ უნდა მოგვცეს შედეგი და ნაყოფი გამოიღოს. ხშირად ამბობდა, რომ ქალთა უმაღლესი კურსები ცოდნის სინათლის მატარებელია და მისმა შუქმა უნდა შეაღწიოს რუსეთის ყოველ კუთხეში. ამ სიტყვებში ჩანდა სული ადამიანისა, რომელმაც ხანგრძლივად და თავდადებით იღვაწა სახალხო განათლებისათვის. მისი დირექტორობის დროს კანცელარიის კუთხეში ეწყო წიგნები დასავლეთ რუსეთის ისტორიის შესახებ. საკურსო და კერძო საუბრების დროს იპოვიდა თუ არა შესაფერის მომენტს, ვასილი პეტროვიჩი იწყებდა მსჯელობას დასავლეთის მხარის ისტორიაზე. არწმუნებდა ყველას, რომ მიაპყრონ ყურადღება ამ მხარეს „სადაც მთელი საგანძურია რუსი არქეოლოგისათვის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, რომანისტის, დრამატურგის, მხატვრისათვის“. სიამოვნებით იძლეოდა წიგნებს, მიუთითებდა საინტერესო პიროვნებებზე, ეპოქებზე და სხვ.

5 წელი დაჰყო თავდადებულმა მოღვაწემ ქალთა უმაღლესი კურსების დირექტორად. უკანასკნელ დროს დიდი დამაბვიტ ებრძოდა არტრიტის მტანჯველ შემოტევებს და 1894 წ. უარი თქვა დირექტორობაზე. მაგრამ სამსახური არ მიუტოვებია. მაშინდელი განათლების მინისტრის, განსვენებული გრაფის დელიანოვის (გარუსებული სომეხი) სიტყვებით, მსგავსი მოღვაწენი საქმეს თავს არასოდეს არ ანებებენ.

ვასილი პეტროვიჩი თანამშრომლობდა აკსაკოვის სხვადასხვა გაზეთებში და სხვ. 1887 წ. დაიბეჭდა მისი წერილი „რუსული ენის დამკვიდრებისათვის რუსულ კათოლიკურ ღვთის მსახურებაში“. 1893 წელს რუსულ სიძველეებში დაიწყო ბეჭდვა „ვილნოს ძველი მოსახლის ჩანაწერებმა“. ვასილი პეტროვიჩს პოეტური ნერვიც უფეთქავდა და ექსპრომტად ხშირად ამბობდა ლექსებს, მახვილგონიერი ადამიანი იყო, ფაქიზი იომორის მატარებელი. ბელეტრისტიკაში სცადა ბედი ახალგაზრდობაში და დაწერა მოთხრობა „პანი გრიშევიჩი“, რომელიც ცენზურისაგან ძლიერ არის შეცვლილი, ხოლო მოხუცებულმა შეთხზა კომედია „სინათლე მარტო ისაა, რაც სარკმელში ჩანს“. ეს ნაწარმოები საიმპერატორო სცენაზე გასატანად იქნა მოწონებული, მაგრამ ხელნაწერად დარჩა და არ გამოქვეყნებულა.

ყოველდღიურად ჰქრებოდა ვასილი პეტროვიჩის ძვლები, თანდათან დაჰკარგა მოძრაობის უნარი და ვეღარ დადიოდა. ბოლოს ხელის თითებიც კი გაუჩერდა, მაგრამ სულით მაინც ძველებურად მხნედ იყო.

უძრაობისგან ენით აუწერელი ტანჯვისათვის გადადებული, იგი თავდავიწყებას მხოლოდ კითხვაში ჰპოულობდა და დღეღამეში 20 საათი კითხულობდა. ცოცხალი ინტერესი ჰქონდა

ქალთა უმაღლესი კურსების ცხოვრებისადმი. ძველებური მხურვალეებით საუბრობდა დასავლეთის მხარეზე, სახალხო განათლებაზე, რომის პროპაგანდაზე აღმოსავლეთში. აღელვებდა პოლონეთის ისტორიოგრაფიის მიღწევები და გულდაწყვეტილით ამბობდა: „ველარ მოვესწრები იმ ბედნიერ განთიადს, როდესაც რუსი მკლევარები ყოველმხრივ საფუძვლიანად შეისწავლიან დასავლეთის მხარეს.“

ელენე წერეთელი

სანკტ-პეტერბურგი.

1906წ.

გია წერეთელი

წერეთელთა რაჭის შტოების გენეალოგიის შესახებ

რაჭაში მცხოვრები წერეთლები იმერეთიდან სხვადასხვა დროს იძულებით ან თავისი ნებით გადასულთა შთამომავლები არიან, რაზედაც მიუთითებს: 1. საჩხერელ წერეთელთა გენეალოგიის მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ საჩხერედან რაჭაში სხვადასხვა დროს ჩასახლებულია ზოგიერთი წარმომადგენელი. 2. სხვადასხვა გარემოებათა (უთანხმოების, დანაშაულის, პირადი სურვილის, ჩასიძების) გამო იმერეთიდან რაჭაში და პირიქით საცხოვრებლად გადასვლის შემთხვევები. 3. დიდებულ წერეთელთა ასულების რაჭაში გათხოვების დროს თანმხლებ ამაღლაში მოგვარეთა წაყვანის შემთხვევები, რომლებიც ახალ გარემოში საცხოვრებლად დარჩენისას იქცეოდნენ პატარძლისა და მისი მეუღლის შთამომავალთა აზნაურებად. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ რაჭაში და იმერეთში მცხოვრებ წერეთელთა შტოებს გააჩნიათ საერთო გენეტიკური მახასიათებლები, რომელთაგან განსაკუთრებულად საყურადღებოა ის, რომ ისინი პერიოდულად წარმოშობენ საკმაოდ თვალსაჩინო წარმომადგენლებს და არა ერთი დიდებული მოღვაწით დაამშვენეს ჩვენი ეროვნული ისტორია. ამ წერილში, რომელიც გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის დაბადებიდან 130 წლისთავთან დაკავშირებით დაიწერა, მოკლედ შევეხებით დიდი მეცნიერის წარმომავლობას და აქედან გამომდინარე, რაჭაში მცხოვრებ წერეთელთა გენეალოგიურ თავისებურებებსაც.

რაჭაში წერეთლები კომპაქტურად არიან დასახლებული ამბროლაურის რაიონის სოფ. ჯვარისაში და სოფ. ზნაკვაში. ჯვარისელთაგან განსხვავებით, ზნაკვაში ამ გვარის მხოლოდ ერთი შტოა და ერთი საერთო წინაპრის შთამომავლები არიან. მათი წარმომადგენლებია სოფ. სადმელსა და სოფ. ძირაგულში მცხოვრები წერეთლები. დანარჩენ სოფლებში მცხოვრებნი, ყველანი ჯვარისელთა განშტოებებს წარმოადგენენ. ფილიმონ და გრიგოლ ზნაკვის, ხოლო სავლე

და დავით წერეთლები ჯვარისას წარმომადგენლები არიან. ხალხში, გვარში და ოჯახებში შემორჩენილი ტრადიციული გადმოცემების მიხედვით ზნაკვის შტოს დამფუძნებელია ახალგაზრდა საჩხერელი თავადი გოტა (გიორგი) წერეთელი, რომელიც მე-18 საუკუნეში (ზუსტი თარიღი გაურკვეველია) გადმოდის იმერეთიდან რაჭაში და ლაშქართუფროსის, წულუკიძის პირადი ჯარის ხელმძღვანელი ხდება. საკუთრებაში ღებულობს სოფ. მოტყიარის დაუსახლებელ ტყეს და სოფ. ზნაკვაში 17 კომლ გლეხს. მოგვიანებით წულუკიძის ასულზე ქორწინდება და სოფ. მოტყიარში, ნაჩუქარ მამულში, ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობს. გარდაიცვალა შუახნის ასაკში და სოფ. მოტყიარის წმინდა გიორგის ეკლესიაში არის დაკრძალული. გოტას ერთადერთი ვაჟი ოტია ცხოვრების პირველ ნახევარს სარდალ წულუკიძის შვილების მხარდამხარ ბრძოლებში ატარებს. სოფ. მოტყიარიდან სოფ. ზნაკვაში ჩამოსახლებული ვრცელ, თლილი თეთრი ქვის სასახლეს აშენებს და კლდისუბნელ იაშვილის ქალზე არის დაქორწინებული. 6 ვაჟიშვილი ჰყავს: გრიგოლი (გრიგოლ პირველი, დიდი მეცნიერის ბაბუა), ოტია (იგივე როსტომ, რომლის შთამომავალია სოფ. ზნაკვაში მცხოვრები კონსტანტინე წერეთელი და მისი შვილი ვალერიანი, თავისი სამი ვაჟიშვილით: დავით, ზურაბ და ავთანდილით; ქუთაისში დამკვიდრებული ძმა კონსტანტინესი - ნესტორ წერეთელი თავისი შვილებით: აკაკი, ეთერი და ოთარით; ამ სტრიქონების ავტორი და მისი და ლია წერეთელი და საერთოდ, სოფ. ძირაგულში მცხოვრები წერეთლები), სიკო (მისი შთამომავალია პოლიაქტორ და რობიკო წერეთლები, რომელთა გადმოცემებითაც აქ საკმაოდ ვსარგებლობთ), ბეკო (რომლის შთამომავლებია სადმეღში მცხოვრები წერეთლები), ბეჟანი (რომლის შთამომავალი იყო რაჭაში ძველი თაობის ცნობილი კომიკური მსახიობი კირილე წერეთელი) და ლევანი, რომელიც უცოლშვილოდ გარდაიცვალა (2). ყველანი ცალ-ცალკე დაუსახლებია. ერთ-ერთი მათგანისათვის სასულიერო განათლება მიუცია და მემკვიდრეობაც მისთვის დაუტოვებია. ესაა გრიგოლ პირველი, დიდი მეცნიერის ბაბუა. მოგვიანებით, რაღაც შემთხვევის გამო, ოტიამ მოულოდნელად დატოვა საერო ცხოვრება და მღვდლად ეკურთხა.

ლიტერატურაში (ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერი, ცნობილია საჩხერელი თავადი გოტა წერეთელი, რომელიც ჯერ ქართლშია (თიღვა და მისი სანახები) იმერეთის მეფისაგან გასახლებული, ხოლო 1648 წელს იქიდანაც სადღაც წასული ჩანს და მეფე მის ადგილ-მამულს სხვა წერეთელს აძლევს. ეს გოტა ქრონოლოგიურად არ ემთხვევა ჩვენს გოტა წერეთელს, მაგრამ სინტერესოა სხვა მსგავსი ფაქტი: საჩხერელ წერეთელთა გენეალოგიაში 1730-იან წლებში მოიხსენიება განაწყენებული მეფისაგან იმერეთიდან გასახლებული დიდებული გიორგი წერეთელი და როგორც ვარაუდობენ, რაჭაშია იგი გადასული. გოტასა და ოტიას ცხოვრების ზუსტი თარიღების დასადგენად უნდა ვიხელმძღვანელოთ დოკუმენტალურად ცნობილი ფილიმონ წერეთლის დაბადების თარიღით - 1827 წ. ქართული ტრადიციების მიხედვით ქართველი კაცის რეპროდუქციის ოპტიმალური ასაკია 25-30 წელი. ამის მიხედვით, ეს გენეალოგიური ხაზი დაბადების თარიღების მიხედვით ასე გამოიყურება: ფილიმონი - 1827. გრიგოლი - 1800. ოტია პირველი - 1775. გოტა - 1750. თუ დავუშვებთ გვარში და ოჯახებში გავრცელებულ ვარაუდს იმის წესახებ, რომ 6 ძმა წერეთლის მამა არის არა ოტია პირველი, არამედ მისი შვილიშვილი ოტია მეორე, თომა პირველის ძე, რომ შთამომავლობაში რეალურად არსებობდა კიდევ ორი თაობა მღვდელ თომა პირველის და ოტია მეორის სახით, რომელიც ადვილად ერევათ მღვდელ თომა მეორეში და ოტია პირველში, მაშინ დაბადების თარიღები და

აქედან გამომდინარე ცხოვრების პერიოდები ამ გენეალოგიურ ხაზში ასეთი იქნება: ფილიმონი - 1827. გრიგოლი - 1800. ოტია - მეორე - 1775. თომა პირველი - 1750. ოტია პირველი - 1725. გოტა - 1700. ასეთ შემთხვევაში 1730-იან წლებში იმერეთიდან რაჭაში გადმოსული დიდებული გიორგი წერეთელი შეიძლება მიჩნეულ იქნას ჩვენს გოტა წერეთლად. ამის დადასტურება იქნება მოტყარისა და ზნაკვის ეკლესიათა განსასვენებლებში გოტასა და ოტიას საფლავის ქვების წარწერების მოძიება. მთავარი აქ მაინც ის არის, რომ გოტას შთამომავლები საგვარეულოს და ერის ღირსეული წარმომადგენლები ჩანან და წარმატებით მოღვაწეობენ სასულიერო, სამეცნიერო და სამხედრო ასპარეზზე, ვიდრე არ გადაუვლით ბოლშევიზმის გამანადგურებელი გრიგალი.

როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისთანვე დაისვა საკითხი, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ თავად-აზნაურებს უნდა ესარგებლათ იგივე პრივილეგიებით, როგორც ჰქონდათ რუსეთის შესაბამისი წოდების წარმომადგენლებს. ნიკოლოზ პირველმა ამასთან დაკავშირებით თბილისსა და ქუთაისში, სენატის საგანგებო განკარგულებით, შეჰქმნა საქართველოს თავად-აზნაურობის დამდგენი კომისიები, რომელმაც იმუშავა 1846-1849 წ. წ. კომისიების მუშაობის შედეგები მ. ვორონცოვის დავალებით შეისწავლა და მისი დასკვნების საბუთიანობა დაადასტურა ჯერ ამიერკავკასიის სამმართველოს საბჭომ, შემდეგ კი იმპერიის სენატმა და იუსტიციის სამინისტროს დროებითმა კომისიამ, რომელიც 1850 წ. 6 დეკემბერს დაამტკიცა მეფე ნიკოლოზ პირველმა, თითოეული ოჯახის მიერ წოდების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. მან ბრძანა და ქუთაისში შეიქმნა იმერეთისა და გურიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო (თბილისში ასეთი 1818 წლიდან არსებობდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობისათვის). მას უნდა განეხილა და გაეცა წოდებაში დამტკიცების საბუთები. წოდებაში დამტკიცება მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც ყოველგვარ შემთხვევითობას გამორიცხავდა. ამიტომ, თავადაზნაურთა სიებში მოხვდნენ მხოლოდ ისეთები, ვისაც წოდების დამამტკიცებელი უეჭველი საბუთები ჰქონდა. სიებში არ შეიტანეს ბევრი ისეთი ოჯახი და პირი, რომლებიც ნამდვილად ეკუთვნოდნენ პრივილეგირებულ წოდებას, მაგრამ სათანადო საბუთები არ აღმოაჩნდათ. თავადის წოდების დამადასტურებელი ცნობები ვეღარ წარადგინა გოტა წერეთლის შთამომავალმა 5 ძმამ (მე-6, უცოლშვილო, ამ დროს დაღუპული იყო): გრიგოლმა, ბეკომ, ბეჟანმა, სიკომ და ოტია მესამემ (იგივე როსტომ), რომლებიც ამ დროისათვის რაჭის საერისთავოს აღდგენის, რაჭა-იმერეთის გაერთიანებული ჯარისა და სასარდლოს დაშლის შემდგომ, თავად წულუკიძეთა ძლიერი ადმინისტრაციული და ეკონომიური ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ, ვეღარ ისარგებლეს თავადური პრივილეგიებით და წულუკიძეთა სათავადო აზნაურების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მისდევდნენ სასულიერო და სამხედრო საქმიანობას. ერთ-ერთი ძმის წინაპრები და შთამომავლები მთლიანად სასულიერო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი. ასე, რომ იმ დროს შექმნილი ოფიციალური დოკუმენტაციით (2), რაჭაში მცხოვრებ წერეთელთა სოფ. ზნაკვის შტოს ხუთივე ძმის ოჯახი წარმოდგენილია მხოლოდ აზნაურის წოდებაში და ასეთი შემადგენლობით არის აღწერილი:

?1565: მღვდელი გრიგოლ ოტიას ძე. მისი ვაჟიშვილები: სპირიდონი და მისი ცოლი დარეჯანი. ფილიმონი, თომა. ქალიშვილები: ანუსია, ნინო, თეკლე.

?1566: ოტია ოტიას ძე და მისი ცოლი დარეჯანი (ეს ოტია მესამე, ოტიას მეორეს ძე მისი ერთ-ერთი შვილიშვილის დაბადების მოწმობაში მოხსენიებულია, როგორც როსტომი), მათი ვაჟიშვილებია: ტატო (იგივე ტოტიკ, იგივე ტარიელ) და ნიკოლოზი (მომავალში ძირაგეულელი აზნაურის გიორგობიანის ზედსიძე).

?1567: ბეკო ოტიას ძე და მისი ცოლი დარეჯანი (ბეკოს ვაჟიშვილი, მერაბი არის მომავალში სადმეღელი თავადის იაშვილის ზედსიძე). მათი ვაჟიშვილებია: მერაბი, სოლომონი, ლევანი. მათი ქალიშვილებია: ასტანდარი და რუსუდანი.

აქ და თითქმის ყოველ მუხლში, შთამომავალთა სრული სურათი არაა მოცემული და მცირეოდენი დამატებების შეტანა თითქმის ყველგან შეიძლება.

?1568: ბეჟან ოტიას ძე და მისი ცოლი რუსუდანი. მათი ვაჟიშვილებია: გრიგოლი, ამირზარი, ფარსადანი. ქალიშვილი - დარეჯანი.

?1569: სიკო ოტიას ძე და მისი ცოლი თათია. მათი ვაჟიშვილებია: ასლანი, იოსები, ალფეზი, სარდალი.

როგორც აღვნიშნეთ, ოტია მესამე (იგივე როსტომ) ოტია მეორეს ძეს ჰყავდა ორი ვაჟიშვილი: ტატო, (იგივე ტოტიკ, იგივე ტარიელ) და ნიკოლოზი. ეს უკანასკნელი ზედსიძედ შედის სოფ. ძირაგეულში მცხოვრები აზნაურის ბუჭუა გიორგობიანის ოჯახში, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ლიტერატურაში, ასეთი შემადგენლობით არის წარმოდგენილი, ?533: აზნაური ბუჭუა სიმონის ძე გიორგობიანი და მისი ცოლი მარიამი. მათი ვაჟიშვილი გლახო და მისი ცოლი სალომე. მათი ქალიშვილებია: ეკა, ატატო, ჯუფარა.

ნიკოლოზ წერეთელი ქორწინდება აზნაურ გლახო გიორგობიანის უფროს ქალიშვილ ეკაზე და დასაბამს აძლევს სოფ. ძირაგეულში მცხოვრებ წერეთლებს. ამავე დროს, ხანში შესული და დაქვრივებული გლახო გიორგობიანი მოხუცებულობაში თხოულობს მეორე ცოლს და მასთან სიბერეში შეძენილი ვაჟიშვილებით (თენგიზი, სიმონი და სხვ.) აგრძელებს ძირაგეულელ აზნაურ გიორგობიანთა შთამომავლობას.

ნიკოლოზის უფროს ძმას ტატოს (იგივე ტოტიკ, იგივე ტარიელ) ორი ვაჟიშვილი დარჩა: ნესტორი და კონსტანტინე. კონსტანტინე მუდმივად ცხოვრობდა სოფ. ზნაკვაში და 9 შვილიდან მხოლოდ ორს, ელენესა და ვალერიანს დარჩა შთამომავლობა. მშვენიერი ელენე ვლადიმერ წერეთელზე იყო გათხოვილი სოფ. ჯვარისაში და მისი ქალიშვილია ბიოლოგი ლეილა წერეთელი. ვალერიანის ვაჟიშვილებია დავით, ზურაბ და ავთანდილ წერეთლები, თავიანთი ახალგაზრდა შთამომავლობით ისინი აგრძელებენ კონსტანტინე ტოტიკის ძის ხაზს.

ნესტორი ქუთაისში დამკვიდრდა. იგი ღვინის ცნობილი მრეწველი, - ჩამომსხმელი და ბიზნესმენი გახდა. მის მიერ ჩამოსხმული და დაეტიკეტიებული „ხვანჭკარა“ მეოცე საუკუნის დასაწყისში პირველ ოქროს მედლებს ღებულობს საფრანგეთში და სხვა გამოფენებზე. მასზე ხშირად წერდა დიდი ილიას „ივერია“. მასალები ნესტორ წერეთელზე თავმოყრილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და წარმოგვიდგენს მას, როგორც „ხვანჭკარას“ სამრეწველო და საექსპორტო ისტორიის სათავეებთან მდდგომს. ამ მხრივ იგი ისტორიული პიროვნებაა.

ნესტრო წერეთლის შვილებია: აკაკი - სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი; ეთერი - დამსახურებული ეკონომისტი; მერი - ნიჭიერი პოეტი და ოთარი - ეკონომისტ-ბიზნესმენი. მერი და ოთარი ახალგაზრდები გარდაიცვალნენ. ოთარის შვილებია - გია და ნანა. ეთერის ქალიშვილებია - მანანა, მერი, მარინა და სვეტლანა. ოთარისა და ეთერის შთამომავლები მოსკოვში არიან დამკვიდრებულნი და ყველანი სამედიცინო დარგს ემსახურებიან. აღსანიშნავია, რომ ყველანი მჭიდროდ არიან დაკავშირებული საქართველოსთან და არასოდეს არ ჰკარგავენ თავიანთ მშვენიერ ქართულ სახეს.

აკაკი ნესტორის ძე წერეთლის შვილებია: ნათელა - დასახურებული ინჟინერ-ფეიქარი, თავისი ვაჟიშვილი კაკოთი; ნესტორი - ცნობილი თერაპევტი და გივი - სამთო ინჟინერი, ბიზნესმენი. გივი და ნესტორიც მოსკოვში მოღვაწეობენ. გივის ვაჟიშვილი გიორგი მაღალნიჭიერი მკვლევარია, მოსკოვის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორია ფიზიკაში და კოსმოსურ ოპტიკაში მუშაობს, ხოლო ნინო, საქართველოს და რუსეთის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას ემსახურება საქართველოს საელჩოში მოსკოვში. იგი ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე ნიჭიერი დიპლომატია.

ბეკო წერეთლის უფროსი ვაჟიშვილი მერაბი ზედსიძედ შედის სოფ. სადმელში მცხოვრებ თავად იაშვილის ოჯახში, ქორწინდება მის ერთ-ერთ ქალიშვილზე ალათი იაშვილზე და დასაბამს აძლევს სოფ. სადმელში მცხოვრებ წერეთლებს.

გრიგოლ პირველი (დიდი მეცნიერის ბაბუა) რაჭა-ლეჩხუმის ბლადოჩინია და უცხერელ თამარ ჩიქოვანზეა დაქორწინებული, მათ საკუთრებაშია სოფ. დერჩის (წყალტუბოს რაიონი) ვრცელი მამულიც. სამი ქალიშვილი და სამი ვაჟიშვილი ჰყავთ: თომა, სპირიდონი და ფილიმონი. თომა (თომა მეორე) ზნაკვის უძველესი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მღვდელია და ღვთისმოსაობით გამორჩეული ერთადერთი ქალიშვილი, კატო, ხონში ჰყავს გათხოვილი ალ. წულუკიძეზე. სპირიდონი თბილისშია მღვდლად და სამი ვაჟიშვილი ჰყავს, სამივე მღვდელია: იულონი კახეთში, ბესარიონი სვანეთში, ლავრენტი ოსეთში. ფილიმონი პეტერბურგში რჩება და ცნობილი მოსამართლე, თან ტვერის გუბერნიის დიდი მემამულე ხდება. ყველგან იშვიათი კეთილსინდისიერებით და კაცთმოყვარეობით გამოირჩევა, რითაც საყოველთაო პატივისცემას იხვეჭს. მის წერილებსა და პეტერბურგისეულ დღიურებში გამოსჭვივის ღრმა რწმენა ღვთიური ძალებისადმი, რაც არ ტოვებს მას არც მაღალ საერო თანამდებობებზე ყოფნისას და არც თავზეხელაღებული ათეიზმის წლებში. მაღალი სარწმუნოებრიობით არის აღსავსე მისივე ხუთივე შვილიც, რომელთაგან ორი, გრიგოლი და ელენე, ცნობილი მეცნიერებია, ხოლო დანარჩენი სამი ვაჟიშვილი მეფის არმიის მაღალი რანგის ოფიცრები, გვარდიის პოლკოვნიკები, გიორგის ჯვრის კავალრები არიან.

ყოველივე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. რაჭაში მცხოვრები წერეთლების სოფ. ზნაკვის შტოს ფუძემდებელია მე-18 საუკუნის დასაწყისში იმერეთიდან რაჭაში იძულებით თუ თავისი ნებით გადმოსული ახალგაზრდა საჩხერელი თავადი გოტა (გიორგი) წერეთელი, რომელიც ლაშქართუფროსის წულუკიძის უახლოესი თანამებრძოლი და პირადი ჯარის ხელმძღვანელი ხდება, ღებულობს მამულებს

მოტყიარში, ყმებს ზნაკვაში, ქორწინდება წულუკიძის ასულზე თუ მოგვარეზე და დასაბამს აძლევს რაჭის წერეთელთა სოფ. ზნაკვის შტოს. გოტას (გიორგი) თავადობაზე მიუთითებს: 1. ტრადიციული ოჯახური და გვაროვნულ-ხალხური გადმოცემები. 2. საჩხერის დიდებულ წერეთელთა საარქივო მონაცემები. 3. გვარში თავადის ქალებზე წარმოებული ქორწინებები, რაც იმ დროს ამის საკმაოდ დასაბუთებას წარმოადგენდა. 4. რაჭის ეკლესიათა საარქივო ჩანაწერები, სადაც გრიგოლ პირველი ბლალოჩინის რანგში ყოფნისას თავადის წოდებითაც მოიხსენიება. 5. ფილიმონ წერეთლის პეტერბურგისეული დღიურები, სადაც იგი თავის წარმოშობაზე ლაპარაკობს.

რაჭის საერისთავოს აღდგენის, რაჭა-იმერეთის გაერთიანებული ლაშქრისა და სასარდლოს დაშლის შემდგომ, ადგილობრივ თავადაზნაურთა მხრიდან ანტაგონიზმის გამწვავების გამო, გოტას (გიორგი) შთამომავლები ექცევიან წულუკიძეთა ძლიერ ადმინისტრაციულ და ეკონომიურ ზეგავლენაში, ვეღარ სარგებლობენ თავადური პრივილეგიებით და სათავადო აზნაურთა მდგომარეობაში იმყოფებიან. მისდევენ სასულიერო და სამხედრო საქმიანობას. ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი თითქმის ყველა მამაკაცი თაობიდან თაობამდე მხოლოდ სასულიერო საქმიანობას ეწევა. ეს ხდება შთამომავლობით პროფესიად და ჰქმნის განსაკუთრებულ გენეტიკურ-ფსიქოლოგიურ საფუძველს იდეალისტური მსოფლმხედველობის, ამაღლებული სულიერი წყობის, ღრმა ჰუმანისტური მიდრეკილებების პიროვნებათა ჩამოსაყალიბებლად.

მესამე. რაჭაში მცხოვრებ სოფ. ჯვარისისა და ზნაკვის წერეთელთა საგვარეულოს შტოებს დღეისათვის შენარჩუნებული აქვთ ერთმანეთთან და იმერეთში მცხოვრებ წერეთელთა შტოებთან აშკარად გამოხატული გარეგნული და ფსიქოლოგიურ-გენეტიკური მსგავსებანი, რაც არ თავსდება მხოლოდ ზოგად-ეროვნული მსგავსების ფარგლებში და ნათლად მიუთითებს რაჭა-იმერეთის წერეთელთა საგვარეულოს⁹ ერთიანი გენეტიკური ორგანიზმის არსებობის ფაქტზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად ხანგრძლივი და აღვირახსნილი გენოციდისა, ყოველმხრივი რეპრესიებისა და დაუნდობელი განადგურებისა, ამ საგვარეულოს კვლავ გააჩნია მდიდარი გენეტიკური შესაძლებლობები და არსებობის ნორმალური პირობების შექმნის შემთხვევაში იგი კვლავ შესძლებს აღზარდოს მაღალნიჭიერი და ნათელი პიროვნებები, რაც ასე სისხლხორცეულია საერთოდ ქართული მოგმისათვის, რომლის საუკეთესო თვისებათა ერთ-ერთ ძლიერ მატარებელს ტრადიციულად წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს გვარი წერეთელი; რომლის რაჭის, ამბროლაურის რაიონის სოფ. ზნაკვის შტოს გენალოგიური ხე გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელთან დაკავშირებით დღეისათვის ზოგადად ასე გამოიყურება:

გოტა (გიორგი) - დაახლ. 1700 - 1760 წ. წ. მეუღლე წულუკიძე.

ოტია პირველი - დაახლ. 1725 - 1815 წ. წ. მეუღლე იაშვილი.

თომა პირველი - დაახლ. 1750 - 1830 წ. წ.

ოტია მეორე - დაახლ. 1775 - 1865 წ. წ. მეუღლე დარეჯანი. მისი ვაჟიშვილებია: გრიგოლ პირველი, ოტია მესამე (იგივე როსტომ), ბეკო, სიკო, ბეჟან, ლევან (უცოლშვილოდ გარდაიცვალა). აქ მოგვყავს ოტია მეორის 6 ვაჟიშვილიდან ერთ-ერთის, რაჭა-ლეჩხუმის ბლალოჩინის, პროფ.

გრიგოლ ფილიმონის - ძე წერეთლის ბაბუის, გრიგოლ ოტას-ძე წერეთლის შთამომავალთა ძალზე ზოგადი გენეოლოგიური სურათი. ძირითადი წყარო: „იმერეთის თავად-აზნაურთა ოჯახები“ თბილისი, 1999 წ.

მოცემული სქემა სათანადო შევსებას და დასრულებული სახის მიცემას საჭიროებს, რაც ახლო მომავალში აუცილებლობად მიგვაჩნია.